

სახის მოქალაქე



გაცე 2012 №79
ფასი 7 ლარი



ისტორია
ზაზა კოჭაიძა / ეკა ზოთავა
რეპორტაჟი
privet iz baku / ლამო ფაჩავილი

არტისტი ახლოდან
კოტე მირლაძე / მარო დაბაზავილი

ინსპირაცია
პერვინი / თამთა მალავილი
ფოტოროეფტი
კორტეტები / ლევან ვარდევიძე

ელერ
შეგილაინა
ადარ ფიქრობთ
კინოზე?!





პონტის ფრეშალა
DI MODENA



დანარჩენი ზედაპირის

კაცობრივი ქათი ყინულისგან

“სლობოდა” –
მათთვის ვინც
უანგაროდ უჟვართ

მრგვანიკი • ერთობლივი

ცეკვა

ქათმის ფილე შამპინიონებით
(რულეტი)

- 1.ქათმის ფილე 4 ცალი
- 2.ხახვი 1 დიდი თავი
- 3.კეცელი 150-200გრ
- 4.შამპინიონი 250-300გრ
- 5.მაიონეზი სლობოდა “პროვანსალი” 150გრ
- 6.მარილი
- 7.პილპილი
- 8.კარი

სოკო კარგად შოგშუშიოთ ხახვთან ერთად.
დაკუმატოთ მაიონეზი სლობოდა
“პროვანსალი”, გახეხილი კეცელი, მარილი,
პილპილი. ფილე გაცერათ შუაზე (როგორც
გადამლილი წიგნი), ზომიერად დაცეცვოთ,
გაკეთებული მასა მოვათავსოდ შიდა
ხახვეს და გადავახვიოთ. შეეცილია
გავახვიოთ ფოლგაში, ან შეეკრათ ძაფით.
შოგათავსოთ ღუმელში 180 გრადუსზე
25-30 წუთით, დავდოთ ლანგარზე,
მოვაკარით წერილად დაკრილი
კარი და დაცერად წაკრებად

თევზი გამომცხვარი
მაიონეზში სლობოდა
“პროვანსალი”

- 1.თევზი(ნებისმიერი) 1ქა
- 2.ხახვი 2ცალი
- 3.კეცელი 150-200გრ
- 4.ფევილი 3ს.კოვზი
- 5.ზეთი
- 6.მარილი
- 7.მაიონეზი სლობოდა
“პროვანსალი”

თევზი გავწმინდოთ, მოვაშოროთ
ფხები, დაცერად საშუალო ზომის
ნაჭობებად, ამოვაცლოთ ფქეილში და
მარილში. თუმჯერის ლანგარზე
წაცუსვათ ზეთი, დავალაგოთ თევზი,
ზემოქან მოვაკარით ალუა-ალუა
დაკრილი ხახვი და შევდგათ
ღუმელში. თითოების შეად რომ იქნება,
წაცუსვათ მაიონეზი სლობოდა
“პროვანსალი” და დავახეხოთ ცველი.
ისევ შევდგად ღუმელში, მანამ სანამ
გაიკეთებს დაბრაზულ ქერქს.

უაბაში მაიონეზით და უველით


1. უაბაში 1კგ
2. ლეპილი 2ს.კოვზი
3. უველი 100გრ
4. ბილპილი
5. მარილი
6. ნიორი 1-2 ქბილი
7. ქინძი გემოვნებით
8. მაიონეზი სლობოდა "ოლივკოვი" 4-5 სუფრის კოვზი
9. ხეთი

უაბაში გავთალოთ და დაკრათ სიგრძეზე, ისე, რომ გამოვიდეს გრძელი, ბრტყელი ნაკრები. ფევილში აცურიოთ მარილი და შავი პილპილი, ამოვავლით უაბაშის ნაკრები, რის შემდეგაც შევწვათ ზეთში. გავხეხოთ კველი, აცურიოთ მაიონეზში სლობოდა "ოლივკოვი", დავუმატოთ დანაუილი ნიორი და წირილად დაკრილი ქინძი. შემწვარ უაბაშს წავუსვათ მიღებული მასა და გადავყეცოთ ორად. დავალავოთ ლანგარზე, მოვაუაროთ მწვანილი და მიღირთვათ.



ნამცხვარი ვაშლით და ნიგვზით

1. კარაჟი ან მარგარინი (მარხვის დროს) 250გრ
2. მაიონეზი სლობოდა "პროვანსალი" ან სლობოდა "სამარხვი" 1 ჭიკვა
3. ხოდა ძმინით 1ჩ.კოვზი
4. ფევილი 4 ჭიკა
5. ვაშლი 1კგ
6. შავარი 1 1/2% ჭიკა
7. ნიგოზი(გატარებული) 1/2 ჭიკა
8. ჭიშმიში 150გრ
9. ლიმონი 1 ცალი



კარაჟი ან მარგარინი (მარხვის დროს) ავთევილოთ, დავამატოთ 1 ჩაის კოვზი სოდა და ძმინი, დავამატოთ მაიონეზი, 4 ჭიკა ფევილი და კარგად მოეზილოთ. ცომი გავუიდ ორ ნაწილად. პარალელურად, ვაშლს გავაცალოთ ჭირები, გავჭრათ კერ შეაზე და შემდეგ რკალებად. ცალკე ჩამო ჭიშმიში და ნიგოზი აცურიოთ და დავამატოთ ცოტა ლიმინის ცედრა. თუნექის ფურცელს წავუსვათ ცხიმი, ზედ გავაბრტყელოთ ცომი, დავაუაროთ ჭიშმიში და ნიგოზი (ნახევარი პორცია), შემდეგ დავალავოთ ვაშლი, მერე ისევ ჭიშმიში და ნიგოზი. დავაფაროთ ცომის მეორე ნაწილი და შევჭრათ კველა მხრივან. გამოვაცხოვ 180-200 გრადუსზე დაახლოებით 30 წუთი. როგორსაც გაშავებება, მოვაუაროთ შაქრის პუფრა.

სალათი მაიონეზით "სლობოდა" და საქონლის ენით

1. ენა 1 ცალი
2. კვერცხი 4 ცალი
3. უველი 300გრ
4. ნიგოზი 200გრ
5. კიტრი 2 ცალი
6. მაიონეზი სლობოდა "ოლივკოვი" 200გრ
7. მწვანე ხახვი
8. კარი

მოვხარმოთ ენა და რამდენიმე კვერცხი. პარალელურად, მოვხალოთ ნიგოზი, უველაუერი დავჭრათ გრძლად და ფერა-ფერა დავალავოთ თევზშე შემდეგი თანმიმდევრობით: კიტრი, ენა (მარილი, ბილპილი), მაიონეზი სლობოდა "ოლივკოვი", კვერცხი, უველი(გახენილი), მაიონეზი სლობოდა "ოლივკოვი", ნიგოზი, მაიონეზი სლობოდა "ოლივკოვი", მწვანე ხახვი და კარი წირილად დაკრილი.



Adstation/Ogilvy

The representative agency of Ogilvy & Mather in Georgia and Armenia

35, B. Jgenti St., Tbilisi, Georgia

+995 (32) 2 47 1005

info@adstation.ge

ADstation Ogilvy

“BIG IDEAS ARE USUALLY SIMPLE IDEAS”

“Within every brand is a product, but not every product is a brand”

“Unless your advertising is built on a big idea, it will pass like a ship in the night”

“What you show is more important than what you say”

“Never write an advertisement which you wouldn’t want your own family to read”

“The most important decision is how to position your product”

“Advertise what is unique”

“The purpose of a commercial is not to entertain the viewer but to sell him”

“What really influences consumers to buy or not to buy is the content of your advertising, not its form”

“IF IT DOESN’T SELL, IT ISN’T CREATIVE”

“The more informative your advertising, the more persuasive it will be”

“No manufacturer ever got rich by underpaying his agency. Pay peanuts and you get monkeys.”


სახლი მოწოდები

N79, მაისი 2012



ყდაზე ელდარ შენგელაია
ფოტო ლევან ხერხეულიძის

- 10 რედაქტორის სვეტი
12 ავტორთა სვეტები
- ნარდენა** 14 ზურა ბერი, ილუსტრატორი
16 სად არის შენი ბედნიერება, ქრისტინე?!
- ანონსი** 18 15 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ
სალომე აფხაზიშვილი
- რესტორნის კრიტიკა** 24 ბეტონის კედლის სიგრილე თამარ კვინიკაძე
საავტორო 26 დროა! ანა კორძაია-სამადაშვილი
28 მოდილიანის გოგო გაგა ნახუცრიშვილი
30 დაუმორჩილებლები მაია სარიშვილი
32 ბარბარა ბაჩო კვირტია
- რეპორტაჟი** 34 privet iz baku დათო ტურაშვილი
- ისტორია** 40 ელდარ შენგელაია
აღარ ფიქრობთ კინოზე?! ქეთევან სადლობელაშვილი
48 ზაზა კოკაია
სასწაულებრივი უჯრედები ეკა ჭითანავა
- არტისტი ახლოდან** 56 კოტე მინდაძის რუბიკის კუბიკი მაშო სამადაშვილი
- ინსპირაცია** 62 პერვინი თამთა მელაშვილი
- ფოტოპროექტი** 65 პორტრეტები ლევან ხერხეულიძე
- ლიტერატურული პროცესი** 82 საჯარო ეროვნული ბიბლიოთეკა ანიჭა თვაური
- საავტორო** 88 გაქცევის და ათასი სხვის აკა მორჩილაძე
- მოთხოვთა** 92 საშინელი ზლაპარი გიგი სულაკაური
- ნარდენა** 96 გიორგი კობახიძე, პოეტი
- საუბრები აბაურის ქვეშ** 98 განათებული ფანჯრების კვირა დიანა ანფიმიაძი
- რეცენზია** 100 ძველი უურნალების მოკრძალებული ხიბლი პატა ნაცვლიშვილი
106 ადამიანები დასასრულის ზღვარზე ანინა ტეფნაძე
107 როცა ცდები ანიჭა თვაური
- ნიგენი** 108 მიმოხილვა
- რეცენზია** 110 სხეული – „პოლიტიკური დედის“ მშობელი დავით ბუხრიკიძე
- 112 სულთა სახლის „ჭუჭყიანი“ დიასახლისები დავით ბუხრიკიძე
- 114 ვნებისა და სიჩუმის ფასი დავით ბუხრიკიძე
- 116 მესამე „გასეირნების“ თავისებურებანი დავით ბუხრიკიძე
- სტილი** 118 უბრალოდ, ქალებზე თამარ ალავიძე
- 120 ტრენდი
- 122 დონა კარანის ინსპირაცია
- 124 კოკო შანელი: „მიყვარს ცხოვრება!“ ლილიან როსი
- 128 გვირგვინები მარიამ სიჭინავა
- 138 რადიკალური შიკი კუდით ტურმანი



ქალაქი შექმნილი გუნდაში

ლისი ვერანდა - ისიამოვნე ერთდროულად ბუნებითა და თანამედროვე ცხოვრების სტილით. დატყპი ლისის ტბის მწვანე გარემოთი, იგრძენი თავი კომფორტულად მხოლოდ ათ წუთში თბილისის ცენტრიდან.

595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

ჩვენი ავტორები

მთავარი რედაქტორი
თამარ ბაბუაძე
„სტილის“ რედაქტორი
თამარ ალავიძე
„ლიტერატურის“ რედაქტორი
რატო ქართველიშვილი
რედაქტორების ასისტენტი
გარიბ სამადაშვილი
ვეგვერდის რედაქტორი
ნინო ჯაფრაშვილი
არტევდაქტორი
არჩილ თაბუაშვილი
დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი
თამარ ღონიძე
ნომერზე მუშაობდე:

ქეთევან სადლობერაშვილი, ეკა ჭითანავა, ანიტა თვაური, პატა ნაცვლიშვილი, დათო ტურაშვილი, ბაჩინ კეირტია, დავით ტურაშვილი, დავით ბუხრიკიძე, თამარ ალავიძე, მაშო სამადაშვილი, ანა კორძანა-სამადაშვილი, მაია სარიშვილი, დიანა ანგილიადი, თამარ კვინიკაძე, გაგა ნახუცრიშვილი, თამათა მელაშვილი, ნინო ტეფნაძე, სალომე აფხაზიშვილი.

ფოტო:

ლევან ხერხეულიძე, მაკა გოგალაძე, ვეის მამადზადე.

ილუსტრაცია:

მაია სუმბაძე, თავო ბაქრაძე

გამოვცევალი

შორენა შავერდაშვილი

გზისასი განვითარების მინისტრი

რუსული ფურცელაძე

პარტიონისტთა ურთიერთობის

მინისტრი:

ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პატარაშვილი, ნინო გონიაშვილი, ქეთევან ლევაზვილი.

დისტრიბუტორი

მიხეილ გელიძე

DEKOM
MEDIA HOUSE

გამოვცევლება:

შპს „მედია პუსტ დევილი“

მისამართი: თბილისი 0183, საქართველო
უფლების ქ. 35, ტელ.: +995 32 2471005

სხვა გამოვცევები:

„ლიბერალი“, „იმ ზენსი-ადამიანები“,
მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“,
ქართული ლეინის გზამკვლევი

სტამბა:

„სეზანი“, თბილისი, წერტლის 140,
ტელ.: 2 357002

უნივერსალი გამოცდის 2004 წლის

25 დეკემბრიდან

© „მედია პუსტ დევილი“ საავტორო
უფლებები დაცულია. უურნალში
გამოქვეყნებული მასალების ნანილობივი
ან მთლიანი გამოყენება გამომცემის
ნებარივის გარეშე აკრძალულია.

„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი
არ ერვა შინაარსის შემნაში.



ბოლო, რამდენიმე თვეა, ვერ ვერევი შეგრძნებას, თითქოს, სამსახური გამოვიცვალე. არადა, იმავე მისამართზე, იმავე უურნალის თანამშრომელი ვარ, რომელსაც დღიდან მისი დაბადებისა, ვერ ვშორდები. თუკი, წინათ „ცხელ შოკოლადს“ კარგ მეგობრად ვთვლიდი, ვისთანაც არც პრანჭვა მერიდებოდა და არც დეპრესიაში ჩაგარდნა, ახლა უცებ ის გადაიქცა „არსებად“, რომელიც მთელი ჩემი პასუხისმგებლობის და ერთგულების მობილიზებას ითხოვს.

„ცხელ შოკოლადს“ სულ უნდა, რომ საუკეთესო იყოს. იმდენად საინტერესო რომ, გულგრილად ვერ ჩაგაროს ვერც იმ თაობამ, ვინც „ცისფერ მთებზე“ გაიზარდა და ვერც იმ თაობამ, ვინც ელექტრონულ მუსიკას უსმენს.

„ცისფერი მთები“ ტყუილად არ ვახსენე. ქეთევან სადლობელაშვილი თავის ძველ და საყვარელ რესპონდენტს კიდევ ერთხელ შეხვდა და მისი ბიოგრაფიის საინტერესო ფრაგმენტებისგან ისეთივე კოლაჟი ააზყო, როგორიც თავად ბატონ ელდარს გაუკეთებია სტუდენტობისას, სადიპლომო ნამუშევრად.

ეკა ჭითანავას სტატიის გმირის – ზაზა კოკაის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. ზაზა კოკაი ლეროვან უჯრედებს იკვლევს. ამ თემის შესახებ „ლიბერალში“ ეკამ იმდენი წერა, რომ ეგონა ახალს ვერაფერს დაწერდა. თუმცა, „ცხელი შოკოლადის“ ფურცლებზე მწვავე, მორალური კითხვები, რომელიც მომავლის მედიცინას სდევს თან, კიდევ უჯრო დამაფიქრებლად გამოჩნდა.

„ცხელი შოკოლადისთვის“ კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაგატარეთ – ანიტა თვაურმა არამხოლოდ განწყობითი და ლირიკული ჩანახატი გააკეთა ეროვნულ ბიბლიოთეკაზე, არამედ ეცადა, ეჩვენებინა, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ბიბლიოთეკა და რა პრობლემების დაძლევის შემდეგ იქცევა ასეთად თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიის მქონე „საჯარო“.

მგონი, სწორი თემები შევუჩრიეთ „ცხელ შოკოლადს“ ამ ნომერში. საკუთარი სიმართლის განცდა ხომ შეიძლება კოცნაზე სასიმოვნოც კი იყოს – წერს ამერიკელი უურნალისტი (და იმდე მაქეს, ჩვენი მომავალი რესპონდენტი), ქეთერინ შულცი. მისი წიგნი „როცა ცდები“ ძალიან სასაცილო და ძალიან ინსპირაციული, შეცდომებს ერება. ჩვენს ლიტერატურის ბლოგში, წაიგოთხეთ მის შესახებ რეცენზია და შემდეგ, აუცილებლად იყიდეთ. ეს გამოცემა (არცთუ უნაკლო თარგმანით) ჩემთვის მისი ნიშანია, რომ არა იდესმე, არამედ ძალიან მალე, ჩვენც შეიძლება, შევუკრთდეთ იმ ფართო და ქაოტურ, მაგრამ ძალიან თანამედროვე სააზროვნო დისკურსს, რომლის ნაწილიც აქამდე მხოლოდ ფრაგმენტულად თუ გავმხდარვართ. მერე იქნებ, საქართველოშიც ვისწავლოთ და ავლაპარაკდეთ თავისუფლად, მახვილგონივრულად და გულწრფელად ისეთ ტაბუდადებულ თემებზე, როგორიც თუნდაც საკუთარი შეცდომებია.

ქეთერინ შულცის ვიდეო შეცდომებზე იძებნება აქ: http://www.ted.com/talks/lang/en/kathryn_schulz_on_being_wrong.html

თამარ ბაბუაძე
მთავარი რედაქტორი




16 იანვრის საკუთხევი!

Samsung
GALAXY Tab
7.7

Samsung
GALAXY S II
1.2GHz

GALAXY
NEXUS

Samsung
GALAXY Note



SAMSUNG

პირველ აგვისტომდე შეიძინათ სამსუნგის პოლოგრამიანი
სმარტფონი და 16ლის განმავლობაში, ყოველთვე საჩუქრად
მიიღეთ 1GB ინტერნეტი მაგთისგან!

აქციის ფარგლებში შეძენილ
ტელეფონზე აკრიფეთ

*222# OK

ავტორთა სვეტინი



ერთეულის სადღობო ავტორი



ანიშა თვალიშვილი



ეკა ჭითანავა

ექვსი წლის წინ რომ დამეწერა ელდარ შენგელაიაზე, ზუსტად ვიცი, სულ სხვა, „შერეკილის“ ისტორია გამოვიდოდა – დიდი სილალით, ტრაგიკომიკურობით, იგავურობით და აგერ, შენს გვერდით რომ სუნთქვას, ისეთი თავისუფლების განცდით. ყოველ შემთხვევაში, ვეცდებოდი, ისტორიაც მისი ფილმების ავტორს დამსგავსებოდა. ახლაც ვეცადე – ბუნების „მოგონებათა წიგნიც“ კი შევთავაზე ერთგვარი ინსპირაციისთვის, მაგრამ სხვა ისტორია გამოვიდა, თითქოს არც დრო იგრძნობა და არც სივრცე. მექექსე წელია, „სხვაგან“ ცხოვრობს, დროისა და სივრცის გარეშე და ამ ორ განზომილებას მხოლოდ კონკრეტული კინოს სახლით, ან, რამიშვილის ქუჩითა და შეუადლის ორი საათია-ს სიბრტყეში ვერ გადავიყვანდი, რადგან არაფერი შეიცვლებოდა ამით, არც ელდარ შენგელაის დამოკიდებულება სამყაროსადმი, არც მისი დრამატიზმი და ამაოების განცდა.

შემოდგომაზე ექვსი წელი გახდება, რაც ელენე აღარ არის...

ელდარ შენგელაის დღევანდელ ისტორიას ხვალინდელი თუ შეცვლის – პირადი არქივიდან ფოტოებს რომ ვარჩევდით, წინაცდასავით – შეიძლება ფილმი გადავიღო. ჯვარედნი დაკითხაც არ ვითაკილე, მაგრამ მეტი ვერაფერი დავაცდენინე... გადაიღოს და ჩემი ცნობისმოყვარეობა, ჯანდაბას!

აღარ ფიქრობთ კინოზე?!

გვ. 40

„სახალხო განათლება და ამასთანავე ერთად, თვით სახალხო, განსაკუთრებით სამინათოებებით მრეწველობა ჩვენში ძალიან შეფერხებულია, საგრძნობლად შენელებულია თავისი წინსვლით... მეცნიერებაში და ხელოვნებაში სხვადასხვა ყადის ცნობების არასაკმარისობა, მონაცემების არ არსებობა... ყოველივეს მიღება შესაძლებელია მხოლოდ საჯარო ბიბლიოთებებში წაკითხვით, სადაც დარიბსაც კი შეუძლია, არც ისეთი დიდი ფულადი გადასახადით ისარგვბლოს ყველა თხზულებით და უურნალ-გაზეთებით რუსეთის და საზღვარგარეთის ენგზზე“, – ეს სიტყვები თითქმის ორი საუკუნის წინ დაწერილ წერილში ამოვითხე.

გრაფი წიკოლოზ მორდვინოვა, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებას სთხოვდა. ოცი წლის თავზე „სანატრელი“ ბიბლიოთეკა თბილისში მართლაც დაარსდა, მაგრამ ის პრობლემები, რომლებზეც თავის წერილში გრაფი საუბრობდა, დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

ეროვნულ ბიბლიოთეკაზე სტატის მომზადებისას აღმოვაჩინე, რომ კითხვები, რომელთაც ჩემს რესპონდენტებს მივმართავდი, სინამდვილეში, ისევ ორი საუკუნის წინაცდელ კითხვებზე პასუხების ქება იყო.

რამდენად ხელმისაწვდომია თანამე-დროვე განათლება ჩვენთვის?

საჯარო ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 82

„როდის იწყება ადამიანის სიცოცხლე? ამტკიცებს კი დღეს ვინმე, რომ არსება მხოლოდ მაშინ იქცევა ადამიანად, როცა მას კულტურა გაადამინურებს?“ – ეკითხება უმბერტო ეკო კარდინალ კარლო მარია მარტინის საჯარო მიმოწერისას.

მეცნიერება იმდენად განვითარდა, რომ სიცოცხლეს უკვე ლაპორატორიაში „ქმნან“, მაგრამ რაც უფრო წინ მიიჩვეს მეცნიერება, მით უფრო აქტუალური ხდება კითხვები, რომლებიც, პირდაპირ თუ ირბად, ყველა ჩვენგანს ეხება. სწორედ ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს იმ სამყაროს მორალურ ღირებულებებსაც, რომელშიც გვინდა, რომ ვიცხოვოთ...

„ყველა თანხმდება, რომ დედაზე ჭიპლარით მიმუშლი ახალშობილი ადამიანია, მაგრამ სადამდე შეიძლება უკანდახევა? სად არის ზღვარი?“ – ეკითხება ეკო მარტინის.

მეც დავიწყე ამ კითხვებზე ფიქრი მას შემდეგ, რაც ღეროვანი უჯრედების შესახებ სტატიები წავიკითხე. ამ თემებზე ვესაუბრე ქართველ მეცნიერს, ზაზა კოკაიასაც, რომელიც ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძველ და დიდ უნივერსიტეტში ამ უნიკალურ უჯრედებს იკვლევს.

სასწაულებრივი უჯრედები

გვ. 48



კულტურული


ვიზუალური მეთოდი
სტანდარტული ბანკის



*22 22



220 22 22



გვ. 52

გვ. 54

გვ. 84

გვ. 90

ზურა ბერნ

მულტიმედია არტისტი

მულტიმედია არტისტი ზურაბ ბერნო უკვე წლებია, ბერლინში ცხოვრობს. ახლა 29 წლისაა და ბერლინის სამხატვრო უნივერსიტეტში (Universitaett der Kuenste Berlin) მაგისტრატურის კურსს გადის თავისუფალი კონტექსტის (Art in Context) მიმართულებით. მანამდე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკებას სწავლობდა, შემდეგ, ბერლინში, ამავე უნივერსიტეტში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ბაკალავრიატი დამთავრა – თავისუფალი ქანდაკებას მიმართულებით. დღეს ზურა ბერნ მედიაში მუშაობს – ქანდაკება და რელიეფი, ინსტალაცია და ობიექტი, ვიდეო-ფილმი და სხვა. მრავალფეროვანია მისი სამუშაო მასალაც: ქვა და რკინა, ხე და თიხა, ნები, ბუმბული. როგორც ზურა ამბობს, მთავარია იდეა, რომელიც ზუსტად გკარნახობს, რომელ მასალაში შეასრულო ესა თუ ის ნამუშევარი, იდები კი სხვადასხვა-გვარად მოსდის. ამბობს, რომ ამჟამად, „ამ მომენტში“, მისი ინსპირაცია ადამიანები და სოციალური ფენებია.

ზურას ალტერნატიული პროფესია არ აქვს და არც უნდა რომ ჰქონდეს.

ჯერ კიდევ სწავლის პერიოდიდან მუშაობდა ერთ-ერთი ქანდაკების სახელოსნოში ასისტენტად, ასევე, ეხმარებოდა თავის რამდენიმე პროფესორს, ასე სწავლობდა კიდეც და თავის სამყოფ ფულსაც გამოიმუშავებდა. დროდადრო ანყობს ვორკშოპებს ბავშვებისთვის და მათ ქანდაკებაზე მუშაობას ასწავლის. როგორც თავად ამბობს, ბოლო ორი წელია, თავისი გაყიდული ნამუშევრებით ცხოვრობს.

როდესაც გამორჩეულ პროექტებზე ვეკითხები, რამდენიმე მათგანს იხსენებს, გამორჩეულად წარმატებულს კი, ორს: „Emigrants“ – გამოიფინა 2011 წელს, მოუნხენის ხელოვნების სახლში (Haus der Kuenste Muenchen), ერთ-ერთ ჯგუფურ გამოფენაზე, სადაც ნამუშევარმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ზურას მოთხოვნასაც დათანხმდნენ – ისტორიულად მნიშვნელოვანი შენობის დარბაზის ჭერიდან 12-მეტრიანი მინა ამოელოთ, რათა ზურას ნამუშევრის ნაწილი (დაკიდული ხიდი) ჭერიდან ჩამოშვებულიყო.

ამ ნამუშევარში ორი დაკიდული ხიდი ერთმანეთს კვეთს, ერთ-ერთ მათგან-

ზე კი ორი ცხოველი დგას. მისი ნამუშევარი არც პრესას გამორჩენია და ორ სხვა არტისტთან ერთად, ორასი ხელოვანიდან სწორედ ზურა გამოარჩიეს. მისთვის ასევე წარმატებული იყო „სიცოცხლის ხე“, რომელიც „Berliner Dom“-ში გამოფინა. სკულპტურა მეორე დღესვე გაიყიდა. „სიცოცხლის ხისთვის“ მასალად, ავტორმა, „Berliner Dom“-ის სპილენძის მოქროვილი, გუმბათზე აღმართული ჯვარი და მისი სადგამი გამოიყენა. ჯვრის შიდა კარგასი ასეული წლის განმავლობაში დაუანგდა და სკულპტურამ გარეგნული იქრსახე სრულად შეიცვალა.

ზურას წლის განმავლობაში მრავალი გალერეა ინვევს. ჯგუფურ გამოფენებში და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობს, თუმცა, საქართველოში – არა. თვითონ ამაზე არ ნერგიულობს და ამბობს, რომ საქართველოში აქტიურად მუშაობაზე მაშინ იფიქრებს, როცა აქ საბოლოოდ დაბრუნდება.

ზურას ნამუშევრების ნახვა მის ვებგვერდზე შეგიძლიათ: www.zurabberero.com



ინტერაქტიული მელევიზი

15 ლარი

◀
გადაბახვი

II
დააპარება

▶
უფრო



2 100 100
www.silknet.com



ინტერაქტიული მელევიზი

საღ არის შენი პელიორება, ერისტინე?

ავტორი ლავით გუბრიძე

ვასილ ამაშუკელის სრულ-მეტრაჟიანი, დოკუმენტური ფილმის („აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, 1912 წელი) შემდეგ, ცხადია არანაკლებ ისტორიულ მნიშვნელობას იძენს პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“. სამწუხაროდ, ამ ხუთნაწილიანი და 70 წუთიანი ფილმიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი ნაწილი, რომელიც კინოდრამატურგმა და კინომცოდნებმ, კარლო გოგოძემ აღადგინა. შესაძლოა ეს ფრაგმენტები დიდი ანალიზის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ მნიშვნელოვან წარმოდგენას მაინც გვიქმნის იმ პერიოდის ქართულ კინოზე.

ამ ფილმის აღდგენითა და დიგიტალიზაციით უურნალი „ცხელი შოკოლადი“ განაგრძობს პროექტს, რომელიც 100 ქართული ფილმის აღდგენას, მათვის „სიცოცხლის დაბრუნებას“ და პოპულარიზაციას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, რომ „ქრისტინე“, როგორც პირველი ქართული მხატვრული ფილმი, სხვა ფილმებთან ერთად, უურნალის მკითხველთა პირად ვიდეოოთვებაში დაიკავებს ადგილს.

„ქრისტინე“ გადაღებულია 1916-18 წლებში, ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების ცნობილი მოთხრობის მიხედვით. ფილმის სცენარის ავტორმა და დამდგმელმა რეჟისორმა, ალექსანდრე წუწუნავამ ზუსტად გათვალა და გათვალისწინა ახალი ხელოვნების – სინემას საპაზრო მოთხოვნები და ყველაზე პოპულარულ უანრს, მელოდრამას მიმართა. აღსანიშნავია, რომ წუწუნავა თეატრალური რეჟისორი იყო. სწავლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის სარეჟისორო კურსებზე. 1918 წლიდან კი მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სწორედ მისი რეჟისორი კრემიერა თბილისის საოცერო თეატრში.

„ქრისტინეს“ როტულ ვითარებაში იღებდნენ. რევოლუციამ რუსეთში და ოსმალეთის სამხედრო კამპანიამ დიდი ხნით შეაფერება ფილმის დასრულება. სწორედ ამ ვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მეორე რეჟისორმა და პროდიუსერმა, გერმანე გოგიტიძემ, რომელმაც



საუთარი სახსრებით შეძლო ფილმის დარჩენილი ნაწილის გადაღება. თურქების მიერ დროებით დაპყრობილ ოზურგეში კი კინოფილები განადგურებისაგან გადაარჩინა. თბილისის ეპიზოდები და ნაწილობრივ, სალონური სცენები სწორედ მისი რეჟისორობითაა გადაღებული.

იმდროინდელ პროფესიონალ იპერატორს, ალექსანდრ შუგერმანს კარგად შეეშველა დებიუტანტი ალექსანდრე დილმელოვი, რომლის ფილმოგრაფია 28(!) ფილმს ითვლის და რომელმაც „ქრისტინედან“ „მაგდანას ლურჯამდე“ მართლაც დიდი შემოქმედებითი ტრანსფორმაცია განიცადა. ფასადაუდებელია ქართველი კლასიკოსის, მხატვარ დამიტრი შევარდნაძის ნამუშევარიც, რომელიც განსაკუთრებით კარგად სალონურ სცენებსა და ქალაქის ეპიზოდებში ნარმოჩინდა.

ქრისტინეს როლის შემსრულებელს, ანტონინა აბელაშვილს საკმაოდ რთულ კონკურენციაში მოუწია გამარჯვება. მიუხედავად გამოიცდელობისა, მსახიობი მექავი ქალის ტრაგედიას მარც ღირსეულად შეექმნა თუმცა კინოში შემდგომ განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. აღსანიშნავია, რომ იმხანად უკვე ცნობილი მსახიობები – ცეცილია წუწუნავა და ვასო აბაშიძე მეორეხარისხოვან როლებს დასჯერდნენ. დანარჩენი როლები კი გიორგი ფრონისპირელმა (იასონი), ვასო არაბიძემ (დათია), სოფიო ყიფშიძემ (მარიკა), მარიამ გოგოლაშვილმა (სონა), ირაკლი ზურაბიშვილმა და ნიკო გვარაძემ შეასრულეს.

პირველი ქართული მხატვრული ფილმის, „ქრისტინეს“ რეჟისორი კინოს 1925 წელს დაუბრუნდა. ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ვინ არის დამნაშავე?“, რომელიც ნინო ნაკაშიძის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვითაა გადაღებული. ამ ფილმში კრიტიკოსები და კინოს ისტორიკოსები საუკეთესო სამსახიობო მიღწევად მიჩნევენ ნატოვარინაძის მიერ განსახიერებულ ფატის როლს... მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს უკვე სულ სხვა კინოს ამბავია.

ბიზნესი

ადამიანის განვითარება აუთომატიზაცია სტარტაპი



თუ იცი და მოქმედება – მიაღწევ!

გამოიწერეთ უურნალი

“ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები”

და მიიღეთ ნომრის გამოსვლის დღეს,

თქვენთვის სასურველ ადგილას.

დაგვიკავშირიდით: +995 32 2471005 “მედია ჰაუსი დეკომი”



„ბამოუსერისახალი გეკალთახები“

15 მიზანებრვანი მოვლენა, რომელიც არ უდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

გერმანელი ხელოვანები
საქართველოში

სად: გორეთეს ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის მუზეუმი

როდის: 15.05-15.06

დასაწყისი: 16:00-20:00

მისამართი: ზანდუკელის ქ. №16,
სიონის ქ. №8

გერმანულ ხელოვნებას საქართველოში პაულა მოდერსონ ბეკერისა (1876-1906 წ.) და ვორპსვედის კოლონის მხატვართა გრაფიკული ნამუშევრებით წარმოადგენენ. პაულა მოდერსონ ბეკერი ადრეული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, რომელიც თავის ნამუშევრებში ძირითადად ჩრდილოეთ გერმანიის პეიზაჟებსა და გლეხების ცხოვრებას ასახავდა. მისი ურთიერთობა ვორპსვედში დაბანაკე-

ბულ ხელოვანებთან სწორედ ამ თემის გარშემო გამამალა. ვორპსვედის „ბანაკი“ ბევრ ცნობილ ხელოვანთან (პეინრის ფოგელერი, ფრიც მაკენსენი) ერთად, სამხატვრო აკადემიისა და ქალაქური ცხოვრების ურთიერთაღრევას აპროტესტებდა, რის გამოც ისინი დიდი ქალაქის ცხოვრებას გაერიდნენ და მუშაობა ქვეყნის განაპირო რაონებში გააგრძელეს. გამოფენას თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) უმასპინძლებს (18:00), თუმცა მანამდე გერმანული ხელოვანების შემოქმედების შესახებ წიგნის პრეზენტაცია გაიმართება (გორეთეს ინსტიტუტი, 16:00). პაინრის ფოგელერისა და პაულა მოდერსონ-ბეკერის ვორპსოდული ცხოვრების შესახებ ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრა კაპელი ისაუბრებს. ქართველი ავტორი ნაირა გელაშვილი კი პაულა ბეკერისადმი მიძღვნილი

ქართულენოვანი წიგნის – „პაულა მოდერსონ-ბეკერის“ პრეზენტაციას გამართავს.

THE NEAR FUTURE

სად: თანამედროვე ხელოვნების ცენტრი

როდის: 18.05-18.06

გახსნა: 18:00

მისამართი: დოდო აბაშიძის ქ. №10

The Near Future – გამოფენის სახელწოდებაა, რომელიც გერმანული ურნალის Starship-ის (1998) გამომცემლების ორგანიზებით თბილისში, გერმანული კვირეულის ფარგლებში ეწყობა. ექსპოზიციაზე, სხვადასხვა მედიაში (ფოტო, ვიდეო, ინსტალაცია) შესრულებულ სფერულ მოდელებსა და აბსტრაქტუებს წარმოადგენენ, რომლის შთაგონების წყარო ქალაქი ბერლინია, თუმცა ვინაიდან გამოფე-

ნას თბილისში დაათვალიერებთ, მასში თბილისური ატმოსფეროს გამოძახილ-საც იპოვით. საგამოფენი სივრცეში ქალაქის ატმოსფეროს ტრანსფორმა-ცია ამ გამოფენის მთავარი მიზანია. გამოფენა „The New Future“ ერთობლი-ვი მუშაობის, აზრების გაზიარების და გადმოცემის შესაძლებლობებს და იმ დაბრკოლებების გადალახვას ასახავს, რომელიც კომუნიკაციისას ჩნდება.

ექსპოზიციას ოთხი ავტორი ჰყავს – ჰანს ქრისტიან დენი, სებასტიან ლუ-ტგერტი, არიანე მიულერი და მარტინ ებნერი, რომელთაგან ერთ-ერთი, და-არქივების პრინციპების შესახებ ვორ-ქმოფსაც ჩატარებს.


ღიაღი მიზნების სახელოსნო

სად: საქართველოს ეროვნული ბანკი

როდის: 28.04-08.05

გახსნა: 18:00

მისამართი: გ. ლეონიძის ქ. №3/5



სახელმწიფო აკადემიის ოთხი მა-გისტრანტი – სალომე რიგვაგა, ემზარ ბაზერაშვილი, თამარ მალლაფერიძე და გიორგი რუხაძე დაადი მიზნების ეგიდით ერთიანდებიან. დამთვალიე-რებლის წინაშე ისინი ოცდაათამდე ფერწერული ტილოთი და ვიდეოარ-ტით წარსდგებიან.

მეცნიერებების გამოხატული ფერწერული სატექნიკურო სამუშაოების შესანიშნავი ფლობა, ფერწერის ტექ-ნიკის ცოდნა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სრული თავსაუფლება და ესთეტიკურ-ინტელექტულაური პლუ-

რალიზმი ამ მხატვრების შემოქმედე-ბის მთავარი პრინციპებია.

თეატრი

„სტრიპ-ტიპი“ – STRIP-TEASE

სად: სამეფო უბნის თეატრი

როდის: 28.04, 29.04

დასაწყისი: 20:00

ბილეთის ფასი: 7, 10 ლარი; სტუდენტებისთვის – 3 ლარი

მისამართი: აბესაძის ქ. №10



ცნობილი პოლონელი დრამატურ-გის, მწერლისა და აბსურდისტის, სლავომირ მროვეების პიესებმა საქარ-თველოში გვიან, მაგრამ მაინც შემო-აღწია. 2002 წელს რეჟისორმა დავით საყვარელიძემ სამეფო უბნის თეა-ტრში მროვეების „სახლი საზღვარზე“ დადგა.

მოგვიანებით დაიდგა „ქვრივები“ (თეატრალური სარდაფი) და „ემიგრან-ტები“ (თეატრი ათონელზე), რომელ-შიც ზურა ყიფშიძე და გოგა პიპინაშ-ვილი მონანილეობდნენ.

2009 წელს დავით დოიაშვილმა „სა-ხლი საზღვარზე“ მუსიკისა და დრამის თეატრშიც დადგა.

ამჯერად, მროვეების 1960-იან წლე-ბში დაწერილ, ორკაციან პიესას „სტრიპ-ტიპი“, სამეფო უბნის თეატრი წარმოგიდგინა. რეჟისორი – ნიკა თავაძე, მხატვარი მურაზ მურვანიძე, კომპოზიტორი – ნიკა ფასური. მონა-ნილეობენ – დათა თავაძე და პატა ინაური.

ქინ

თბილისის საერთაშორისო

სტუდენტური ფილმების

ფესტივალი

სად: აღმაშენებლის გამზირი №40

როდის: 07.05 – 12.05

საერთაშორისო სტუდენტური ფილმების ფესტივალი – „ამირანი“ წელს უკვე მეხუთედ იმართება. ფეს-

ტივალის საკონკურსო პროგრამის-თვის ოცდაათწუთანი სტუდენტური ფილმების მიღება მარტის შუა რი-ცხვებში დასრულდა. არასაკონკურ-სო პროგრამაში კი, საერთაშორისო კინოსკოლებისა და მათ მიერ შექმ-ნილი სტუდენტური ფილმების ჩვენე-ბები გაიმართება. წელს ამ სექციაში გერმანული, ფრანგული, პოლანდიუ-რი და ებრაული კინოსკოლები მო-ხდენ.

ჟიურის სპეციალური პრიზის გარდა, ფესტივალის მონანილეე-ბს გამარჯვების შანსი, კიდევ სამ ნომინაციაში მიეცემათ: პრიზები საუკეთესო მოქლემეტრაჟიანი სტუ-დენტური მხატვრული ფილმისთვის, საუკეთესო მოქლემეტრაჟიანი სტუ-დენტური დოკუმენტური ფილმის-თვის და საუკეთესო მოქლემეტრაჟიანი ანიმაციური ან ექსპერიმენტული ფილმისთვის.

ფესტივალი შოთა რუსთაველის სა-ხელობის თეატრისა და კინოს უნი-ვერსიტეტის ორგანიზებით ტარდება. ფესტივალის სპეციალურ სტუმრებს შორის ლომის კინოსკოლის პრორე-ქტორი ანჯერი ბედნარეკი და ცობილი ამერიკელი პროდიუსერი ჯიმ სტარკი იქნებიან. ქართულ მხარეს კი ჟიურიში კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე წარმ-ადგენს, უნივერსიტეტის სტუდენტებ-თან ერთად.

„გამოუსონებელი

მიმაღლობები

სად: რუსთაველი, ამირანი, საქართვე-ლო, ბათუმის აპოლო.

როდის: 20 აპრილიდან

ფრანგი რეჟისორის, მიშელ ჰაზანა-ვიჩუსის ფილმი ორი გამოუსნორებლი მექალონას – ჟანის და ჟილის შესა-ხებ მოგვითხრობს. კომედიური ჟანრის ამ ფრანგული ფილმის სიუჟეტი შვიდ მოქლემეტრაჟიან ნოველას აერთიანე-ბს და შვიდივე მათგანის გმირები სწო-რედ ეს გამოუსნორებელი მექალთანე-ბი არიან.


ფილმისადმი განსაკუთრებულ ყუ-რადღებას ისიც განაპირობებს, რომ რეჟისორი მიშელ ჰაზანავიჩუსი და მსახიობი ჟან დიუჟარდენი 2011

ანონსი

წელს გამოსული ფილმის „არტისტისთვის“ „ოსკარის“ მთავარი ნომინაციების გამარჯვებულები გახდნენ. ახალ ფრანგულ კომედიაში მთავარი მექალთანის როლს სწორედ წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობი – უან დიუქარდენი ასრულებს. მთავარ როლებს ასევე ასრულებს – გიორგი კანე, უილ ლელუჩი, ლიონელ აპელანსკი და სხვები.

„კარლსონი“

სად: რუსთაველი, ამირანი, ბათუმის აპოლო, საქართველო



ასტრიდ ლინდგრენის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ზღაპარმა, წიგნის ფურცლებიდან კინოეკრანებზე გადმოინაცვლა. ფილმის სიუჟეტი ისეთ ჯადოსნურ სამყაროში ვითარდება, სადაც ბავშვებს თავიანთი პრობლემების მოგვარებაში პატარა, ფუმფულა, მფრინავი და დიდყურა არსებები ეხმარებიან თან ისე, რომ ბავშვებისა და ამ არსებების ურთიერთობების შესახებ მხოლოდ ბავშვებმა იციან, რადგან მათ მშობლები ვერ ხედავენ.

რუსულენოვანი ფანტასტიკური კომედია სარიკ ანდრეესიანმა გადაიღო. კარლსონის როლს კი – მიხეილ გალუსტიანი ასრულებს. მისი ნახვა პატარების გარდა, ზრდასრულებისთვისაც საინტერესო და ნოსტალგიური იქნება, რადგან კარლსონის და ბიჭუნას ურთიერთობა ბავშვურ სამყაროში აუცილებლად დაგაბრუნებთ.

სხვადასხვა

ბერმანელი კვირაული

თბილისში

სად: გოეთეს ინსტიტუტი

როდის: 14.05-20.05

მისამართი: ზანდუკელის ქ. №16

გერმანიის საელჩოსა და თბილისში მოქმედი გერმანული ორგანიზაციების თანამშრომლობით, გოეთეს ინსტიტუტი გერმანულ კვირეულს მასპინძლობს. კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია გამოფენები და დისკუსიები.

ბერმანელი კვალი საქართველოს არქიტექტურის ისტორიაში

სად: გოეთეს ინსტიტუტი

როდის: 17.05

დასაწყისი: 17:00

ინფორმაციის მოძიება გოეთეს ინსტიტუტის ინტერნეტ-გვერდზე [შეგიძლიათ:](http://www.goethe.de/ins/ge/tif/kaindex.htm) <http://www.goethe.de/ins/ge/tif/kaindex.htm>

შეხვედრა გივი


მარგვალაშვილთან

სად: გოეთეს ინსტიტუტი

როდის: 03.05

დასაწყისი: 19:00

მისამართი: ზანდუკელის ქ. №16



არქიტექტურის თემით დაინტერესებული საზოგადოება, გერმანულ და ქართულ არქიტექტურას შორის არსებულ კავშირზე საინტერესო მოხსენებას მოისმენს. არქიტექტურის ისტორიის მკლევარი – მაია მანია ქართულ არქიტექტურაში ასახულ გერმანულ გავლენებზე ისაუბრებს. არქიტექტორი თამაზ გიორგაძე კი სტუმრებს ბოლნისში გერმანული კოლონიის ერთ-ერთ ტიპურ სახლს ნარევებნს, რომლის თავდაპირველი იერსახეც მან ციფრულად აღადგინა.

მაისის ზეიმო გოეთეს

ინსტიტუტის ეზოში

როდის: 19.05

დასაწყისი: 14:00

გერმანული კვირეული გოეთეს ინსტიტუტის ეზოში გამართული ზეიმით დასრულდება, რომელსაც ინსტიტუტის პარტნიორები და მეგობრები დაესწრებიან. ზეიმის მთავარი თემა ევროვიზიის კონკურსი იქნება, რომელიც წელს, საქართველოს მეზობლად – აზერბაიჯანში იმართება. სწორედ ამ თემის გარშემო იმსჯელებს, ექსპერტი, უურნალისტი და რამდენიმე წიგნის ავტორი იან ფედერსენი. კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დამატებითი

გოეთეს ინსტიტუტი მწერალ გივი მარგველაშვილს მასპინძლობს. ბერლინში, ქართველი ემიგრანტების ოჯახში დაბადებული ქართველი მწერალი საქართველოში 1946 წელს საბჭოთა ხელისუფლების „წყალობით“ მოხვდა, რომელმაც ის მოტყუებით სამშობლოში დაბრუნა. ემიგრაციაში ყოფნისას, ის გერმანულ და ინგლისურ ენებს ასწავლიდა და თან გერმანულენოვან რომანებს წერდა, რომელთა გერმანიაში წალება მხოლოდ 41 წლის შემდეგ, 1987 წელს შეძლო. 2002 წელს გამომცემლობა „დიოგენემ“ მისი წიგნის – „მუცალის“ ქართული თარგმანი გამოსცა. 2006 წელს გივი მარგველაშვილი გოეთეს მედლით დაჯილდოვდა.

გივი მარგველაშვილის ქართველ მკითხველთან შეხვედრას მწერალი ნაირა გელაშვილი გაუძლვება. ის გივი მარგველაშვილის მცირე მინიატურებსაც წაიკითხავს, რომლებიც თავად თარგმნა.

ნიგნის XIV

საერთაშორისო ფესტივალი

თბილისში

სად: ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო სივრცე (მე-11 პავილიონი)

როდის: 24.05 – 27.05

მისამართი: წერეთლის გამზირი №118 თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ტრადიციულად მაისის

მარცის სპეციალური დრამა

ଓଡ଼ିଆ ମେଳାନ୍ତର
୨ ଅନୁଷ୍ଠାନ!

"Եթարող պիուր էանո"

მეჩის სპეციალური ტავებს ფორმულა B-ვიტამინების კომპლექსით და B-კარბონით, განაპირობებს კანის უახორბის ყოველიმის აღდანა-განახობას.



გამოამეღავნეთ თქვენი სიღამაზე

"Ճանապարհ, մծոնեազո տմա"

მეცნის სპეციალური ტავები მეცნიავს კოტამინ A-ს, კაცულურის პანთოსინებს და ფორმის მეცნიას, ხას ეზერნეცეცუობს თმის ძინების კუნძას და თმის საჭრეულის აღიგენას.



"Ըստ մասնակիցների՝ առաջարկությունը պահանջական է"

Մշեցով ՏԵՂԱԿԱԾՐԻ ԹԱՋՎՈՅ ՄԵՐԱՎԱԾՈ ԾՈՆԿՈՆԻ,
ԽՈՒՆԱԾՈՏԱՆՅԱ ԱՌՈՆՈԹԵՎԱՎԵԺՄԱՆ ԿԱՌԾՈՆՅԱԿՈՎԻ
ՃԱՆԱՊԵԼԻՒՄԾԵԺԸ ԾՈՒԲԵՑՈՂԵՐՈՒՆ ՍԵԽԱԴ ՆԵՐԱՊԵԼԻՒՆ
ՍՈՂՐՐԱՅԵ ՀԱ ՊԱՏԱՎ ՄԱՏ ՀԱՆՅԻՒՆԵՐՈՒՆԵՐԱՅԻՆ.



ଓର୍ଗିରତି

କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ର

თავისით ქრება

სხვა შემთხვევაში გამოიყენეთ

ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆԻ ՎԵՐԱԿՐՈՅ

ნაწილურები და სტრიქები წარსულშია.



MERZ բարեգործական համակարգ

ANSWER KEY

REFERENCES CITED

WERZ

ანონსი

ბოლოს, უკვე მეთოთხმეტედ გაიმართება. წელს, პირველად ფესტივალის არსებობის მანძილზე, წიგნის გამოფენა-ბა-ბაზრობის გარდა, დამოუკიდებელი გამოფენები, ფორუმები და მასტერ-კლასებიც ჩატარდება. ასევე, ოთხიდღის განმავლობაში, ექსპო-ჯორჯიას მე-11 პავილიონის დახურვის შემდეგ ქართველი მწერლები მყითხველს ლიტერატურულ კაფეებში (წიგნის სახლი, კაფე „ფოკუსი“, „ლიგამუსი“) შეხვდებიან და ახალ წიგნებს გააცნობენ.

წიგნის XIV ფესტივალში მონაწილეობას ორმოცდათზე მეტი გამომცემლობა მიიღებს.

წიგნის ფესტივალის სტუმრებისთვის განკუთვნილ კატალოგში, ფესტივალის პროგრამასთან ერთად, შევაინფორმაცია ლაიფციგის და ფრანკ-ფურტის ბაზრობებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგის შესახებ. მკითხველი ბოლო წლებში გამოცემული ბესტსელერების სიასაც მიიღებს. წიგნის ფესტივალის პროგრამა მაისის შუა რიცხვებისთვის გახდება ცნობილი და მისი ნახვა წიგნის ფესტივალის ინტერნეტ-გვერდზე იქნება შესაძლებელი.

სახელოვნებო

პროექტი საჯარო

სივრცეში

სად: თბილისის მიწისქვეშა

გადასასვლელები

როდის: მაისი-ივნისი

გახსნა: 24.05

საგამოფენო პროექტი – „undergo.the parallels“ „ქუჩის არტის“ ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენს. პროექტის მონაწილეები განათებების, ხმოვანი ინსტალაციების, ფოტოებისა და სხვა მასალის გამოყენებით ესთეტიკური დანიშნულების ნიმუშებს შექმნიან. პროექტი 24 მაისს გაიხსნება და თბილისის 10 მიწისქვეშა გადასასვლელს მოიცავს, რომელთაც ხელოვანები შემოქმედებით სივრცედ გადააქცევენ. მათ შორისაა მიწისქვეშა ტერიტორიები: კოლმეურნეობის მოედნის ქვეშ, ბარათაშვილის ხი-

დის ქვეშ, თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, ოქერის წინ, ფილარმონიის ქვეშ, სასტუმრო „რედისონის“ ქვეშ, კოსტავას ქუჩაზე, გმირთა მოედნის ქვეშ, ვაკის პარკის გადასასვლელში და ჭავჭავაძის გამზირზე.

ღონისძიების ორგანიზაციონების თქმით, პროექტს ორი მიზანი აქვს – პრაქტიკული და არტისტული, მათ სურთ უფრო მეტ მოქალაქეს გაუჩინონ მიწისქვეშა გადასასვლელებით სარგებლობის სურვილი. გარდა ამისა, ამბობენ, რომ მათი მიზანია ქართული საზოგადოება ხელოვნების არაკონვენციური გზით აღქმას შეაჩინოს.

ეურის მუსიკის დღე

თარიღისში

როდის: 19.05



პირველად საქართველოში, მუსიკის მოყვარულებისთვის, განუჩრევლად მათი მუსიკალური განათლებისა და წარმომავლობისა, ქუჩის მუსიკის დღე აღინიშნება. ღონისძიება განსაკუთრებით საინტერესო იმ ადამიანებისთვისაა, ვისთვისაც მუსიკა ყოველდღიურობის ნაწილია.

ფესტივალი ლიტვაში, ცნობილი

ლიტველი მუსიკოსის – ენდრიუს მამონტოვასის ინიციატივით დაარსდა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას ამ ღონისძიების ჩატარებისკენ მოუწოდებდა. ამით მას სურდა მთელი მსოფლიო მუსიკალური ბგერებით აევსო და აღარ დარჩენილიყო ადგილი ომის, აგრესისა და შურის-თვის. ღონისძიებას საერთაშორისო ენა აქვს – მუსიკა, აქ ყველა ერთმანეთს უგებს.

დაინტერესებულ ადამიანებს, რეგისტრაციის გავლა ღონისძიების ოფიციალურ საიტზე შეეძლებათ: <http://www.streetmusic.ge/index.php/en/about.html>.

ახალი ფილმი

„სხელი შოკოლადის“ ფილმის

კრებულში

ფილმის ჩვენება და პრეზენტაცია

სად: ლისის ტბის მიმდებარე

ტერიტორია

როდის: 27.05

დასახური: 20:00

ურნალი „ცხელი შოკოლადისა“ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთობლივი პროექტი პირველი ქართული მხატვრული ფილმის – „ქრისტინეს“ ჩვენებით გაგრძელდება. პირველი ქართველი ქალი-რეჟისორის – ნუცა ღონისძიების მიერ გადაღებული ფილმის შემდეგ, ქართული საზოგადოება პირველ ქართულ მხატვრულ ფილმს იხილავს.

„თი-ბი-სი“ ბანკისა და კიდევ რამდენიმე კომპანიის („ავერსი“, „კონსტანტა“, „გურიელი“, „კაპარლი“) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი, საზოგადოებას ქართული კინემატოგრაფის შედევრების გაცნობის უნიკალურ შესაძლებლობას მისცემს. ამ პროექტის წყალიბით, აქამდე უცნობი ფილმების ნახვა ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეეძლება. ის DVD ფორმატში, ურნალ „ცხელი შოკოლადის“ ახალ ნომერთან ერთად გავრცელდება, მისი პრეზენტაცია კი 27 აპრილს, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლია ცის ქვეშ გაიმართება.

მჩეულით ყველაფრის,
ნის ყიდვას გინეათ,
თუ გე-1000
აღმოჩხელთ კვირას!!!



ვოვალი

ბეტონის კალლის სიგრილე

ავტორი თამარ კვირიკაშვილი

კაფე „ნაცრისფერი ბალები“ (Grey Gardens); ფალიაშვილის ქ. №118; სამზარეულო მუშაობს: 10:00-დან 00:00-მდე
პარკინგი: ფალიაშვილის ქუჩა და ვაკის პარკის მიმდებარე ავტოსადგომი

ზოგიერთი ნორმალური ადამიანი სამსახურს საღამოს ექვსზე ამთავრებს. ზოგიერთი, ჩემსავით არანორმალური, ხან – საღამოს ათზე, ხან – ნაშუაღამევს. სამსახურიდან თითოეულ გამოსვლას სხვადასხვა კაფე ან რესტორანი უხდება – გაჩჩინა დროს. ექვსზე – სადმე გემრიელი სადილი სჯობს, რვიდან ათამდე – მყუდრო და მიმნედილი გარემო, რამე ალკოჰოლურის წრუპვით. მთლად გამთენისას

კი (როგორც კლუბიდან გამოსვლის შემდეგ, ვთქვათ) ალიონის ხინკლის მირთმევაც შეიძლება. აი, „ნაცრისფერ ბალები“ გვიან საღამოს უნდა იაროთ. განსაკუთრებით ახლა – როცა თბილი (მეტი მაქსა, რომ მეტის-მეტად თბილი – არა) საღმოები მიეწყობა ერთმანეთს და გახურებული ტვინისა და სხეულის გაგრილება იქნება ყოველი დღის გადაუჭრელი ამოკანა.

ბეტონი, საერთოდ, აგრილებს. საბჭოერი ბეტონის კედლებში ჩარგული მინიატურული ხეები და მცენარეები – კიდევ უფრო. ნაცრისფერი ბალები ამ კაფეს ამიტომ ჰქვია – საბჭოთა დროს აშენებულ სახლშია მოწყობილი, მის ნაცრისფერ კედლებში კი კაფის მეპატრონერებს დიდ ქოთხებში პატარ-პატარა ოაზისები გაუშენებიათ, რომელთა სიმრვანესაც საღამოებს, თითოეულ ქოთანზე ექსკლუზიურად მიჩნილი ელვარი ნაურები ამკეთრებს.

საერთოდ, მიყვარს, როცა სამეგობრო ხსნის ხოლმე კაფეს ან რესტორანს, განსაკუთრებული სიყვარულით აწყობენ ინტერიერსაც და მენიუსაც. თან ცდილობენ, ძალიან ინდივიდუალური და შინაურული განწყობა შექმნან – მათი სტუმრები ხომ ძირითად მეგობრები, მეგობრების მეგობრები და კიდევ მათი მეგობრები არიან.

„ნაცრისფერი ბალებიც“ ერთი სამეგობროს კაფეა. იქ ყველა ერთმანეთი იცნობს და საღამო ისე არ სრულდება, რომ ყველამ ერთმანეთის სუფრა არ მოიაროს. მენიუში კირკიტს



გაუთავებელი მისალმებები გვაწყვეტინებს. ხის ფიცრებისგან კუსტარულად აწყობილ მავიდას კუსტედვართ, ორ ორფეხაზე დევს დაუმაგრებლად. ამიტომ მთელ საღამოს მაგიდის დაბალანსების მცდელობაში ვატარებთ.

დალილებით ვართ და ვვშია. მენიუში ბევრნაირი სენდვიჩი, ასევე ბევრნაირი საღათი, სულ რამდენიმე სახის სუპი, ე.წ. დიფის ასორტი და ტკბილულია – მურაბით, ჩირით, ნივგზიანი და კრემინი შემწვარი კომშით.

– ვა, ლიმონის სუპი? – „პასმელიაზე“ რა იქნება! – თვალები უბრნებინავს არჩილს და მიუედავად იმისა, რომ უკვე მეთერთმეტე საათი დაწყო, სამომავლო პახმელისთვის სუპის დაბეჭდებას მაინც გადაწყვეტს.

ვთანხმდებით, რომ სენდვიჩებს ერთმანეთს შეუქამთ. ერთი იქნება თონის პურიზე გუდის

ყველით, პომიდვრითა და ტარხუნით. მეორე – კარაქადასმულ შავ პურზე, როგოულითა და კვერცხით, მესამე – ბაგეტზე, შემწვარი ქათმის ნაჭრით, პომიდვრით, ყველით, საღათის ფოთლებით და არაუნით. ახლა საღათი. კრევეტებიც შეიძლებოდა, გრეიპფრუტითა და შავი ბრინჯით. ანდა შემწვარი გოგრა, საღათის ფოთლები, ნიგვზითა და პარმეზანით. მაგრამ თხის ყველიან საღათს ვიჩივე, ნივგზითა და შემწვარი მსხლით, ლვინის სოუსში. მსხლით? – უკვირთ გარშემო. მრავალმიშვნელოვნი ლიმილით ვეუძნები – „თქვენ რა იცით, მსხალი რა ხილია“.

თითო ჭიქა სახლის თეთრ ღვინოს (პრინ-

ციპში, ნორმალური გემოთი) ფეხდაფეხს მოჰყვება ლიმონის სუპი. პირველი კოვზის ჩახერება და არჩილის გაკვირვება ერთია. – გასინჯეთ ერთი, სად არის აქ ლიმონი?“ უსინჯავ. ჩვეულებრივი, ბეჭმელის სოუსის გემო მხვდება, ლიმონის არომატი მართლა არსად იგრძნობა. ოფიციალური დაბეჭდებული ღვინოს გვიდასტურებს – კი, ბეშმელის ბაზაზე მზადდება, მაგრამ ლიმონის სუპია, – თან ღიმილს აგრძელებს ისე, რომ უნდა აპა-

ტიო. ვპატომბთ.

ქათმის სენდვიჩი – ჩვეულებრივი. შავ პურზე დადებული როგოული – ნაცნობი, გემრიელი სლავური გემოთი. გუდის ყველი ლაცშის თბილი და ხრატუნა ტოსტით – მონძების სიმალეები. აი, შემწვარი მსხლის ნაჭრის ჩა-მდნარი თხის ყველი, დვინის სოუსის ზომიერი გვიმოთი კი თვალებს მაზუქინებს სიამოვნების-გან.

ტკბილის დროა. საალდგომო ხატის პასკა გაგვითავდაო, შემწვარი კომში კი არ გვინდა. ამიტომ ჩაის სასაცილო სახელნოდებებზე ვსურდებით: „დრაკონის ფრენა უნინით“, „არაბი შეიხი“... ოფიციანტი ისევ დაბეჭდებული გვილმის – არ ვიცი, რა რისი ჩაიაო, ამიტომ ალალბედზე უკვეთავთ „არაბ შეიხს“ და არჩევანი ამართლებს.

ამასობად „ნაცრისფერ ბალები“ საღამო გახურდა. სულ უფრო მეტი ადამიანი მიღია მოდის. კუთხეში მმჯდარ გოგინები ღვინის ნრუპვით ჭორაობას განაგრძობენ. იქით ჩვენი ნაცნობი მუსიკოსები კედელსმიყუდებულები სვამებ ლუდს და ხმამაღლა იცნიან.

მუსიკა ხმამაღლია და გარშემო ათასი დიალოგის ხმა გესმის, მაგრამ მაინც განვიტვირთეთ. აქ არც არავინ იძაბება. ოფიციანტებსაც დაბეჭდებულებას პატიობ იმიტომ, რომ არტისტულად, ბოჰემურად, თუ კიდევ რაღაც არად იძნევან. ბოლო-ბოლო, აქ ხომ ყველანი ერთმანეთის მეგობრები არიან და შენც, უცხოსაც მეგობრულად მიგიღებენ.

"ალფა" სამოგზაურო დაზღვევა

თურინი მშვიდი მოგზაურობის სანიციაჟინი

საგადაზღვევო კომპანია "ალფა" სამი წელი გააჩინა და დღეს ეკვე მყარად ეკავია საკუთარი ნიშა საქართველოს საგადაზღვევო ბაზაზე, მისი მთავარი პიროველი ჯანმრთელობის დაზღვევაა. მაღალი სოციალური პასუხისმგებლისამ, მომსახურების მოქნილმა და დახვეწილმა სისაკემამ ყომშანის საქართველოს საგადაზღვევო ბაზის ერთ-ერთ ღირებად აქვთ.

ამერამა "ალფას" კომპანიამ დაზღვევით საჩერებლის აჩაური სახელმწიფო თუ კედი მიგანისაკია, მათ მომის — საქართველოს პარამეტრი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ესენაციის სასამართლო, "ეკსორი", "ჯორჯიან ეახვეისი", თბილისის ოპერისა და ბაზების სახელმწიფო თეატრი, საქართველოს მთა ჩესთავის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ენივერსიტეტი.

კომპანია აქციებად მონანილების სახელმწიფო საგადაზღვევო პიროველის მიერადის.

ახლოვება ზაფხული, მოგზაურობის სეზონი, და მჩავალი თქვენგანი აღმა ეკვე გეგმავს, სად გააცარის შეეძლება. გვინდა, "ალფას" სამოგზაურო დაზღვევის ჩამდინიმე ეპიზოდს გაგაცნოთ.

· ეს შეეძლია ისახებოლის "ალფას" სამოგზაურო დაზღვევით?

"ალფას" სამოგზაურო დაზღვევით საჩერებლის შეეძლია საქართველოს ნებისმიერ მოქადაქეს, ვისაც ექსორიში საქმიანი ვიზიული ან, ებალოდ, დასასვენებლად გამგზავრება სეზის.

მსუბუქი შეეძლია შეიძინოს ჩოგმის ერთჯერადი, ისე მჩავალი საგადაზღვევო პორის.

პირველ შემთხვევაში იხდით იმდენი ღლის საფასებებს, ჩამდენ ღლებას გაგებდებება თქვენი ვიზიული (თუმცა ზოგი შემთხვევაში შეერავათით აქაც შეგიძლიათ ისახებოლით; მაგალითად, თუ თქვენი ვიზიული ზესად 90 ღლი გაგებდება, ყომშანის პორის ფასდაცალებით შეძინას შემოგთავაზებთ — გადაიხდით მხოლოდ 75 ღლის საფასებებს, განახმენი 15 ღლის+ განმაცირობაში ყო ყომშანის ესასყიდლიდ გაგაზღვევი).

მჩავალი პირის, მედუნპორის, მოხელებებისა, განაცავის, ვისაც ნიღის განმაცირობაში ჩამდინიმეჯე ენერგიას ექსორიში გამგზავრება. ამ შემთხვევაში დაზღვევი ერთხელ იხდის განსაზღვრებელ თანხას და შეეძლია, ნიღის ბოლომდე ექსორიში იმდენჯე იმოგზაურის, ჩამდენებაც სეზის. "ალფა" საგადაზღვევო მომსახურებას სთავაზობს მათაც, ვინც ექსორიში სწავლას აპირებს. მათ შეეძლიათ გაძელვარიანი — ექვსთვითი ან ეზონიანი — საგადაზღვევო პორისთვის ისახებოლონ.

· ჩინგან აზღვევს "ალფას" პორის ექსორიში სამოგზაურო მიმავარ

მოქადაქეს?

თუ საგადაზღვევო პერიოდის განმაცირობაში აგრძელდათ ან სასწავლით გაგიხდათ ყბირი, ავად გახდით ან მძიმელ დაშავებით და ღაბქიჩებით სასწავლით გამომახდის გამოძახება, ექიმთან მისვა ან თენდაც ერთი ღლით საავადმყოფოში განიდა, — "ალფას" სამოგზაურო დაზღვევა აანაზღაურებს თქვენ მიერ განედ სახეს.

თუ ავადმყოფობის გამო ვიზიული გაგებდებება შეეძლებელი გახდა, საქართველოში თქვენი ღაბქიჩების საგადაზღვევო ყომშანის დაფარავს.

თუ მგზავრობისას დაგუგირანებს ან დაგეკახდათ ბაზი, ანდა გადაიდო ჩეისი, საგადაზღვევო ყომშანის ზაჩალს ამ შემთხვევაშიც აგრძაზღაურება.

· ჩა ფორმით მიიღებთ სამეცინო მომსახურებას საქიმოების შემთხვევაში და ჩოგონ ანაზღაურება ამისთვის განედი დანახახი?

აზის შემთხვევები, ჩოგესაც საგადაზღვევო ყომშანის დაზღვეულის მაქენაციონის ხახს ენაზღაურებს, მაგარ მხოლოდ საკუთარი ქვეყანაში ღაბქიჩების შემდეგ. აანაზღაურების ასეთი ფორმა ჩამდენაც მოეხეხებელია — ამ კუთხით "ალფას" საგადაზღვევო პორის მათლაც ღირ ეპიზოდების აქს: იგი განახახის აანაზღაურებასთან ერთი სხედულით სერვისაც გთავაზობთ.

ჩა ნიმნაც ეს?

თუ ექსორიში ყომის დაგენერაცია, აჩა სასწავლით გამომახდება მოგინევით, აჩა სამეცინო დანერგებების ძებნა და აჩა ექიმთან ვიზიულითის საკიმო თანხაზე "ზენვა": ერთადებო ჩამ ენდა გააკეთოთ — ღაერავშიჩერით ყომშანის „ექიმპა ასისკანს“ (ანდა ღაერავშიჩერის თქვენი თანმხები პირი, თენდაც ებალი ნაკრიბი); ყველა საორგანიზაციო და ფინანსურ საყიდეს ეს ყომშანის მოაგვახდებს: „ექიმპა ასისკანს“ ამ კუთხით მეშვარის მომცნელიანი გამოყენება აქს და მთერ მსოფლიოში სამეცინო პარტნიორები აზის მიჩნევი. მისი მომსახურების მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლიათ ისახებოლოთ.

საგადაზღვევო ყომშანის ალფას ეპიზოდების ყიდევ აზის ის, ჩოგ ღიმიტი ნახმოდებულია ახა ღორაში, ახა ღაზღვეულის საგადაზღვევო ყომშანის მეშვეობით ეფექტ მეტ თანხის აანაზღაურების შესაძლებლივას აძლევს.

ამინდა, "ალფას" სამოგზაურო დაზღვევა მოხელებები, საიმერ და ხელმისაწვდომია, ღაერაზღვეული "ალფაში" და ყავით მშვედრად. ანდეთ ჯანმრთელობა პიროვებით ნარისების ისახებოლი მოგზაურებაზე იზიდებენ.

დაზღვით ალფა, იმოგზაური

მსოფლიოს გახდამ და

იყვით მივიღოთ

საინტერნეტ სამსახური: ვ 640 640

მისამართი: ქ. ბაგრატიონის N6:

WWW.ALPHA.GE





ლროკ!

ანა კორძაია-სამალაშვილი

ხალხი ბრძენია. ანდაზები ჭეშმარიტე-ბას ღალადებს. ერთი ძალიან მიყვარს: „სამუშაო მგელი არაა, ტყეში არ გაგრძევა“.

ოდესლაც, მრავალი წლის წინათ, მოუთმენლად ველიდი ხოლმე ჯადოსნურ დროს, რომელიც თვით და რიცხვით არ განისაზღვრებოდა. ამ დროს ერქეა „როცა მინა აშრება“. ვიცოდი – როცა მინა აშრება, წავალთ. სხვა დროსაც დავდოდით, მაგრამ ის სხვა იყო: იყო ბაჟურიანი, განუსაზღვრელი ვადით, სასაცილო თანაად და, ახლა რომ ვუკვირდები, საოცარ პირობებში, პრინციპით „ავალთ და რამე იქნება“; დავდოდით ტყეში და თავი, სულ მცირე, ზებ სტრუმპები გვეგონა; ღამეს ვათევდით მონასტრებში, რომლებიც, რელიგიური ბუმის დაწყება-მდე, ჩვენი სახლი და თავშესაფარი იყო; დაბადების დღეებს ვიხდიდით იმხანად შვენიერ, ახლა კი სააგარაკო ნაკვეთებად დაჩიხებილ მინდვრებზე – და სულ ველიდით, რომ მალე მინა აშრება და ნამდვილ გზაზე წავალთ.

ისე მოხდა, – ზოგჯერ ძალიან კარგი რამეც ხდება ხოლმე – რომ ძალიან ახალგაზრდა ადამიანებთან მაქვს საქმე. ისინი არიან ლამაზები, მხიარულები, ნიჭიერები, მათთან ყონას არაფრი სჯობს. მე ეს ხალხი ძალიან მომწონს, – და სულ მიკვირს, რომ წასვლის აზრი თავში არავის მოსდის. მიზეზი ვექებე, ვეძებე – და – ევრიკ! მათ არ სცალიათ. არა იმიტომ, რომ წასვლაში ხდებათ სული – ჩვენ ძალიან კარგად ვსწავლობდთ, ბოლოში მომითხოვია და, მათზე გაცილებით

უკეთაც. არც დედ-მამა უშლით რამეს, არც ფიზიკური ამტანობა აკლიათ. არა, არა... ისინი მუშაობენ!

შემზარავი სიტყვათაშეთანხმებაა: წარმატებაზე ორიენტირებული ახალგაზრდობა. რა ჯანდაბას ნიშნავს, არ ვიცი, მარცხის ტრიფალს ისედაც არავის ვიცნობ და ეს „წარმატება“ რაღაა, ვერ გა-

**მე ბედნიერი ქალი
ვარ. მთელი ცხოვრება
მოგზაურობა მინდოდა
და მთელი ცხოვრება
ვმოგზაურობ. ხან –
როგორ, ხან – როგორ,
მაგრამ მაინც,
სულ გზაში ვარ.**

მიგია. ალპათ, ბევრი ფული და ოცდასუთი წლის ასაქში – დიდი სადაზღვევო კომპანიის მმართველობა, პლასტიკური ქირურგიის შედევრად ჩამოყალიბება და ცოტაც – ვალიუმი. ჩემს ასაქში რაღა იქნება, არ ვიცი. არცანა ჩემი საფიქრალი – ნეტა, საკუთარი თავისითვის მიმახდინა. არადა, საინტერესოა, არა? რა ვქნა, არ მჯერა, რომ ადამიანი შრომაშ შექმნა. შრომით წლში განყვეტილი ბევრი მინასვას, დამშვენებული – არცერთი.

არადა, ბიჭო, გაზაფულული! ამ დალო-ცვილ ქვეყანაშიც ჯერ ვყელაფერი არაა ხუთვარსკვლავიანი, ჯერაც არსებობს

ადგილები, სადაც მობილური არ იჭერს და ინტერნეტს ვერ ჩაუკადები, და სტუმარი ლვთისაა, არა ლამეში ორმოცდაათ პირობით ერთეულად, არამედ მართლა. იცით, რა მაგარია, სახლში რომ გკითხავნენ, სად მიდიხსარო, და უპასუხებ, საქართველოში? მერე რა, რომ ვყელგან ვიზა გვჭირდება, სულ რამდენიმე ქვეყნის გარდა, როგორებიც, მაგალითად, ტანანია და ჯამაიკაა. თქვენ გგრინიათ, აქ ნაკლები ამბები ტრიალებს? გინახავთ მთვარის ცისარტყელა? ნამდვილი ცისარტყელა, ოლონდ ლამით, მთვარის შექმნები? მე – კი. სალაფო ჭალაში. პეპლების გადაფრენაც მინახავს. მარტოს რომ მენახა, არც ვიტყოდი, ვიფიქრებდი, ვნმეს გიუ ვეგონები-მეთქი, მაგრამ მე და ლევიცები ვნახეთ, მჟავე წყალთან, და ლევიცები, ამას უყერეო, და ეს რა ვნახე...

მე ბედნიერი ქალი ვარ. მთელი ცხოვრება მოგზაურობა მინდოდა და მთელი ცხოვრება ვმოგზაურობ. ხან – როგორ, ხან – როგორ, მაგრამ მაინც, სულ გზაში ვარ. სხვისა არ ვიცი, მე კი ძალიან მიყვარს გზა. დამიჯერეთ – ჩემი ხნის ქალისა ტყუილიც დაიჯერება: სანამ ახალგაზრდები ხართ და ყველაფერი გეპატიებათ, მოიკიდეთ ზურგჩანთა და წადით საქართველოში. თუ თავგადასავალს და სიყვარულს ეძებთ, აბუდელაურის ტბები მანჰეტენს არაფრით ჩამოუვარდება. თუ ის რაღაც წარმატება გინდათ, მე რომ ვერაფერი გაუუგე – ბოლიში, რომ ამდენი ვილაპარაკე.

უპრალოდ, უკვე დათბა, და მინა აშრა, და წასვლის დროა. წამოდით, ჰა?

Бүркүлөө бөзбөлбөл
Көн сабактардан салғаңыз бергәсіт!
Оффердеги күннен 39000!





მოლილიანის გოგო

ბაზა ნახუსრიშვილი

ის საღამო გუშინდედელ დღესავით მახსოვეს. არ ვიცი, რატომ. რაც მე და ხულიგანას (მიში-კი ქორიძეს) დრო გვაქტს გატარებული, რაც ჩვენ მოგვწონებია, რაც ჩვენ გვისრულებია და გვიმოგზაურია, გაღერებულებს, ბურთზე აკიდისულებს, და ბოლოს დალილებს, რომელილაც წიგნებთან დამეგობრებულებს. მაგრამ ის უაზრო, მაზალო „ფართი“ გონებიდან არ იძლება.

ხულიგანა იმში მიღიოდა. უნდოდა წასვლა. წუ მიღიხარ, წუ ახურებ-მეტე, კუთხარი. ეგრე არ არისო, მითხრა და მხარზე ხელი დამიტყაპუნა. ის, აფხაზები დაილუპა. წასვლამდე შემომიარა. მე კა, მყინვარწვერიდან ჩამოსული, შინ ვპრუნდებოდი. ჩემებს დაემშვიდობა. მე ვერ მოუჯენარი. სულ ცოტათი ავცდი... ფორმანის „Hair“ გამახსენდა. ვეღარასოდეს ვნახე ხულიგანა.

მეოცე წელი გადის. ისევ სიზმარში ვარ, რომელიც არასოდეს მინდა დამთავრდეს და გამეღვიძის.

მაგარი ფართიაო, მითხრა. და მოვხვდით მაგარ ფართიზე.

ხულიგანას გოგო მოეწონა, რომელმაც საკუთარ სახლში წვეულებაზე დაგვპატიჟა. კარგი გარეგნობის, ნორმალური გოგო ჩანდა... და...

დიდი ოთახი... სიგარეტის კვამლით გაბჭელული; შავი ღვინო, „შამპანური“, ჩქარი, გაურკვეველი მიმდნარეობის მუსიკა. გოგოები მოელე კაბებში ვითომ სექსუალურად ირხეოდნენ, ტანს მუსიკის რიტმს აყოლებდნენ, გაუგერად მეტყველებდნენ და უაზროდ კისკისებდნენ. კარგი შესახედაობისა კი იყვნენ, მაგრამ გაცილებით უფრო ლამაზები იქნებოდნენ, ადამიინურად რომ მოკცეულიყვნენ.

„ბრიოლინ-რეიგიანებიანი“ ბიჭები... „პოლუ-

დერსკები“, „პოლუშნირები“, ვერ გავიგზ.

ჩვენი მასპინძელი გოგო ყურადღებას არ გვაცევდა. თავისთვის დაფარფატებდა სტუმრებს შორის.

— მაგარ პონტში გაგჩითე, — მითხრა ხულიგანამ.

— დაიკიდე, უარესიც ხდება...

კუთხეში ვიდეტე გამარტობით და შავ ღვინოს კვამდი. სამწუხაროდ, სრულიად ფეხზელი ვაყავი, ერთი გოგო მომახლოვდა. უჩვეულოდ ლამაზი გარეგნობის.

— თქვენ წერთ, არა? — მეოთხა მორიდებით. ორიგონალური სახე და ლამაზი ტანი ჰქონდა, მოდღოლანის გოგოს ჰევადა.

— ვჯლაბნი ჩემთვის, თქვენობით წუ მელაპარაკები, — ვთხოვე მე და გავუღმე.

ცოტა დაიძნა, ალარ იცოდა, რა ეთქვა.

— იცი, კაფკას ვკითხულობ, — მითხრა მერე (მაშინ კაფკა იყო მოდაში).

— მოგწონს?

— კა, მაგრამ ცოტა მუავე ხასიათზე მაყენებს.

— სიმჟავს ყურადღებას წუ მიაქცე. ბოლოს ყველა კარგი წიგნი სინათლეს გიტოვებს... წახე, როგორი ბრძენ ვა?

გულით გაიცინა. მიმეწონა მისა სიცილი. „რა უნდა ამათთა“, — გავიფიქრე ჩემთვის.

იქნისის თვე იწურებოდა. ფანჯრები ღია იყო, მაგრამ მაინც საშინალად ცხელოდა. ვიკრძნი, რომ სული მეტებოდა.

— იქნებ ცოტა ხნით ჰაერზე გაგვესირნა...

— იცი, მეც მეზარება აქ ყოფნა, მაგრამ მეგობრები არიან და წასვლა მერიდება.

— ჩვენც მალე დავპრუნდეთ.

— სხვა დროს იყოს...

— იყოს...

ისევ გაჩერდა. აქეთ-იქეთ იყურებოდა, თოთქოს რაღაცას ეძებდა. მერე ხელჩანთიდან

კალმისტარი და ფურცელი ამოილო.

— ხო, მეც ვჯლაბნი, — ოდნავ განითლდა, — მინდა წაგავითხო.

ფურცელზე ტელეფონის ნომერი დაწერა და მომცა.

— დაგირეკავ, მე ვეძებ ტალანტებს!

ისევ გულით გაიცინა. როგორ მომწონდა მისი სიცილი. რაღაცნაირად თბილი და გულწრფელი. ფურცელი დავკეცე და ჯიბეში შევინახე.

— აუცილებლად დაგირეკავ.

ხულიგანა რბილ სავარძელში ჩაფლულიყო. რაღაც წიგნს კითხულობდა. თავზე დავადეტე.

— რას კითხულობ ამ „პარდაგში“?

— ბავშვობას ვისტენებ...

წიგნს დავხედე.

— ვა, ბურატინო?! — გავიკირვე, — სად გაჩითე?

— ხო იცი, რა მაგარი ვარ...

— ვიცი, ვიცი... არ გავიდეთ?..

— მოიცა, დავამთავრებ...

ბოლომდე ჩაიკითხა.

წასვლისას ჩვენმა მასპინძელმა, „ნორმალურმა“ გოგომ, იყადრა და კარამდე მიგვაცილა. ხულიგანამ „პარდაგში“ გაუწოდა.

— კინაღამ გამჟავა...

— ააა, — დაიძნა, წიგნი გამოართვა, — თუ გინდა, გაჩუქებ.

— არა, გამადლობთ, მე პინოქიო მირჩევნია...

— მართლა? — გაიცინა ნაძალადევად.

— ხო, მაგრამ მაინც რა ტრაკი ყოფილა ეს კარაბას ბარაბასი, — შეიცხადა ხმამაღლა ხულიგანამ, ისე, რომ რაც შეიძლება მეტ სტუმრს გაეგო.

იმ საღამოს მერე ჩვენი მასპინძელი აღარ გვინხსავს. რატომდაც, არც მოდილიანის გოგოსთვის დამირეკავს...

იქნებ ლირდა, რომ დამერეკავ.



~ Since 1885 ~



ლაუმორჩილებლები

ანა სარიშვილი

იმისი ყველას ეშინოდა, ბიჭის, რომელიც სკოლიდან გარიცხეს და არასდროს პალტო არ სცმია. 17 წლისა იქნებოდა. ქზოში რომ ჩამოდიოდა, ყველანი სახლში ავდიოდით – ზოგნი მმობლების ბრძანებით და ზოგნი – ნებით. ერთხელაც არ ავედი. ქარი იყო საშინელი, გლევდა ყველაფერს, ციოდა, მაგრამ ის, როგორც ყოველთვის, ერთი პერანგის ამარა იდგა ცარიელ ეზოში და თავიდან ვერც კი მხედავდა ხის უკან რომ ვიდექი. მერე შემნიშნა, ხელი დამიქინა და მივედი. რომელ კლასში ხარო. მესამეში-მეთქი. სახელიც მკითხა, კიდევ რაღაცები. დამფრთხისალი ვპასუხობდი. რატომ არ ახვე-დი სახლშიო? არ ვიცოდი, რატომ არ ავედი. ჯიბიდან ჭუჭყანი ცხვირსახოცი ამოიღო, ლოყაზე წამისვა – რაღაც გცხაონ და მე აღარ მემინოდა მისი. მითხარი, რას ამბო-ბენ ჩემზეო. ვუთხარი: უმამოდ ხარ გაჩე-ნილი, დედაშენიც და ბებიაშენიც ლოთები არიან და ყოველი დალევის შემდეგ ერთმა-ნეთს სცემენ, კიდევ, სკოლიდან გაგრიცხეს, ბიჭებს უსამართლოდ ექცევი, რაღაცებს იპარავ კიდევ და ქართველი არა ხარ-მე-თქი... ელმებოდა, ამას რომ ვუყვებოდი და ამიტომ არ შემძინებია. კიდევ? აღარაფე-რი მახსენდებოდა. ხო, პალტო არა გაქვს-მეთქი... მოდი, კარუსელზე დაგატრიალებო. კარუსელს ყველა სკამი დატეხილი ჰქონდა ერთის გარდა. ხელში ამიგვანა და იმაზე და-მსვა, მერე ამ სკამს ჩაეჭიდა ორივე ხელით და გამაქანა. გიუივით დარბოდა წრეზე ამ ქარში. საოცრება იყო. ბედნიერების ასეთი უცნაური განცდა ცხოვრებაში არ მქონია. ბიჭი, რომლისაც ყველას გვეშინოდა, კარუ-სელზე მატრიალებდა... უცებ, მამამ დამიძა-სა მრისხანე სმით და მივხედი, დავისჯებო-დი, რადგან დამინახეს... „არაა საშიში ბიჭი“

– კარის ზღურბლზევე დავიწყე მისი და საკუთარი თავის დაცვა, მაგრამ ვერანაირი არგუმენტი ვერ მომყავდა, რატომ არ იყო საშიში... მერე ბინა გაყიდეს და აღარაფე-რი ვიცოდი მისი. წლების წინ კი, სკოლაში რომ ვმუშაობდი, ვხედავ, დერეფანში მაღა-ლი კაცი მოდის ბავშვთან ერთად. ვიცანი, მივედი, რაღაცები მოვუყევი, მაგრამ ვერა-ფრით გამიხსენა. ტელევიზიაში ვმუშაობო,

მეორე ხულიგანს მკლავზე ვიყავი სიმრით წაფრენილი, ვერ ვაჩერებდი, გავცოფდი და არ შემოხვილე გაკვეთილზე-მეთქი, ვუყი-რე. დავაყენე გათბობის მილთან და ისეთი სახით შევხედე, მეგონა, დაფრთხა. დავიწყე გავეთილი. გარედან კი მისა სიმღერა მეს-მისა, არკადის. კარი რომ გავხსენი და და-მინახა, უფრო თავგანწირვით ამღერდა. უმწეობისაგან ტირილი ამიგარდა და მთელი 45 წეთი, არკადი მღეროდა, მე ვტიროდი და ბავშვები თვალებგაფართოებული უს-მენდნენ ამ დუეტს... მხოლოდ ერთი წელი ვასნავლით ამ ბავშვებს და მერე სკოლიდან წამოვედი, მაგრამ დღემდე ყველა მათგანი მახსოვს, ყველას თვალის ფერი, ყველას ხმა და მათ სასაცილო ნაწერებსაც დღემდე ვი-ნახავ და ვუფრთხილდები. ახლა ისინი უკვე დიდები არიან, ინსტიტუტებიც დაამთავრეს და მუშაობენ კიდეც... 2-3 წლის წინ კი ბექა ქევხილის ტელეფონის ნომერს გადავა-წყდი შემთხვევით, დავურეკე, მოვიყითხე ყველა და მითხრა, ერთი ჩვენი კლასში დაიღუპა, დანარჩენები კარგად ვართო. ვინ-მეთქი და არკადი გვასალია, მეექეს კლასში რომ ვიყავით, ქუჩაზე გადადიოდა და მანქა-ნა დაეჯახა... მერე აღარაფერი მეშინდა, რას მეუბნებოდა... არკადის სიმღერა ჩამიდ-გა უყრებში და გამახსენდა, როგორ ვეღა-რაკებოდი ერთ ჩემს ბავშვობისდრონდელ დაუმორჩილებელ კაცს სკოლის დერეფანში და როგორ ძლივს ვაკავებდი მეორე დაუ-მორჩილებელს, რომელიც არ ვიცოდი და თურმე ვერასდროს გააღწევდა ბავშვობი-დან... ვერაფრით ვპატიობ თავს, რომ იმის მაგივრად, დავმდგარიყვავი იმ წეულ გაყი-რულ გათბობის მილთან მასთან ერთად და მემღერა, თოვას ვუყურებდი, ფანჯარასთან ვიდექი და ვტიროდი...

ვერაფრით

**ვპატიობ თავს, რომ
იმის მაგივრად,
დავმდგარიყვავი იმ
წეულ გაყინულ
გათბობის მილთან
მასთან ერთად და
მემღერა, თოვას
ვუყურებდი,
ფანჯარასთან
ვიდექი და
ვტიროდი...**

ოჯახიც მყავსო, პალტოც მაცვიან და წაგი-და... თან, ცალი ხელით არკადი გვასალიას ვამაგრებდი ძლივს, ჩემს პირველკლასელ მოსწავლეს. საოცრად ცელები ბავშვი იყო. 20 წლისა ვიყავი მაშინ, ვითომ მასწავლე-ბელი, რაღაც სისულელებს ვაკეთებდი, ვაგუშებდი მოსწავლეებს... მოკლედ, ბავშ-ვობისდროინდელი ერთი ხულიგანი, რომე-ლიც კაცად ქცეულიყო, თვალს მიეფარა და

ჩეცხვა მოიხმას
კლასიურნების 30%-ს.



საჩუქრო მანქანა SAMSUNG ახალი ტექნოლოგიით ECO BUBBLE™ უფრო გაძლიერება ჭრის და ზერნავს თქვენს საჩუქრზე. ECO BUBBLE™ ტექნოლოგია პინისგან დამცავი ახალი მიღებობაა, ამ ტექნიკის საჩუქრი იჩვენება წაფით და ასა წყალში გასასრიღო საჩუქრი სამუალებით. ბენზინის უფრო ნებისმიერ კონსუმით და აქტიურ დაქმდებას, ამასთან ენაზეზებულ წარმოების პირველები სახეა.

ტექნოლოგიით ECO BUBBLE™ თქვენი საჩუქრი იგინდობს სისუფლთავით მინიჭებულ სიამოვნებას და თითოეული ბენზინის განსაკუთრებულ ზერნავს.





ბარბარა

ბაზო კვირჩია

ეს ფარდა ჩემს საძინებელ ოთახშია ჩამოკიდებული.

ბებიაჩემის ნაყიდია. ძალიან დიდი ხნის წინ. ახალგაზრდა რომ იყო, მაშინ.

სავერდისაა. კარგად შენახული. ბორდოსფერი. სქელი, მძიმე და რაღაცნარი, დრჯი. თუ შეიძლება, რომ ფარდაზე ასე ითქვას...

მსუბუქი სიო რომ ძვრას ვერ უზამს, ისეთი...

ჟილია და არის...

უკვე რამდენი წელინადა.

ისეთი კარგია, რომ ჯერ ხო ბებიაჩემს ჰქონდა ჩამოკიდებული, მერე დედაჩემს მისცა, დედაჩემსა კიდევ მე, ანუ ჩემს მეუღლეს გადასცა და ახლა ჩვენს საძინებელს ამშვენებს.

ვეპყრობი ისე, როგორც პატივსაცემ ადამიანს, და ზედმეტად არ ვაწეხებ, ანუ გვერდზე არ ვწევ – მის ასაკს და პატივმოყვარეობას ვცემ პატივს.

ფარდა ხომ მაშინ ფარდობს, თუ გაშლილია და რაიმეს ფარავს, რაიმეს ეფარება, რაიმესგან იცავს მის მიღმა არსებულს...

ხოდა, თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ არის, ხელს არ ვკიდებ.

ჩაკერებულ, პანაზინა იარლიყზე უკვე ძლიერს გასარჩევად, ჩეულ ენაზე აწერია: „Bavlna - mill Barbara“.

ამიტომ ბარბარას ვეძახი. ჩემთვის.

გარედან შემოსულ დღის სინათლეს თითქოს ამძიმებს, ფილტრავს და ოთახს დამათორობელი, ძილისმომგვრელი, მომთხნევავი სიმუქით ავსებს.

ბარბარასთან ერთად იწყება ჩემი ყოველი ახალი დღე. ახალ დღესთან ერთად

კი, თითქმის ყოველდღე ერთი და იგივე შინაარსის თეატრალური მონოლოგი ჩემს გულში:

აი, ამ ფანჯრებზე ჩამოფარებული ბორდოსფერი ბარბარას მიღმა რიგითი უმაღლერი მოქალაქე ცხოვრობს.

რომელსაც წარმოდგენაც არ აქვს, რამდენსაც აკეთებს სახელმწიფო მისთვის...

ის, ანუ მე – საშუალო სტატისტიკური ცინიკოსი, კონფორმისტი ვარ, არაფრისმთქმელი სოციალური სტატისტი და არაფრისმომცემი ნლიური შემოსავლით.

ჰოდა, რადგნაც არავინ არაფერს მეუბნება და არაფერს მაძლევს, ბარბარა მაქვს ჩამოფარებული ჩემს ფანჯრებზე და საკუთარ ოთახში არაფრისდიდებით არ ვუშვებ:

ჰაერში გაშვებულ ქალალდის გველს, წარწერით: „გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“

უჩვეულო აქ თითქოს არაფერია, თუ არ ჩავთვლით, რომ ქალალდი ტუალეტისაა, თანაც... გამოყენებული.

მაინფიცირებულ ტელევირუსებს, რომლებიც მოხეტიალე, კანიბალი ზომბებით ქეჩაში დაეთორევან, ხეებზე ამძრალან, ჰაერში ლივლივებენ, სახლის სახურავზე უძიაობენ, მეტალის ფარებებს შორის დარჩენილ სივრცეში შეკვეტებულები მასტურბირებენ და კიდევ ათას ოხრობას და სიავეს სჩადიან.

ყველაზე მეტად, მათი მეშინია.

თუ იცით, რა მიცავს უსირცხვილობის, ფსიქიკური აშლილობის, უვიკობის, პროვინციალიზმის, უსინდისობის, უსექსიობის, უასობისა და უსასოების მომაკვდინებელი ვირუსებისგან, რომელსაც დღევანდელ ჩვენს ქვეყანაში

ლორწოვანი საშოდან მდედრი ვირთხა (ან გნებავთ, ძუ მგელი, ან დედა-ურჩეული) – ქართული ტელევარხების დიდი უმრავლესობა და თანამედროვე საზოგადოების გარკვეული ნაწილი უხვად აფრქვევენ?..

ბარბარა.

თუ იცით, როგორ ვიცავ თაგს აი, იმ დედა-ურჩეულის უზარმაზარ კლიტორიშიმილისგან, რომელიც ჩევრი მოქალაქების კარგად გარკვეული ნაწილის სხეულში სპინალური გზითაა შეყვანილი?

ბარბარა მაქვს ჩამოფარებული.

იქნებ იცით, თავიდან როგორ ვიცილებ დღევანდელი „გმირების“ ხელით ჩამოკიდებულ ყალბი მზის დამაბრმავებელ სხივებს, ბირთვული აფეთქების შუქზე ძლიერი რომ არის?

ბარბარათი ვახშობ...

ძალიან მიყვარს ეს ბორდოსფერი ბებერი – ჩემი მედდა, მხრებგამლილი მცველი, მზისგან გახუნებული ხავერდის მემატიანე.

და ამ ბორდა-მონოლოგის დასასრულს: ბარბარაჩამოფარებულ ჩემს ოთახში მზეც უზარმაზარ ანათებს და ათბობს! ოლონდ – სხვანაირი.

ქალალდის გველებიც ლივლივებენ ჭერში და მართობენ!

მაგრამ – სხვანაირი.

სიხარული, აღტაცება და მშვენიერებაც ბევრია!

თუმცა – სხვანაირი!

უბრალოდ, გვერდზე ვარ განეული. იმიტომ, რომ დღეს ასე მირჩევნია...

და განეული მაქვს...

ფარდა.

KILOKILLER

სრულყოფილი იარაღი სხეულის დახვეწილი ფორმის მისაღებად

კილოკილერი



აქციით გადას - განიჭებთ ენერგიას - წვავს ცხიმებს - აფერხებს

ცხიმებისა და ნახშირცყლების შეცოვას - ხსნის შეშუპებას ქვედა კიდურებში

▪ აცესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას - ავსებს დიეტით გამოვეული

ვითამინების დაფიციტს - გამოყავს ტოქსინები - ებრძვის ცელულიტს

სხეულის ბიოლოგიურ რიტმები დაფუძნებული სამმაგი სტრატეგია:



კილოკილერი დილა

კილოკილერი "დილა" - განდევნის ცხიმებს.

ზეთისხილის, მწვანე ჩაისა და მწვანე ყავის ერთობლივი მოქმედება ამცირებს ცხიმების ჩაღავებას არგანიზების ენერგეტიკული დანახარჯების გაზრდის გზით.

ცინოროდონის, ველური იაუკუნას და ალუბლის ყუნის ექსტრაქტები აძლიერებენ ტოქსინების გამოყოფას არგანიზმიდან. ხელს უწყობენ ცხიმოვანი ქსოვილის დრენირებას და ამცირებენ ფორთობლის კანის ეფექტს.

კილოკილერი "დილა" კვებას არგანიზმს მასში შემავალი 10 ვიტამინის (C, E, B3, B5, B6, B2, B1, B12, B9, B8) დახმარებით.

კოლას თხილში შემავალი კოფეინი

ასტრიმულირებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ზრდის ყურადღების კონცენტრაციას, ებრძვის ძილიანობას.

ვიტამინების ბოგადგამარანსაღებელი მოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღის განმავლობაში ენერგიის შესანარჩუნებლად.



კილოკილერი შუადღე

კილოკილერი "შუადღე"- მღუდავს ცხიმების შენოვას.

ციტრუსისა და ვაშლის პეპერინების ნაზავი ეფექტურად აქვეითებენ მაღას, რითაც მღუდავენ ცხიმებისა და მაქრის შთანთქმას.

ვაშლის ძმარი ცნობილია როგორც ცხიმების დამწვევლი, იგი ხელს უწყობს საჭმლის მორჩების პროცესებს და ხვენავს სილუეტს.

კილოკილერი შუადღე ამცირებს კვებათა შორის მცირე ნახემსების სურვილს და ამცირებს კალორიების ათვისებას.



კილოკილერი საღამო

კილოკილერი "საღამო"- წვავს ცხიმებს.

ტაბლეტის შემაღებელობაში შემავალი ქრომი აქვეითებს მაღას და აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას. პაპაის ექსტრაქტი განდევნის ცხიმებს, რითაც ხელს უშლის ცხიმების დაგროვებას ცხიმოვან ქსოვილებით.

კავაოს და ფორთოხლის ქრექის ექსტრაქტები აძლიერებს თარმოგნების სტიმულირებას, აძლიერებენ ცხიმების წვას და ხელს უშლიან მათ დაგროვებას.

ანანასის და ყურძნის ექსტრაქტები აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას, რის ხარჯეც ისსნება შეშუპება ქვედა კიდურებში და აქტიურება ცხიმების წვა.

მიღების ცხესი და დოზირება:

- "კილოკილერი" "დილა" - 1 აბი გახსნილი 1 ჭიქა წყალში საუმის მიღების დროს.
- "კილოკილერი" "შუადღე" - 1 აბი გახსნილი 1 ჭიქა წყალში. მიიღეთ ნახევარი საათით ადრე სადილამდე.
- "კილოკილერი" "საღამო" - 1 აბი გახსნილი 1 ჭიქა წყალში. მიიღეთ ვახშმის წინ.

14 დღე გოქმედებისთვის

ნონა: - 4.9 კგ


თებოს გარშემოწერილობა: - 3 სმ

KILOKILLER

მნარმოებელი:

ნუტრისანტე საფრანგეთი

ՀԵՅՐԻՆԻԱՑՈ



PRIVET IZ BAKU

ԱՅԻՐԻՆՈ ԸՆԹԱՑԿԱԼՈՂ



Ծեցրո Այսօդ տզիսեծա մայքը ճա մատ
՛մորով էրտո, գանսայցարութեծոտ սամօնց-
լո - Յոցջայր աֆամիանեծ օյեսապմելլո-
ծից ազայորդեծ եռլմի ճա մերցենեծա,
րոմ ամ նոմնոտ, մատո ամունոնծապ կո
շեմոնձլուա. տամբա (րաժացան) օմասապ զեց-
դցիո, րոմ յս Այսօդ տզիսեծա, Յոցջայր
մուս գամոսնորութասապ զբանութ, մաշրամ
պոցելլուց ամաս զեր զաերթեծ ճա տզա-
լուց սեցուս օյեսապմելլեծուկցեն, մանց-
ունցեծլույտ գամորիուս.

ერთხელაც (რამდენიმე წლის წინ), შეუძლია გადასაცემი, მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩაზე, ერთი ჩვენებური დეპუტატი შემხვდა, რომელსაც ფეხებზე მაშინვე, შეცვედრისთანავე დავხედე (მაინც, ყოველ შემთხვევისთვის) და აღმოვაჩინე, რომ მას (ძალიან ვიწრო შარვალზე) ძალიან შავი ფერის ისეთი წვეტიანი ფეხ-საცმელები ეცვა, რომ შევმინდი კიდეც. უცემ ისიც კი გაიღიერება, რომ მასსა-ვით (შეუძლია), ასეთი გრძელი, შავი და პრიალა თხილამურებით რომ დავდოოდე, ალბათ ძალიან მალე, მეც პარლამენტში აღმოვჩნდები-მეთქი და ამიტომაც ეს შიში კარგა ხანს გამყრა.

ბაქოში ჩასვლისთანავეც, ის ჩვენი
დეპუტატი იმიტომ გამახსენდა, რომ
პირველივე აზერბაიჯანელს, რომელიც
ბაქოს აეროპორტში გავიცანი, სწორედ
ზემოთ აღნერილის მსგავსი ფეხსაცმე-
ლი ეცვა. თუმცა, იმ პირველივე აზერ-
ბაიჯანელის მსგავსად, ბაქოში მხოლოდ
კარგი ადამიანები მხვდებოდნენ და სა-
ქართველოსადმი არაკეთილად განწყო-
ბილი აზერბაიჯანელი, იქ არც მინახავს.
ჩემთვის ისიც აღმოჩნდა იყო, რომ ბაქო
ძალიან ლამაზი ქალაქია და მისი ძევლი
ნაწილი კი – უბრალოდ, საოცრება და
ამიტომაც ძევლი ბაქოს ქუჩებში იმდენი
ვისეირნე, სანამ ფეხები არ ამტკიცდა.
სამაგიეროდ, საერთოდ არ ამტკიცდა
თავი, როგორც მოველოდი, რადგან
(ჩემდა გასაკვირად) ისიც აღმოვაჩინე, რომ
ბაქოში ნავთობის სუნი არც კი
იგრძნობა. იმ ქართველებისგან კი, ვინც
ხშირად სტუმრობს ამ ქალაქს, ისიც გა-
ვიგე, რომ ბაქო ძალიან სწრაფად იცვ-
ლება და შენდება, და ძალიან მაღლე, აღ-
ბათ, სწორედ ისეთი იქნება, როგორიც
(მაგალითად) დუბაია. რასაკვირველია,
თვითონ ბაქოელებსაც განსხვავებული
აზრები აქვთ იმ ჯათამბჯინებთან დაკა-

ვშირებით, რომელთა ნაწილი უკვე აა-
შენეს (ან პენებენ), მაგრამ რაც ძალიან
თვალშისაცემია, აქ მშენებლობისა და
განვითარების დაუჯერებლი ტექნები
და მასშტაბებია. მართალია, ამ აღმშე-
ნებლობას დიდი ფული განსაზღვრავს,
მაგრამ ჩვენი არქიტექტურული წარმა-
ტებები, მაინც ძალიან მოკრძალებულად
გამოიყურება ჩვენს მეზობელ ქვეყანას-
თან შედარებით. სხვათა შორის, ალბათ,
ქართული ხასიათის რომელიმე უცნაურ
თავისებურებას უნდა მიენეროს იმ

ერთი საუკუნის ნოე
ქართველებისთვის
პატო გაშილებით
ახლობელი
ქალაქი იყო, საღამ
ქართული სკოლას
არსებობდა. სწორია
იმ ქართული, თამარ
მეფის სახელმობის
გიმაზიის მოწაფე
იყო მავრენის ნინო
ყიფიანი, რომელსაც
პატოს ვაჟთა
გიმაზიის მოწაფე
ალი ხან
შირვანშირი
თავდავითყებით
შეუყვარდა.

ასენა, რომ მეზობლებისადა-
მი ინტერესი საქართველოში მხოლოდ
მინიმალურად არსებობს. სამაგიროოდ,
არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახ-
მადაც თბილისიდან ბაქოსკენ თითქმის
ცარიელი მატარებელი მიდის და პირი-
ქით – ბაქოდან თბილისისაკენ მომავალ
მატარებელში ცარიელი ადგილის აღ-
მოჩენაც კი ძნელია. არადა, საქართვე-
ლოს რამდენი მოქალაქე აღმოჩენდა
ჩემსავით პირდალებულ მდგომარეო-
ბაში) ბაქოში ჩასვლისთანავე იმ საო-
ცარ ქალაქს, რომელიც რადიკალურად
კასტელანების ჩემი სტრიტორპატოლი

ნარმოდგენებისაგან.

სხვათა შორის, თუნდაც ერთი საუკუნე
ნის წინ ქართველებისთვის ბაქო გაცი-
ლებით ახლობელი ქალაქი იყო, სადაც
ჩვენი არცთუ მცირე კოლონის გამო,
აյ ქართული სკოლაც არსებობდა, თეა-
ტრიც და გაზეთიც. სწორედ იმ ქართუ-
ლი, თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის
მოწაფე იყო მშვენიერი წინო ყიფიანი,
რომელსაც ბაქოს ვაჟთა გიმნაზიის მო-
ნაფე აღი ხან შირვანშირი თავდაცვენებუ-
ბით შეუყვარდა. მართალია, ეს აბბავი
(სინამდვილეში) ყურბან საიდის მსო-
ფლიო ბეჭედსელერში მოხდა, მაგრამ
როგორც ბორხესი იტყოდა, წიგნებში
აღნერილი სიყვარული, ზოგჯერ უფრო
ნამდვილია, ვიდრე რეალობა, რომელ-
შიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ბაქეული მშენელის იმ მშვენიერ წიგნში კი, ერთი ისეთი პერსონაჟიც არსებობს, რომლის სახლის ეზოშიც, ერთ მშვენიერ დღეს, ნავთის მოწუხუბეული წყარომ ამოხეთქა და ასეთი რამ მეცხრამეტე საუკუნეში მართლა ხდებოდა. თუ სწორად მასსოცა, პირველი ჭაბურლილიც ბაქოში ჯერ კიდევ 1848 წელს (ამერიკაზე უფრო ადრე), დასცეს შავი ოქროს მაძიებლებმა და ბაქომ მთელი მსოფლიოდან მიიზიდა სწრაფად გამდიდრების მსურველები. ასეთები, რათქმა უნდა, ძალიან ბევრნი იყვნენ და ბაქოც სალიან სწრაფად შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, ლაშა-გიორგის, რომელიც მეცამეტე საუკუნეში ესტუმრა ბაქოს, ეს ქალაქი სულ სხვანარი დასხვდებოდა, თუმცა ისტორიულ წყაროებში (სამწუხაროდ) არ არის დაკონკრეტული, თუ ვისი ქორწილის გამო ეწვია მეზობელ ქვეყანას ქართველი მეფე. რაც ისტორიულად დადასტურებულია, ეს ჩვენი უძველესი ნათესაობაა და დღევანდელი აზერბაიჯანელების ნინიპრებს შორის, ჩვენი მონათესავე ალბანელებიც იყვნენ. უფრო გვიან (განსაკუთრებით მეცხრე საუკუნიდან), კავკასიის ალბანურ მიწებზე თურქმანული მოდგმის ტომებმაც დაინყეს დასახლება და სწორედ ამიტომაც თვლიან მეცნიერები, რომ აზერბაიჯანელი ხალხის ერად ჩამოყალიბება, მრავალეროვნული ეთნოგენეზის შედეგია. ალბანეთი ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა (კი კავკასია-



ში, მაგრამ ისლამიზაციის შემდეგ, ძველი სარწმუნოების გარდა, მათ ძველი ალბანური დამწერლობაც დაკარგეს. ძველი ალბანეთი კი (ანუ ახლანდელი აზერბაიჯანი), ზოროასტრიზმის სამშობლოც იყო და გასაკვირიც არ არის, რომ პირველი ცეცხლთაყვანისმცემლები სწორედ აფშერონის ნახევარკუნძულზე გაჩნდნენ, რადგან აქ, მათთვის ყველაზე შესაბამისი ბუნებრივი პირობები არსებობდა. სხვათა შორის, აქვე ოდითგანვე არსებულ „მიდიურ ნავთს“ ჯერ კიდევ ჩვენს ნელთალრიცხვმდე მეშვიდე საუკუნეში მოიხსენიებს ერთი რომაელი ავტორი. თუნდაც ამიტომ, გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ბაქოში ყველაგან ნავთის სუნი იდგა, მაგრამ (როგორც უკვე ვთქვი), პირველივე დღეს აღმოვაჩინე, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და გემრიელი ქალაქი, რომელიც ოდესმე მინახავს და სამწუხაროა, რომ ქართველებმა უკვე მსოფლიოს მრავალი ქალაქი და ქვეყანა ავითვისეთ და აზერბაიჯანის შვენიერ დედაქალაქს კი, საერთოდ არ ვიცნობთ. არადა ეს ის ქვეყანაა, სა-დაც 1920 წელს რუსმა ბოლშევიკებმა

საქართველოს მტრები და მოწინააღმდეგები ვერ მოძებნეს და საქართველომაც კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა ნამდვილი დამოუკიდებლობა. უფრო ადრე კი, 1918 წლის მაისში, მაშინდელმა ადერბეიჯანმა, პირველმა ცნო ქართული სახელმწიფო პრინციპის აღდგენა და ამ თვალსაზრისით, მხოლოდ აზერბაიჯანელებმა დაასწრეს შორეულ და ახლობელ არგენტინელებს. როგორც ჩანს, გენეტიკური მეხსიერება, ძველ ნათესაურ კოდს მაინც ინარჩუნებს და შეირგანშეაპების კეთილგანწყობა ქართული სამეფო კარისადმი, სულაც არ იყო შემთხვევითი. მართალია, მათი ქართველებისადმი დამოკიდებულება, ზოგჯერ რადიკალურად იცვლებოდა, მაგრამ ზემოთქმულში დამნაშავეები, რასაკვირველია, არცთუ იშვათად, ჩვენც ვიყავით ხოლმე. საბედნიეროდ, ახლა, ოფიციალურად მაინც, მეგობარი სახელმწიფოები გვქვია, მაგრამ თუ უფრო მეტი არ გვეცოდინება ერთმანეთის შესახებ, რასაკვირველია, უფრო მეტი ალბათობა იქნება იმისა, რომ ერთმანეთი დავკარგოთ და ერთ (არა-ბედნიერ) დღეს იმასაც აღმოვაჩინოთ,

რომ ჩვენს მეზობლად არ არსებობს ხალხი და ქვეყანა, რომელიც გვიყვარს. რა თქმა უნდა, ძნელია, იყო ნამდვილი ქრისტიანი, და – არათუ მტრის, მეზობლის შეყვარებაც კი უჭირთ ხოლმე ზოგჯერ ადამიანებს, მაგრამ მთავარი საშიშროება, მაინც სიძულვილია და მისი წამალი კი – მაინც ცოდნაა.

არადა, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით აზერბაიჯანული ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ, და ძალიან ზედაპირული, ზოგჯერ მცდარი და მხოლოდ სტერეოტიპული წარმოდგენები გვაქვს მათი კულტურისა და ტრადიციების შესახებ. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რომ არათუ ჩვენზე ძველი, მთელ კავკასიაში ყველაზე ძველი ეკლესია აზერბაიჯანში მდებარეობს და აზერბაიჯანელი ბავშვები, ქართველი პატარებივით, დღემდე აღნიშნავენ ჭიათურინობას და ესეც, გენეტიკური მეხსიერების ერთ-ერთი თვალსაზრისი გამოვლინებაა, რადგან ბავშვებს უფროსები ამ დღეს არაფერს შეახსენებენ ხოლმე და მათ მაინც ზუსტად ასხვეთ, თუ რომელ დამეს უნდა დაანთონ ცეცხლი, და ასე გრძელდება უკვე ოცდათი საუკუნე...

ოცდაათი კი არა, მხოლოდ სამი სარ-
თული ამოიყვანეს, მაგრამ ერთხელ
პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელეინ-
ტერვიუში თქვა – ისეთი მოლოდინით
ვაკვრიდები გალაკტიონის ძეგლთან
მშენებარე პირველი ქართული ცათაბ-
ჯენის დასრულებას, რომ ზოგჯერ გა-
ვჩერდები და სართულებს ვითვლიო.
მართალია, მერე ჩვენთან ომი იყო და
ყველაფერი გაჩერდა, აზერბაიჯანელებ-
მა კი ამასობში, ერთი კი არა, რამდენი-
მე ცათამბჯენი ააშენეს, რადგან ჩვენზე
ბევრი ფული აქვთ, მაგრამ ფული მაინც
არ არის ყველაზე მთავარი. უფრო სწო-
რად, თუ მინისტრება ნაგებობის აშენებას
(მით უმეტეს, ცას რომ უნდა მიღებჯი-
ნოს), დიდი ფული სჭირდება, მინისტერ-
შა ცვლილებას, იმდენად არა ფინანსუ-
რი, რამდენადაც სულ სხვა რესურსების
ამოქმედება ესაჭიროება. ასეც მოხდა
ბაქოში (ჩვენგან განსხვავებით) და ბა-
ქოს მინისტერშა გადასასვლელებში, შარ-
დის სუნიც კი არ დგას და ჩვენთვის
სრულიად დაუკერძებელი სისუფთავეა.
ჩვენც და აზერბაიჯანელებიც, ორივენი
პასტსაბჭოური ქვეყნების მოქალაქეები
ვართ და მეოცე სუუკუნზეშიც მსგავსი
თავგადასავალი და პრობლემები გამო-
ვიარეთ, მაგრამ ზოგიერთი საკითხის
მოგვარებაში, ისინი აშკარად ჩვენზე წინ
არიან. როგორ მაგალითების მოყვანაც
შემიძლია, მაგრამ მეტი დამაჯერებლო-
ბისა და თვალსაჩინოებისათვის, ძალიან
მარტივ და უბრალო მაგალითს გავიხ-
სენებ.

ბაქეოს ულამაზეს ბულვარში სეირ-ნობისას (გადაუდებელი საჭიროების გამო), იქვე, ბულვარში მდებარე საზოგადოებრივ ტუალეტში აღმოჩნდიდა და ისეთი შოკი მივიღე, რომ კანალამ გადამავიწყდა იქ მოხვედრის მიზეზი. ჩემი გაოცება კი გამოიწვია მართლა დაუკერძებელმა სისუფთავემ, რადგან არაფერი მსგავსი თბილისა და საქართველოში (რომელიმე საზოგადოებრივ ტუალეტში), არასოდეს მინახავს. ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ ჩვენი წარსულით, მაგრამ ხშირად გვავიწყდება, რომ კულტურა მხოლოდ სცენტრულ ცენტრებში არ ნიშნავს და როცა თბილისას ქუჩებში (დღემდე), პირდაპირ ფანჯრებიდან და აივნებიდან ყრიან ნაგავს, ეს მხოლოდ ჩვენს უკულტურობაზე მტკყველებს.

ბაქოში კი (ისევე, როგორც ნებისმიერ ევროპულ ქალაქში), ნაგვის სწორედ ისეთი უზარმაზარი ურნები დგას, სა-დაც ნაგავს, ნახატებისა და წარწერების მიხედვით, წინასწარ ახარისხებ, ამიტომ (მაგრამ არა მხოლოდ ამის გამო), ისიც მომენტვენა, რომ ჩვენზე აღმოსავლეთით მდგებარე ბაქო, ჩვენზე მეტად დასავლურია და ევროპული. რასაკვირკველია, ჩვენსავით ჯიბებსდახამებულ ადამიანებს, იქაც ნახავთ, მაგრამ მათ (ჩვენგან განსხვავებით), იმდენი ევროპული,

ჩვენს და
აზერბაიჯანის გიმი,
ორივენი
კოსტაზოური
ქვეყნების
მოქალაქეები
ვართ და გორც
საუკუნეების მძგავსი
თავისასავალი
და კრონლეგები
გამოვიარეთ, მაგრამ
ზოგიერთი საკითხის
მოზვარებაში,
ისინი აშკარად
ჩვენი ნინ
არიან.

მხოლოდ ქვეითებისასათვის განკუთვნილი ქუჩა და მოედანი აქვთ, რომ აუცილებლად შეგშურდებათ, თუ ფეხით სეირნობისას კარგი ამინდიც დაგმოტვევებათ. ალბათ, დამთხვევა იყო, რომ მასპინძლებმა, წიგნების საოცარ მუზეუმთან ძალიან ახლოს დაგვასახლეს, მაგრამ, ალბათ, არ იყო შემთხვევითი, რომ ბაქოში ჩვენსაზე უკეთეს წიგნის მაღაზიებშიც მოეხვდი და წიგნების ძეგლიც ვნახე. მეტიც, ისიც კი მომეჩვენა (ალაგალაგ), რომ აზერბაიჯანის დედაქალაქი, ბარსელონასაც წააგავს და თბილისი-საგან განსხვავებით, ბაქოში საბჭოური არქიტექტურა თითქმის აღარ არსებობს. აზერბაიჯანელებმა საბჭოთა პერიოდში აშენებული მასივების კორპუსებიც

ისეთი მონძომებით შეკუთხეს, რომ ერთი შეხედვით, თანამედროვე არქიტექტურა გეგონება. რაც ბაქოში ნამდვილად ახლად აშენებულია, რამდენიმე ევროპული დონის საკონცერტო დარბაზია და ერთ-ერთი მათგანი (ამასწინათ) ბიორკსაც კი მასპინძლობდა.

თუმცა, აზერბაიჯანელებმა, ჩვენც
ისეთი მონძომებით გვიმასპინძლეს,
რომ ჩემი ძეველი და არასწორი ნარ-
მოდგენების გამო დაუფარავად მეღო-
მებოდა კიდეც, რადგან ახალგაზრდო-
ბაში მართლა გულუბრყვილოდ მეგონა,
რომ სტუმრობიშვარე ხალხი მხოლოდ
ჩვენ, ქართველები ვიყავით. ამიტომაც
ყოველთვის მაღლობელი ვიქენები ქალ-
ბატონი ჯულიეტ სქელფილდისა, რო-
მელიც იმ ინგლისურ ორგანიზაციას
ხელმძღვანელობს, ვისი დამსახურები-
თაც ბაქოში აღმოჩნდი ბატონ გურამ
ოდიშარისა და ბესო ხევდელიძესთან
ერთად. აზერბაიჯანელ მწერლებსა და
მკითხველებსაც სწორედ იმ ინგლისუ-
რი ორგანიზაციის მიერ გამოცემული
საერთო კავკასიური ლიტერატურული
კრებულები ჩავუტანეთ და მომავალი
ურთიერთობებიც დავგვეგმეთ. თუმცა
რამდენიც არ უნდა ვისაუბრო აზერ-
ბაიჯანული ლიტერატურის ან ბაქოს
ცათამბჯვენების შესახებ, ყველაზე
შთამბეჭდავი ჩემთვის მაინც იმ კეთილ-
განწყობის აღმოჩენაა, რომელიც აზერ-
ბაიჯანელებს ქართველების მიმართ
გააჩნიათ. ჩემი წიგნის აზერბაიჯანულ
ენაზე მთარგმნელ რამილია ალიევას
კი, საქართველო ისე უყვარს, რომ ამ
თარგმანის ჰიონოსარზე უარი თქვა და
რა გასაკვირია, რომ ამ მეზობელი ქვეყ-
ნის დედაქალაქიდან, აღფრთოვანებული
ჩამოვედი...

رس. ბავშვობაში (მგონი კაი სიჭანუკე-
მდე), მეზობელი აზერბაიჯანის შესახებ,
ერთადერთი, რაც ვიცოდი, მხოლოდ ის
დებილური ანეკდოტი იყო, რომელიც
მაშინ ჩემსავით ყველამ იცოდა (ალბათ)
და ამიტომაც აქ, მხოლოდ იმ ეროტიუ-
ლი ანეკდოტის ფინალს გავიხსენებ: „pri-
vet iz baku, priekhat ne mogu“.

р.п.с. სხვათა შორის, აზერბაიჯანელე-
ბმა უკვე დაიბრუნეს ლათინური, კირი-
ლიცას ნაცვლად...

FM
ԱՅԵՐԱՅՈ
98.0



ალარ ფიქრობთ კინოზე?!

ავტორი ქათოვან სალოგალაშვილი
ფოტო: ელდარ შეგელაიას არხალი არქივი

თუკი მაშინ ექვსი წლის იყო, გამოდის, რომ 1939 წელია, სტალინური კამპანიების პიკი. „ექიმთა საქმე“ მოთავებულია, ანუ, „დამნაშავე“ ექიმები დაჭერილ-დასხვრეტილია და „სუკ“ მორიგ სადამსჯელონ კამპანიას იწყებს დასავლეთის წამბაძველების გამოსააშპარავებლად. კინოსტუდიასაც მიადგებიან, მაგრამ იქ უცნებიან – დასავლეთის მოტრფიალები არა და ნაციონალები რამდენიც გინდათ, იმდენი გვყავს. ძებნა-ძებნაში „დამნაშავეს“ მაინც აღმოაჩენენ, სამამულო მულტიპლიკაციას – აბა, ეს რა არის, ამერიკულს ბაძავს და დაისნეისგან სწავლობს. მოკლედ, გარემო ეგეთია, ეპოქაც.

ერთხელაც, დედა ეუბნება – კინოსტუდიაში წაგიყვან და ფილმს გაჩვენებ, მაგრამ ეს სურათი სპეციალურმა კომისიამაც უნდა ჩაიბაროს და არ მინდა შეგამჩნიონ, თანაც, სასაცილო რაღაც უნდა იყოს და შეძლებ, რომ არ გაიცინო? დიდი საიდუმლოს მოლოდინში – არ გავიცინებო, დაპირდა. იქ, დიდ სავარძლებში კომისია იყო ჩაფლული, მათ უკან, კუთხეში დაჯდა და თვალებგაფართოებული შეაცემდა ეკრანს, რომ არ გასცინებოდა, პირზე ხელი ჰქონდა მიჭერილი და პირველად უყურებდა დისნეის მულტფილმს. როცა ეს საოცრება დამთავრდა და კომისიაც წავიდა, ისე იქ იჯდა, სავარძლების უკან, პირზე ხელაფარებული და გაოგნებული, მერე დედა შემოვიდა და მეორე გასასვლელიდან გაიყვანა – ეს შთაბეჭდილება დღემდე ახსოვს ელდარ შენგელაიას და დარწმუნებულია, რომ ცხოვრებას სწორედ ასეთი შთაბეჭდილებები ქმნის. თუნდაც ის, მის

პერიოდში მამას რომ გაპყვა კინოგადალებაზე, ბაჟურციხეში. მაშინ კინოსტუდიიდან იმდენი ადამიანი გაიწვიეს ფრონტზე, რომ დიდ მანქანას, რომელზეც აპარატურა იყო განთავსებული, თავად ნიკოლოზ შენგელაია მართავდა, შვილი გამნათებლად გამოიყენა, ფოლგით გადაჭიმული ოთხეუთხედი დეკორაცია ისე უნდა დაეჭირა, რომ მსახიობს მზის ანარეკლი მოხვედროდა სახეზე. რაც მთავარია, არ უნდა განძრეულიყო, ეს ძნელი იყო ბაგშის-თვის, რომელიც გაქვავებული იყვა და ფიქრობდა, თუ შეირჩეოდა, მამას ველარ დაეხმარებოდა. მძაფრი განცდები მერეც ბევრი იყო – 9 წლისას მამა გარდაეცვალა, ინფარქტით, თუმცა, მაშინ ასე უთხრეს – გული გაუსკდაო, იმდენად ვერ აკავშირებდა სიკვდილს მამასთან, ან იმდენად არ ესმოდა მოვლენის ტრაგიზმი, რომ ბავშვური გამოსავალი ნახა – შევუეროთ გულიო. მერე, დიდი ხნის მერე იტყვის – მამაჩემის ნაადრევი გარდაცვალება, ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ ბევრი ფილმისა და სცენარის განხორციელება ვერ შეძლო, რაც იგივეა, დედას საშოდან შვილი რომ მოაცილოო. „ელისოს“ რეჟისორი ეიზენშტეინთან, დოვეუნკოსთან და პუდოვკინთან ერთად დიდ რეჟისორთა ოთხეულში კი შევიდა, მაგრამ საქმები ისე არ წაუვიდა, როგორც მისი ნიჭისა და შეძლების პატრონს ეკუთვნოდა. როცა თვითნასწავლმა რეჟისორმა (20-იან წლებში პროფესიულ განათლებას სად მიიღებდა?!?) და კოტე მარჯანიშვილის ასისტენტმა „ელისოს“ გადაიღო, რეჟისორი იმდენად მძლავრი არ იყო და ფილმიც რაღაცნაირად გაძვრა, მაგრამ დადგა

სტალინის მძვინვარების ხანა და ნიკოლოზ შენგელაიამ, რომელმაც „26 კომისარი“ გადაიღო, პოლიტიკური შეცდომა დაუშვა – 26 კომისრების ეპონებში სტალინი არ მონაწილეობდა. ეს სიმართლე რეჟისორს ძვირად დაუჯდა – სტალინი მარტო ბელადი კი არა, კინემატოგრაფიის მინისტრიც იყო, მისი აზრი კი – ვერდიქტი, ამიტომ ფილმი აკრძალეს. მერე შოლოხოვის „აუთვისებელი ყამირის“ გადალება უნდოდა და აქ უკვე ბერია ჩაერია – სურათი დახურეს. ბერიას მოთხოვნა – კოლექტივზიაზე გადაელო ფილმები – ნიკოლოზ შენგელაიამ არ შეასრულა. ამან კიდევ – გული შევუკეროთო.

დედასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა, რადგან სახლში ის იყო დედა და არა ქართული კინოს ვარსკვლავი – სადილსაც ამზადებდა, აქმევდა, უვლიდა, ბარათებით რაღაცას შოულობდა, უმამო ბიჭებს მამის საზომით ზრდიდა. ხშირად ნატო გაჩინადის შვილობა ნამდვილი წამება ხდებოდა — ისე იქცეოდა, როგორც ყველა ბავშვი, მასწავლებლები კი – შენ იმიტომ იქცევი ასე, ნატოს შვილი რომ ხარო. „არადა, არასოდეს მისარგებლია ამით, პირიქით. 1940 წელს სკოლაში წავედი და დაიწყო კიდეც ომი. გარკვეული პიგიენური მოსაზრებით ყველას თავს გვპარსავდნენ და ალარაფერი ესთეტური ჩემში არ რჩებოდა – გადახოტრილი თავი, გამოვარდნილი ყურები. როცა ქუჩაში მივდიოდით, დედას აჩერებდნენ და მეც თავზე ხელს მისვამდნენ – რა კარგი ბავშვია, ამაზე ვგიუდებოდი, ხო ვიცოდი, როგორიც ვიყავი. ერთხელაც, დედას ვუთხარი – მე მივდივარ ათი





6 ნლის ელდარ გახელაკა



ნაფო ვაჩაძე, ნიკოლოზ გახელაკა

ნაბიჯით წინ, ან ათი ნაბიჯით უკან, შენ იარე, ილაპარაკე, მე მოგდევ, ოლონდ შენს გვერდით არ ვიქნები. ასე დავდოლდით, ერთად რომ არავის ვენახეთ“.

როცა მოსკოვში წავიდა, ქართული მოთხოვნა – იცხოვრონ საზოგადოების სურვილების მიხედვით – აღარ უგრძნია, დოდი ქალაქი თავისი ომისშემდგომი გაჭირვებით ცხოვრობდა და მისთვის არავის ეცალა. თვითონაც გაიტაცა გარემომ – რა ტყუილად დაკარგა დრო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, როცა მეგობრების ხათრით ჩააბარა ჰიდროტექნიკურზე და სტალინურ მშენებლობებზეც კი გაპყვა ჯგუფელებს. ფოტოკოლაჟებით აწყობილი პირველი ნამუშევარი დომოდედოვნოს აეროპორტზე გააკეთა – მაშინ ყველანაირი „ექშენი“ აეროპორტში ხდებოდა, მოსკოვიდან გაპქონდათ ტანსაცმელი, ჭურჭელი, ჭაღები, ეს ყველაფერი ფოტოებზე აღბეჭდა და ბოლო კადრი – მიფრინავს თვეთმფრინავი – კარგა ხასს იყო გამოფენილი ვგიკ-ის ფონებში.


სცენარი, რომელიც „მოსფილმს“ უნდა გადაელო, იმდენად საშინელი აღმოჩნდა, რომ ხელი არავინ მოჰკიდა. პედაგოგმა მთელი ჯგუფი შეაგულიანა – თუ რეზისორები ხართ, ყველას დაუმტკიცეთ და დაწუნებული სცენარის მიხედვით გადაიღეთ სადიპლომო ფილმი. საერთო საცხოვრებლის მე-

გობართან, ალექსეი სახაროვთან ერთად გადაღებული სურათი დიდი ვერაფერი გამოვიდა, მაგრამ დიპლომი აიღო და თბილისში დაბრუნდა.

წერა ლექსებით დაიწყო. ერთი პერიოდი სერგო ზაქარიაძე სკოლებში დადიოდა და კლასიკას კითხულობდა. იმდროინდელი მიმართვის ფორმით „ამანაგი სერგო!“ წაკითხულმა ვაჟა-ფშაველამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დედას უთხრა, ლექსი დავწერე და უნდა წაგიკითხოო. დედამ თავის პატარა ოთახში შეიყვანა, ყურადღებით მოუსმინა და დიდი პაუზის მერე უთხრა – ეს აღარ გააკეთო, შენი საქმე არ არისო. ამის შემდეგ მხოლოდ სცენარებს წერდა. უკვე გადაღებული პქონდა „თეთრი ქარაგანი“ (თამაზ მელიავასთან ერთად) და „მიქელა“, მაგრამ შინაგანად არეული იყო – სხვა რაღაც უნდოდა, საკუთარი, „ჩემი“. ამ ძებამი მოსკოვში წავიდა და მშობლების მეგობარს, ცნობილ რეჟისორს, ლეონიდ ტრაუბერგს მიადგა – არავის მინდა ვაწყენინ და იქნებ კარგი სცენარი მირჩითოთ. უმაღლეს სასცენარო და სარეჟისორო კურსებზე ქართველებიც სწავლობდნენ. ტრაუბერგმა – რეზო გაბრიაძის სადიპლომო წაიკითხო. ძალიან გაანამა რეზო გაბრიაძემ – სანამ „არაჩვეულებრივი გამოფენის“ 200 გვერდიანი მასალა, რომელიც გაბრიაძის, როგორც მწერლის, სცენარისტის, რეჟისორისა და

მხატვრის შთაბეჭდილებებსაც შეიცავდა, 90 გვერდამდე დაიყვანეს, სამი სცენარი დაწერეს. რეზო გაბრიაძემ ცალკეული ეპიზოდებიც კი გადაღებინა. ეს ეპიზოდები კი არა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი მასალები არ შეუნახავს – კინო ხომ გადაიღო და მორჩა, ფილმში ჩადო ყველაფერი. ისედაც, თუ რამე დუბლი ან მასალა მორჩებოდათ, ჩამოართმევდნენ, და ვერცხლად ადნობდნენ, აბა, დანაკარგი ხომ არ ექნებოდა ეკონომიურ სოციალიზმს.

„არაჩვეულებრივი გამოფენის“ სცენარმა კი ასეთი ბიუროკრატიული გზა გაიარა – სტუდიის რედაქტურა, სამხატვრო საბჭო, კულტურის განყოფილება, მოსკოვში – რედაქტორი, რედაქტორთა საბჭო, მინისტრის მოადგილე, მინისტრი. ფილმის განხილვისას კი გურამ ასათიანმა მწარედ გააკრიტიკა. შინაგანად კრიტიკას არ დაეთანხმა, მაგრამ არ წყენია, სამაგიეროდ, ძალიან გაიხარა, როცა დიდი ხნის მერე გურამმა დაურეკა და უთხრა – მაშინ ვერ მივხვდი ფილმს, ახლა რომ ვნახე, ძალიან მომენტა და მისი ფასიც გავიგეო. ტრავიკომიკურობის, ლიმილისა და სევდის საწყისები სხვადასხვა დოზითა მის ფილმებში, მაგრამ როგორ აღიქვამს ამას მაყურებელი, ეს უკვე მაყურებლის საქმეა. მაყურებლის ბუნების ასახსნელად ასეთ ამბავს იხსენებს – ერთხელ, ერთმა კინონამყვანმა



გადაღების ფროს

„არაჩვეულებრივი გამოფენის“ გადაღების ფროს,
შესაბამის დროის მოწყვეტილებაზე

ჩაპლინის ფილმი აჩვენა და მოაყოლა – ორი წერილი მიეკიდე, ერთი მწერს – იმდენი ვიცინე, ნახევარი ფილმი ვერ გავიგე და იქნებ კიდევ გაუშვათო. მეორე მწერს – რაზე კარგავთ დროს, ადამიანს, რომელიც ელემენტარულ სამუშაოს ვერ ასრულებს (ჩაპლინი რეკვიზიტორს თამაშობდა), რატომ აჩვენებთ ეკრანზე. ასე რომ, მაყურებელი სხვადასხვაგვარია და რეჟისორმა წინასწარ რატომ განიცადს ის, რასაც ისედაც ვერ შევვლის.

60-იანების მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული მოვლენა იყო. „როცა ჩვენ მოვედით კინოში, ფაქტობრივად, ფორმა და შინაარსი შელახული იყო და გვინდოდა კინო მიგვებრუნებინა ეროვნულ საწყისებთან, ამის შედეგად ქართული სიტყვა დაბრუნდა კინოში“. იმდროინდელი კინოსტუდიის დირექტორმა მიხეილ კვესელავამ რედაქტურაში ისეთი მწერლები მოიყვანა, რომელთაც კომუნისტები ამრეზით უყურებდნენ – აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი... რეჟისორები და რედაქტორები ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს და იყო ერთი კამათი, გარჩევები და კრიტიკა.

„ჭკვიანი რეჟისორი ყოველთვის მწერალთან ერთად უნდა წერდეს სცენარს. საავტორო კინო იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამარც შენ უნდა დაწერო

ყველაფერი. სტილს მაინც აყალიბებს რეჟისორი, რომელიც ყველასთან თანამშრომლობს და საბოლოო ჯამშიც, ყველაფერი რეჟისორის თავში იხარშება. აბა, ისეთ ადამიანს, რომელიც თვითონ წერდა, თვითონ თამაშობდა, თვითონ ქმნიდა მუსიკას და კადრსაც თვითონ დგამდა, მარტო ჩაპლინს ვიცნობ. მასთან მონტაჟიც, როგორც ხერსი, როგორც კინოგნა, ისე მკვეთრად არაა გამოყენებული“.

ხშირად გამიგია, რომ ელდარ შენგელაის შედევრები ასეთი არ იქნებოდა, რომ არ ჰყოლოდა რეზო გაბრიაძე, რეზო ჭეიშვილი, გია ყანჩელი, ჯანო კახიძე, დიმა ერისთავი, დიმა თაყაიშვილი, ლევან პაატაშვილი და

სხვები, ვისთან ერთადაც წარმატება თითქმის ყოველთვის გარანტირებული იყო. „კი, მაგრამ, მაშინ ისინი ახალგაზრდები იყვნენ და თითქმის უცნობები. შემთხვევამ შემახვედრა გია ყანჩელთან, რომელსაც კონსტანტინე პიპინაშვილის „ზღვის შვილები“ ჰქონდა გაფორმებული. ყანჩელმა ნოდარ გაბუნიას მუსიკა მომასმენინა, ეს მუსიკა არაფერ შუაში იყო იმასთან, რაც მინდოდა, ვუთხარი – შენი მუსიკა მომასმენინე-მეთქი. ვხედავდი, რომ ეს ადამიანი ძალიან ნიჭიერია და შეუძლია ის გააკეთოს, რაც მინდა. ძალიან ვაწვალებდი. დავწერ და მიყუტან – ეგრე არ არის, ერთად ვეძებდით. გიას წამოჰყვა ჯანო კახიძე, რომელიც მარტო იმას არ შეასრულებდა, რასაც მიაწვდიდი, ის თანამონანილე ხდებოდა პროცესისა, რამაც აუცილებელი გახადა, რომ ჯანო ყოფილიყო ჩემი ფილმების დირიჟორი, უფრო მეტიც, ეს იყო გია ყანჩელის წინადადება – როცა „შერეკილები“ დაიწერა და წავიკითხეთ, რამდენიმე სცენარი გვქონდა, მაგრამ ველარ ვამთავრებდით, უკვე გაფრინდნენ და კიდევ გვინდოდა რაღაც, გიამ შემოგვთავაზა – ჯანო იყოს კომპოზიტორი, ამან ითამშა უდიდესი როლი, საქმე ისაა, რომ „შერეკილები“ არის მუსიკალური ფილმი. ასეთ ამბავსაც გეტვით – ჩემს უახლოეს მეგობრებს, მათ შორის, პროფესიონალებს ვაჩვენე

„ქინო გასილებით ახლოს არის კორზისათან, ვიღე კროზასთან, უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვყვაბით ახავას, მაგრამ თუ ის არ არის გადამოშევალი ქინოებით, მაშინ ლიტერატურის ექვანძიაცია გამოდის“.



„ექსპრეს ინფორმაციის“ გაცალავის დროს,
ოლორ ახლადისათვა ერთაც



„შერეპილების“ გაცალავის დროს, სამაფიანის გამოსცისას

დამონტაჟებული და გახმოვანებული ფილმი, ოლონდ, მუსიკის გარეშე და... არ მოეწონათ. ფილმი არ შედგაო – მითხრეს. ვეუპნებოდი, აქ ასეთი მუსიკა იქნება, იქ ისეთი. ეს იყო ჩემი შეცდომა – მუსიკის ნარმოდგენა შეუძლებელია, მუსიკა არის ღვთაებრივი ხელოვნება, რომელიც მაშინ შეიძლება აღიქვა, როცა უსმერ. ფილმი ბოლომდე გავაჩერეთ და ყველანი დავპატიუე პრემიერაზე, გაოგნებულები დარჩენ – ეს სხვა სურათიაო, მითხრეს. არადა, სურათი იყო იგივე“.

ერთი პერიოდი კინომ უარი თქვა მსახიობზე და ტიპაჟების ძებნა დაწყო. თვითონაც ეძებდა ტიპაჟს, ოლონდ, ნიჭიერს და ბუნებრივს. ასე აღმოჩნდა „არაჩეულებრივ გამოფენასა“ (თამადა) და „ცისფერ მთებში“ (ვაჟა ზაზაევიჩი) თემიკე ჩირგაძე, ექიმი, მაგრამ ნიჭიერი მსახიობი. ზოგი საკუთარ თაგა თამაშობდა და ასეთ დროს პირდაპირ მსახიობისთვის იწერებოდა სცენარი – სწორედ ვასილ ჩხაიძისთვის დაიწერა პიპინია ერისთავის („არაჩეულებრივი გამოფენა“) და ქრისტეფორე მგალობლიშვილის („შერეპილები“) როლები.

„კინო ხომ თეატრი არ არის, აქ ხომ რამპა არ არსებობს, მკუეთრი გრიმის გავაჩერება არ შეიძლება, კამერა მოდის და იღებს თვალებს, ნაკეთებს, დეტალებს, ამიტომ ამ თვალთან ურთიერთობა სხვანაირად არის საჭირო. არის საჭირო.

თანაც, კინო გაცილებით ახლოს არის პოეზიასთან, ვიდრე პროზასთან, უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვყვებით ამბავს, მაგრამ თუ ის არ არის გადმოცემული კინოენით, მაშინ ლიტერატურის ეკრანზაცია გამოდის“.

თუკი ხელოვანის ბიოგრაფია რაღაცით მაინც ირკელება მის შემოქმედებაში, „არაჩეულებრივი გამოფენა“ და „ცისფერი მთებში“ მისი ბიოგრაფიის ნაწილია, აგული ერისთავი კი იმ თაობის სახე, რომლის შემოქმედებაც სასაფლაოზე აღმოჩნდება.

„ვგრძნობდი, რომ ვითარებაში, რომელშიც ვცხოვრობდით, იმას ვერ გავაკეთებდით, რაც გვინდოდა, ვერ მივაღწევდით იმ პიქს, რომელშიც გამოიხატებოდა იგივე თავისუფლება, ანდა სხვა კატეგორია ჭეშმარიტებისა“. სრულიად გულწრფელად ამბობს, რომ დიდი რეჟისორი არ არის, „ჩევეულებრივი, პროფესიონალი რეჟისორია“ (ვინ დაიჯერებს, ახლა, ამას?!) – ქ.ს.) და ყველა რეჟისორი უნდა ფიქრობდეს, რომ განსჯა მაყურებლის და პროფესიონალების საქმეა, რეჟისორის საქმე კი შექმნაა.

„არაჩეულებრივი გამოფენის“, „შერეპილების“, „სამანიშვილის დედინაცვლისა“ და „ცისფერი მთების“ მიმართ დაუკავშიროვილებლობის და დაუმთავრებლობის შეგრძნება არა აქვს, რაც შეეხება „ექსპრეს-ინფორ-

მაციას“, ეს ფილმი დღემდე ტანჯავს. სცენარი თავიდანვე არ მოეწონა და უთხრა კიდეც რეზო ჭეშვილს, შემოქმედებით გაერთიანებაშიც სთხოვა მეგობრებს, ნუ მიიღებდნენ სცენარს, მაგრამ მაინც მიიღეს. მერე მონტაჟი ველარ დაამთავრა – 90-იანი წლებია, დემონსტრაციები, შეტაკებები, უშუქება. სამონტაჟოდან დაურეკავენ – მოდი, სინათლე მოვიდაო. მიდს და შექი ქრება. ისედაც, თავისუფლების უზარმაზარი ხარისხი წინა ფილმებში და უცბად, ასეთი რეალისტური, იგავისგან დაცლილი და პოლიტიკით გაჯერებული ფილმი – წამოძახებები ბუნებრივია იქნებოდა და თავიდან განიცდიდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ წამოძახებებიც ისეთივე უსაფუძვლო და ამორფული იყო, როგორც თავად საზოგადოება, რომელიც იმაშიც კი ვერ გაერკა, რა უნდოდა და რისკენ მიისწრაფოდა. ფილმის გადაღებასაც რა აზრი ჰქონდა: „ჯერ იყო ედისონი და მერე გამოიგონეს კინო, სხვანაირად არ გამოდის ეს ამბავი. როცა არ არის სინათლე, რა უნდა გადაიღო, როგორ უნდა გადაიღო, ვისთვის უნდა გადაიღო?!“ პოლიტიკა ედისონისა და ზოგადად, სინათლის გარეშეც იოლად გადიოდა ფონს და ამიტომაც არ დაჰკლებია ბრალდება პირველი პრეზიდენტისგან – ელდარ შენგელაიამ და ნოდარ ნათაძემ ბაზრობაზე მანქანის მაგნიტოფონები მოიპარეს, რომ



„შარავალაზიდან“ ამფილი ვაიზოდური როლი



„სისფერი მთაბის“ გადალაბის დროს თამაკო ჩირჩაძესთან ერთად

გამოაცხადა! დევნა – კვერცხებით შეიარაღებული პოლიტაქტივისტი ქალბატონებისაგან შეძახილით – მოლალატე! მოლალატეეე!! ისტერიული ლანდღვა-დანამუსება ტელეჟურნალისტებისაგან – გრცხვენოდეთ, ბატონო ელდარ! თუ კომკავშირელი მედროვის ბრალდება – ელდარ შენგელაია მედროვეაო! შესაძლოა, ეს ყველაფერი სხვისთვის ინფარქტის საფუძველიც გამხდარიყო, მაგრამ ითმენდა. ეტყობა, განგება უფრო დიდი ტკივილისა და სხვა სილრმეებში შესვლისათვის ამზადებდა.

პოლიტიკაში გატარებული დრო დაკარგული რომ იყო და ამ საზოგადოებას ვერაფრით შეცვლიდა, მოგვიანებით მიხვდა. ვარდების რევოლუციის მერე აპირებდა კიდეც კანოს დაბრუნებიდა – 60 წლის კაცს ჯერ კიდევ პეტრიდა ენერგია და ძალა შემოქმედებითი ჯგუფი რომ დაექოქა, ჯერ კიდევ შორს იყო უბედურება, რომელიც ყველა სურვილს გაუქრობდა, მაგრამ ზურაბ ჭავანისათან მეგობრობდა და ისიც არ ეშვებოდა – კიდევ ერთხელ იყავი დეპუტატიო – ვერ უთხრა უარი.

პოლიტიკაში გატარებული 20 წელი კინოსთვის მართლაც დაკარგული აღმოჩნდა, მაგრამ 1989 წელს მოსკოვში რომ არ ეზინა და 9 აპრილს რესის ჯარის მიერ მშვიდობიანი მომიტინგების დარბევის კადრები გორბაჩივის-

თვის საქვეყნოდ არ დაედო მაგიდაზე, ვერავინ გაიგებდა, სინამდვილეში რა მოხდა თბილისში. თავად ცენზურა-გამოვლილს რომ არ ეაქტიურა, ვინ იცის, რა ფორმულირებას მიიღებდა კონსტიტუციის ის მუხლი, სადაც ჩაიწერა, რომ ხელოვნებაში ცენზურა დაუშვებელია. ახლა შორსაა და ამიტომაც, იოლად ალსაქმული გვერგვება 80-90-იანი წლები – როგორც კი ამ თემებზე ეკითხები, პასუხი ერთია – „ისევ პოლიტიკაში მიგყავარ, არ მინდა, რა!“

ბიძამისი, გიორგი შენგელაია ფსიქიატრი იყო, მაგრამ ოჯახის თხოვნით ელდარის დაბადების პროცესს დასწრებია. როცა სამშობიაროდან გამოსულა, მამისთვის უხარებია –

ძალიან ჭკვიანი ბიჭი გაგიჩნდა, სულ იფურთხებაო. ნიკოლოზ შენგელაია გაოცებულა – კი, მაგრამ, მაგას ჭკუასთან რა საერთო აქვსო? ხვდება, როგორ ქვეყანაში მოუწევს ცხოვრებაო – უპასუხია ბიძას.

1984-ში გადალებულ „ცისფერ მთებში“ ყველაფერი რომ ინგრევა და იშლება, ამას ხელოვანი გრძნობს და აფრთხილებს საზოგადოებას, მაგრამ საზოგადოება იღებს და ხვდება ამას? მოკლედ, აღარ უნდა იმ ამბეჭთან მიბრუნება.

პოლიტიკის მსგავსად, ამორფული დროება კინოკავშირსაც მიწვდა. 1999-ში კინემატოგრაფისტებმა საბაზრო ეკონომიკის ფეხის აწყობა მოინდომეს და კინოს სახლში ინვესტორის შემოყვნა გადაწყვიტეს. კინოკავშირის თავმჯდომარე თავიდან უარზე იყო, მაგრამ ინვესტორის მომხრებმა ლამის მანიფესტაცია მოუწყევს და დიდი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ინვესტორმა კი ოცნების კოშკები ააგო, კინოს სახლის დიდი დარბაზი დაანგრია და იქ კაზინოს გახსნა გადაწყვიტა. იმ დროს, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ელდარ შენგელაიას კაზინოზე ჭორაობდა. „მე იმდენი შეხება მქონდა მაგ კაზინოსთან, რამდენიც მთვარესთან. ინვესტორებმა რასაც ხელი მოკიდეს, ყველაფერი გაანადგურეს, კაზინომ მხოლოდ 4 თვე იმუშავა, თუმე, არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ, უბრალოდ,

„კარ იყო ელისონი და მარე გამოიგონეს კინო, სევანაირად არ გამოდის ეს ამბავი. როცა არ არის სინათლე, რა უნდა გადაიღო, როცა არ არის სინათლე, რა უნდა გადაიღო, როცა უნდა გადაიღო, როცა უნდა გადაიღო?!“

ისტორია



აოლიტიკაში ყოფილი პირობები



მინაშვილთან ერთად

ფული უნდოდათ. დარჩა დანგრეული სახლი. ბოლოს გამოგვიცხადეს, თქვენი ინვესტიციები აღარ ვართო. იმის მერე ვიბრძვით, რომ რამე გავაკეთოთ“. კინოკავშირის თავმჯდომარეობას (1976 წლიდან დღემდე) თითქოს უნდა წარმომა გადაღებებისთვის განკუთვნილი დრო, მაგრამ ფილმებსაც იღებდა და კინოს სახლიც ყველაზე თავისუფალი სივრცე იყო მაშინ-დელ ჩატვირტილ გარემოში.

„ჩემი ხასიათით მარტო საჩემო საქმებზე არ ვფიქრობ ხოლმე, საზოგადოებრივი საწყისი ბუნებრივად მაქს. ყოველთვის განწყობილი ვიყავი მეგობრობისათვის და კინოკავშირი ჩემთვის იყო საშუალება მეგობრებისა და ნიჭიერი ადამიანების სახით დაცხ-მარებოდი ქართულ კინოს“. 70-იანი წლების ბოლოს სერგო ფარაჯანოვის დაბრუნება კინოში კინოკავშირის და-მსახურება იყოო — ასე ამბობს (სა-ერთოდ, იშვიათად იყენებს სიტყვას „მე“), მაგრამ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როცა ფარაჯანოვი უკრაინი-დან ჩამოასახლეს და არანაირ სამსახურს არ გააკარეს, სახლში მიაკითხა და კოლაჟების გამოფენა შესთავაზა, თუმცა ისიც იცოდა, დიდ რისკზე რომ მიდიოდა. „ყველა ორგანიზაციას და, მათ შორის, კინოკავშირსაც „სუკიდან“ ჰყავდა მიმაგრებული ადამიანი. ქალა-ქმი ხმა გავარდა, რომ კინოკავშირში ისხნება სერგოს გამოფენა და გამო-

მეცხადა ეს კაცი. რატომ არაფერი გვეითხეთო — მისაყვედურა. თქვენი არც სახელი ვიცი, არც გვარი და არც ტელეფონი-მეთქი. მერე, ჩვენს მოძებნას რა უნდოდაო — გაიკვირვა. უკვე მთელმა ქალაქმა იცის და გამოფენას ვეღარ მოვასნით-მეთქი. მაშინ, როცა ყველა სურათს დაკიდებთ, წინასწარ ვნახავთ და შეიძლება ზოგიერთები ჩამოვხსნათო. რა ძალა გვქონდა?! იქამდე, ერთ დღესაც, სერგოსთან ავედი სახლში და მეუბნება — ლენინის ისეთი კოლაჟები გავაკეთე, გაგიჯდებიო. შენ, რა, მაგათი გულის მოგება გინდა-მეთქი? რას ლაპარაკობ, ისეთი კოლაჟები გამოიდა, პირდაპირ საოცრებააო. როცა სურათებს ვკიდებ-დით, ვიფიქრეთ, ასე დაგვეწყო — ჯერ ნეიტრალური კოლაჟები — ყვავილებითა და ანგელოზებით, მერე ლენინი და ბოლოს უკრაინის საპყრობილე-ში გაკეთებული ნახატები „ზეკებზე“. ვფიქრობდით, ლენინი თუ მოეწონებოდათ, „ზეკებიც“ რაღაცნაირად გა-ძერებოდა, მაგრამ მაინც გვეშინოდა, რომ ჩამოგვიხსნიდნენ. ყვავილების და ანგელოზების თითო სურათს ისე დიდხანს და დაკვირვებით უყურებდნენ, ვიფიქრე, მთელი დღე აქა ვართ-მეთქი. როცა ლენინს მიუახლოვდნენ, გაქვავდნენ. იდგნენ და იდგნენ. მერე ერთმა, ალბათ, უფროსმა, მითხრა — ლენინი მოხსენით და დანარჩენი და-ტოვეთო. გახარებული გავვარდი სერ-

გოსთან, გადაირია — არავითარ შემთხვევაში, ეს ჩემი ყველაზე კარგი ნაშენებრივია. მერე სხვებიც დაელაპარაკენ, ძლიერ დავითანხმეთ და მხოლოდ ამის მერე გადმოვასვენეთ ლენინი მის სახლში“. ეს ისტორია ყველაზე უკეთ გამოხატავს იმდროინდელი ხელოვნების მდგომარეობასაც და შესაძლებლობებსაც.

ხელოვნებას რომ ადამიანის შეცვლა შეუძლია, ამის ილუზია არასოდეს ჰქონია, მაგრამ გარკვეული ზემოქმედება რომ შეუძლია, ეს იცის — უფრო იცვლება ის ადამიანი, რომლისთვისაც ხელოვნება ფასეულობაა, რომლის გარეშეც ის ვერ იცხოვრებს და ეცვლება ისინი, რომელთაც „ერთი წიგნიც კი არ გადაუშლიათ“ და ამის გამო ცხოვრებს დიდი საიდუმლოს ახსნას, რაც მთავარია, თავისუფლების შეგრძნებას კარგავენ. ადამიანი რომ თავისუფლებისთვისა გაჩენილი, უმეტესობას წიგნებისა და ფილმების თემა ჰქონია. შესაძლოა, ცხოვრებში მართლაც იშვიათია თავისუფლების ის ხარისხი, რომლითაც სავსეა მისი ფილმები. „თავისუფლების არსის ასახსნელად აქ ახლა მერაბ მამარდაშვილი უნდა იჯდეს. თავისუფლება რა არის — ამას ჩვენი საზოგადოება 20 წელია არკვევს და ვერ გაარკვია. თავისუფლება შედარებითა — გარემოსთან მიმართებაში ხარ თავისუფალი თუ შენს თავთან, სხვადასხვაა. როგორ შეიძლება მონა-



კალივილთან, ელემენტთან ერთად

ხო თავისუფლება, ეს ძალიან რთული პროცესია. ადამიანი ხომ ბავშვობიდან თავისუფლად არ იზრდება, პატარა უფროსს ბააგვა და საღლაც იწყება გარდამტები პერიოდი, სწორედ ეს არის თავის უფლების მონახვა, რომელიც ხან ცუდი ფორმით ვლინდება, ხან კარგით, მაგრამ აუცილებელია. გარდატების პროცესია ადამიანში სულ მიმდინარეობს, ზოგი ბოლომდე მონად რჩება და ცდილობს, სხვას წააბამოს, ზოგი თავისას ექებს, მე მგონი, ვინც ექებს, ის იძენს თავისუფლებას და როგორც ჭეშმარიტების მოქებნაა ძნელი, ისევე ძნელია თავისუფლების მიღწევა“.

ჭეშმარიტებისა და თავისუფლების ძიებას რელიგია მაშინ დაემატა, როცა ელენე წავიდა... „რელიგიამ გამათავისუფლა ცხოვრების მატერიალური შეგრძენებისგან. აბსოლუტურად მჯერა, რომ აქაურობა მართლაც წუთისოფელია და ის სოფელი სულ სხვაა. როცა დედაჩემი გარდაიცვალა, მჯეროდა, რომ აუცილებლად შევხვდები დედას, ასევე მჯერა, რომ აუცილებლად შევხვდები ჩემს შვილს, რადგან ეს არის გარდაცვალება და არა სიკვდილი, ეს არის სხვა სახე ცხოვრებისა“. მოძღვარი ეუბნება, რომ ყველაფერი, მათ შორის, დიდი ტრაგედიაც, ღვთის ნებაა. თითქოს ეთანხმება ამ აზრს, მაგრამ ისიც იცის, რომ ღმერთმა ადამიანი დააჯილდოვა გონებით და ფიქრის გასაცარი უნარით, ფიქრის

და გონების წყალობით კი მუდმივად ჩნდება კითხვები. „მე ბევრს ვცოდავდი, ამიტომ მონანიების პროცესი სულ მიმდინარეობს ჩემში. არ ვიცი, ღმერთი მაპატიებს თუ არა, მაგრამ გულით ვინანიებ იმას, რაც ჩავიდინე. ვფიქრობ, რომ შვილის ტრაგედიაში მეც ვარ დამანაშავე, ვიცოდი მისი შესაძლებლობები და მანქანაზე არ უნდა დამესვა, ვუთხარი კიდეც, მაგრამ ვერ შევერწინაალმდეგე და ჩავიდინე ცოდვა. სიმართლე რომ გითხრათ, ახალგაზრდობაში ძნელია ფიქრი სიკვდილზე, ახლა ამაზე აბსოლუტურად არანაირი რეაქცია არა მაქვს. შემოვიდეს ახლავე, ჩავეხუტები.“

„კინო ხომ თეატრი არ არის, აქ ხომ რამპა არ არსებობს, მაგრამ გრიმის გაკეთრი გრიმის გაკეთება არ შეიძლება, კამირა მოღის და იღებს თვალებს, ნაკვთებს, დეფალებს, ამიტომ ამ თვალთან ურთიერთობა სხვანაირად არის საჭირო.«

ადრე შევეხე გარდაცვალებას, 9 წლისას მამა გარდამეცვალა, მერე ბებია, დედა, მეგობრები, ახლობლები. ახლა, გარდაცვლილთა ლოცვას რომ ვკითხულობ, ჩემი შვილით ვიწყებ, მერე მშიბლები, ახლობლები, მეგობრები და აღარ თავდება ეს სახელები. მამა გარდაიცვალა 42 წლის, მაშინ მეგონა ხანშიშესული ადამიანი, თურმე მხოლოდ იწყებდა ცხოვრებას, მაგრამ ამაშიც არის გამართლება – ჯერ მამა, მერე შვილი. ვერავინ გაუგებს იმ მშიბლებს, რომელთაც დაკარგეს შვილი, ეს არის აბსოლუტურად სხვა რაღაც. ძალიან გული მტკიცა, როცა ადამიანი თავს არ უფრთხოლდება. ყველა ადამიანში არის რაღაც ჩადებული, რაც მხოლოდ მან უნდა აღმოაჩინოს. მარტო იმისთვის ხომ არა ვართ გაჩენილი, ბიოლოგიურად ვიცხოვოთ და წავიდეთ. უფალმა მოგვცა გონი – ეს არის უდიდესი რაღაც. ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით – რა არის ხილული და რა უხილავი, მაგრამ ის, რაც ხილულია, რაც შენს ხელშია, ასეთი საჩუქარი მოგეცა და ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ ცხოვრება გაუსაძლისი გახდეს?!

სიყვარულით, აღმოჩენებით და იმით, რაც ღმერთმა მისცა – მხოლოდ ამისთვის უნდა იცხოვროს ადამიანმა“.

– აღარ ფიქრობთ კინოზე?!

– კინოზე ვფიქრობ, როგორც კინოზე, მაგრამ რაც შევეხება გადადებას, აღბათ... აღბათ... ეს აღარ მოხდება.

ზაზა კოკაინი

სასწაულებრივი უჯრედები

ავტორი ეკა ჭითანავა
ფოტო: ზაზა კოკაინის აირალი არქივი

რა ამღერებთ ჩიტებს? როგორ სწაულობენ ჭიკჭიკს და იმახსოვრებენ ერთსა და იმავე მელოდიას – ამ თავსატეხის ამოხსნით არგენტინელმა მეცნიერმა ფერნანდო ნოტებომმა ფუნდამენტურად შეცვალა წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ მუშაობს ტვინი.

ჩიტებზე დაკვირვების სიყვარული ნოტებომს ბავშვობიდან გამოჰყავა. გაზაფხულის ერთ მზიან დღეს, ბუნებაში ხანგრძლივი სეირონბის შემდეგ, ნოტებომმა დაასკვნა, რომ ზოგი ჩიტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთნაირ ხმას გამოსცემს – ერთნაირად ჭიკჭიკებს ან გალობს. მელოდია არ იცვლება. აი, კანარის ჩიტები კი სულ სხვანაირები არიან. ეს ჩიტები საშუალოდ ათ წელიწადს ცოცხლობენ და თავიანთ რეპერტუარს სეზონურად, ბუმბულივით იცვლიან.


როთ გამოირჩევიან კანარის ჩიტები? იქნებ ახალ მელოდიას იმიტომ სწაულობენ, რომ მეხსიერებასთან დაკავშირებული ტვინის უჯრედები ახლდება?

ნოტებომს, რომელიც ძალიან ხშირად ფიქრობდა ხოლმე კანარის ჩიტების უცნაურობაზე, ეს იდეა, შხაპის ქვეშ, მოულოდნელად დაატყვდა თავს, „ევრიკაც“ კი შესძახა, აბაზანიდან გამოვარდა და ნაფიქრი ცოლს გაუზიარა. „თუკი ეს მართალია, მაშინ ტვინში უჯრედები ყოველდღიურად კვდება და იბადება! – ჰყვებოდა აღტაცებული

ნოტებომი, – ამით ხომ არ აიხსნება ის, რომ ზოგი ჩიტი სწაულობს ახალ მელოდიას და ძველს ივინუბს? იქნებ ძველი მოვონებებით სავსე ნეირონებს ამ ჩიტების ტვინში ახალი უჯრედები ანაცვლებს?

როცა ფერნანდომ თავისი აღმოჩენა ცოლისა და ახლო კოლეგების გარდა, ფართო სამეცნიერო წრეებსაც გააცნო, გიუად ჩათვალეს. „იმის წარმოდგენა, რომ ათასობით ახალ ნეირონს იმავე ადგილას ძველი ნეირონების ჩანაცვლება შეუძლია, დაახლოებით იმას ჰგავს, Empire State Building-ს ორი სართული რომ გამოვაცალოთ, და გამორღვეული ნაწილი აგურ-აგურ ისე ამოვაესოთ, შენობას არაფერი დაეტყოს“, – ამბობდა ნოტებომის ერთ-ერთი ოპონენტი, იელის უნივერსიტეტის ნეირობიოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, პასკო რაკიჩი.

ნოტებომის ეს აღმოჩენა 1990-იან წლებში სხვა მეცნიერებმა განავითარეს და ტვინის მთავარი უჯრედების – ნეირონების განახლების საკითხი მუძუმნოვრებშიც შეისწავლეს. ამ სრულიად ახალ ფენომენს მეცნიერებმა ნეიროგენეზი უწოდეს. ტვინში უჯრედების განახლების თეორიამ ისეთი მძიმე დაავადებების განკურნების შანსი გააჩინა, როგორიცაა პარკინსონი, ზურგის ტვინის დაზიანებები, ტვინის ინსულტი და ალცენიომერი.



მანამდე, ამ დაავადებების მქონე პაციენტები უიმედოდ ითვლებოდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ, კლასიკური ნეირომეცნიერების წარმოდგენით, ადამიანი გარკვეული რაოდენობის ნეირონებით იბადება, ეს ნეირონები დროთა განმავლობაში კვდება და აღარასდროს აღდგება.

ამ დოგმის ჭეშმარიტებაში ნოტებომა მდევ ჯოზეფ ალტმანმა შეიტანა ეჭვი. 1965 წელს აღტმანმა თქვა, რომ კა-



ზაზა კოპაია, ლუნდის უნივერსიტეტის, ნორვეგი ლინგვისტი უარებების ლაბორატორიის ხალხლანის ლუნდი 2012

ტების, ვირთხებისა და ზღვის გოჭების ზრდასრულ ტვინში ახალი ნეირონები წარმოქმნება, ანუ ტვინს აქვს თვით-განახლების უნარი. მაშინ ალტმანის სამეცნიერო ნაშრომისთვის ყურადღე-ბა დიდად არავის მიუქცევია, და ეს თეორიაც მალე დაივინებეს. ნოტებომის აღმოჩნდისა და მის შემდეგ ჩატარებული კვლევების დამსახურებით კი, მეცნიერებამ ნეიროგენეზი საბოლოოდ აღიარა.

...
რამდენიმე წლის წინ ნოტებომი შვე-დეთში, ლუნდის უნივერსიტეტის სა-მეცნიერო ლაბორატორიას სტუმრო-ბდა. ეს მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო: ნოტებომმა მაშინ პირადად გაიცნო მეცნიერები, ულე ლინდვალი და ზაზა კოპაია, რომლებმაც 2002 წელს, ვირ-თაგვებზე ექსპერიმენტის შედეგად, მანამდე მეცნიერებისთვის უცნობი ფენომენი აღმოაჩინეს: ნეიროგენ-

ზი შეიძლება ტვინის ინსულტმაც გა-მოიწვიოს და ტვინის დაზიანებულ უბანში ახალი ნეირონების დაბადებამ პაციენტის განკურნების შანსი ერთიო-რად გაზარდოს.

ინსულტი ყველაზე ხშირად ხანშიშე-სულ, 60-70 წლის ადამიანებს ემართება და ტვინის გარკვეულ უბნებს აზიანებს. ინსულტს მოჰყვება დამბლა ან მეტყვე-ლების პრობლემები, იმისდა მიხედვით, ტვინში რომელი ადგილი დაზიანდა.

ლუნდში ჩატარებული ცდების შემდეგ კი, აღმოჩნდა, რომ ინსულტის დროს, ვირთაგვების ტვინში უცნაური მოვლენა ხდება: იბადება ახალი ნერვული უჯრედები იმ უბნებში, სადაც ჩვეულებრივ, ჯანმრთელ მდგომარეობაში არცერთ გამოწვევა არ გვხვდება. ეს კი ფაქტობრივად ნიშნავს, რომ ტვინის უჯრედების კვდომის პარალელურად ვე ჩინდება მათი აღდგენის შანსი...

ამ აღმოჩენის შესახებ სტატია 2002-შივე, პრესტიულ სამეცნიერო ჟურნალ Nature Medicine-ში გამოქვეყნდა. პუბლიკაციას ღუნდის უნივერსიტეტის პროფესორები, ულე ლინდფალი და ზაზა კოკაია აწერდნენ ხელს.

„მთელი რესურსი ამ პროექტში ჩა-
ვდეთ, ჩვენი შესაძლებლობების მაქსი-
მუმი გავაკეთოთ, თითქმის ნახევარი
წელი, დღე და დღამე გმეშაობდით, რომ
ნაშრომი უმოკლეს დროში დაგვემთა-
ვრებინა“, – მიყვება ზაზა კოკაია, რო-
მელიც ლუნდის უნივერსიტეტში ითხ-
მოცდაათიანი წლებიდან მუშაობს და
დღეს იქ ღეროვანი უჯრედების ცენ-
ტრს ხელმძღვანელობს.

ათი წლის წინ უღებელი და ზაზა ერთ კონკრეტულ საკითხს – ვირთაგვებში ტვინის ინსულტს სწავლობდნენ. ამ მდგომარეობას ცხოველებში სისხლ-ძარღვების გადაკვანძით, ხელოვნურად იწვევდნენ და შემდეგ ვირთაგვების ტვინში მომზღდარ ცვლილებებს აკვირდებოდნენ. მეცნიერებს აინტერესებდათ, რა ემართება ნეირონებს ტვინის უბანში ინსულტის დროს, რომელსაც ზღვის ცხენის ფორმა აქვს და მოკლევადიან მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. ამ ადგილს „ჰიპოკამპი“ ჰქონდა.

ზაზამ და ულემ ნახეს, რომ ინსულ-ტისას ჰიპოკამპი ახალი ნეირონები იბადება, მაგრამ მცირე რაოდენობით. შემდეგ, ერთ-ერთი დისკუსიის დროს, დოქტორანტ ანდრიას არვიდსონს და-ავალეს, ჰიპოკამპის გარდა, ყოველი შემთხვევისთვის ენახა, რა ხდებოდა უშუალოდ ინსულტით დაზიანებულ უპანში.

ანდრიასმა ექსპერიმენტში ახლად
დაბადებული ნეირონების შესაღებად,
სპეციალური მარკერები გამოიყენა.
ესაა ნივთიერება, რომელიც ტვინის
უჯრედში დაყოფამდე შეკუპავთ. თუკი

უჯრედი გაყოფას განაგრძობს, ამ მარკერით იქნება „მონიშნული“ ყველა ის უჯრედი, რომელიც საწყისი უჯრედებისგან წარმოიქმნება.

„რამდენიმე დღეში ანდრეასი შემო-
ვიდა ჩემს ოთახში და მითხრა, რომ
ტვინში რაღაც უჩვეულო ხდებოდა.
როცა თავად ჩავიხედე მიკროსკოპში,
თვალებს ვერ დაუჟერე - დაზიანე-
ბული ტვინის უბანი სასახ იყო ახალ-
გაზრდა ნეიროინებით, რაც არანაირ
ლოგიკაში არ ჯდებოდა და მსგავ-

დები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მოძრაობენ ყნოსვის ორგანოსკენ. ზაზამ და ულემ კი ამ ექსპერიმენტით დაადგინეს, რომ ინ-სულტის დროს, ეს უჯრედები ყნოსვის პოლქვისაცვლად, მოძრაობას იწყებს დაზიანებული უბნისკენ, მაღალე-ვენ უშუალოდ დაზიანების ადგილს და იქ ჩამოყალიბდებიან ახალ ნეირონებად. ესე იგი, ტვინში მკვდარი ნერვული ქსოვილი აღდგება.

თანამედროვე მეცნიერებს შორის
მასაფრი კონკურენციაა. ულე და ზაზა
შიშობდნენ, რომ პლანეტის სხვა ნა-
წილში, შეიძლება სხვა მეცნიერებმაც
აღმოაჩინეს ზუსტად იგივე ფენომენი.
ამიტომ უნდა ექიქარათ...

ზაზას და ულეს სტატიის გამო-
ქვეყნებიდან რამდენიმე თვეში უკვე
ამერიკელებმაც გამოაქვეყნეს მსგა-
ვსი მონაცემები, მაგრამ – შედარე-
ბით დაბალი რეატინგის სამეცნიერო
ჟურნალში. ლუნდის უნივერსიტეტის
მკულეორებმა კი შევებით ამოისუნთქეს
– ჯერ ერთი, დაასწრეს თავიანთ
კონკურენტებს, რომელთა არსე-
ბობასაც ვარაუდობდნენ, მაგრამ არ
იფოდდნენ, ვინ იყვნენ ისინი და, გარდა
ამისა, ამერიკელების პუბლიკაციით,
საკუთარი აღმოჩენის სისწორეც დაა-
დასტურეს.

„როცა სრულიად ახალ მოვლენას აღწერ, გულის სიღრმეში ყოველთვის ეჭვი გძრდნის, ვაითუ რამე შემეშელა და არტეფაქტთან გვაქვს საქმე? ამე-რიკელების ნაშრომმა კი ეს ეჭვი გა-გვიქრო. ამ ისტორიამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მეცნიერებაში აღლო და შემთხვევითობა ძალიან მნიშვნე-

ლოვანია. ზოგჯერ უნდა გარისკო, შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთო და წარმატების შანსიც გაიზრდება“, – მეუპნება ზაზა და შემდეგ, ჩვენი საუბრებისას, რამდენჯერმე ახსენებს, რომ მისი ცხოვრებისეული დევიზი, ერთი კლიშეფქცეული თვითშეგონებაა – „არასდროს დაწყებდე!“ (never give up)! მერე იმასაც მეუბნება, რომ Natu-re of Medicine-ში გამოქვეყნებულ ზემოთ ხსენებულ ნაშრომს, ათასზე მეტ პუბლიკაციაში გაუკეთეს ციტირება. ვამჩრენე, რომ ეს ზაზასთვის სიამაყის საბაბაია, თუმჯა, არა მხოლოდ ზაზას-

„რამდენიმე
დღეში ადრჩასი
შემოვიდა და
მითხარა, რომ ტვილი
რატაც უჩვეულო
ხდებოდა. როცა
თავად ჩავიხდე
მიკროსკოპი,
თვალებს ვერ
დავუკარე —
დაზიანებული
ტვილის უბანი სავა
იყო ახალგაზრდა
ციიროვაზით.
მსგავსი
ფეროვანი აქამდე
არავის ჰქონდა
ალწერილი“.

სი ფენომენი აქამდე არავის ჰქონდა
აღნერილი.

იმ დღეს მე და ულემ რამდენიმე
საათი გავატარეთ მიკროსკოპთან და
დავრჩნებუნდით, რომ აქამდე უცნობ
მოვლენასთან გვქონდა საქმე – ინ-
სულტით გამოწვეული ტენის დაზია-
ნება დასაბამს აძლევდა დალუპული
ნეირონების მსგავსი უჯრედების წარ-
მოქმნას, რაც ნორმალურ, ჯანმრთელ
ტიგნში არ ხდება.“ – ჰენრი ზაზა.

საერთოდ, ვირთაგვას ტვინში არსებობს ადგილობრივი ლეროვანი უჯრე-



ზაზა კომაია, ულე ოცდევალი და ლუდის უნივერსიტეტში სტუმრად ჩასალი ნიკოლესიონი ფერნალო ნოტაროვი

თვის. კარგი ციტირების მაჩვენებელი ზოგადად ყველა მეცნიერისთვისაა იგი-ვე, რაც პოლოვუდელი რეჟისორისთვის – „ოსკარი“. ამას ჩემს ენაზე ასე ეხსნი: მიკროსკოპთან გატარებული წლების შემდეგ, როცა შეიძლება მთელი თვე ისე გავიდეს, ახალს ვერაფერს მიაგნო და ვერც კითხვებზე მიიღო პასუხი, ძალიან მნიშვნელოვანია, თუკი ექსპერიმენტს, ბოლოს და ბოლოს, წარმატებით დაასრულებ და შენს აღმოჩენას მსოფლიოს სხვებზე ადრე ამცნობ.

„თანამედროვე მეცნიერება ხშირად სპორტს ჰგავს, ნამდვილი შეჯიბრი მიდის, თუ ვინ უფრო სწრაფად შეძლებს უფრო დამაჯერებელი მონაცემების გამოქვეყნებას. ეს დაძაბულობა დიდი სტრესიცაა, თუმცა, ასე უფრო სახალისოა და საინტერესოც“, – მიდასტურებს ზაზაც.

49 წლის ზაზა კომაია წლების წინ, სკოლაში ბიოლოგიას ასწავლიდა. დღესაც დინჯი და მოწესრიგებული მასწავლებლის იერი აქვს, რომელიც მეცნიერის სტერეოტიპულ იმიჯში არ

ჯდება – არც სქელშუშასათვალიანი და მოსაწყენი ტიპია და არც მოუსვენარი და თმაგაჩერილი, ენაგამოყოფილი აინშტაინი.

ყოველი წუთი განერილი აქვს, სულ მუშაობს, საზაფხულო შვებულებაში როცა მიდის, სამსახურიდან თან საგრანტო აპლიკაციები მიაქვს შესავსებად. ფილმის ყურების დროს, შეიძლება უცბად შენიშნოს, რომ სიუჟეტის ნაწილი გამოტოვა იმიტომ, რომ ამ დროს ერთ-ერთ ექსპერიმენტზე ჩაფიქრდა.

მონოტონურად და მშრალად ლაპარაკობს. თუ ის თემა, რაზეც გიყვება, ძალიან არ გაინტერესებს, შეიძლება ვერც აჟყვე და სამეცნიერო ტერმინებით გაჯერებულ თეორიებში დაიკარგო.

კითხვებს კონკრეტულად და საქმიანად პასუხობს, ბევრს არ მიედ-მოედება, ფილოსოფიურ გადახვევებსაც გაურბის. ვეუბნები, რომ თხრობაში „ფერები მჭირდება“, უჯრედების შესახებ ჩახლართული სამეცნიერო თე-

ორიები მსუბუქად, მიმზიდველად და ყველასთვის გასაგებ ენაზე უნდა გადოვცე.

ორჯერ პირადად შეხვედრის შემდეგ, ელექტრონული ფოსტით, საილუსტრაციოდ, ვუგზავნი „ნიუ იორკერის“ ერთ-ერთ სტატიას და მსგავსი დეტალების გაცოცხლებას ვთხოვ. ზაზას ესმის, რაც მინდა, მიგზავნის პატარა ტექსტს და სუმრობით მწერს: „მწერალი არ ვარ, მეცნიერი ვარ და უურნალისტებისგან განსხვავებით, მშრალი ფაქტები მიყვარს და არა ხატოვანება“. რაციონალურობა

ყველაფერში ეტყობა – მსჯელობის დროს, ქცევაში, საუბარში. თუმცა, შიგადაშიგ, მის გამოხედვაში ცნობისმოყვარე ბავშვის გამომეტყველებასაც დაიჭირ. ცნობისმოყვარეობა ერთ-ერთი ის თვისებაა, რომელსაც საკუთარ თავში ყველაზე მეტად აფასებს და რომელიც ყველა მეცნიერს ეხმარება, უსასრულო ექსპერიმენტების დროს, სიბნელეში ხელების ცეცებით სიარულისას მოთმინება და ინტერესი არ დაკარგონ.

ზაზა კუკაია ლუნდში პირველად
1990 წელს ჩავიდა. შვედეთის ინსტი-
ტუტის სტაციონარი მიიღო და ლუნდის
უნივერსიტეტის პისტოლოგის კა-
თელრაზე, ცხრათვიანი სამეცნიერო
პროექტის შესასრულებლად გაემგზა-
ვრა.

სამეცნიერო პროექტი დასრულდა და და ცხრა თვის შემდეგ, ზაზა საქართველოში ჩამოვიდა, თუმცა მალე მიხვდა, რომ აქ თავის პროფესიაში პერსპექტივა არ ექნებოდა, და მალევე, ოჯახთან, მეუღლე თამუნასთან და ერთი წლის შეიღებით უკანასკნელი შევეძეთში დაბრუნდა.

ପ୍ରକାଶକ



ზურა ბერი
„კასპიის ზღვა“ - 2009

11

სამხრეთ შვედეთში, სკონეს პროვინციის ქალაქ ლუნდში, ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დიდი უნივერსიტეტია. აქვეა კვლევითი ბიო-სამედიცინო ცენტრიც, სადაც მეცნიერებები მთავრობილობით მსოფლიოდან იყრინათ თავას.

აგურის ოთხსართულიან შენობაში
თეთრხალათიანი ადამიანები საქმია-
ნი ნაბიჯით მიმოდიან. პირველ სარ-
თულზე გრძელ რიგებად პლასტიმა-
სის გალიებია ჩამწკრივებული, სადაც
თაგვები და ვირთაგვები ცხოვრობენ,
იზრდებინ და მრავლდებიან.

ზედა სართულებზე, ლაპორატო-
რიებში კი, რუხი მეტალის მაცივერ-
ბში ასეულობით პლასტმასის ბოთლია
ჩალაგებული – პლასტმასის ბოთლში
ადამიანის „თავისუფალი უჯრედები“
პლუს 37 გრადუსზე ინახება.

ესაა უჯრედები, რომელთა სასწაულ-მოქმედმა ძალამ ოციოდე წლის წინ თანამედროვე მედიცინის შესაძლებლობების შესახებ კლასიკური წარმოდგენა თავდაყირა დააყენა. თუმცა, ვიდრე ინკუბაციონში ინახებიან, ამ უჯრედებს არც სახელი აქვთ და არც ფუნქცია. სახელსაც და როლსაც ისინი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ იძენენ. მაგალითად, თუ მათ კანში გადაწნერგავთ, კანის უჯრედებად იქცევიან, ღვიძლში – ღვიძლის უჯრედებად, ტვინში კი – ნეირონებად.

მათ დეროვანი უჯრედები ჰქვია. ყოველ დილას ზაზა კოკაია ღუნდის უნივერსიტეტში შავი ზურგჩანთით და დოკუმენტების დიდი შეკვრით დახუ-ძლული მიდის. დეროვანი უჯრედები-სა და უჯრედული თერაპიის ცენტრში, ნერვული დეროვანი უჯრედების ლა-ბორატორიას იგი 2003 წლიდან ხელ-მძღვანელობს. 2010 წლიდან კოკაია შვედეთის მთავრობის მიერ დაფინან-სებულ დეროვანი უჯრედებისა და უჯრედული თერაპიის სტრატეგიულ დარგს უდგას სათავეში. 2011 წლიდან კი ხელმძღვანელობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ დიდ პროექტში, სადაც ინსულტის დროს ტვინზე ან-თებითი პროცესის ზეგავლენას სწა-ვლობენ და ამის მიხედვით ცდილობენ, შეიმუშავონ უჯრედული თერაპიისა და მუკრნალობის ახალი მეთოდები.

„ჯერ კიდევ ოცი წლის წინ, ეს ყველაფერი სამეცნიერო-ფანტასტიკურ მოთხოვნას ჰქონდა“, – იხსენებს ზაზა კოკაიას კოლეგა და მისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, 65 წლის ული ლინდგალი.

ულე ორმოცი წელია, რაც კლი-
ნიცისტ ნევროლოგად მუშაობს. იგი
ლუნდის უნივერსიტეტის ნევროლო-
გიის კათედრის ხელმძღვანელია.

ლონდგალი ამბობს, რომ მისი პირველი მნიშვნელოვანი წარმატება პარკინსონით დაავადებული ადამიანის ტყინში ღეროვანი უჯრედების გადანერგვა იყო. უჯრედებმა ტვინში გაყოფა და გამრავლება განაგრძეს, დაზიანებული ქსოვილი აღადგინეს და პაციენტიც მომჯობინდა.

მეორე მნიშვნელოვან წარმატებას კი ულემ უკვე ზაზასთან ერთად მიაღწია და ამის შესახებ ზეკით უკვე დაწვრილებით გაამტეთ.

„ამ აღმოჩენის წარმატება პრაქტიკულად თუ აისახება ცხოველის და, მომავალში, ადამიანის მდგომარეობა-ზე?“ – ვეკითხები ზაზას.

„აი, ეს ჯერ არ ვიცით, ახლა ზუსტად მაგას ვიკვლევთ, თუ რა წვლილი შეაქვს ამ უჯრედებს ტვინის რეგანერაციის პროცესში”, – მიპასუხობს იგი.

• • •

ლეროვან უჯრედებზე ზაზასთან ინ-
ტერვიუმდე და მის შემდეგაც, უამრავი
სამეცნიერო სტატია წავიკითხე. ერ-
თგან ასეთი რამ ამოვიკითხე და მო-
მწონნა:

„თანამედროვე სამყაროში სამეცნიერო პროგრესი ხშირად წინ უსწრებს მორალურ-ეთიკური სტანდარტების ცვლილებას“. ანუ მეცნიერება ისეთი ჩქარი ტემპით ვითარდება, რომ ადამიანი ბიოეთიკაში წლების წინ ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული მორალური დოგმების გადახედვას ვერ ასწრებს. ამ ეთიკური ნორმების მართებულობა კითხვის ნიშნის ქვეშ მაშინ დგება, როცა სასწორის სხვადასხვა მხარეს თანაბარი წონის ფასეულობები დევს: რვაუჯრედანი ემბრიონის უფლებები უფრო მნიშვნელოვანია, თუ პარენტობრივი დაავადებული ადამიანის განკურნება? აბორტის შედეგად მო-

შორებული ჩანასახის კვლევისთვის
გამოყენდა, თუ აპორტზე, როგორც
ბოროტებაზე უარის თქმა? – კითხვე-
ბი, რომლებიც მთელ მსოფლიოში
მწვავე სამეცნიერო დისკუსიის საგა-
ნია, ჩემთვისაც აქტუალური გახდა.

ეს კითხვები დაუცვესი ზაზა კოკაინ-საც. იგი ხომ თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა, წინააღმდეგობებით სასახე და მუდმივად განახლებად დარგში მუშაობს.

ადამიანის ღეროვანი უჯრედები
პირველად პიოლოგმა ჯეიმს ტომპ-
სონმა, 1998 წელს, ვისკონსინის უნი-
ვერსიტეტში ხელოვნურად განაყო-
ფირებული ემბრიონისგან მიიღო.

ემბრიონს სინჯარაზე კვერცხუჯრე-
დისა და სპერმის შერწყმით იღებენ.
ხელოვნური განაყოფიერების შემდეგ,
ემბრიონის უჯრედები დაყოფას იწყე-
ბს. ხუთი დღის მერე, რვაუჯრედიანი
ემბრიონი ნახევრად ცარიელ, ჰაერით
ამოვსებულ ბურთს წააგავს. იგი ჯერ
კიდევ არაა მომწიფებული იმისთვის,
რომ ქალის სხეულში მოათავსონ. ამ
დროს ემბრიონში იქმნება დაახლოე-
ბით 150 უჯრედისგან შემდგარი შიდა
მასა. სწორედ ესაა ღრეულოვანი უჯრე-
დები. მათ ემბრიონიდან გამოაცალე-
ვებენ და ლაბორატორიაში ცალკე სინ-
ჯარებში ამრავლებენ.

ლეროვანი უჯრედები არის თითქმის ყველგან: სისხლში, ტვიზში, კანში, მა-გრამ ლეროვანი უჯრედებით ყველა-ზე მდიდარი, მაინც, ემბრიონია. თა-ნაც ემბრიონულ ლეროვან უჯრედებს 200-მდე ტიპის ქსოვილად გადაქცევა შეუძლიათ, სხვა ლეროვანი უჯრედე-ბი კი, მაგალითად, კანის ლეროვანი უჯრედები, დამატებითი ფაქტორების ზემოქმედების გარეშე, მხოლოდ კა-ნის უჯრედებს წარმოქმნის. სწორედ ამიტომ, ემბრიონის საკვლევად გა-მოყენება მეცნიერებისთვის ყველაზე მოსახერხებელი, მაგრამ ამავე დროს, ეთიკურად სათავია.

ვინ, ან რა არის ემბრიონი? როდის
იწყება სიცოცხლე, კვერცხუჯრედის
განაყოფერების მომენტიდან, თუ მას
შემდეგ, რაც ემბრიონი ქალის სხეულ-
ში მოხვდება?

ის, რომ სიცოცხლე ჩასახვის მო-
მენტიდან იწყება, პაპმა პილს მეცხრემ

1800-იანი წლების ბოლოს თქვეა. ამ შეხედულებას კათოლიკური ეკლესია დღესაც მტკიცედ იცავს.

მეცნიერებმა ერთ დღესაც თქვეს –
რატომ არ შეიძლება, რომ გადასაგ-

Ետույանո Եռհաջու
մարտացալողա
յութեզու Եռնու
յցա՛ մաժու Շիցա,
հրոսա Սասեռհու
ՏեզալաՏեզա Թեսհու
Տանակարո Եռնու
ՑաՏալողայու Շեցա:
ԱՑՈՒԹՈՍ Ցալոցալ
Թոթոհոկալոլ
Բանասանու
ԿՅԼԵՅՈՍԵՐՅՈՍ
Ցաթոյանցա, Ես
ԱՑՈՒԹՅԵ,
հրոթորս
ՑՈՒՐՈՒԹԵՐՆԿԵ
ՀԱՀՈՍ ԵՎԻ՞?

დებად განწირული ქმბრონი კეთილი
მიზნებისთვის გამოყიყენოთ, შევისწა-
ვლოთ და პარკინსონის ან ალცერიამე-
რის სამკურნალო წამალი გამოვიგო-
ნოთ?

სწორედ აქ იწყება ყველაზე ცხარე
დისკუსია.

ଦୀର୍ଘତୀକୁଳସେବିଳେ ନାହିଁଲୁ ମିଥାନମିମାର-
ତ୍ୟାଗ, କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ରଙ୍କିଳେ ଶମ୍ଭବିତାକୁ
„ଶୈଖମନାସ“ ଓ ଶୈମଦ୍ଭୂତ ମାତ „ଗାନ୍ଧାରିଜ୍ଞ-
ରକ୍ଷଣାଶ“ ମୁକାତ୍ରରୁ ଏହିନାମାଲିମଦ୍ଦିଗେବାଦା. ଯେତେ
ନି ଅଭିଗ୍ରହେବୁ, ରମେ ରକ୍ଷାଜ୍ଞରୀଦିନାନ ଶମ୍ଭବିତାକୁ
ନାହିଁଲୁ ମିଥାନମିମାର-
ତ୍ୟାଗ, କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ରଙ୍କିଳେ ଶମ୍ଭବିତାକୁ
„ଶୈଖମନାସ“ ଓ ଶୈମଦ୍ଭୂତ ମାତ „ଗାନ୍ଧାରିଜ୍ଞ-
ରକ୍ଷଣାଶ“ ମୁକାତ୍ରରୁ ଏହିନାମାଲିମଦ୍ଦିଗେବାଦା. ଯେତେ

ამერიკაში, ცხარე დებატები ემ-
ბრიონული ლეროვანი უჯრედების შე-

სახელ პირველად 2001 წელს დაიწყო. ამერიკის პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა ტეხასის რანჩოდან პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ მეცნიერებს ემ-ბრიონული კვლევისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას უწყვეტდა. მათ შეეძლოთ გამოიყენებინათ მანამდე გამოყვანილი ემბრიონული ლეროვანი უჯრედების საზები, მაგრამ ახლის შექმნისთვის ბიუჯეტიდან ფულს ვებარ მიღებდნენ.

ამ განცხადებამ რესპუბლიკულები გაახარია, დემოკრატიულმა კი ამერიკას თეოკრატიული სახელმწიფო უწოდეს, სადაც თაბაშის წესებს კანონის ძალით თავს მოხეცული თეოლოგია განსაზღვრავდა.

დიდი ნინააღმდეგობების მიუხედა-
ვად, ემბრიონული ლეროვანი უკარე-
დების კვლევა ამით არ შეწყვეტილა.
კერძო ფარმაცევტულმა კომპანიებმა
და ფონდებმა გადაწყვიტეს, თვითონ
დაეფინანსებინათ მეცნიერები და
სინგაპურში, ბრიტანეთსა და ტავანში
მათი მასობრივი გადინებისთვის ხელი
შეუშალათ.

ხელისუფლებაში დემოკრატი ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. პრეზიდენტიად არჩევიდან, ზუსტად სამ თვეში, ობამამ მეცნიერებს მწვანე შუქი აუნთო და ემბრიონული ღეროვანი უჯრედების ახალი საზების გამოსაყავნად ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსება ამოყოლილი გახდა.

ემპრიონულის გარდა, ეთიურ დი-
ლემას ინვესტიციების შედეგად
დარჩენილი ჩანასახის გამოყენებაც.
მოწინააღმდეგები ამბობენ – თუკი
უუშვებთ, რომ ისეთი ბოროტებისგან,
როგორიცაა აბორტი, შეიძლება რაიმე
დადგებითი შედეგი მივიღოთ, ამან შეი-
ძლება აბორტი გაამართლოს და „წაა-
ხოს“.

სალისოს” კიდეც.
ლურდის უნივერსიტეტში, სადაც
კვლევებში ყველა ტიპის ღეროვან
უჯრედს იყენებრ, თითქურ დილექტ-
თან დაკავშირებით, ულე ლინდვალსაც
და ზაზა კოკაინასაც ჩამოყალიბებული
პოზიცია აქვთ:

„ამ თემაზე ბევრჯერ მისაუბრია მა-
მაჩემთან. იგი ლუთერი მღვდელი იყო
და ამბობდა, რომ ტანჯვის შესამსყე-
ული

ქებლად, ჩანასახიდან მიღებული ღეროვანი უჯრედების გადანერგვა ადამიანისთვის, რომელსაც განუურნებელი

დაავადება აქვს, არ შეიძლება არაეთიკური იყოს. ამ დასკვნამდე ჩემს თავითან რამდენიმე წლიანი კამათის შემდეგ მივედი“, – აღნიშნავს ულე ლინდვალი.

ულეს ეთანხმება ზაზაც. „მე ამ საკითხეს ძალიან პრაგმატულად ვუყურებ. ქალს თუ გადაწყვეტილი აქვს აბორტის გაკეთება, რატომ არ შეიძლება ჩანასახი, რომელსაც ისედაც გადააგდებდნენ, კარგი საქმისთვის გამოიყენო?“ – ამბობს იგი.

შვედეთში საკულევად ყველანაირი უჯრედის გამოყენება შეიძლება, მათ შორის ემბრიონულისაც. ევროპის ბევრი ქვეყანა (მაგალითად, გერმანია) გაცილებით კონსერვატულია. იქ ემბრიონული კვლევა საერთოდ აკრძალულია.

საქართველოში ემბრიონს ღეროვანი უჯრედების მისაღებად არასდროს იყენებდნენ. სამაგიეროდ, მუშაობდნენ აბორტის ნარჩენებისგან მიღებულ უჯრედებზე, რამაც მეცნიერებსა და სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება გამოიწვია.

2001-2002 წლებში რამდენიმე ქართველმა მეცნიერმა აბორტის ნარჩენებისგან მიღებული ღეროვანი უჯრედების გამოყენება სცადა. თუმცა, სულ მალე, ბიოეთიკის საბჭომ მოამზადა

დასკვნა, რის შემდეგაც, ჩვენთან ჩანასახის დეროვანი უჯრედების გამოყენება შეწყდა.

„დაუშებელია, სასარგებლო შედეგს ელიდე აბორტული მასალისგან, რადგან თავად აბორტი არაეთიკური ქმედება“, – ამბობდა მაშინ ბიოეთიკის საბჭოს თავმჯდომარე, გივი ჯავაშვილი. აბორტირებული ჩანასახის კვლევას ენინააღმდეგებილი ეპისკოპოსი იოანეც, რომელიც საბჭოს წევრი იყო და მამა ადამთან ერთად მართლმადიდებელი ეკლესის პიზიციას გამოხატავდა.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, მალევე მონახეს გზა, გამოეყენებინათ ისეთი უჯრედები, რომლებიც ეთიკურ დაბრკოლებებს არ შექმნიდა. თუმცა, ამჯერად, მთავარი პრობლემა არა უჯრედების მორალური სტატუსი, არამედ ზოგადად, ამ სფეროს კომერციალიზაცია გახდა.

ბოლო ორი წელია, რაც საქართველოში ჭიპლარის ღეროვანი უჯრედების შენახვის ბუმია. ჩემი ნაცნობებიდანაც, ბევრმა დედამ შვილებს ეს უჯრედები სისხლის კერძო ბანქში შეუნახა, და როგორც თვითონ ამბობენ, შვილები სისხლის დაავადებებისა დააზღვია.

ზაზა კოკაია ამბობს, რომ კომერციალიზაციის ნინააღმდეგი არაა, თუმცა, მისი აზრით, მშობლებს ჭიპლარის

სისხლის ღეროვანი უჯრედების შესაძლებლების შესახებ არასრული ინფორმაცია აქვთ.

„როცა ამტკიცებენ, რომ ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედებით 70-მდე დაავადების განკურნებაა შესაძლებელი, ისიც უნდა თქვან, ამ 70 დაავადებიდან როგორია 60-ის სიბშირე? რამდენს შეიძლება სტატისტიკურად დაემართოს? ზოგჯერ გაცილებით დიდი საფრთხეა ავტოკატასტროფაში მოყვე, ვიდრე რომელიმე დაავადება დაგემართოს“.

შვედეთში აბორტების რიცხვი ძალიან მცირეა, აქედან მიღებული მასალა კი – მწირი. ამიტომ, ლუნდის უნივერსიტეტში ძირითადად „რეპროგრამირებულ“ ღეროვან უჯრედებზე მუშაობენ – კანის უჯრედიდან უკვე ტვინის უჯრედებს, ნეირონებს ქმნიან.

„ამ ნეირონების ტრანსპლანტაცია პირდაპირ ტვინში შეიძლება და ისინი დაზიანებულ ქსოვილს აღადგენენ“, – მიხსნის ზაზა.

მაინც რა არის თქვენი კვლევის საბოლოო მიზანი, ვის და როგორ დაეხმარებით? – ვეკითხები შემდეგ და ასე მიჰასუხობს:

– ინსულტი ძირითადად ხანში შესულ ადამიანებს ემართებათ. ჩვენ გვინდა, რომ ამ ადამიანების ცხოვრების ხარისხი ავამაღლოთ. წარმოიდგინეთ, ხომ მარტივი მოძრაობაა, კოვზი აიღო, ხელში დაიჭირო და პირთან მიიტან. არადა, ინსულტის შემდეგ, ზოგ ადამიანს ამ მარტივი მოძრაობის შესრულებაც კი უჭირს.

საკუთარი დამოუკიდებლობის შეგრძება ძალიან მნიშვნელოვანია ხანში შესული ადამიანისთვის, რომ მან თავი უუნაროდ და სხვისი ხელის შემყურედ არ იგრძნის. სიბერე ყველას აწუხებს. ამიტომ, თუკი ტვინში დაზიანებული ქსოვილების აღდგენას შევძლებთ, ინსულტგადატანილი ადამიანების ცხოვრებას უფრო სრულფასოვანს გავხდით.

– თავიდან, როცა მთელი მსოფლიო ღეროვანი უჯრედების სასწაულმოქმედებაზე ალაპარაკდა, მედიაში წერდნენ იმასაც, რომ მეცნიერებმა შესაძლოა, ოდესმე დაბერების საწინააღმდეგო წამალი გამოიგონონ...

– დაბერება ფიზიოლოგიური პროცესია, რომელსაც არ უნდა ებრძოლო.

გალერეა



ზურა ბერი
„შავი ზღვა“ - 2009

მე მირჩევნია ჯანმრთელი დაბეჭრდე, ვიდრე არასდროს დავგერდე. უნდა ებრძოლო იმ სიმპტომებს და დაავადებებს, რომელიც დაბერებასთან ერთად მოდის, და არა სიბერეს. რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებსაც მოუწიდებათ, მარადიული ცხოვრებით ცხოვრონ, მაგრამ ეს უკვე აღარაა ჯანდაცვის სფერო...

ამ საუკარს უკვე მოხუცებულობი-
სადმი შიშის თემასთან მივყვართ,
რომელიც ძალიან საგრძნობია სა-
ქართველოში. ჩვენთან ხომ ასეა –
როცა ადამიანი პენსიაზე გადის,
მიაჩინა, რომ ცხოვრება დასრულდა.
„დასაგლეთში, კი პირიქითაა, პენსია-
ზე გასვლის მერე ბევრ ისეთ რამეს
აკეთებ, რაც მანამდე ვერ მოასწარი.
მართალია, ეს ეკონომიკურ მდგომა-
რეობაზეცაა დამოკიდებული, თუმცა
იქ მენტალიტეტიც სხვანაირია. ამი-
ტომაა მნიშვნელოვანი, თანამედროვე
მედიცინის მიღწევები ამ ადამიანების
ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას
მოახმარო“, – მიხესნის ზაზა.

– რას ელით დეროვანი უჯრედების-
გან, რა შეიძლება, მოხდეს ორმცდაა-
თი ან ასი წლის მერჩ?

— უფიქრობ, ამ დროისთვის უკვე
შესაძლებელი იქნება, ქრონიკული
დაავადებები (მაგალითად, პარკინ-
სონი) განიკურნოს. წამლები დღესაც
არსებობს, მაგრამ მთელი არსი ისაა,
რომ უფრო ეფექტიანად ვუმკურნა-
ლოთ ადამიანებს, ნაკლები გვერდითი
მოვლენების გამოწვევით. ღეროვანი
უჯრედი არაა პანაცეა — მაგიური
აბი, რომელსაც დალევ და ყველაფერს
მოგირჩებს. ღეროვანი უჯრედების
საშუალებით პროგრესირებადი და-
ვადებების განვითარება შენელდება.
მოკლედ, მიზანია, რომ ადამიანი მაქ-
სიმამართობად ჯანმრთელი იყოს.

ზაზა კოკაია თითქმის ოცი წელია,
შვედეთში ცხოვრობს და მუშაობს,
თუმცა თავს ემიგრანტად არ თვლის.
მისი აზრით, მეცნიერება უნივერსა-
ლურია და გეოგრაფიული საზღვრები
არ აძის.

„არ არსებობს ლოკალური მეცნიერება, თუ ეს არაა მაგალითად, ქარ-

თველოლოგია. არ არსებობს ქართული ფიზიკა, ქიმია, მედიცინა, მათემატიკა. ჩვენ უძრალოდ შეიძლება წვლილი შეგვებონდეს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში“, - მიხსნის მეც.

ლუნდის უნივერსიტეტში, ღეროვანი უჯრედების ლაბორატორიაში კოკიას გარდა, კიდევ ორი ქართველი პოს-ტილეტორანტია. ზაზა ამბობს, რომ

ჩევნოთან განათლება და შემდეგ, ჩინეთის მთავრობამ ეს გადინებული ტვინები უკან დააპრუნა. ასე შეიქმნა ჩინეთში მეცნიერთა ადგილობრივი ბირთვი“.

კონაია საქართველოში წელიწადში რამდენჯერმე ჩამოდის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორია და დოქტორანტებს ორ საგანს უკითხავს: სწავლების თანამედროვე მეთოდებსა (problem based learning) და სამეცნიერო წერას (scientific writing).

რამდენიმე კვირის წინ საქართველოში ჩამოსული ზახა მორფოლოგის ინსტიტუტშიც მივიდა, ამ საბჭოთა შენობაში ადრე 400 თანამშრომელი მუშაობდა, დღეს კი, აյ მხოლოდ რამდენიმე ათეული სპეციალისტია.

„ადრე ყველა მიმართულებით დიდი
ინსტიტუტები არსებობდა. დღეს ეს
სფეროები ჩამკვდარია, – მეუბნე-
ბა ზაზა, – რა თქმა უნდა, ხარისხზე
არ მაქვს საუბარი. საბჭოთა კავშირის
დროს ჩაკეტილები ვიყავით, კი იყო
მეცნიერება, მაგრამ, საბოლოო ჯანში
– ძალიან დაბალ დონეზე. იყვნენ სხვა-
დასხვა დარღვეული კორიფეები, მაგრამ არ
არსებობდა ერთიანი სისტემა“.

დღეს ამ ერთიანი სისტემის დროულად შექმნაა საჭირო, — ვასკვნი, როცა ზაზას საქართველოში მეცნიერების განვითარების პერსპექტივაზე ველაპარაკები. ზაზა მეუბნება, რომ სახელმწიფომ პრიორიტეტები უნდა განსაზღვროს, ყველა დარგს ერთდროულად ვერ განვითარებ. პირადად მას ღუნდის უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ლაბორატორიის ფილიალის გახსნა უნდა საქართველოში. დარწმუნებულია, რომ ჯანდაცვის სისტემისთვის ეს ფუფუნების საგანი სულაც არაა და საცხებით რეალურია, ღეროვანი უჯრედების კვლევა ჩვენთანაც პრიორიტეტულ დარგად იქცეს. ჯერ ამ საკითხზე საქმიანი შეხვედრები არ დაუწყია. ლაბორატორიის ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობამ ზაზას სამეცნიერო პროექტებისთვის საგრანტო აპლიკაციების წერაც ასწავლა და ახლა უკვე მომდევნობს. „ჰოდა, ახლა, ამ იდეის შეფუთვის პროცესში ვარ“, — მოგწნება ბოლოოს.

კოტე მინდაქის რუპიკის კუპი

აცტორი ეამო სამალაშვილი

„ჩანაციფრი ასეთია: მაღლალი კულტურა გავართულოთ; ერუდიციის მესერი შემოვა-
ვლოთ სილამაზეს. დაფარული მიზანი ორმაგია: დაციცვათ არტი პოპულარული გართო-
ბისგან და შევქმნათ ახალი ბარიერი, ახალი წინაღობა მასში განვერიანებისთვის... ყვე-
ლაფერი აქა, გულულბრუკილობის სამყაროში და ხალხი, რომელიც არ ფიქრობს, კიჩია“.

ხელოვნების თეორეტიკოსი, როგორც სკრუფული

კოტე მინდაძის შესახებ პირველად
შარქანინ, „არტისტეროგემის“ დროს
გავიგე, როცა „ფეისბუქზე“ ამ გამო-
ფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა
ნინანდალში ნამსვლელებს თადარიგის
დაჭრა და ავტობუსებში ადგილების
წინასწარ დასაკავებლად საში ჩაწერა
გვირჩია. მაშინ წინანდალში ვერ წავედი
და გული კიდევ უფრო დამწყდა, როცა
მითხრეს, რომ მე-19 საუკუნის ღვინის
ისტორიულ ქარხანაში ჩატარებულმა
გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა
და იქვე ისიც გაიგინ, რომ გამოფენა
ნაადრევად დახურეს კახეთში ღვინის
საერთაშორისო ინსტიტუტის პრეზენ-
ტაციის გამო, რომელსაც თავად პრე-
ზიდენტი უნდა დასწრებოდა. მას შემ-
დეგ ამ არტისტზე აღარაფერი მსმენია,
თუმცა სულ მაინტერესებდა. რამდენიმე
დღის წინ მასთან შესახვედრად ბარნო-
ვის ქუჩაზე მდებარე სახლ-სახელოსნო-
ში მივიდი.

საბოლი, ერთი შეხედვით, პატარაა,
აგურის, ორსართულადანი. კოტე მეორე-
ზე ცხოვრობს. მისი ბინა დიდია, ნაორელი
და სადად მოწყობილი, შესვლისთანავე
თვალში გვცემათ წიგნებით სავსე თა-
როები და ულამაზესი ოთახის მცენა-
რები. სახელისნო ყველაზე განაპირა
ოთახიდან იწყება და კიდევ ორ ოთახში
გამოიდის, ირგვლივ უთვალავი ფერის
საღებავი, წერტილი და სქელი ფუნჯე-

ბი, ძველებური ნივთები, ნიგნები და
ფერადი პულვერიზატორებია, კედლე-
ბზე კოტეს ადრინდელი ნამუშევრები –
დაშლილი კომპოზიციები კიდას, იქვეა
გამოფენების აფიშები (გამოფენები კი
მას უხვად ჰქონდა – როგორც პერსონა-
ლური, ისე ჯაგუფური, საქართველოშიც
და მის ფარგლებს გარეთაც) და „პინკ
ფლოიდის“ პლაკატი. კოტე ამბობს, რომ
სულ მაღლე, არც ეს სამი ოთახი ეყოფა
და ალბათ, სხვა სახელოსნოს მოძებ-
ნა მოუწევს. მაგრამ მე თუ მკითხავთ,
ამ ჯადოსნური ადგილის მიტოვდა არ
შეიძლება. ალბათ, იკითხავთ, რითაა ასე
განსაკუთრებული ეს სტანდარტული,
თბილისური ძველი სახლი, რომლის მს-
გავსშიც ვერელებისა და ვაკელებისა ნა-
ხევარი ცხოვრობს? საქმე ისაა, რომ ეს
თითქოს ჩვეულებრივი გარემო, ლამით,
როცა კოტე დღის მნიშვნელზე დაგრივე-
ბული იდებიდან რამდენიმე საუკეთესოს
არჩევს და ყავის დიდი ფინანსით ხელში,

სახელმისნოში შედის, იქვეურობა ნამდგვილ
საოცრებად გარდაიქმნება. სულ პატარა
ოთახში უზარმაზარი სკულპტურები,
ვრცელი ფერწერული სერიები, ვიდეო-
არტები და ინსტალაციები იქმნება. ალ-
ბათ, სწორედ ამიტომ მასთან შეადგისას
მისულს ახალგადობებული მხედვება,
სამზარეულოსკენ მიმიღვის და მწვანე
ჩაისა ან ყავას მთავაზობს, თან იმ პროე-
ქტებზე და იდეებზე მიყვება, რომელშიც

ახლა ჩართული. ამ დროს ისეთი სახე
აქვს, ვევდები, გონებაში ახალ ჩანახატს
აკეთებს, რომელსაც მალე გაფილტრავს,
დახვეწს და ღამით წარმატებულ პროე-
ქტად აქცევს, ისეთად, როგორებზეც მე
მინდა, გაიმპოოთ.

სკოლის დამთავრების შემდეგ კოტე ჰოლანდიაში წავიდა. თავიდან არ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა, სად ესწავლა და რა პროფესია აერჩია, სანამ ჰოლანდიელი მხატვარი რობ ვერკერკი არ გაიცნო, რომელთანაც ალექსარ-ში, გერიტ როტევლდის სამსატვრო აკადემიაში ჩაბარებამდე, ცოტა ხანს ფერწერაში ემზადებოდა. შემდეგ ამსტერდამში გადავიდა, სადაც, აკადემიის პარალელურად, გრაფიკულ ლიცეუმში სწავლობდა. ამბობს, რომ სწორედ მისი პირველი მასწავლებლის გავლენით ჩაბარა აორივე სასწავლებლში და სწორადაც მოიქცა, რადგან მხოლოდ გრაფიკული ლიცეუმის დამთავრების შემდეგ მიხვდა, რომ დიზაინი სრულებით არ იყო მისი საქმე. სწავლის პერიოდიდან ცველაზე კარგად მეგობრებთან ერთად მუსიკალურ ფესტივალებზე სარული ახსენდება, როცა კარვებით მოგზაურობდნენ ხან ჰოლანდიაში, ხანაც ევროპის სხვა ქალაქებში.

ამ პერიოდიდან მოგონებები უზვად აქვს, რასაც ვერ ვიტყვით ნამუშევრებზე, რადგან აკადემიის დამთავრების



ფოტო: ესა გომილაძე



„პანილები და არაათიშვილი განაფერობის – ფილოფია არომატესი“, 2008-2011

შემდეგ ისინი მთლიანად გაანადგურა. „რასაც სხვები გასწავლიან, ის არაფერს გაძლევს, რადგან რაც პედაგოგებმა იციან, ის უკვე შექმნილია და შენ ვერა-ფერს მოგცემს, ამიტომ თვითონ უნდა დაიწყო სიახლის ძიება“, – მეუბნება კოტე და იქვე ამატებს, – „არც დამნა-ნებია ჩემი ნამუშევრები, მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა“.

თავდაპირველად მუშაობა ფერწერაში დაიწყო, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ასე მისი შემოქმედება ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა. მას ისეთი მედია სჭირდებოდა, რომელიც ფანტაზიას ფართო გასაქანს მისცემდა, ნებისმიერ მასალას ხელმისაწვდომს გახდიდა, იდეის რეალიზებას კი ყველა სივრცეში და ყველა ფორმით შეაძლებინებდა. ასე დამატა ფერწერას გრაფიკა, გრაფიკას – ანიმაცია, ანიმაციას – ვიდეო, ხმა, სულბტურა.

სწორედ მათ მიხედვით ყოფს კოტე თავის ხელოვნებას და არა – წლებისა და პერიოდების მიხედვით. თუმცა გარკვეულ ქრონოლოგია მაინც არსებობს და ჩვენც მას მივყვეთ.

„დაშლილი კომარცენიტები“ და ისევ სრული განადგურება

აკადემიის დამთავრების შემდეგ ის დიდხანს მუშაობდა ფერწერაში. სერია „დაშლილი კომპონენტები“ ათობით ნამუშევარს აერთიანებს. თითოეული მათგანი რამდენიმე ნაწილისგან შედგება, ტილოზე ზეთის საღებავით დატანილი გამოსახულებები გაერთიანებიას დასრულებულ სურათს ქმნის. ამ სერიის თემა ცხოვრების ციკლია, ყველა ნამუშევარში ჩანს, როგორ ერთანდება სხვადასხვა დროს პლანეტაზე მიმოანგული უხილავი კავშირება. ამ სერიიდან კოტეს ერთ-ერთი ნამუშევარი მახსენდება, 16 ნაწილად დაშლილი კომპოზიცია – ლიადა მუქ ნაცრისფერ კვადრატებს წრიულად ჭრის წითელი, ყვითელი და სტაფილოსფერი ზოლები. კოტე ამბობს, რომ ზედმინევნით დაცული თანმიმდევრობისა და სიმეტრის გარდა, ნამუშევრებს განსაკუთრებულ გამომსახველობას მაღალი ხარისხის ტილო და საღებავი სძენს. „საერთოდ, მასალა მეორესარისხოვნია, მთავარი და უპირველესი იდეაა, რომელიც თვითონ გაარნახობს, მასალად რკინა გამოიყენო, პლასტმასი

თუ კბილის პასტა“.

– კბილის პასტა? – ვეკითხები და მგონია, რომ კოტეს ექსტრემალურად უცნაური იდეა მოუვიდა. ის კი დგება და სახელოსნოში გავყავარ, სადაც უკვე დასრულებულ ნამუშევარს – ცისფერი კბილის პასტით დაფარულ თეთრ ტილოს მაჩვენებს, რომელიც უნდა, რომ ძველებურ, ჩუქურთმებიან ჩარჩოში ჩასვას. ნამუშევრის იდეა ისაა, რომ ყველაფერი ისეთივე ნარმავალია, როგორც კბილის პასტა, რომელსაც ერთხელ გამოიყენებ და ივიწყებ, თუმცა იდეაზე ბევრი ფერქ არცა საჭირო, ნამუშევარს გარკვევით ანერთა: Try to stick with it, too-thpaste (სცადე და არ მოშორდე ამ ადგილს, კბილის პასტავ“).

ნარმავალობის იდეითაა ინსპირირებული კოტეს 2008 წელს დაწყებული პროექტიც – „ქმნილებები და კრეატიული განადგურებები – ტრილოგია პროგრესში“. პროექტის პირველი ნაწილი ჰქონდის, ქალაქ ლანგედიეკში მსროლელთა კლუბში ნარადგინა: ერთ-ერთი კედლის ცენტრში იდგა აურილით, პირმენტით და ინდუსტრიული საღებავით მოხატული ხის აბიექტი, რომელიც ერთი მხრიდან



„თუ მას ოდესი მონა მიიჩარებს...?!”, 2010

წითელი ფერის ყოფა, მეორიდან – თეთრი. ობიექტის ჯერ კოტემ, შემდეგ კი მისმა მეგობარმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს, კოტემ ობიექტის განადგურება კამერით გადაიღო. სამწუთიან ვი-დეოში გარკვევით ჩანს, როგორ ხერებს ნატყვიარები ზედმინებით დაცერილ ფერებს, ბოლოს წითელი ფერის სის ობიექტზე მხოლოდ დახვრეტიდლი ზე-დაპირი რჩება, გარშემო კი დაცლილი ტყვევიბი ყრია. „ასე ანადგურებს ადამიანი ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს – სიყვარულს და ურთიერთობებს, ამის იღულუსტრაციათ ტრილოგიის სამივე ნაწილი“, – მიხსნის კოტე.

მეორე ნაწილი კოტექტში 2010 წელს შექმნა და ამსტერდამში და თბილისში გამოფენა. იდეა იგივეა, მხოლოდ მედია იცვლება ობიექტისა და ვიდეოპროექციის ნაცვლად, სკულპტურა და ვიდეოპროექციაა. გამნადგურებლის ფუნქცია ამ შემთხვევაში ტრნკს აქვს, რომელმაც წითელი ემალით დაფარულ მეტალის მოზრდილ ფირფიტას ვაზიანის სამხედრო პანზე გადაუარა და, როგორც კოტექტში აბბობს, ფაქტიზ სისუსტეზე თავისი კვალი დატოვა. ამ ვიდეოში სრულადა

ასახული როგორც ფირფიტის დამუშავების, ისე ტანკის გადავლის პროცესი (გამოიყინა გალერეა „9“-ში).

ტრილოგიის დასკვნითი ნაწილი კი
აფეთქებების სერიაა, რომელსაც კოტე
კომერციულ პროექტად მიიჩნევს – 30-
მდე ნაშემვრის ნაწილი გაიყიდა, ნაწი-
ლი კი კოტესთანაა, სახლში. ვიდეოში
ჩანს, როგორ ამაგრებს კოტე პიგმენ-
ტით, ემალით და ძრილანგის მწვანე-
თი დაფარულ ზედაპირზე საახალწლო
ტკაცუნებს, მათი აფეთქების შედეგად
კი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად
განსხვავდულ გამოსახულებებს იღებს.
(გამოიფინა ევროპაში, ამერიკაში, გა-
ლერეა „9“-ში პირველ ორ ნაწილთან ერ-
თად, ასევე „პიერო ლე ფუში“).

დოლი ლაპრესია და კილვ ერთი ახალი ეტაპი

დაშლილი კომპიუტიციებიდან სამ განზომილებაში მუშაობამდე კოტეს ორი პერიოდი ჰქონდა – ნიუ-იორკში მოგზაურობისა და დიდი დეპრესიის. 2006 წელს კოტე მეუღლესთან ერთად ერთი წლით ნიუ-იორკში წავიდა. „მინდოდა, მენახა და შემესწავლა ნიუ-იორკი, იქაური გალერე-

ნიუ-იორკიდან კოტე ძლიერი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა, თუმცა ეს მის ხელოვნებაზე მაშინვე არ ასახულა, პირიქით, ყველაზე არაპროდუქტიული პერიოდი დაწყო.

„ჩემი ნაშენვრების დანახვაც არ
მინდოდა, ღირებულებები გადავაფასე,
ბევრ საკითხზე დავფიქრდი და მუდმი-
ვად მტანჯავდა კითხვა, რას ვაკეთებ? როგორ შეიძლება ჩემი ხელოვნება იყოს
ახალი და საინტერესო, როცა კველაფე-
რი უკვე შექმნილია? მუშაობის არც სურ-
ვილი მქონდა და არც ენერგია. ისეთი
რამის გაკეთებას, რაც მე თვითონაც კი
არ მომენტობოდა, მერჩინა, არაფერი

მეცნიერებინა. ასეთი დეპრესია უამრავ არტისტს ჰქონია, რამდენადც კრიულია ეს სტრესი, მიმდენად დიდია თავისუფლება და სიხარული, თუ მას დაძლევა. მაგალითად, სულ ფრენსის ბეკონი მახსენდება, რომელიც, როგორც ადამიანი, ჩემთვის შთაგონებაა, ბეკონისგან ვისწავლე სხვისი არტისტ აღქმა და მისი ანალიტიკურად გააზრება, ახლაც იმიტომ ვახსენებ, რომ მან სტრესის დაძლევა ისე შეძლო, როგორც მხოლოდ ძლიერი ეგოს მქონე ადამიანს შეუძლია – ბეკონმა 50 წლის ასაკში თავისი ყველა ნამუშევარი გაანადგურა და თქვა, რომ მხოლოდ ახლა იწყებდა პირველ ტრიატიზზე მუშაობას“.

ამ სირთულის გადალახვა კოტექსთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. ცნობიერებაში გაანადგურა თავისი ყველა ნამუშევარი, რომელთაც უღირსად მიიჩნევდა და სამ განზომილებაში მუშაობა, ვიდეოარტენის და ინსტალაციების კეთება დაიწყო. სწორედ ამ „განსახლების“ შედეგა კოტექს საეტაპო ინსტალაცია – „ინტოქსიკაცია და ინსპირაციული ეროვნები (ინსპირაცია შავი ხვრელი. ნაწილი პირველი)“, რომლითაც 2010 წლის შემოფლომაზე არტისტერიუმი დახურა. ინსტალაცია კოტექს წინანდალში, ისტორიული დვინის ქარხანაში ნაშენია დაგრძნელი.

„ინტერაქციული და ინსპექტორული ეროვნული“

ამ პროექტის მთავარი ინსპირაციად ვენეციის 54-ე ბიენალეს თემა – „ტიონო-რეტო და ილუმინაციები“ იქცა, სადაც არტისტებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მიცემული, მხოლოდ ერთი პირობა იყო დასაკმაყოფილებელი – მათი ნამუშევრები მე-16 საუკუნის მანერიზმთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, განათებას, ისევე, როგორც ესპანური რენესანსის პერიოდში, დიდი ადგილი უნდა დატმობოდა. კოტემ ბიენალეზე ნარსადგნად პროექტის პირველი სამი ობიექტი შექმნა, მოგვიანებით მათ კიდევ ორი ობიექტი, ანიმაცია და ხმა დაამატა. გამოვენის მომზადებას მთლიანობაში ათი თვე დასჭირდა. საბოლოოდ, ინსტალაცია ძალან ავტომობილების გამოუვიდა და მეტაფორულად ის თითქმის სულ კოტეს ჯგუფების გვიამბობს.

ნინანდლის მარანში შესული მნახველი პირველად ორ, ძელზე დამაგრიბულ

ვერცხლისფერ თავის ქალას ხედავს, რომლებსაც ზემოდან ჩამოშვებული ნათურები ანათებს. კოტე ამბობს, რომ თავის ქალები მისი ცხოვრების იმ პერიოდის ილუსტრაციაა, როცა სრულიად ახალბედა იყო არტში, უწინდებოდა კითხვები, მაგრამ მათ მხოლოდ ზედაპირულად პასუხობდა. კოტესთვის თავის ქალები სარკეებია, რომელიც შავ ხვრელის ინტრიგებს ირეკლავს – შავი ხერელი მეტაფორულად ყველა იმ საგ-

არავითარი
რალიგიური
ქვეტეპსტი, უზრალოდ,
სულიერებაზე
ვსაუბრობ, რომელიც
სიყვარულს
ვგალისხმობ,
ურთიერთობებს,
ცხოვრების ნის
— გიყვარლეს სხვა
აღამიანები და
ცდილობებე, არავის
გაუკათო ცული,
ეს უფრო მატი
რალიგიაა, ვიღრე
შაბათობით
ეკლესიაში
სიარული.

რადგან გვონია, რომ ახალს კერაფერს ქმნი, რაც უფრო მეტს კითხულობ, მით უფრო უმეცარი გვირია თავი, ეს ყველა-ფერი ერთად კი, დეპრესიაში გაგდებს, თუმცა მეორე მხრივ, ეს ინსპირაციაა, ვალდებულება – სიახლეებისადმი ღია იყო და ადევატურად უპასუხო შენი ეპოქის მოთხოვნებს". სწორედ ამ სტრუ-სის და მისი დაძლევის გამოხატულებაა სტრესის გალია – ფოლადის კვადრატუ-ლი გაღია, რომელიც მოთავსებულია წითელი, განათებული ჯვარი. შემდეგი ობიექტი შავ, მაღალ სადგმზე განთა-ვსებული თავის ქალაა, რომელიც გლო-ბუსის ბაზაზე ტრიალებს და ქვემოდან ნათდება, ეს გლობალიზაციის მეტაფო-რაა და დატვირთულია ცხოვრებისებული შეცდომებით, ცოდვებით, რომელიც ჩემს ცნობიერებაში იბეჭდება. ბოლო და კულმინაციური ობიექტი მასიური ლაიტბოქსია – განათებული ჯვარცმა, რომლის ზედაპირიც რიცხვებითაა და-ფარული – 1 და 0, ქრისტეს კონცუ-რები საერთო ფონისგან შავი ფერითაა გამოყოფილი. კოტეს ჩანაფიქრით, ეს ყველაფერი ინტერნეტისთვის მინიჭე-ბულ გადამტებულ მნიშვნელობაზე, მის გაღმერთებაზე მიუთითობს.

- ინსტალაციის მთავარი იდეა რა არის? მასში ბევრი რელიგიური სიმბოლოა, პროექტის ქვეტექსტიც რელიგიურია?

– არა, არავითარი რელიგიური ქვეტე-
ქსტი, უბრალოდ, სულიერებაზე გსაუ-
ბრობ, რომელშიც სიყვარულს ვგულისხ-
მობ, ურთიერთობებს, ზოგად მორალურ
პრინციპებს და ცხოვრების წესს –
გიყვარდეს სხვა ადამიანები და ცდილო-
ბდე, არავის გაუკეთო ცუდი, ეს უფრო
მეტი რელიგიაა, ვიდრე მაბათობით ეკ-
ლესიაში სიარული.

პირველი შეხვედრისას კოტექტმ ერთი
ნამუშევრარი მაჩვენა, „მოდერნ რელიგია“
– ბლუზუზით დაკავშირებული ექვსი აი-
პედი, რომლებიც ჯვრის ფორმას იღებს.
კოტე ამბობს, რომ ადამიანი იძულებუ-
ლია, ტექნიკოლოგიების განვითარებას
მიჰყევს, თუმცა ეს ინდივიდუალურობის
დაკარგვის ფასად ჯდება, ჯვარიც იმის
იღებსატრაციაა, რომ ბევრს მასზე მეტად
აიპენის სწავლას.

— მახსოვს, ერთ-ერთ გამოცემაში გი-
საყვეფურებს, რომ წინანდლის გამოთვენა



„ინორმაცია და ინსირაციათი ეროვნისი“, 2010

უკვე არსებული სიმბოლოების ხელახლა გააზრება იყო, ვიცი, რომ ამ აზრს არ ეთანხმები.

— ამას აკეთებს ყველა ხელოვანი, მა-შინ იქნებოდა, ვთქათ, სიგარეტი (იღე-ბს სიგარეტის კოლოფს) ციკლიდან „სი-გარეტები“. აი, ხომ ითვლება, რომ თუ თავის ქალას იყენებ, აუცილებლად დე-მიენ ჰირსაჭს ბაძავ, არადა ჰირსაჭამდეც და მის შემდეგაც უამრავმა არტისტმა გამოიყენა თავის ქალა, როგორც ასახვის საგანი. ყველაზე საინტერესო ახალი კომბინაციების შექმნა, საგნის სხვა კუ-თხიდან დანახვაა. თავის მედიაში ყველას დაუხატავს თავის ქალაც, ჯვარცმაც და ველოსიპედიც, მე ხომ გამომგონებული არ ვარ, ახალს არაფერს ვიგონებ, უბრა-ლოდ, უკვე არსებულს ახალ კონტექსტში ესვამ, ეს კი სრულიად სხვა დატვირთვას აძლევს მას, სათქმელს უცვლის.

ახლა კოტე „ინტოქსიკაცია და ინსპი-რაციული ეროვნების“ მეორე ნაწილზე მუშაობს. ამ შემთხვევაში ინსპირაცია მისი საყვარელი პოეტის უილამ ბლეი-კის პატარა პოემა „ანდაზები ჯოვოხე-თიდან“ გახდა. მეორე ნაწილის ძირითა-დი თემა კონსუმერიზმი იქნება. კოტე არ ამხელს, იდეას რამდენ მედიაში გა-

ნახორციელებს და სად გამოფენს — მინ-და, დამთვალიერებლისთვის დეტალები სიურპრიზად დავტოვო, გამოფენა მოსა-წყენი რომ არ იყოსო.

საერთოდ, კოტე ფიქრობს, რომ შედე-გი მაშინაა მიღწეული, თუ დამთვალიე-რებელს ორიოდ დღით თავის ნამუშე-ვარზე დააფიქრებს და არა ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს. როგორც კი კოტეს ნამუშევარი სხვისთვის იძადება, მისთვის კვდება — უნტიტრესო ხდება, როგორი წარმატებულიც არ უნდა იყოს ის.

დღეს კოტე თბილისში ცხოვრობს, ბევრ სხვადასხვა პროექტზე მუშაობს, მათ შორის უკანასკნელი, „გეოეარ-არქიდრომის“ ახალი იდეაა, რომელიც საჯარო სივრცის გამოცოცხლებას ისახავს მიზნად — კოტეს ხმოვანი ინს-ტალაცია ერთ-ერთ გადასასვლელში 10 წუთის მანძილზე იტრიალებს. მისი ინსპირაცია რიჩარდ სერა გახდა, რო-მელსაც მსგავსი პროექტი ჰქონდა — იმ ზმნების სია ჰქონდა გაკეთებული, რომლებიც ფოლადის მიღებას უკავშირ-დება. კოტემ კი თბილისური გადასას-ვლელების პროექტისთვის ის 300-მდე სიტყვა შეარჩია და ჩანერა, რომლებიც

მუშაობის პროცესში მის განცდებს, ფი-ქრებსა და შეგრძნებებს ეხმანება.

ამ ყველაფრის გასაგებად კოტესთან საუბრისას დიდი ძალასხმევა მჭირდე-ბა. თავის ნამუშევრებზე ლაპარაკი არ უყვარს და სულ მოხერხებულად ცდი-ლობს, კითხვები თავიდან აიცილოს. თვლის, რომ გულწრფელობა აუცილე-ბელია, თუმცა იდეის ბოლომდე გაში-ფრიას ერიდება, საიდუმლოდ ხშირად იტოვებს ჩანაფიქრს, ჩემს დარწმუნებას კი ამ სიტყვებით ცდილობს: „ხელოვნება რუბიკის კუბიკივითაა, მანმაა საინტე-რესო, სანამ ბოლომდე გაიშიფრება“.

ერთი, რისი დაზუსტებით თქმაც შეიძლება — კოტე მინდაძე არასადროს ფიქრობს ლოკალურ თემებზე, რადგან თავს მსოფლიო მოქალაქედ გრძნობს, ამიტომ მის ნამუშევრებში ყოველთვის გლობალური პრობლემებია დასმული, გეოგრაფიული საზღვრების გარეშე. მეუბნება, რომ სულერთია, დედამიწის რომელ წერტილში იცხოვრებ, მთავა-რია, მსოფლიოსთვის სათქმელი გქონ-დეს. ბოლოს ასე ამთავრებს: „როგორც კი ჩავთვლი, რომ საუკეთესო ნამუშევა-რი შევემნი, ჩემი ხელოვნება არსებო-ბას შეწყვეტს“.

პერვინი

ავტორი თამთა მალაშვილი
ილუსტრაცია მარა სუბაძე



პერვინი ავღანელი ქალია. ის პირველი ავღანელი ქალია, რომელსაც შევხვდი. „რა ალმოდოვარის ქალია“, – გავიფიქრე, როცა დავინახე. სხვანაირად „ალმოდოვარის ქალებთან“ შეუძლებელია, მათ დანახვისთანავე ამჩნევ. „ალმოდოვარის ქალებს“ განსაკუთრებულად საინტერესო, თითქმის დაუკავშირო გარეგნობა აქვთ. ისე, მოგრძო სახით, როზი დე პალმას მართლა ჰეგავს, ოლონდ, გამომეტყველება აქვს სხვანაირი – მკაცრი და უბედური, ან მკაცრად უბედური. გამხდარი და მაღალია, ჩრდილოვით დადის. ყოველთვის თავსაბურავითაა, თითქმის არ ლაპარაკობს.

მე და პერვინი ერთი პროგრამით, ერთ ჯგუფში ვართ, კვალიფიკაციას ვიმაღლებთ რაღაც გაუგებარი მიმართულებით – თან ეს ყველაფური ინდოეთში ხდება. ავღანეთიდან სულ ცამეტი არიან. პერვინი და კიდევ თორმეტი,

აქედან მხოლოდ პერვინია ქალი. ამ თორმეტის დამოკიდებულება პერვინისადმი მკაცრია და უხეში ან მკაცრად უხეში. პერვინი სანდახან უჩინარიც კია. მხოლოდ იქ ჩანს, სადაც ყველაა – ტრენინგზე ან ბუფეტში. პერვინი არაა არცერთ წვეულებაზე, ექსკურსიაზე თუ მხარულებაზე. სანდახან ვფიქრობ, რას შეიძლება აკეთებდეს მთელი დღე, ოთახში გამოკეტილი და გული მეზურება. მე, რომელიც უფრო არაკომუნიკაბელური ვარ, ვიდრე კომუნიკაბელური, პერვინთან ბევრად სხვანაირი ვხვდები. ეს მე ვარ მასთან გამოლაპარაკების ინიციატორი, მე ვსვამ მასთან საუბრისას კითხვებს და სანდახან იმდენად ბევრს, რომ საკუთარი თავის მიკვირს. გამართლება მაქსე, ავღანელებზე მთელი მსოფლიო მითებით ლაპარაკობს – პერვინი კი, რეალურია და ხელშესახები. ასეთი რამ არ უნდა გამოტოვო.

მე, რომელსაც შოპინგი მძულს, მაგრამ პერვინი მაინტერესებს, ვხვდები, რომ ის, რაც მე და პერვინს გაგვაერთიანებს, ზუსტად შოპინგია. ვხვდები იმასაც, რომ შოპინგისთვის პერვინს ის თავისი თორმეტკაციანი ურდო არ შეაჩვენებს, როგორც, ვთქვათ, წვეულებისთვის. ურდო პერვინს უჩინრად, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე აკონტროლებს. ამას პერვინი კი არა, მეც ვგრძნობ. როცა ზის, მაშინაც დაძაბულია.

ჩემი ინიციატივით მე და პერვინი შოპინგზე მივდივართ. რა თქმა უნდა, რიქშასთან ვაჭრობას მე ვიწყებ. ინდოეთში ყოფნისა ამ ყოველდღიურმა რიტუალმა ჩემი მოთმინება ნამდვილად განვერთნა. ჩემდა გასაკვირად, პერვინი ამ თელუგუ-ინგლისურ-ხელფეხის ენაში ებტება და წარმატებითაც. წამში აგვარებს ჩემს საშველდაუყენებელ საქმეს. მძლოლს განახევრებულ ფასად მივყავართ. „ვაუ, პერვინ“, – ვეუბნები

მე, როცა რიგშაში ვსხდებით. მართლა
გაოცებული ვარ. პერვინს ელიმება.
პერვინი ამაყაა. მე მგონი, ჩვენს მე-
გონირობას პირი უჩანს. გზაში საყიდ-
ლებზე ვსაუბრობთ. მე ვეუბნები, რომ
არ ვიცი, რისი ყიდვა მინდა. პერვინმა
იცის. პერვინი ამზობს, რომ მას ოთხი
და და ორი ძმა ჰყავს. ძმებს ცოლები
ჰყავთ. დები ყველანი გაუთხოვრები თუ
გასათხოვრები არან. პერვინმა ყველას
საჩუქრები უნდა ჩატანოს. პირველ
რიგში – ძმებს, ძმების ცოლებს და ძმე-
ბის შვილებს. „შენთვის არაფერს ყიდუ-
ლობ?“ – ვეკითხები. „ხო, ჩემთვისაც,
– მეუბნება, – ჩემთვის ბოლოს ვიყიდა.
ფული, რაც დამრჩება“.

ის დღე დიდი ვერაფერი წარმატებულია. მე ვერ ვხვდები, რისი ყიდვა მინდა. პერვინი არაფერს ყიდულობს. ის თავის სტრატეგიას მანდობს – ჯერ ყველა მაღაზიას დაათვალიერებს, ყველა ბაზრობას მოივლის და არჩევანს მერე გააკეთებს. „ხანდახან მეც წამოგყვები“, – ვერუნები.

მეორედ შოპინგზე რამდენიმე დღის მერე მივდივართ. ოლონდ ახლა მარტონი არ ვართ. ჩვენთან ერთად ორი ბიჭია, ერთი – უზბეკი და მეორე – ყაზახი. ისინი გზად, რა თქმა უნდა, მე ავიკიდე. პოსტსაბჭოთა სოციალიზაცია და მისი შედეგები მაინც სულ სხვაა. მე, ხურშედი და პერვინი უკან ვსხდებით. ნაზიმი წინ – რიქშის მძღოლთან. რიქშაში ჩასხდომისას ისე ხდება, რომ პერვინის გვერდით დაჯდომა ხურშედს უწევს. პერვინი აპროტესტებს. „No, no, no“, – ამბობს ის. ბიჭებს მრავალმნიშვნელოვნად ეღიმებათ, მე უსიტყვოდ პერვინსა და ხურშედს შორის ვეტენები. ცოტა ხანში საცობში ვხვდებით. „ალბათ, ჯოჯოხეთი ასეთია“, – ვფიქრობ. მძღოლი, ცოტა არ იყოს და, შეშფოთებული გვუბნება, რომ ნაზიმი უკან უნდა გადმიჯდეს, რადგან იქვე პოლიციაა. ნაზიმი უკან უნდა გადმოვკიდეს სწრაფად, თუ არა, დააჯარიმებენ. ჯარიმა კი, არავის უნდა. ნაზიმი მაშინვე უკან, პერვინის გვერდით ჯდება და ჩვენც ვიძერით. პერვინს სხვა გზა არ აქვს, ვერაფერს ამბობს, ბედს უნდა შეეგუოს. ის მთელი ტანით ზედ მევრის. ნაზიმი კმაყოფილია. ის და ხურშედი მზერას ცვლიან. პერვინს

კუყურები. პერვინი დაძაბულია. ვინმე
ნორმატიული და ცოტათი მიზოგინი
მწერალი კაცი აუცილებლად დაწერდა,
რომ ნაზიმის გვერდით მჯდომ პერვინს
თვალები ვნებით უელავს, მან მამაკა-
ცის სუნთქვა ასე ახლოს პირველად
იგრძნო. არადა, პერვინი, უბრალოდ,
დაძაბული ზის.

କେରାଣୀ ଡାକାବ୍ୟୁଲିଆ ମାଶିନାଙ୍କ, ରାଜପା ଫୋଟାଗ୍ରେଫିଳ୍ ଓ ଲିପିବିହାରୀ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ ।

როცა პერვინი ჩანთას
ხსნის, მაშინვე გუშაგა
იქიდან ამოვარდილი
ვალერიანის თუ
ქორვალოლის
მაგვარი სუნი. ასეთი
სუნი ოთხოცლათიან
ნლებზე ზებიზე
ჩანთაზე პერლათ.
თუ ოდნავ გვერდით
გადაიწევ, მის
ჩანთაზე ჩაჭყეტას
შეიძლება. პერვინს
იქ საფულე,
კასპორიტის ასლი,
ცხვირსახოცი
და რაღაც
ტაბლეტები
უდევს.

მთხოვეს ამის გაკეთებას, სიხარულით
ვთანხმდები. ფოტო სასაცილო გამო-
დის, პერვინს მკაცრი სახე აქვს, მე ყუ-
რებამდე ვიღიმები. „გაიღიმე ხოლმე, –
ვეუბნები, – ლიმილი ძალაან გზდება“.
მეორე ფოტოზე ორივე ვიღიმებით, მა-
რან ქვეშა დარჩა მილოც ჭანიძენი.

თუ ტრენინგზე არ მძინავს, პერვონს
ვაკვირდები. პერვის ფეხები უსივდე-
ბა, ამიტომ ყოველთვის ქროშები აცვია.
ძირითადად, მუქი ფერის ტანსაცმელს
აჭარებს, მაგრამ თავსაბურავი ყოველ-
თვის ფერადი აქვს. ხანდახან მომწონს

კიდეც მისი თავისაბურავები. ერთხელ, ჩვენი შრი-ლანკელი ჯგუფელი პერვის უუბნება: ახლა მაინც მოიხადე ეს თავისაფარი, ოთახში ხომ მხოლოდ

ქალები ვართო. „არა“, – ამბობს პერვინი და თავსაბურზე ხელს იკიდებს, ვატყობ ბრაზდება. „არ მოვიხდი, მე ეს მომწონს“. მესმის მისი. მჯერა, რომ მართლა მოსაწონს. თავსაბურავი ერთა-დერთი ფერადი წივთია მის ჩაცმულობაში. თავსაბურავებით პერვინი თავს იფერადებს. შეიძლება, ცხოვრებასაც.

როცა პერვინი ჩანთას ხსნის, მაშინვე
გეცემა იქდან ამოვარდნილი ვალერია-
ნის თუ კორვალოლის მაგვარი სუნი.
ასეთი სუნი ოთხმოცდათან წლებში
ბეჭიბების ჩანთებს ჰქონდათ. თუ ოდნავ
გვერდით გადაიწევ, მის ჩანთაში ჩა-
ჭყოფაც შეიძლება, რაც, ვიცი, უზრდე-
ლობაა, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებ.
პერვინს იქ საფულე, პასპორტის ასლი,
ცხვირსახოცი და რაღაც ტაბლეტები
უდევს.

ერთხელ, პერვინს ლეპტოპით ვხედავ. ის იაჰუს მეილიდან ვიღაცას გატაცებით წერს. ცოტათი მიხარია კიდეც. ესე იგი, სულ მარტი არაა. ესე იგი, მეილიც აქვს. პერვინი ერთადერთია პროგრამის 120 მონაწილეს შორის, რომელთაც ბრიტურის სახით გამოცემულ და სათითაოდ დარიგებულ სპეციალურ მონაწილეთა სიაში მეილი არაა აქტიური.

პერვინს შოპინგზე ვეღარ დავყვები, ეს ჩემს ძალებს აღმატება, მაგრამ ვეკითხები ხოლმე მისი კაბების ამბებს. „შენთვის როდისლა იყოდი?“, – ვეუბნები და მინდა დავამატო: „შენ შენს თავზე საერთოდ ფიქრობ?“ მაგრამ თავს ვიკავებ. ვიცა, ჩემი საქმე არაა. შოპინგზე კიდევ იმიტომ ვერ დავყვები, რომ ერთხელაც ყველაფერი ყელში ამომდის. პერვინს შეუძლია საათობით არჩიოს, მაგალითად, შარფი დედამისისთვის და სამაჯურებით თავისი ძმის ცოლებისთვის. ამ დროს მე, როგორც მინიმუმ, სამჯერ შემოუწენ ძალიან, აი, ძალიან დიდ მაღაზიას და მერე უფრუნქციოდ ვარ პერვინის გვერდით აყუდებული. ამ დროს ყველაფერი მძულს, მათ შორის, პერვინიც. მინდა მივატოვო თავისი შარფებთან, სამაჯურებთან და მოსასხამებთან, მაგრამ არ შემიძლია. ექვსმილიო-

ნიან ქალაქში მარტო უკან დაპრუნებაზე
გაფიქრებაც კი მზარავს. აი, პერვინს ეს
შეუძლია, მე კი — არა. ორივეს ტაბლე-
ტები გვაქვს ჩანთაში, მაგრამ ჰერვინი
ჩემზე ძლიერია.

ურდოდან ყველაზე სიმპათიური, მა-
ლალი და ცისფერთვალება კაცი ცოტა
განსხვავებულად ექცევა პერვინს -
ელაპარაკება. ბუფეტში ხშირად ერთად
სხდებიან. როცა ის ლაპარკობს, პერვი-
ნი თავდახრილი უსმენს. ხანდახან პერ-
ვინიც ელაპარაკება. ხანდახან პერვინი
იღიმება კიდეც. ხანდახან მგონია, რომ
პერვინს მოსწონს ეს კაცი. ხომ შეიძ-
ლება, მოსწონდეს? ურდოს, ვგრძნობ,
რომ დიდად გულზე არ ვეხატები. მე
ჯინსები მაცვია, თმა მოკლედ მაქვს
შეჭრილი, ხმამალლა ვიცინი და ხან-
დახან ყოვლად წამხდარ ინდურ ლუ-
დსაც ვსვამ - მოკლედ, საშიში ვარ.
ისე, პერვინთან ჩემი მეგობრობაც ხომ
არაა ცოტა საშიში? რამდენიმე დღის
მერე გხედავ, პერვინი ანურული დგას
კედელთან ორი ურდოელის წინ, ერთი
განსაჟურორებულად აგრძისულად, ხე-
ლების ქნევით ელაპარაკება. მეც იქვე
ვარ, შორისახლოს, მაგრამ პერვინი ვერ
მამჩნევს. ისინი მიყურებენ. მეც საპა-
სუხოდ ისევე ვუყურებ მათ, როგორც
ისინი - მე. შორს არ მივდივარ. პერ-
ვინს ჰოლში ველოდები, მაგრამ ისე,
რომ იმათ არ დამინახონ. პერვინი
გვერდს მივლის და ისევე ვერ მამჩნე-
ვს. უკან მივსდევ, თან მახსოვოს, რომ
იმათ არ უნდა დამინახონ. „პერვინ,
პერვინ“, - ვეძახი. პერვინი ტრიალდე-
ბა. „is everything ok?“ - ვეკითხები და
უკვე ვიცი, რასაც მეტყვის. არაჟურსაც
არ მეტყვის. „yes, yes“, - მეუბნება და
იღიმება. პერვინის სახეზე ვერაფერს
ვკითხულობ.

პერვინთან ერთად ხანდახან პატარა გამარჯვებებს ვზიემობ. ერთხელ, ერთ-ერთ ურდოელს რომელიღაც სიტყვა ავიწყდება ინგლისურად. ცოცხალი თავით არ უნდა პერვინს ჰყითხოს, არადა, პერვინის გარდა, ამ ჯგუფში ავლანელი არვინაა. საბოლოოდ, იძულებული ხდება, კეთილი ინგბოს. პერვინი მშვიდად პასუხობს. მე ბეთინირი ვარ.

მაისურის სასახლის წინ flying ფოტოებს ვიღებთ. ეს ჰაერში ახტომისას გადალიზელი სასაჭილო ფოტოებია.

ჩემდა გასაკირად, პერვინიც ჩ ჩვენთან
ერთად ხტება. ფოტოზე მას ორივე
ხელი აქვს გაშლილი და იისფერი თა-
ვსაბური უფრიალებს. იქ, იმ ფოტოზე,
პერვინი თავისუფალია.

ერთხელაც, ბუფეტში სადილობისას პერვინი გვერდით მიჯდება. ახლა მართლა უელავს თვალები. „პერვინ, რა ხდება?“ – ვეკითხები. პერვინი აქტიური იყიდ იყურება, მერე თავს დაბლა სწევს და ჩურჩულით მუებნება: „ჩემთვის კაბა ვიყიდე, ყველაზე ძვირი, მთელი 3000 რუპია მივეცი“. „ვაუ, პერვინ“, – ბოლო

კერვინარ ერთად
ხალასან პატარა
გამარჯვებებს
ვზეომობ. ერთხელ,
ერთ-ერთ ურლოცლე
რომელიმაც
სიცყვა ავიყლება
იჩელისურად.
ცოცხალი თავით
არ უძღა კერვინს
ჰეითხოს, არალა,
კერვინის გარდა, ამ
ჯგუფში ავლანელი
არვინაა. საბოლოოდ,
იძულებული ხდება,
კათილი ინებოს.
კერვინი მშვიდად
პასუხობს. მე
ბეჭინერი ვარ.

ხმაზე ვყვირი მე. პერვინი ბედნიერია.
მეც.

ჩევნი ინდური, კვალიფიკაციის ასა-
მაღლებელი არდადეგები დასასრულს
უხლოვდება და პერვინთან ერთად
ბოლო შოპპინგისთვის ვეზზადები. პერვი-
ნი წასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე
შემოიდის ჩემს ოთახში, მორიცებულად
ჯდება და მეყითსება, ვიცი თუ არა, რა
არის თმის კონდიციონერი. ვეუბნები,
რომ ვიკი. „მაშინ, — მეტყებია პერვინი,

— დამებარე ამორჩევაში, შუქრალას უნდა ვუყიდო“. შუქრალა ურდოელია. „რატომ, შუქრალა თავისით კონდიციონერს ვერ იყიდის?“ — ვპრაზდები მე. „არა, — მეუბნება პერვინი, — იცის, რომ ბაზრობაზე მივდივართ და დამაბარა“. „აპა, დაგაბარა, კიდევ რა დაგაბარა?“ „შუქრალამ არა, სხვებმა დამაბარეს“, — მეუბნება პერვინი. წარმოვიდგინე, ამ თორმეტი გაზულუქებული კაციდან როგორ აბარებს პერვინს — ვინ თმის კონდიციონერს, ვინ წინდებს, ვინ დოლბანდს და ვინ კიდევ სარცხის ფხვილს. ცოტაც და ავფეხუდება. „ფული მაინც მოგცა?“ — ვეკითხები. „არა, — ამბობს პერვინი, — არა, მე უნდა ვუყიდო“. „არა? არ მოგცა?“ — ვყვირი მე, უკვე გაცოფებული ვარ. „რა ვალდებული ხარ, მაგათ საყიდლებზე შენ იარო? ჰა? რა ვალდებული ხარ? ვინ არიან ეგენი? რას გავალდებული ხარ?“ აი, უკვე ავფეხუდი. პერვინი ჯერ გაფართოებული თვალებით მიკურის, მერე სიცილი უტყვდება. პერვინი ხმამაღლა იცინის. ასეთს, პერვინს, პირველად ვხედავ. მართალია, ცოფი არ გამნელებია, მაგრამ მეც მეცინება. ორივე ერთად ვიცინით. სიცილიც, როგორც შობინგი, გვაერთანანებს. საბოლოო ჯამში, ბაზრობაზე შუქრალასთან, ალისთან და როიანთან ერთად მივდივართ. ის თავის კონდიციონერს, ის თავის წინდებს და ის კიდევ თავის დოლბანდებს თავად იყიდის. მე ბედნიერი და ამაყი ვარ. შეიძლება, პერვინიც ხომ შეიძლება, პერვინიც იგივეს გრძნობდეს, რასაც — მე?

მინდა, რომ მე და პერვინი მეგობრები ვიყოთ. მინდა, რომ ჩვენი მეგობრობა ინდოეთში არ დასრულდეს. მახსოვს, რომ პერვინს მეილი აქვს. როცა ბაზრობიდან ვპრუნდებით, ავტობუსში, ნახევრად მოგლეჯილი ბილეთის უკანა მხარეს, ჩემი ფოსტის მისამართის ქვეშ ვაწერ: „პერვინ, ეს ჩემი მეილია. მომწერე ხოლმე“ და ბილეთს გადატენილ, ჯოვონეთურად ცხელ ავტობუსში, წინ, ფანჯარასთან მჯდომი პერვინს კონდუქტორის დახმარებით ვაწვდი. აქედან მხოლოდ მის თავსაპურავს და თხელ ზურგს ეხედავ. ის ცოტა ხნით ბილეთს უყურებს და მერე ისევ ფანჯარას უბრუნდება.

ალბათ, პერვინი არასოდეს მომწერს.

პორტრეტები

ლევან ხაჩიაშვილი



ერლომ ახვლეიანი

მე მოვლენებს არ აღვწერ, უფრო – განწყობებს და ემოციებს. ხშირად მეუბნებიან, რომ სულ მარტობას და სევდას ვიღებ. მე კი, მგონია, რომ ვიღებ საკუთარ თავში ჩაღრმავების, საკუთარ სამყაროში ჩაბრუნების მდგომარეობებს, რომლებიც მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა ადამიანი მარტოა. ალბათ, ამიტომაც ამბობენ ასე ჩემზე. რა ვქნა, ჩემთვის სახეები საინტერესო მხოლოდ ამ დროსაა. არასდროს მომინდება, გადავიღო სიცილისგან გაპრწყინებული სახე, რაც არ უნდა გულწრფელი იყოს ეს გამომეტყველება. მე მაინტერესებს გარედან დაკვირვება მაშინ, როცა, ვთქვათ, შენ, შენთვის მარტო ზიხარ ბალში და ფიქრებში ხარ მთლიანად წასული და არ იცი, რომ გიყურებ. აი, ეს მდგომარეობაა ჩემთვის ფასეული კამერაზე აღსაბეჭდად.

ერლომ ახვლეიანი, თბილისი, 2005

იმ დღეს, თამარ ბაბუაძესთან ერთად, კარგა ხანს დავრჩით ერლომთან სახლში. ბევრი ვისაუბრეთ, ფოტოებიც ბევრი გადავიღე. ბოლოს, დამშვიდობებისას, ჭიშკრამდე გამოგვაცილა. ოდნავ დავნინაურდი და უკან რომ მოვტრიალდი, დავინახე გამოლებულ ჭიშკართან მდგარი ერლომი. ეს იყო ადამიანი, საკუთარი, შემოფარგლული სამყაროს ზღურბლზე, სადაც ჩვენ ცოტა ხნის წინ შეგვიძება და ახლა ისევ ჩვენს წინ ხურავდა კარს...



კახა თოლორდავა, თბილისი, 2012

მოდი, კახაზე ასე ვიტყვი. კახა თოლორდავა – თვითემარი ავანტიურისტი. რომ დავინახე ასე ჩაცმული, შუშის მაგიდასთან, საიდანაც კახას არეკლილი სახე მიყურებდა, უნდა გადამეღო, აბა, რა!



ნატა ბუჩქიძე, თბილისი, 2008

ნატა ბუჩქიძე გადამიღია, მაგრამ მიმართდა, რომ არც ერთხელ არ გამომივიდა. რაღაც ყოველთვის აკლდა ხოლმე მის პორტრეტებს. ფოტოს გადაღების დროს ნატასთან სახლში, ფანჯარასთან ვიდექით. ავიღე კამერა და გადაღება დავიწყე. ისევ იგივე მოხდა – არაფერი გამოვიდა. უცებ ნატამ ხელები სახესთან მიტანა, რა ვქნა, არ გამომდისო. კამერა მიშვერილი მქონდა და ისე მოხდა, რომ ზუსტად ყველაზე საჭირო წამს დავაჭირე თითო ლილაკს. მართლა წამი წყვეტს ყველაფერს. ასე გამოვიდა, ბოლოს და ბოლოს, ნატა ბუჩქიძე.




დავით ბუხრიკიძე, თბილისი, 2012

ბუხრიკას ფოტოს გადასაღებად რამდენიმე წელია, ვემზადები. სულ მინდა და ვერ ვხვდები, როგორ. იმ დღეს შევხედე თუ არა, მივხვდი, რომ უნდა გადამეღო. როგორც ეცვა, რა განწყობაც გადმომდო შეხვედრისას, გადამწყვეტი აღმოჩნდა. სასურველი ფონი უცებ ვიპოვე. სხივების ეს ლივლივი კადრში, ჩემთვის ძალიან ჰგავს თვითონ ბუხრიკას ხასიათს – ის მოუხელთებელია, სულ გისხლტება ხელიდან, თან სულ გადმომდებს ხოლმე ერთდროულად დიდ სითბოს და სევდას.



მარა დომინიკა, თბილისი, 2000

მიუხედავად იმისა, რომ მაიასთან წლებია, ვმეგობრობ, მის პორტრეტებს ხშირად არ ვიღებდი. ზოგადად რთულია, ლამაზი ქალი გადაიღო. უნდა აჩვენო ისიც, რასაც შენ ხედავ მასში და თან უნდა გაითვალისწინო მისა სურვილი, რომ ლამაზი გამოიყვანო. ამ ფოტოს გადაღების დღეს მაისთან ვიყავი სახლში. ფონმა, რომელიც ამ პორტრეტისთვის მოეძებნე, უბრალოდ, გაამძაფრა ის, რისი ჩვენებაც მაის პორტრეტში სულ მინდოდა: მისი ოდნავი განზე დგომა, მსუბუქი გაუცხოება გარემოსთან.



გირამ დოჩანაშვილი, თბილისი, 2006

გურამ დოჩანაშვილის გადაღებაც საქმისთვის დამჭირდა. ეს ფოტო მომწონს
იმით, რომ კონტაქტური პორტრეტია.



გაია ქანკავა, თბილისი, 2000

მაია ჩემი დიდი ხნის მეგობარია. ის თავის სამყაროში ცხოვრობს, სადაც
არის ფერწერა და მუსიკა. ინტროვერტული განწყობით ის ხშირად მინახავს. ამ
ფოტოზეც ესაა - „ადამიანი-ყუთი“, ანუ ის, რაშიც მაია ცხოვრობს.



ანიტა თვაური, თბილისი, 2012

ჩემთვის პორტრეტს არასდროს ქმნის მხოლოდ სახე, რადგან ადამიანს გარემოში, სიტუაციებში აღვიქვამ. ზოგჯერ შეიძლება ისიც მოხდეს, რომ პორტრეტის გადასაღებად ბიძგი მომცეს არა თვითონ ადამიანმა, არამედ გარემომ, რომელშიც მას ვხედავ.

ანიტას გადასაღებად შესაფერის ფაქტურას ვეძებდი, როცა ეს ღარებიანი კედელი დავინახე. გადასაღებად საჭირო განწყობა ზუსტად ამ კედელმა შემიქმნა და ეს პორტრეტი თუ გამომივიდა, ეს მოხდა რამდენიმე ფაქტორის დამთხვევით: ანიტას განწყობა, უცებ წამობერილი ქარი და ფაქტურა ფონად, რომელიც უხდება ანიტას ხასიათს.



მაია თოჯლაური, თბილისი, 2012

მაიას გადაღება უურნალისთვის იყო საჭირო. გამიჭირდა, შესაფერის გარემოს ვერ ვპოულობდი. ბოლოს, ისე მოხდა, რომ გარემომ არც ითამაშა დიდი როლი, სამაგიეროდ, მაიაში უცებ დავინახე ის, რაც მანამდე არ შემიმჩნევია და რასაც არც თვითონ ამჟღავნებს ყოველდღიურობაში – მგრძნობიარე ქალი, სექსუალური და საინტერესო.



ბიორბი ბოგუა, თბილისი, 2012

გიორგის ძალიან საინტერესო გარეგნობა აქვს და თან მგონია, რომ მისი თაობის მთავარ განწყობებს გამოხატავს თავისი იერით.



მანანა არაგული, თბილისი, 2010

მანანას დიდი ხანია, ვიცნობ და სულ მგონია, რომ მთელი ცხოვრება ცდილობს, იყოს დამოუკიდებელი ყველასგან და ყველაფრისგან; არის პირდაპირი და ძლიერი ნების. და ამ ფოტოზეა ასეთი მანანა.



გარინა ივანიშვილი, თბილისი, 2004

არიან ადამიანები, რომელთა გადაღება ყოველთვის მინდოდა. ეს სურვილი მათი კოლორიტული პერსონით იყო გამოწვეული. მარინა მართლაც გამორჩეული ადამიანია, თავისებური შინაგანი სამყაროთი და გარე სამყაროს უჩვეულო აღქმით. მარინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალიან მონოლითურია, ისეთივე, როგორიც მისი ქანდაკებები, მაგრამ ეს იერი მაღავს მის მგრძნობიარე და ფაქიზ ბუნებას.



რატი ქართველიშვილი, თანლისი, 2012

გადაღების პროცესში ადამიანები იწყებენ თამაშს. ცდილობენ, როლში შევიდნენ. ხშირად, იძაბებიან და ნერვიულობენ. რატის გადაღებაც ასეთი იყო. შემდეგ კი, როგორც წესი, დგება ის მომენტი, როცა ადამიანი „იღლება“ ამ თამაშისგან და თავის ერთ-ერთ ბუნებრივ მდგომარეობას უპრუნდება. მე და რატიმ დიდასანს „ვიჭიდავეთ“. შემდეგ კი, რაღაც მომენტში გადაღება შევწყვიტე და ისიც შეეშვა ჩემს თანაავტორობას. სწორედ ამ დროს შევნიშე მისი მზერა – დაუცველი და მტკიცე. რამდენიმე წამში ფოტო მზად იყო.



მალეაზ ხარბელის, თბილისი, 2007

ოფიციში ვიყავი, უკვე საღამო იყო, როცა მახო შემოვიდა. აღმოჩნდა, რომ სასწრაფოდ სჭირდებოდა ფოტოს გადაღება. დავიწყეთ, იქვე, ოფიციში, საღამოხანს, ოთახის განათებაზე – თითქოს, ამ პირობებში არაფერი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ერთმანეთს დაემთხვა ჩემი და მახოს განწყობა და ზუსტად ხუთ კადრში დავამთავრეთ. ეს მეტუთე კადრია და მჯერა, რომ ასეთი ზუსტი და ნამდვილი მაღაზ ხარბედია არსად მინახავს.



თეა თვალავაძე, თბილისი, 2011

თეას გადასაღებად ჩემი ახლობელი დიდი ხნით ადრე მამზადებდა, მეუბნებოდა, რომ ზუსტად საჩემო ტიპაჟია, ძალიან საინტერესო გარეგნობით. როცა დავინახე, რატომდაც ასოციაციურად ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“ გამახსენდა.



SINCE 1884

SARAJISHVILI

საქონლი

ცხელი მოვთქული ლიტერატურა

ლიტერატურული პროცესი
საჯარო ეროვნული ბიბლიოთეკა
ანიშა თვარი

საავტორო
გაცემის და ათასი სხვის
აკა მოჩილავა

მოთხოვთ
საშინელი ზღაპარი
გიგი სალაკარი

საუბრები აბაზურის ევეშ
განათებული ფანჯრების კვირა
ონა ამჟღავნები

კონცი
გიორგი კობახიძე

რეცენზია:
ლიტერატურული ჟურნალი 1910-1920-იანი წლები
გიგანტის გრასი: „ლელალი ვირთაგვა“
ევთრის შულში: „როსა ცლები“



საჯარო ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთონი ანიშა თვალი
ფოტო მაკა გოგალაძე

2012 წლის 28 თებერვალს facebook-ზე ახალი წევრი დარეგისტრირდა ორენოვანი სახელით: „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა/National Library of Georgia“. მომხმარებელი აქტიური წევრი აღმოჩნდა. სულ რამდენიმე დღეში, მის facebook-გვერდზე 6 ათასამდე ადამიანმა დააჭირა თითო ლილაკს – „მომწონს“, რითაც ბიბლიოთეკას საკუთარი სიმპათია დაუდასტურა.

იმავე დღეებში იგივე მომხმარებელი youtube-ზეც გამოჩნდა და ბიბლიოთეკაში მომხდარი სიახლეების შესახებ ვიდეო-ბლოგების ატვირთვა დაიწყო.

ასე, ერთი ხელის მოსმით, ლამის 200-წლიანი ისტორიის მქონე, ბებერი ბიბლიოთეკის გაახალგაზრდავება თითქმის არ გამკვირვება. თანამედროვე ტექნოლოგიების ენაზე ეს დიდი ტრადიციის მქონე დაწესებულება მას შემდეგ აღაპარაკდა, რაც საქარ-

თველოს პარლამენტმა ბიბლიოთეკის დირექტორად დაამტკიცა გიორგი კეკელიძე – პირველი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკის – „ლიბ. ჯის“ შემქმნელი. გიორგიმ www.lib.ge-ზე უამრავი კლასიკის მწერალი განათავსა, ამიტომ წნნასწარვე ვხვდებოდი, დირექტორად დანიშვნისთანავე, ის აუცილებლად შეუქმნიდა ეროვნულ ბიბლიოთეკას ვირტუალურ „მეორე მეს“ და არც აგრესიულ პიარს მოერიდებოდა. იმ დღეებში რამდენიმე ფაცებორკ-მეგობრისგან გავიგე, TBC PAY-ს აპარატი რომ დადგეს, ეგ რაღა დასაწერი იყოო. თვითონ გიორგიმ კი პირველ პრესკონფერენციაზე თქვა:

„ყველაზე მეტად საჯაროობა აკლია საჯარო ბიბლიოთეკას, თორემ საქმე აქამდეც კეთდებოდა“. ჩემთან ინტერვიუში კი დაამატა: „ჩვენ გვინდა, რომ ადამიანებმა გაიხსენონ ბიბლიოთეკა, ყველა მედიას თავისი მომხმარებელი

ჰყავს და გვინდა, მათი საშუალებით ნებისმიერ ადამიანთან მივიდეთ“.

პრინციპში, კეკელიძისგან ზუსტად ამგვარ ინიციატივებს ელოდნენ. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ ის დირექტორის პოსტზე წარადგინა, ასეთი რამ თქვა: „იმედი მაქვს, ბიბლიოთეკის როლი და ფუნქციები მხოლოდ გაძლიერდება, რადგან გიორგი კეკელიძე ყოველთვის იყო და არის გამორჩეული ინოვაციური იდეებით“.

გიორგი კეკელიძე პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული მეხუთე დირექტორია. კეკელიძის ნინამორბედები სხვადასხვა ვადით რჩებოდნენ თანამდებობებზე. პირველი დირექტორი, ალექსანდრე კარტოზია სულ რაღაც ერთ წელს, განათლების მინისტრად დანიშვნამდე იყავებდა ამ თანამდებობას. ბიბლიოთეკის მართვის ყველაზე ხანგრძლივი, თითქმის

7-წლიანი გამოცდილება კი ლევან
ბერძენიშვილს აქვს.

თუმცა, თითქმის ორი ათწლეულის
განმავლობაში, უმთავრესი ამოცა-
ნა, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკის
მმართველმა უნდა გადაჭრას, დღემ-
დე უცვლელია – მან უნდა იზრუნოს
იმაზე, რომ როგორმე სისრულეში
მოიყვანოს წლების განმავლობაში გა-
წელილი პროცესი – გაათანამედრო-
ვოს და გარდაქმნას ბიბლიოთეკის
დღემდე თვალშისაცემი საბჭოთა მე-
მკვიდროება.

გარდა იმისა, რომ მოთხოვნილ
წიგნს დროულად გიძებნიან და ხშირად
ონლაინ მუშაობის საშუალებასაც გაძ-
ლევენ, მაინც როგორია თანამედროვე
ბიძლიოთეკის საკუთხესო მოდელი?
– დავუსვი კითხვა საკუთარ თავს და
google-კვლევა წამოვიჩნევ. ასე „შემო-
მეკითხა“ უამრავი მასალა აშშ-ის კონ-
გრესის ბიძლიოთეკის შესახებ.

1990 წელს, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი იყო, ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკამ პი-ლოტური ექსპერიმენტი „ერის მეხსიერება“ დაიწყო. ბიბლიოთეკის საცავებში დაცული რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, მოძრავი გამოსახულება, სმის ჩანაწერი და ფოტო კომპაქტ-დისკზე ჩანერეს და 44 საშუალო სკოლას და ბიბლიოთეკას გაუგზავნეს. პროექტმა გაამართლა – სკოლებიდან და ბიბლიოთეკებიდან ელექტრონული ფორმატის უფრო მეტი ინფორმაციის მიღება მოითხოვეს. ასე დაიწყო კონგრესის ბიბლიოთეკაში ელექტრონული წიგნების შექმნის დაუსრულებელი პროცესი. დაუსრულებელი იმიტომ, რომ კონგრესის ბიბლიოთეკა, რომელიც, თუ არ ვიდები, მსოფლიოში ყველაზე დიდიცაა, 147 მილიონ ტექსტურ, აუდიო და ვიზუალურ მასალას ინახავს. ახლა იქ ყოველდღიურად ათი ათასი ერთეული გადაჰყავთ ციფრულ ფორმატში.

ერთი წიგნის ელექტრონული ფაილი, საშუალოდ, ერთ მეგაბაიტს „ინონის“. 4 მილიონი გაციფრულებული წიგნის შესახად კი საჭიროა 4 ტერაბაიტიანი მეგასიერების ბარათი, რომელიც ზომით ასანთის კოლოფს არ აორმატიზება. საქართველოს საჯარო

ბიბლიოთეკაში სწორედ 4 მილიონა-
მდე წიგნია დაცული. გამოდის, რომ
ის, რაც ეროვნული ბიბლიოთეკის ათ-
სართულიან საცავებში ინახება, მაღა-
შეიძლება, მინიჭურულმა მოწყობი-
ლობამ დაიტიოს.

თუმცა, ვცრუობ, მალე ეს ვერა-ფრით მოხერხდება. საჯარო ბიბლიოთეკის საცავებიდან ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის პროცესი 1998 წელს, ლევან ბერძენიშვილის დირექტორობისას დაიწყო და ერთი დღითაც არ შეფერხებულა, მაგრამ 14 წლისათავზე, მთელი კოლექციის მაინც მხოლოდ ოცი პროცენტია გაციფრულებული. ბევრგან წავიკითხე, რომ თანამედროვე ქვეყნებში ბეჭდური ბიბლიოთეკების ციფრულ ფორმატში გადაყვანის პროცესს ძალიან კომპიუტერულ სტრუქტურას ხდის ერთი საკმაოდ ძვირადღირებული სკანერი, საიდანაც ბეჭდური გვერდები კომპიუტერის მესიერებაში ძალიან სწრაფად გადადის. სადაც ეს სკანერი არ აქვთ, იქ უკვე ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უწევთ წვალება – დაბეჭდილი წიგნის კომპიუტერში ხელახლა აკრეფა დამისი ამ გზით გაციფრულება.

წინა თვეში, საჯაროში სიარულისას რამდენჯერმე შევხვდი იმ თანამშრომლებს, რომლებიც, უკვე 12 წელია, ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ – კომპიუტრებში, „ვორდის“ პროგრამაში შეჰქანია გასაციფრებლად გამზადებული ძველი ექსპონატები. როცა გიორგის ამ თემაზე ველაპარაკები, მიხსნის, რომ ხსენებული სკანერის შექმნას გრანტით შეუდება.

ლევან ბერძენიშვილისა და მისი შემდგომი დირექტორების მმართველობის პერიოდში კი ეს ვერ მოხერხდა. ბერძენიშვილი ისეთ ამბებს იხსენებს, რომ ვცვდები, მაშინ, 1998-ში, სკანერის შეძენა ფანტასტიკურის სფეროს უფრო ნარჩოადგენდა: „სერიოზული ზენოლის გატარება დამჭირდა. დავიბარე ერთი ჯგუფი და ვუთხარი, გაძლევთ ერთ თვეს და კომპიუტერებს, მოგზინეთ მასწავლებელს, თქვენ ისწავლით „ვორდს“ და ასე დავინუყებთ ელექტრონული ბაბლიოთების შექმნას.“

„ლია საზოგადოება – საქართველო-

ლოს“ დაფინანსებით შექნილ ოთხ კომპიუტერს რეინის გისლებიან ოთა-ხში ვინახავდით. მაშინ ისეთი სიმდი-დრე იყო კომპიუტერი, გვეშინოდა, არავის მოყპარა“, – მიხსნის ეროვნული ბიბლიოთეკის რესურსების დეპარ-ტამენტის ხელმძღვანელი, ლევან თა-ქთაქიშვილიც.

ეს ბიძლიოთეკისათვის თანამე-
დროვე ტექნიკასთან შეხების პირვე-
ლი მცდელობა იყო. სწორედ მაშინ
დაკომპლექტდა სპეციალური ჯგუფი,
რომელიც ყოველდღე სამსახურში
ნიგნების ასაკრეფად მიდიოდა.

დღეს კი პრობლემას ქმნის ქართული ტექსტის ამომცნობი ოპტიკური პროგრამის არარსებობაც. სკანერი ბიბლიოთეკას რომც ჰქონდეს, ის წიგნის ფაილებს PDF ფორმატში შეინახავს და ტექსტები საძიებო სისტემაში იქმდე ვერ მოხვდება, ვიდრე „ვორდის“ დოკუმენტებად არ გადაკეთდება. ამ ფუნქციას მსოფლიოში დიდი ხანია, ტექსტის ოპტიკური ამომცნობები ასრულებს, ქართული წიგნები კი, ჩვენი დამწერლობის უნიკალურობიდან გამომდინარე, ამ უკვე არსებული პროგრამებით ვერ სარგებლობს. ქართული ნაბეჭდი ტექსტის ოპტიკური ამომცნობის შექმნის მცდელობა რამდენიმე წლის წინ კი იყო და პროგრამას საქმაოდ ჰქონიკული სახელი – „ქორის თვალი“ ერქვა, მაგრამ ის ხარვეზებიანი გამოდგა და ვერ იმუშავა.

7-წლიანი დირექტორობის პერიოდში, ლევან ბერძენიშვილისთვის დიდი გამოწვევა იყო მცირე ბიუჯეტის განაწილებაც. ბიბლიოთეკა ჯერ 650 ათასი ლარით ფინანსდებოდა, შემდეგ – მილიონით, მაგრამ ეს თანხა იმდენად მცირე იყო, რომ, როგორც თვითონ ბერძენიშვილი მიყვება, მის დროს ბიბლიოთეკას ერთი წიგნიც არ შეუძენია. ეს კი იმსა ნიშნავს, რომ წლების განმავლობაში საქართველოს უდიდესი ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი არა მხოლოდ არ შეიქმნა, არამედ არც გათანამედროვდა. საცავებში, სადაც ათწლეულების მანძილზე საბჭოთა გამოცემები გროვდებოდა, ქართულ და რუსულენოვან წიგნებს თითქმის არ დამატებია ახალი ინგლისურ თუ

გერმანულენვანი ტექსტები. ალბათ, ამ მიზეზით, ჩემი, ჩემზე წინა და შე-მდეგი თაობის სტუდენტები ეროვნულ ბიბლიოთეკაზე უფრო ხშირად, გო-ეთეს ინსტიტუტის, ანდა IREX-ის ბი-ბლიოთეკებში დადიოდნენ, თუკი რამე ახლისა და საინტერესოს წაკითხვა სურდათ. ერთადერთი უცხოენვანი ლიტერატურა, რაც ალექსანდრე კარტოზიას მმართველობის პერიოდშივე ბიბლიოთეკამ „შეითვისა“, ფრანგული იყო. აქ ალექსანდრე დიუმას ცენტრი გაიხსნა, თუმცა, როგორც ლევან ბერძენიშვილი მიამბობს, ხალხი ამ პროექტსაც ეჭვით შეხვდა: „მაშინვე დაიწყო საუბარი, როგორ, ეროვნული ბიბლიოთეკის სივრცე უცხოელებს მიაქვთ?“

ასე დავინწროვდა ბიბლიოთეკის შე-მთხვევაში სიტყვა „საჯაროს“ გაგება. ეს ადგილი, წლების განმავლობაში, საჯარო სივრცედ დარჩა მხოლოდ სა-ზოგადოების ძალიან ვიწრო წრისთვის: პენსიონერებისთვის, რომელთაც ახა-ლი გაზიერების შესაძენად პენსია არ ჰყოფნიდათ და პრესის საკითხვად ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფი-ლებაში თითქმის ყოველდღე დადიოდ-ნენ (და დღემდე დადიან); და იმ სტუ-დენტებისთვის, რომელთაც პედაგოგი

რომელიმე ძველი, ქართული ან რუსულენვანი წიგნის გაცნობას თხოვდა.

არადა, საჯაროობა ეროვნული ბი-ბლიოთეკის შექმნის მთავარი მიზანი იყო. ერთ-ერთ ერქულში, რომელ-შიც ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ პუბლიკაციებია გაერთიანებული, წავანყდი წერილს, რომელიც 1830 წლის აპრილში, რუს მემამულეს, გრაფ ნიკოლოზ მორდვინოვს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრისთვის მიუწერია და რომელშიც მინისტრს იმ-პერიის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის, თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების საჭიროებას უმტკიცებდა:

მორდვინოვის თხოვნა არ დაქმაყო-ფილდა, მაგრამ 1846 წელს მთავარმართებელმა ვორონცოვმა თბილისის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“ დაარსა. პეტერბურგის, მოსკოვისა და ოდესის შემდეგ ის მეოთხე საჯარო ბიბლიოთეკა იყო მთელ იმპერიაში.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბი-ბლიოთეკა კავკასიის მუზეუმს შეუერთეს. გასაბჭოების შემდეგ ის საბჭოთა კავშირის განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო 1953 წლიდან კულტურის სამინისტროს დაუქვემდებარეს. საქართველოს ეროვნული

ბიბლიოთეკა საბჭოთა პროპაგანდის ტიპურ ცენტრად იქცა. გამოფენები და საერთოდ, ყველა ტიპის ლონისძიება მხოლოდ საბჭოთა ინტერესების გათვალისწინებით ეწყობოდა. ამიტომ 1990-იან წლებში საეტაპო მნიშვნელობა შეიძინა ბიბლიოთეკისთვის პეტრე ოცხელის გამოფენის მოწყობამ.

„უამრავი ხალხი მოვიდა, ასეთი გამოფენა ბიბლიოთეკას არ ახსოვდა. ადრე გამოფენები თაროებზე კრამიტებივით ჩამნკრივებული წიგნების ერთობას წარმოადგენდა, ახლა კი – პეტრე ოცხელის ნამუშევრები კედლებზე. ამის მერე მახსოვს, დიდი გამოხმაურება გამოიწვია მარინა ივანიშვილის ქანდაკებების გამოფენამ ქალის სხეულის თემაზე. გვაკრიტიკებდნენ, რა უნდა ბიბლიოთეკაში ამასო“, – მეუბნება ლევან თაქთაქიშვილი.

საბჭოური ლოგიკით იძნებდნენ ექსპონატებსაც. ისევ ლევან თაქთაქიშვილმა მიამპო, რომ თურმე ერთხელ, საბიბლიოთეკო საბჭომ უარი თქვა, შეეძინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ მეორის, ერთ ჯვახში მიკვლეული პორტრეტი – ნახატს რატომ უნდა ყიდულობდეს ბიბლიოთეკა, აქ ხომ წიგნებს ვინახავთო (მოგვიანებით, ალექსანდრე კარტოზიას ხელმძღვანელობისას, ბიბლიოთეკამ ეს პორტრეტი შეიძინა).

რაც მთავარია, ურთიერთობაც ბიბლიოთეკარსა და მკითხველს შორის კლასიკური საბჭოთა სცენარით ვითარდებოდა. ემზარ ჯგურენაია, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკას 2003-2005 წლებში ხელმძღვანელობდა, იხსენებს: „საბჭოთა მომსახურება იყო ასეთი: ტაქსის მძღოლი რომ გაგიჩერებდა მანქანას და გეთხავდა, სად მიდიოდი, თუ შენი მისამართი არ მოეწონებდა, მიგიჯახუნებდა კარს და წავიდოდა. ზუსტად ასევე შეეძლოთ, გაემწარებინათ შენი ცხოვრება ბიბლიოთეკარებს, რომლებიც არაფრად გაგდებდნენ და ისე გიყურებდნენ, თითქოს რამე დაგემავებინოს“.

„ბიბლიოთეკარი არის ადამიანი, ვისაც უყვარს წიგნი, მაგრამ არ უყვარს მკითხველი, წიგნი არის მისი ობიექტი და მკითხველი – ადამიანი, ვინც წიგნს აზიანებს“, – როცა ლევან ბერძენიშ-

გალერეა



ზურა ბერძი
„შეუქანასკნელი“ – 2011

ვილმა დამიხატა ბიბლიოთეკარის ეს ტიპაჟი, თან ეღიმებოდა, მაგრამ ფაქტია, უდიერი მომსახურება სწორედ საბჭოთა პერიოდიდან იქცა ბიბლიოთეკას მოუგვარებელ პრობლემად. მიამძეს, აქ ხშირად სამკითხველო დარბაზიდან სტუდენტებს უქვებდნენ მხოლოდ იმ მოტივით, რომ ადგილი პროფესორ-მასწავლებლებისთვის უნდა დაეთმოთო. არადა, როგორ მომენტი მეოცე საუკუნის ინდოელი ფილოსოფისისა და ბიბლიოთეკარის, შიალი რამამრიტა რანგანათანის სიტყვები, რომელმაც 1931 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი“ ბიბლიოთეკის მთავარი დებულებები ასე ჩამოაყალიბა:

1. წიგნები შექმნილია წასაკითხად და გამოსაყენებლად;
2. ბიბლიოთეკაში ყოველმა მკითხველმა უნდა ნახოს თავისი წიგნი;
3. ბიბლიოთეკაში ყოველმა წიგნმა უნდა ნახოს თავისი მკითხველი;
4. ბიბლიოთეკა უყრთხილდება და ზოგაც მკითხველის დროს;
5. ბიბლიოთეკა არის მზარდი ცოცხალი ორგანიზმი.

თავის დროზე ეროვნული ბიბლიოთეკის თითქმის ყველა დირექტორმა სცადა, ამ იდეალურ სურათთან ოდნავ მაინც მიეახლოვებინა ეს დაწესებულება. ახლა კი უკვე გიორგი კეკელიძე მეუბნება, რომ მისი მთავარი სირთულე, რომელიც უნდა დაძლიოს მომსახურების გაუმჯობესებაა. „მომსახურე პერსონალი ბიბლიოთეკის სახეა მკითხველისთვის. მომსახურება მთლიანად უნდა მოტრიალდეს მკითხველისკენ“, – მიხსნის ის.

დღესაც ისევე, როგორც საბჭოთა წლებში, ბიბლიოთეკის თანამშრომლების უმეტესობა ქალია, რადგან საბჭოთა პერიოდში საბიბლიოთეკო საქმე არაპრესტიულ პროფესად ითვლებოდა და მამაკაცები მას თითქმის არ ირჩევდნენ. ლევან თაქთაქიშვილი მიყვება, ჩვენი თანამშრომელი ქალების უმეტესობა აქ 20-25 წლის ასაკში მოვიდა და ახლა ერთმანეთისთვის ოჯახის წევრებივით არიანო. ერთ-ერთ შეხვედრაზე მისვლისას, მც მოვკარი ყური, როგორი ხალისით

გეგმავდნენ დასვენების დღეებს შუახნის ბიბლიოთეკარები: გოგოები, აბა, რა ვნახოთ, სად წავიდეთ უქმეებზეო.

ამ „გოგოების“ უმრავლესობა აღმის თვითონვეა დღეს ბიბლიოთეკის უნიკალური ექსპონატი. 70 წლის ფერიდე კვაჭანტირაძე გავიცანი, რომელმაც იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში მუშაობა 30 წლის წინ დაიწყო და დღემდე იცავს ბიბლიოთეკის მთავარ განას: ვახტანგ მეექვისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ყველაზე სრულ კოლექციას, 1629 წელს იტალიაში დაბეჭდილ პირველ ქართულ წიგნს,

„ქართულ-იტალიურ ლექსიკონს“, საერთო ჯამში, 500 ათას ერთულ ექსპონატს. ჩემთან საუბრისას თბილისის ომის დეტალებს იხსენებს – ბიბლიოთეკიდან ას მეტრში ტყვიებს ისროდნენ. ხანძრის გაჩენის შიშით თანამშრომლები ლამეებსაც კი ვათენებდით აქო. მეუბნება, რომ მიზერულ ხელფასს – 50-60 ლარს ზოგჯერ თვეობით არ იღებდნენ, მაგრამ სამსახურში მაინც დადიოდნენ. კითხვაზე, თუ რატომ არ წავიდა აქედან, პასუხის გაცემას ოდნავი წუნურით იწყებს – „სხვაგან სად წავიდოდი, სამსახური არსად იყო“, შემდეგ კი ხაზგასმული დამაჯერებლობით, ოდნავ მკაცრადაც კი მეუბნება: „თან არსებობს მოვალეობები, რომლებიც უხელფასოდაც უნდა შეასრულონ“.

„თავიდან ამ ადამიანების სამსახურში დატოვება-არდატოვების საკითხს ზერელდე ვუყურებდი – ვინც ვერ ასრულებს მოვალეობას, უნდა წავიდეს სამსახურიდან! მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ სჯვობს, ამ ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ვიზრუნოთ, ვიდრე გავუშვათ“, – ამბობს ლევან თაქთაქიშვილი. გიორგი კეკელიძეც მიდასტურებს, რომ ჯერ თანამშრომლების ტრენინგებს დაიწყებენ და ვინც ბიბლიოთეკის ახალ სტრატეგიას არ გაითვალისწინებს, მხოლოდ მათ გაათავისუფლებენ.

ლევან თაქთაქიშვილთან, ლევან ბერძენიშვილთან და ემზარ ჯგერენაიასთან საუბრის შემდეგ, თვითონვე დავრწმუნდი, რომ ბიბლიოთეკის გარდაქმნის მცდელობა თითოეულ ახლად დანიშნულ დირექტორს ჰქონდა, მა-

გრამ გამოწვევა იყო იმდენად რთული, რომ ზოგჯერ გაუგებარიც იყო, საიდან უნდა დაწყებულიყო გარდაქმნა. მოძველებული იყო ყველაფერი: მკითხველის საბჭოური მომსახურების სტილი, მართვის სტილი, პრობლემა იყო ტექნოლოგიური ბაზის არარსებობა და მცირე ბიუჯეტი. ამიტომ თავსატეხის ნაწილებივით ვცდილობ, ავანყო საერთო სურათი, თუმცა, წლებში, დირექტორების სახელებში და მათ დამსახურებებში ვიკარგები და მაინც მხოლოდ ფრაგმენტულად მამასოვრდება, რომ მაგალითად:

ზაზა აბაშიძის ორწლიანი მმართველობის დროს, ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, შვეიცარიის განვითარების ფონდის დახმარებით, გახდა ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის (CENL-ის) წევრი. ამის საშუალებით, ეროვნული ბიბლიოთეკის მასალები „ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკაშია“ წარმოდგენილი.

2006 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის ოპერატორი კომპიუტერულ ქსელში 130-ზე მეტი კომპიუტერი ჩაერთო.

2005 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დასრულდა ქართული წიგნების ბარათული კატალოგის განახლება. 2006 წლისთვის ქართული წიგნების შესახებ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების რაოდენობამ 121 856 შეადგინა.

ბორის გაგუას დროს, რომელიც კეკელიძემდე ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკას, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის რემონტი დასრულდა. ბიუჯეტი კი 5.5 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

...ამ მილწევებისგან თავსატეხს ბოლოს კი გამთლიანებ, მაგრამ ყნოსაგას ვერაფერს ვუხერხებ – ბიბლიოთეკაში შესვლისას მაინც მძაფრად მცემს საბჭოური სუნი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). უკვე ათი წელია, წიგნის ათსართულიან საცავში პირბები არ შეცვლილა. ტემპერატურა და ტენიანობა ისევ არ რეგულირდება, გასანიავებლად ფანჯრები არ იღება და მზის სხივები ისევ აზიანებს წიგნს. იშვიათი გამოცემებიც არაა სათანადოდ დაცული – ხელნაწერები უანგვისა და გამკრთალების პროცესშია.

ლიტერატურული პროცესი

ყურს არ ვუჯერებ, როცა ერთი თვის წინ, საჯარო ბიბლიოთეკაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მისულს, ისევ მესმის რეინის პატარა ეტლის, „ვერას“ ქრიალის ხმა, რომელსაც წიგნები საცავიდან სამკითხველო დარბაზამდე ამოაქვს. „ვერას“ შესახებ მოსმენილი უამრავი ლეგენდიდან ყველაზე დამაჯერებლად ერთი მეჩვენება: „ინუინერმა, ვინც „ვერა“ ააწყო, მას საყვარელი ბიბლიოთეკარი ქალის სახელი დაარქვაო“. შავი ღილაკით „ვერას“ უშვებენ, წითლით იძახებენ. ერთ ჯერზე, როგორც წესი, 15-20 წიგნს ატანენ, მაგრამ მეუბნებიან, „ვერა“ ისე დაბერდა და მოიშალა, წიგნების დასაწყობად ლანგარს უფდებთო. ხშირად უჭქდება, განსაკუთრებით – ზამთარში და სანამ ხელოსანი მოვა გასაკეთებლად, წიგნი დროულად რომ მივიტანოთ, საცავში მომუშავე ბიბლიოთეკარებს გვინეს მოთხოვნილი გამოცემების ხელით ქავაო.

მეორე კორპუსის ათსართულიანი შენობა წიგნის საცავებს უკავია, თითო სართულზე ანტრესოლებით გაყოფილი წიგნის თაროები კადევ ორ სართულს ქმნის. აქ წიგნებს მინიჭებული წომრებით იმახსოვრებენ და არა – სათაურითა და შინაარსით. წასაკითხად დრო არავის აქვს.

ქალბატონი ნუუ წიგნის ლაბირინთებში, უკვე 40 წელია, დადის. მან ზუსტად იცის, რომელი წიგნი რომელ თაროზე დევს. ეს იმიტომ, რომ ნუუს ამ წიგნებს შორის საკუთარი უბნი აქვს, სადაც დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ შეირჩება, ჩამოვარდინოლ წიგნებს გაასწორებს, დახედავს, მტკვრს წმენდას და ამონებს, შეცდომით მის უბანში სხვა წიგნი ხომ არ მოხვდა.

შეკვეთას იღებს და მეც ფეხდაფეხ მივყვები წიგნის მოსაძებნად, თითქმის სირბილით. იატაკის ქრიალში ერთმანეთის ხმას ძლივს ვარჩევთ.

ვეძებთ წიგნს შიფრით – K171.076. K ნიშნავს რომ წიგნი ქართულია, დანარჩენი ნიშნები წიგნის ნუმერაციაა. ეს წიგნი „ვეფხისტყაოსანია“.

შემოდგომაზე პირველი დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანის“ 600 წლის იუბილეს

აღვნიშნავთ და მინდა, არა მარტო წავიკითხოთ, არამედ ვიმსჯელოთ კიდევ, ვის როგორ გვესმისო, – მეუბნება ქალბატონი ფერიდე.

სტატიის წერისას ბიბლიოთეკის „ფეისბუქის“ გვერდს მუდმივად ვათვალიერებ, მნიშვნელოვანი ცვლილება რომ არ გამეპაროს. ვხვდები, საშემოდგომოდ დაგეგმილი რუსთაველის იუბილემდე საჯარო ბიბლიოთეკა ათეულობით ღონისძიების მოწყობას მოასწრებს. „სომხური წიგნის 500 წელი“, ოშეისადმი მიძღვნილი გამოფენა, ასტრიდ ლინდგრენის პრემია – ამ და სხვა ღონისძიებებს გიორგი კეკელიძე მკითხველის ბიბლიოთეკაში დაბრუნებისთვის იყენებს. წინა წლებში, მეტ-ნაკლებად მოგვარებული პრობლემების შემდეგ, ახლა უკვე შედარებით იოლია, 10-20 წლის პერსპექტივში დაინახო, როგორი იქნება საჯარო ბიბლიოთეკა და შესაბამისად, იოლია, მართო ის, თუკი ინოვაციურად აზროვნებ.

ისევ კეკელიძის უნარებიდან გამომდინარე, უხვდები, რომ, პირველ რიგში, თავდაყირა დადგება ბიბლიოთეკის ვებგვერდი, რომელსაც დღეს საშინლად მოუხერხებელი საძიებო სისტემა აქვს, რომ აღარაფერი გითხრათ წვრილ ასობზე და საერთო ვიზუალურ სიმინირეზე. გიორგი მეუბნება, რომ საიტის სრულ რეორგანიზებას გრანტის მოძიების შემდეგ აპირებს. არ ვიცი, რეალურად როდის მოხდება, მაგრამ ძალიან მინდა, მალე დაემსგავსოს ეს ინტერნეტმისამართი ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის საიტს, სადაც მომხმარებელს ელოდება რუკები, ხმოვანი ჩანაწერები, ფილმები, პლაკატები, ფოტოები, პერიოდული გამოცემები. მის youtube არხზე კი, თუ ვთქვათ, ამერიკა-ესპანეთის ომით დაინტერესდით, ამ ომის ამსახველ 67 ვიდეო მასალას იპოვით; თუ ამერიკაში ანიმაციის წარმოშობა გაინტერესებთ, კონგრესის ბიბლიოთეკა 27 საარქივო ვიდეომასალას შემოგთავაზებთ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ორივე თვეს წინ გახსნილ youtube არხს ჯერ ასეთი მდიდარი მასალა, რა თქმა უნდა, არ დაუგრო-

ვებია, მაგრამ ძალიან მომენტონა 10 აპრილის ვიდეო, რომელშიც ჯინსის ქურთუებიანი ემზარ ჯერენაი ბიბლიოთეკის მწვანეში ჩაფლულ ეზოში ზის და მაყურებელს გვამცნობს ინტერნეტ-ტელევიზიის გახსნის შესახებ. ამ ტელევიზიით ბიბლიოთეკაში გამართული შეხვედრები, დისკუსიები და გამოფენები უნდა გადაიცეს.

ეს პროექტი ბიბლიოთეკის გამოცოცხლების გეგმის ნაწილია, როგორც ვევდები. გიორგი მეუბნება, რომ სურს, აქაურობა ქალაქში პოპულარულ, კულტურულ ცენტრად აქციოს – სხვადასხვა ქვეყნის კუთხების მოწყობით, წიგნის მუზეუმის გახსნით, საბავშვო ოთახის გააქტიურებით, უკვე ბიბლიოთეკისთვის გადაცემული არტ კაფე „ქარავანი“-ს ტერიტორიაზე სახელოვნებო კაფის გახსნით და შიდა სტატისტიკის შედგენით, იმის დასადგენად, თუ რას კითხულობენ ყველაზე ხშირად და რომელ განყოფილებას უფრო მეტი სტუმარი ჰყავს.

სავარაუდოდ, ბიბლიოთეკის გაცოცხლების მიზანს მოემსახურება, მაგრამ დროში გაცილებით უფრო განელება არანაკლებ და შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი – საერთო საბიბლიოთეკო ბაზის შექმნა; ანუ ბაზის, რომლის საძიებო სისტემაშიც თქვენ იოლად მოძებნით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ საქართველოს რომელ ბიბლიოთეკებში ინახება, ვთქვათ, „კაცია ადამიანი?“

ასეთ ბაზას ეროვნული ბიბლიოთეკა მარტო ვერ შექმნის, რაიონული ბიბლიოთეკები კი, რომელებსაც კომპიუტერები საერთოდ არ აქვთ, ამ პროცესის მიღმა შეიძლება, დარჩენ. ამიტომ აუცილებელია, ეროვნული ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის ინციატივას საერთო სახელმწიფო სტრატეგიის შექმნა მოჰყვეს – დოკუმენტის, რომელიც ბიბლიოთეკების ქსელის შექმნას უზრუნველყოფს.

სავარაუდოდ, გართულდება უახლოეს წარსულში გამოცემული წიგნებისა და ურნალ-გაზეთების არქივის შეგვებაც. წესით, ეროვნული ბიბლიოთეკა 1629 წელს რომში დაბეჭდილი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნიდან მოყოლებული საქართველოში გამო-

ცემულ ყველა წიგნს უნდა ფლობდეს. წიგნის საერთაშორისო კოდის ISBN-ის მინიჭებით ეროვნული ბიბლიოთეკა, ყოველ გამოცემულ წიგნზე, მინიმუმ, ორ ეგზებარს ფლობს კიდევ, თუ-მცა რაიონებში ხშირად წიგნები და უურნალ-გაზეთები ამ კოდის გარეშე გამოიცემა. ეს „კუსტარულად“ დამზა-დებული ბეჭდური მასალა ეროვნუ-ლი ბიბლიოთეკის მეხსიერების მიღმა რჩება, რადგან მათი შეძენა არსებული ბიუჯეტით ვერ ხერხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ჩავარდნა, ისევ უსახსრობის გამო, 1990-იან წლებში იყო. ახლა კი, გამოდის, რომ საუკუნეების შემდეგ დღევანდელი რეალობის რეკონსტრუქციის სურვილი ვისაც გაუჩნდება, ბიბლიოთეკის საცავებში შემონახული სურათი, სავარაუდოდ, არასრული იქნება...

ბიბლიოთეკის ვიზიტების ციკლს მცირედი ექსპერიმენტით ვასრულებ. მაინტერესებს, მართლა დაჩქარდა, თუ არა წიგნის მკითხველამდე მი-ტანის დრო. ამიტომ გამოსაწერად

მივდივარ. გზას კატალოგისკენ მი-ვიკვლევ და დამხმარე ქალბატონებს ვთხოვ წიგნის მოძებნაში დახმარებას. რამდენიმე წამში ბლანკს ვავსებ და ბიბლიოთეკარებთან მიმაქვს.

25 წუთში! – მპასუხობს შუა ხნის ქალი. წიგნი სულ რაღაც ორი წუთით იგვიანებს.

ხის ძეველ მერხებსა და საკმებზე აქ ოცდაათამდე ადამიანი ზის. ძირითა-დად, მოხუცები და სტუდენტები. ჩე-მგან მარცხნივ ბიოლოგიის რამდენი-მე სახელმძღვანელო უდევს შუახნის კაცს. მარჯვნივ მთელ მაგიდაზე გა-დაშლილია აკინძული გაზეთება.

„სამით ნოლი, აპა“, – ფურცლის ნაკუნძზე ინიშავს ანრი. 38 წლის ანრი ტურისტულ კომპანიაში მუშაობს, მა-გრამ ბავშვობის ოცნებას აქ უკვე ოცი წელია, დაჰყავს – სურს, რომ „ქარ-თული ფეხბურთის ისტორია“ დაწე-როს. წიგნის ძირითადი მასალა უკვე შეკრებილი აქვს, 1923 წლიდან დღემ-დე საქართველოში გამოცემული ყვე-ლა პერიოდული გამოცემა შეისწავლა.

ახლა ბიბლიოთეკაში ფაქტების კიდევ ერთხელ გადასამოწმებლად დადის.

ფურცელზე მონიშნულ კითხვებზე პასუხებს 1928 წლის „კომუნისტში“ ეძებს. პირველი გვერდები თითქმის სულ დაფლეთილია, ჩაკეცილი გვერ-დების გასწორებაში ვეხმარები და ასეთ ინფორმაციას ვაწყდები „შე-მოხვევები: იანგარს, ალაქპერ სადის-ოლომ მოკვლის მიზნით დანით მძი-მედ დაჭრა გასან ახუნდოვი. დაჭრის მიზეზი რომანიულია.“ „რომანიულია“, – ვიმეორებ და ვცდილობ მიეხვდე, რა იგულისხმება. „ანუ უყვარდაო“, – მი-სხნის ანრი. მისთვის ბიბლიოთეკაში არაფერი შეცვლილა.

– ამდენი ხანია აქ დადიხარ, ალბათ, გიცნობერ, არა? – ვეკითხები ჩურჩუ-ლით, სხვები რომ არ შევაწუხო.

– რა ვიცი, არა, – მპასუხობს.

– რამე შეიცვალა?

– აპა, რა იცვლება? არაფერი.

– გინდა, რომ შეიცვალოს?


– შენ არა? – კითხვას მიბრუნებს და ილიმება.

Cafe Kala acid bar  



Cafe Kala Now open from 10 am till late!

When one is dancing, someone is singing, others are seating,
and also eating, there is some drinking, maybe some flirting,
good place for meeting, so pleasant evening...



kala.ge

**Kala
group**

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. Cafe KGB: 8/10 Erekle II str. tel: 832 2985013, 599 674 488 Acid Bar /1/: 3a Kazbegi Ave. tel: 599 101 238.
Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000 Acid Bar /3/: 9 Leonidze str. tel: 592 221 131. Cafe Near Opera: 2 Lagidze str. tel: 599 681 166



გაეცვის და ათასი სხვის

აკა მორჩილაძე

გაგრძელება, დასაწყისი წინა ნომერში

6.

მე-19 საუკუნის პოლო მეოთხედში, რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, მაშინ, როცა ბათუმში რუსული ადმინისტრაცია და ჯარი ჩადგა, ქალაქისაკენ ქართულმა თეატრალურმა დასმა გასხია.

უცნაურობა ის იყო, რომ მთელ უკანასკნელ საუკუნეს, ბათუმსა და სხვა ქართულ ქალაქებს შორის გზა არ არსებობდა. იყო მხოლოდ ბილიკები, რომლებზეც განთქმული ყაჩალები გაიღვებდნენ, და კიდევ სხვანიც, ადამიანებით მოვაჭრები, იმ დროში ბათუმელთა ენაზე გოთაულები რომ ერქვათ.

ეს უგზობა ეგებ უცნაური კი იყო, მაგრამ გასაგები.

საქართველოს სხვა ქალაქები რუსეთის იმპერიისა იყო, ხოლო ბათუმი – ოსმალეთის იმპერიისა. იქაურობას მუსლიმი ქართველი ბეგები განაგებდნენ.

დასი კი ბათუმში გემით მივიდა სხვა ქართული ქალაქიდან, ფოთიდან და კომედიის თანამდევი დიდი ხალისიც ჩაიტანა. მსახიობები იმას ცდილობდნენ, რომ მიწვევებსა და ქეიფებს შორის როგორმე სპექტაკლიც ჩაეტენათ და სცენაზე შეძლებისდაგვარად ფხიზლები ყოფილიყვნენ.

ამ დროს ბათუმი უკვე პორტო ფრანკო იყო, ხოლო თეატრალური მოგზაურობიდან ოცი წლის თავზე ქალაქის ნავსადგურში რკინიგზას ნავთობი ჩაჰერნდა. ეს იყო სწრაფად მზარდი ქალაქი, რომლის გეგმარებასაც ნიუ-იორკისას მიამსგავსებდი.

სწორედ ამ ხანებში გამოჩნდა აქ ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი.

სადაც მუშები და ნავსადგურია, რევოლუციონერიც იქ უნდა იყოს.

თბილისში, რუსთაველის გამზირზე დღესაც დგას სტა-

ლონური არქიტექტურის მამის, შჩუსევის ნაგები შენობა, რომელშიც კომუნისტურ ეპოქაში მარქესის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მკვლევი ინსტიტუტი საქმიანობდა, სამოქალაქო ომის შემდგომ კი ერთხანს საქართველოს პარლამენტიც იკრიბებოდა, რადგან პარლამენტის შენობა გადამწვარი იყო. ამ შენობას სწორედ დამოუკიდებლობის პირველივე ხანებში მოანგრიეს კომუნიზმის ბელადთა ფრიზები და პროლეტართა და კოლმეურნეთა ქანდაკებები, მის სხდომათა დარბაზში კი მთელ კედელზე გადაჭიმული უზარმაზარი კომუნისტური ფრესკა გადაღებეს: ახალგაზრდა სტალინს დემონსტრაციაზე გამოჰყავს ბათუმელი მუშები.

ეს ფრესკა ასე მახსოვა:

სტალინს კუბოკურული შარფი ეკეთა. იყო გამხდარი, გაუპარსავი და საერთოდ, რომაელთაგან დევნილ ქრისტიანს ჰეგვადა. იქვე ეგდო კალათი, რომელიც ალბათ, მრბეველმა კაზაკებმა გააგდებინეს ხელიდან საბრალო ქალს. მოკლედ, იქ რბევა იყო. მართლაც, სინამდვილებში. სისხლიანი რბევა. 1902 წლის მარტის პირველ რიცხვებში. სტალინმა დაუყვირა დემონსტრანტებს:

– ჯარისკაცები არ გვესვრიან. მათი უფროსების ნუ შეგეშინდებათ. პირდაპირ თავში ურტყით...

კიდეც ესროლეს და კიდეც დახოცეს.

მარქესის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ინსტიტუტში, კემპინსკის სასტუმრო უნდა გაიხსნასო. კემპინსკი და ბათუმის დემონსტრაცია: ასე იცის საბჭოთა კედლებში შესვლამ.

ბათუმი, ეს ქალაქი და ეს დემონსტრაცია იყო შანსი მიხაილ ბულგაკოვისთვის, რომ როგორმე თავი დაეღწია იმ აკრძალვებისა და შეზღუდვებისთვის, 30-იან წლებში რომ ერტყა გარსს და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

თავის მხრივ, სტალინსაც უნდოდა, რომ ბულგაკოვს

რაიმე დაწერა მასზე. სტალინს მოსწონდა და სჭირდებოდა ასეთი რამეები.

ბულგაკოვმა დაწერა პიესა ამ დემონსტრაციის შესახებ. მას თავიდან „მოძღვარიც“ კი ერქვა, „არგონავტებიც“, „შტურმანიც“ და ასე დაუსრულებლად, საბოლოოდ კი – ბათუმი დაერქვა.

ეს იყო ბულგაკოვის უკანასკნელი დასრულებული ნაწარმოები.

საქმე კი ის არის, რომ მხატვის თეატრმა პიესა ჯერ დაუკვეთა, მერე მოუწონა, მერე კი ბათუმშიც მიავლინა ბულგაკოვი, დადგმისთვის საჭირო მასალის სახილველად. მაგრამ მატარებელი მოსკოვს ხეირიანად არც გაცილებოდა, რომ კუპეში დეპეშა შემოიტანეს, წასვლა საჭირო აღარ არისო. პიესა არ დადგმულა. ის არც გამოცემულა 1977 წლამდე. აშეარაა, რომ სტალინს სხვნაირად წარმოედგანა საკუთარი თავი ბულგაკოვის კალამქეშ. უფრო სწორად, მას არანაირი რომანტიკა და რევოლუციონობა არ უნდოდა. მას უნდოდა ქორალი ღმერთის შესახებ.

ბულგაკოვი მალევე გარდაიცვალა, სტალინი კი მაინც უტრიალებდა ბათუმს.

ამბობენ, რომ სწორედ მან მოისურვა ბათუმის „ინტურისტის“ შენებლობა.

ბათუმის ბულვარის ბოლოში მდებარე, ფანჯრებითა და აივნებით ზღვისკენ მაცქერალი ეს სასტუმრო, ალბათ, ერთ-ერთი მოულოდნელი ნაგებობაა ქვეყანაზე.

სამწუხაოდ, მისი მხოლოდ ნახევარი ააშენეს: შუა ნაწილი და ცალი ფრთა. მეორე ფრთა არ არსებობს.

მიზეზი უბრალო ყოფილა: სტალინს ფიქრად ჰქონია, რომ ამ სასტუმროში მოკავშირეთა შეხვედრა გაემართა. მერე კი ეს შეხვედრა იალტაში შედგა. ამიტომ, მშენებლობა შეწყვიტეს. ომი იყო, საქმე კი ხარჯიანი გახლდათ.

არ ვიცი, რამდენად ნამდვილია ეს ლეგენდა, მაგრამ მოხდენილი კია.

ჭეშმარიტად საბჭოთა ამბავია.

„ინტურისტი“ კი საუცხოო სასტუმროა. სამწუხაოდ, იქ ჩერჩილისა და რუჩეველტის აჩრდილებს ველარ შეხვდებით, მაგრამ ისიც შედავათია, რომ იქ არც სტალინის აჩრდილია.

7.

ბათუმი, როგორც საბჭოთა საპორტო ქალაქი, რა თქმა უნდა, სრულიად განსაკუთრებული სულის ქალაქად ჩამოყალიბდა.

საბჭოთა პორტში, თან სასაზღვრო ქალაქში, ყოველთვის ბევრი უშიშროების მუშაკია, მაგრამ ეს სამხრეთია, სამხრეთს კი მევეთო ფორმები მაშინ გამოაჩინდება ხოლმე, როცა კაცები ხმლებს იძრობენ. მანამდე აქ ყველაფერი გლუვია და მორბილებული.

თუ იმასაც დაუუმატებთ, რომ მზე, ზღვა და მოულოდნელი წვიმა აქაურ ურთიერთობებს დამატებით ფორმებსაც ანიჭებს, ცხადი შეიქნება, რომ ამ ქალაქს, მაინც დამაინც არ ეტყობოდა რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა და სუნთქვდა.

ნავსადგური დიდი რამეა. ამიტომ აქაურებმა პირველებმა მოწიეს ქემელი, პირველებმა დაღეჭეს რეზინი და პირველებმა გაუსინჯეს გემო ვისკის.

კომუნისტური მმართველობის ბოლო ათწლეულებში ბათუმი წუგბარი კონტრაბანდის ნამდვილი საუფლო იყო. თავად ვყოფილვარ განთქმულ ფერსაბას ეზოში, სადაც მშობლებს შვილები დაჰყავდათ საჩუქრებისა და ტკბილეულისათვის. ეს მოულოდნელი ადგილი იყო: ხნიერი, სიტყვაძვირი ქალები მანამდე უნახავ საგნებს გამოაძვრენდნენ ხოლმე საიდანლაც.

ამ ეზოში კულტურათა და ყოფათა წარმოუდგენელ ნაზავს აღმოაჩენდა კაცი. ის თითქოს დროის გარეშე არსებობდა და თან ძალიან მოქმედიც იყო, რადგან მეზღვაურთაგან მიღებული კონტრაბანდა მუდმივი მოქმედების და სიფათის შეგრძნებას იწვევდა.

რაღაც სტამბულის გრანდიოზული სიწყნარისა, რაღაც საქართველოს ღვინით გაჯერებული გამკრთალი ღიმილისა, რაღაც რუსული სისადავისა.

და კიდევ, მსოფლიოს ნაკუნები.

ყველაფერი ერთად იყო, ამ უბრალო, რიგით ეზოში, სადაც კონტრაბანდული სიგარეტით და ჯინსის შარვლებით ვაჭრობდნენ. და სხვაგან რაღა იქნებოდა?

მგონი, შუა საუკუნეებშიც ასე იყო.

8.

აბრეშუმი.

აქ აბრეშუმი მოდიოდა. ამოისუნთქავდა და ზღვით აგრძელებდა გზას.

აბრეშუმზე ნადირობამ მოიყვანა ამ ადგილებში ბურგუნდიელი რაინდი უოფრუა დე ტუასიც.

ოჳ, ეს იყო მეთხოთმეტე საუკუნეში.

დე ტუასი, თავისი ფლოტილით ჯერ როდოს იყო პისპიტალიერთა დასახმარებლად, რათა ეგვიპტელი მამელუქები ეძარცვა და ეულიტა, მერე კი ბიზანტიის იმპერიის სიკედილის კვირაძალს, ბიზანტიელთა მიწვევა მიიღო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად. ასე მოხვდა ის შავ ზღვაში, და მურად მეორესთან წარუმატებელი ომის შემდეგ, გამოუყვა შავი ზღვის სამხრეთ ნაპირს და ფლოტილიის მექანიზრებით და ტყვეთა აყვანით ცხოვრებას შეუდგა. ტრაპიზუნდამდე მოსული, იქაურმა იმპერატორმა ითანა კომინბა ტკბილად მიიღო, თუმცა შემდგომი განზრახვა აღარ მოუწონა.

დე ტუასი საქართველოს ნაპირებთან დარაჯობას აპირებდა, რათა აბრეშუმით დატვირთული გემები ჩაეგდო ხელთ. იმპერატორმა მას უთხრა, რომ ქართველები ქრისტიანები არიან და მათი ძარცვა არასწორია. თუმცა დე ტუასიმ არც იმპერატორის მართლმადიდებლობა ჩააგდო რამედ და არც ქართველებისა: კათოლიკე იყო და მისთვის ესენი მწვალებლები იყვნენ.

დანარჩენი ისტორია ცოტა რთული იყო: დე ტუასი თავისი გემებით ბათუმს მოადგა და გადმიოსხდომა დაიწყო.

ასე, გარეგნულად ადგილიც მოსწონდა. მან არ იცოდა, რომ ნაპირზე საფარი ელოდა. ტრაპიზუნდის მოსაზღვრე

საავტორო

მამია გურიელმა დე ტუასი და მისი ბურგუნდიელები ელ-ვისებური შეტევით დააპნია და ტყვედ აიყვანა.

ჩანს, დე ტუასიმ მაინც არ იცოდა აქაური ადათები: იო-ანე კომნინს გურიელი გაეფრთხილებინა. დე ტუასი ნა-დავლის ხელში ჩაგდებას ლამობდა, ნადავლი კი თავად აღმოჩნდა. საფარი არ იყო ჩვეულებრივი: დე ტუასი და მისიანები მიპარვით არ აუყვანიათ, მეტიც, დამხვდურები ღიად წამოიშალნენ და კივილით შეუტიეს, ისე, რომ ბურ-გუნდიელებმა იარაღი ვერც კი გამართეს.

ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რამდენს მოსთხოვდა მამია გურიელი ფილიპე მესამე ლამაზს, რომლის ვასა-ლიც გახლდათ დე ტუასი, ანდა როგორ გაუგზავნიდა მას წერილს, მაგრამ საქმე ისევ იოანე კომნინის მემვეობით მოგვარდა, გურიელმა დე ტუასი შეიცოდა და გაუშვა, ამ უკანასკნელმა კი ყირიმის გენუისკენ, კაფასკენ გაცურა.

ეს შუა საუკუნეების ჩვეულებრივი ისტორია იქნებოდა, რომ არა ერთი განსაკუთრებული მომენტი. ტყვედ მყოფი ბურგუნდიელები გალოთდნენ და ღვინის გამუდმებული

სმა ველარასდროს მოიშალეს. ამის შესახებ ბურგუნდიულ ქრონიკებში წერია. მოდგმანი დაილუპნენ, იმდენს სვამდ-ნენ დაბრუნების შემდეგო.

ბურგუნდიელს რომ ღვინო გაუკვირდება, თავისთავად საკვირველი ამშავია, მაგრამ ჩანს, აპრეშუმზე მონადირე-ებმა მაინც სრულად ვერ განსაზღვრეს, თუ სად მოხვდ-ნენ ტყვეობაში. ალბათ, მაშინაც ისეთივე განსხვავება იყო ევროპულ და ქართულ ღვინის სმის სტილს შორის, როგო-რიც დღესაა.

ქართველებისთვის ღვინო იმდენად თანამდევი, იმდენად პირველი მნიშვნელობას საგანი იყო, იმგვარი ფორმებით მოიხმარებოდა და იმგვარი ოდენბით, რომ ბურგუნდიე-ლები მას ვეღარ მოერიცნენ. სტილი კი თან გაჰყვათ. ტყვე-ობაში შეიძლება შიმშილით მოკვდე, მაგრამ გალოთდე?

ასეთი იყო ბათუმი მეთხუთმეტე საუკუნეში.

ისე კი, იმ მამელუქების ნახევარი მაინც, ვისაც როდო-სიდან ებრძოდა, დე ტუასის ქართველები იქნებოდნენ. ეს მოულოდნელი ამბავი სულაც არ არის.

9.

ბათუმის ტყვეთა ბაზარი. აი, შემდგომი ისტორია. ოს-მალთა ხელში ამ ადგილის გადასვლის შემდეგ, ბათუმი და მოტაცებული ადამიანები ორი განუყოფელი რამ არის.

მგონი, უკანასკნელი ტყვეთა მსყიდველი 1814 წელს დაიჭირეს. დაიჭირეს და დამთავრდა. ეს ისტორია ამით ამოინურა. ისე კი, ეს გულსაკლავი, მხეცურა, მაგრამ რა-ღაცნაირი თავისუფლებით შემოსილი ისტორია იყო, ვინაი-დან ქართველ მამელუქეთა რაობაზე ბოლოს ნაპოლეონიც კი წერდა. მამელუქები, იანიჩარები... ცოლები, მხევლები...

ტყვეობა და თავისუფლება. ბათუმი კვლავ საზღვარი იყო. თითქოს ჩვეულებრივი.

საქართველოდან ტყვეთა გაყვანის რამდენიმე გზა არ-სებობდა.

ბათუმი, ტყვეებით მოვაჭრეთათვის უკვე სამშვიდობოს ნიშნავდა, რადგან თუ თავიდან არა, მერე და მერე ეს სა-ქმე დანაშაულად ითვლებოდა მეფეთა საგანგებო კანო-ნებით. და მაინც, ეს აყვავებული ბიზნესი იყო. აქაური ტყვეთა სყიდვის მასშტაბები ისეთი იყო, რომ ევროპულ ქრონიკებსაც აღნევდა: ისინი ქრისტიანებს ურჯულოებზე ყიდიან.

რაც ბათუმის სანაპიროზე ტყვეს გაუვლია... მოტაცე-ბულნი აუცილებლად ბავშვები არ იყვნენ. არც მოზარ-დები. ზრდასრული კაცები, რომლებიც მოიტაცეს, ანდა საკუთარმა ბატონმა გაყიდა. განსხვავება ფეოდალიზმის ევროპულ აგებულებას, ვასალიტეტს, გლეხთა მორჩილე-ბის პრინციპსა და ისლამურ წყობას შორის, მოულოდნე-ლად ატრიალებდა ადამიანთა ბედს.

გამოდგებოდა ხოლმე ახალგაზრდა კაცი, რომელიც პირდაპირ ყანიდან მოიტაცეს, მთელი ცხოვრება გლეხი უნდა ყოფილიყო, ის კი ბალდადის გამგებელი გახდა.

მალე ხალხი ახლად აღმოჩენილი ამერიკისკენ დაიწყებ-და დენას ბედის საძიებლად. აქ კი ადამიანებს იტაცებდ-ნენ, რათა მათ ბედი ეპოვნათ.

გალერეა



ზურა ბერი
„სიცოცხლის ხე“ - 2009

მართალია, ფასი დიდი იყო: რელიგია.

ერთ ძეველ ქართულ რომანში, უფლისწულმა რომ დაწერა, ტყვეთა დამცინავი გამყიდველი ამბობს, მე ამ ხალხს შანსს ვაძლევო.

ვისაც ეს შანსი არ უნდოდა, გარბოდა. მაგრამ ამ საქმეშიც უკანმოუხედაობა იყო: გაქცეული შინ არასდროს ბრუნდებოდა.

შუა საუკუნეების გზები ხომ ასე განსხვავდება დღევანდელისგან. გაქცეულთა უმრავლესობა, სწორედ იმ იდუმალი ბილიკებით მოარული ყაჩაღი ხდებოდა, ბათუმს რომ აქეთა საქართველოსთან აპამდა. უმცირესი ნაწილი კი ახერხებდა უკეთესი გზის პოვნას და ბედს მარტო ეძიებდა ოსმალეთის ქალაქებში: ახალი ოჯახი, ახალი საქმე, ახალი ენა, ახალი რწმენა. ეს უზარმაზარი და უხილავი ისტორიაა, რადგან მასში უსახელო მილიონები მონანილეობდნენ. ყველაზე ცნობილი ქართველი ყაჩაღები თავს სწორედ ოსმალოს საქართველოს აფარებდნენ. ასე უწოდებდნენ ქართველები იმ ქართულ პროვინციებს, რომლებსაც უკე სულთნის ფაშები მართავდნენ. მერე ისტორია შემობრუნდა: ამ პროვინციებს რუსეთი მიადგა. მერე სურათი კვლავ შეიცალა.

ბათუმიც, ცხადია, მოჰყვა ამ ამბავში, მაგრამ უამრავ, დღეს დაგონებული სოფლისა, თუ ქალაქისგან განსხვავებით, მისი ისტორია მხოლოდ პოლიტიკაში დარჩენილი ნავსადგურით არ შემოფარგლულა.

ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი ადგილებისთვის ისტორიას და წარსულს არცა აქვს მნიშვნელობა.

იმისთვის, რაც მარადიულია, ისტორია არ არის გადამწყვეტი. საუკუნეთა თვლასაც აზრი არა აქვს. ოცი, ოცდასამი... დიდად არც არქეოლოგიურ გათხრებს, არც ქალაქის სიდიდეს. ის იმხელა არასდროს იქნება, რომ ვინმე შეანუხოს. იქ ყოველთვის იქნება ეკლესიები, მეჩეთები და სინაგოგები და ყოველთვის ილაპარაკებენ იმ უცნაური ინტონაციით, მხოლოდ სანავსადგურო ქალაქში რომ გაიგონებთ და იქ ყოველთვის იქნება უამრავი ხალხი. ზღვის ქვიანი ნაპირი ყოველთვის სავსე იქნება, იმის მიუხედავად, რომ ამ ქალაქში მოულოდნელი წვიმა იცის.

10.

რა არის მარადისობა ქალაქისთვის?

ალბათ, ყოველ ქალაქს, ამ საუნჯეს რომ ფლობს, თავისებურად მიულია ის. რაღაც მიზეზით, ან რაღაც მიზნით. და, იმას, რაც მიულია, ყველანაირი გამოცდისთვის გაუძლია.

არავინ იცის, იფიქრეს თუ არა იმ სახელდაკარგულმა კაცებმა ამის შესახებ, როცა სწორედ ამ ყურედან შეაცურეს ნავი ზღვაში და მერე ნაპირს წამომდგარ მთებს გამოხედეს. ეგებ არც შეაცურეს და მხოლოდ მოცურდნენ აქ, რადგან მოხერხებული საყუდარი იყო?! ამას ვერავინ იტყვის. მათ, ალბათ, არც უფიქრიათ იმის შესახებ, რომ წერტილი, რომელიც ზღვის პირას იპოვეს, მარადიული იქნებოდა.

რატომ თუნდაც ათი მილის მოშორებით არ გაეჩვივნენ მისელა-მოსვლას? ალბათ, ეს იყო ადგილი, რომელმაც ადამიანები მიიჩვია, მათ საჭიროებას საუკეთესოდ მოერგო.

მაგრამ ეს საქმარისი არ არის იმისთვის, რომ ამდენ საუკუნეს გაუძლო, იყო პატარა, ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ კი შტორმებით მსუნთქავი, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე, სხვადასხვა ნაფეხურის მიმღები შენ მკერდზე და თან – სულ ცოცხალი.

მგონი, იყო სხვაც, რაც ამ ადგილს აცოცხლებდა: ეს ადგილი ადამიანებს რაღაცის გადალახვის საშუალებას აძლევდა.

ეს იყო ზოგჯერ ხილული, ზოგჯერ კი უხილავი რამ, ერთგვარი ფრონტირი არა მხოლოდ იმპერიებს, არამედ უბრალოდ ადამიანში არსებულ სამყაროებს შორის.

არაფერი განსაუკუნეობული ამ ქალაქს საუკუნეთა განმავლობაში არ ჰქონდა. ციხესიმაგრე, გარნიზონები, ზღვა, ამინდი. სად არ მდგარა რომაული ციხესიმაგრე?

ამ ქალაქს ჰქონდა წერტილი: გადალახვის, თუ შემობრუნების, თუ ცვლილების, ან კიდევ რაღაც უფრო დიდის და მინიჭებულოვანის, რაც ადამიანთა სულსა და ცხოვრებაზე იმოქმედებდა.

ამიტომ, ის მარადი იყო და მარადიც არის.

ამიტომაცაა, რომ ის არ არის მხოლოდ ტურისტული ადგილი, სადაც ზაფხულობით ათასები წვანან მზის გულზე.

მოულოდნელი წვიმები, თითქოს ახსენებს ამ გარუჯვათა მოყვარულებს: მე მხოლოდ ეს არ ვარ. მე მხოლოდ ჭყუმბალობა და ცივი ლუდი არ გახლავარ, საერთოდ არ ვიცი, რა არის ეგ ცივი ლუდი, მე მარადისობა ვარ და ერთ დღეს ეგებ კვლავაც იმისთვის ვიყო საჭირო, რისთვისაც ყოველთვის ვიყავი. მე არც უბრალოდ ნავთობის მიღების გამტარი ვარ, არც მხოლოდ ბარეშუმის ჭით დატვირთული ნავებისა. ესენი იმდენად იყვნენ აქ, რამდენადაც სხვა ათასი შემეძლო... მგონი, ასე ლაპარაკობს ბათუმი.

იცით, რა არის ბათუმში კველაზე კარგი?

შუა ზაფხულში, ადრიან დილით, მისი უკიდურესი სამხრეთიდან უნდა გამოჰყევე ზღვის ნაპირს. ამ დროს ქალაქის განაპირას მოხალისე შეთევზების ნავები უბრუნდებიან ნაპირს და ბადეებში ვერცხლისფრად მოციმიტომე თევზები თრთიან; ჯერ არ იცი, მზე გამოანათებს თუ წვიმა წამოვა. შეიძლება, ორივე ერთად დაეტიოს ცაზე; ზღვა წენარია: იქით, ჩრდილოებისკენ, გემი ირწევა. ვერც გაარჩევ, რამხელაა და ვისი, შენ კი ნელ-ნელა შედიხარ ქალაქში, ისე, რომ საზღვარს ვერც დაიჭერ. აუცილებლად გამოგებარება.

ამ დროს გარშემო, ალბათ, ყველაფერი ისეთია, როგორიც ოდესადაც იყო. სახლები, პალმები, ზღვისპირა გრძელი სკამები თითქოს დახატულია და სინამდვილეში არც არსებობს.

საუკეთესო, რაც გესმის, ზღვის ფრთხილი ხმა და თოლიების ყრუ ძახილია. იქით კი მთელი სამყაროა: გაქცევის, გადარჩენის, ცვლილებისა და აღმოჩენის უზარმაზარი მინა: თუ რა თქმა უნდა, ზღვაში შეაბიჯებ.



საშინელი ზღაპარი

ავტორი გიგი სულაკაური
ილუსტრაცია თავი ბაქრაძე

მკი მარტო მიდიოდა. რატომ ერქვა მკი, არავინ იცოდა, – რას მყიდა, სხლავდა, თესავდა და მერე ისევ იმკიდა. ქალაქში ლამე იწვა და იდო დიდი თოვლი, ლამაზი და პირველყოფილი, ნაფეხურებიც კი არ აჩნდა. მკი დაიბნა და გაიფიქრა: ხალხი გადაშენდა, ამის დედა ვატირე, ყველა ქუჩა ცარიელია... ასეთი ნაღდად არ მინახავს, უსინდისო ვიყო...

მკის გულის ჯიბეში ნაბეღლავის ბოთლით ლარიანი ჭაჭის არაყი ედო. პალტოს გარეთა ჯიბეში ჰქონდა იმ ქალაქში მეტად გავრცელებული წითელი „პირველი“. სწორედ ის ამოაცოცა მკი ჯიბიდან, ერთი ლერი მოაკლო, გააჩაბა და კოლოფი ადგილზე დააპრუნა... მკი უფროთხილდებოდა თავის ავლა-დიდებას.

მკი ახალგაზრდა, თმაშეთხელებული და მარად გაუპარსავი კაცია. ის ყოველლამე სვამის და მეზობლებს აგინძეს. თავის სამსახურში შეუცვლელია, და ეს გენიალურად იცის და ბოროტად იყენებს ამ მდგომარეობას. მკი – ნაბოზარია, მარტოსულია და ობოლი. თუმცა ქალაქელია, მაგრამ რა?! შევლის ქალაქელობა ბევრს და უამრავს?! არა და არა!

მკიმ ჭაჭაც ამოიღო, მოზრდილი ყლუპი მოსვა და მიხვდა: – მშობლიურ ქალაქში დაიკარგა. ველარ იცნო საყვარელი ქუჩები, უბანი და რიტას სახლი, სადაც ყოველლებები ჩაივლიდა ხოლმე. რიტა მკის სატრფო იყო, უფრო სწორად, მკი შორიდან ეტრფოდა რიტას, – არც იცნობდა, არ იყო საჭირო...

დაბძულმა კაცმა გზა განაგრძო და მოულოდნებლად უცნაურ და უცხო ჩიხში ამოპყო თავი. ჩიხში გაუკვალავი თოვლი იდო და იქაურობა ერთადერთი სარქმლით იყო განათებული. იქვე შეღებული კარიც მოჩანდა... მოულოდნებლად მკი იმასაც მიხვდა, რომ სასტიკად, გაუსაძლოსად შიოდა, იმ კარიდან კი მადისალმძვრელი სურნელი იჯრქვეოდა.

– ავალ, – გაიფიქრა იდიოტმა მკიმ, – არაყს ჩამოვდგამ და ლუქმას გამიტე-ხავენ. ბოლო-ბოლო, ამ ქალაქის ხალხი

იქნება, ჩვენებურები.

და მკიც ავიდა, ზარი დარეება და კა-რიც იმნამსვე გაიღო.

– შემოდი! ვერა ხედავ, ღია! – გაისმა დედაკაცის ხმა.

წინკარში ბნელოდა. მკი შორეულ, დაბინდულ შუქს გაჲყვა და უზარმაზარ დარბაზში ამოპყო თავი. უზარმაზარ დარბაზში უზარმაზარი გარანდული მაგიდა იდგა და კუთხეში უზარმაზა-რი ბუხარი ბრიალებდა და გუგუნებდა. ბუხრის ჯაჭვზე თუჯის უზარმაზარი, მრგვალი ქვაბი ეკიდა და თუხთუხებ-და, მღეროდა და ლამაზ პანგებად ილ-ვრებოდა. ქვაბს უღალი, ძალიან ლამაზი ქალი დასტრიალებდა, ხის უზარმაზარი კოვზით ურევდა და თვითონაც ღილინე-ბდა, – ეტყობოდა, კარგ გუნებაზე იყო.

– გაიხადე ეგ ჭუნდგლიანი პალტო და მოდი სუფრასთან! – მოესმა მკის.

მკი დაიბნა. შემოტრიალდა და – მა-გიდას სამი უღალი და ძალიან ლამაზი ქალი უჯდა.

სუფრა უბრალოდ იყო განწყობილი, თეფშები, დანა-ჩანგალი და ჭიქები. მა-გიდის ცენტრში ვერცხლის უზარმაზარ სინზე რაღაც არსების უზარმაზარი მო-ხარშული ბარეალი ორთქლს ჭერისკენ მიაქანებდა.

– ნეტავ, როდის მოვიდნენ? – გაიფიქრა მაშინ მკიმ. და იქვე: – რისი ბარეალია, მე ამის...

– ნუ გვშინია, ჩვენი არ არის, – უპასუხეს ერთხმად ქალებმა, – ვირისაა!

მკიმ ბოთლი და სიგარეტები ამოიღო, პალტო იქვე სათუთად გადაკიდა სკამზე და სუფრასთან დაჯდა.

– ეს რა ჯანდაბაა? – იკითხა ერთ-ერთმა ქალმა.

– ჭაჭის არაყია, ქალბატონო.

– ჰმ. ლარიანი არაყი, არა?

– დიახ, ასეა. იაფია, მაგრამ ხარისხიანი.

– კარგი. შენ ეგ დალი, მაინც მიჩვეული ხარ. ჩვენ სხვა სასტელს დავლევთ. დიანა, მოგვიტანე, რა, ის!

ბუხრის გოგომაც ის მოიტანა, რომელიც ბროლის ულამაზეს გრაფინში ესხა. სასმელი იყო მწვანე, როგორც ბოლმა, და ლამაზი, როგორც იმდამის ცა, რომლის-თვისაც მკის თვალი არ შეუვლია.

– რა სასმელია? – მოერძალებულად იკითხა მკიმ.

– ხვლიკის და ძლოვეის არაყია! – ერთხმად უპასუხეს ქალებმა.

– აპა, გასაგებია, – თქვა მკიმ. მის-თვის გასაგები არაფერი არ იყო, მაგრამ გაიფიქრა, შეჩვეული ჭირი სჯობის შეუჩევლსო, და ისევ თავის არაყს მიაწვა.

ქალებმაც დალიეს. კარგად დალიეს და ძალიან ცუდად იქცეოდნენ. პერიოდულად რომელიმე მათგანს გვერდით ითახში გაჲყავდა მკი და თავის აუმინებდა. სიმართლე უნდა ითქვას, თვითონ უმავდნენ საბრალო კაცს, და ეს ძალიან დიდაბანს გრძელდებოდა. მკის უკვირდა თავის გასაოცარი პატენტია, მაგრამ სმას ვერ იღებდა. რაღაც ძალამ დამუნჯვა და დააელამა. დედაკაცები კი დასკონდნენ:

– ფეხები გიყარს!

– ნასკები დიდი ხანია, არ გამოგიცვლია?

– ილლებიდან ყროლი და სადგურის ტუალეტის არმატი გამოგდის!

– შენი თეთრი ნიფხავი კაპიროვეკასა-ვით შავია! ვიღას აცვია თეთრი ნიფხვები?!

მკი იტანჯებოდა! ტანჯევას ჭაჭით იქცევებდა, „პირველაც“ ეწეოდა, ხორცის ნაჭერს წუნწიდა და არ სიამოვნებდა, – ხორცს არ ჰქონდა ჩვეული გემო. ნასვლაც უნდოდა, გაქცევა, მაგრამ ფეხები სპილოსი ჰქონდა და შიგ ტყვიაც ესხა.

მან არ იცოდა, რა განსაცდელი ელოდა.

მოულოდნელად სახლის წიაღში საათ-მა დარეება. ზუსტად თორმეტჯერ და-რეება.

– ქელანა მოვიდა! – სიხარულით შეჲყვირეს ქალებმა.

მოთხოვა

დარბაზში უზარმაზარი არსება შემოიზლაზნა. ეს იყო ქელანა. წელზევით შესველი, წარმოუდგენლად ბანჯგვლიანი და მყრალი. მკიდ შენიშნა, რომ ქელანას რქებიც ჰქონდა და პატარა ტყავის ფრთხილიც. მარტო შარვალი ეცვა და ტერჯებზეც – შიშველ, სველ, დათოვლილ, ბინძურ ტერჯებზე – არაფერი ემოსა. ან რა ჩაეტეოდა იმხელა მარშრუტკისტოლა ტოტყებ-ფეხებზე. ქელანა დევი იყო, ძალიან ცუდი ბიჭი, გაუნათლებელი და ოუმორის გრძნობას მოკლებული, თანაც მშეირი, გალიზიანებული და დაკომპლექსებული. ქელანა ბოლო თაობის დევი გახლდათ.

– მან ფრენა იცის! – მიხედა მკი და ძალიან ცუდად გახდა, ძალიან შეეშინდა მისი.

უდალმა დედაკაცებმა თიხის უზარმაზარ ჯამში პური ჩატეხეს – ჩაფშენეს. ბუხრის გოგომ ქელანას ჯამში ძალიან სურნელოვანი წვნიანი ჩაუსხა. მკიდ შენიშნა, რომ წვნიანში ხორცის ნაჩელეთები და ძვლის ტვირის კუნძულები დაცურავდა; აგრეთვე: სტაფილო, კარტოფილი, უცნობი კენკრა, ვერმიშელი, დაფნის ფოთოლი, ხახვი და ვირის თავ-ფეხი. მკის ძალიან მოუნდა სუპი, მაგრამ არ შესთავაზეს, დაიკიდეს.

ქელანა მაგიდას მიუჯდა, წვნიანის ხერეპას შეუდგა. სიამოუნებისგან ფეხებს აპაკუნებდა. მკის ესმოდა მისი ფეხის კლანჭების შემზარავი რაკარუკი იატაკზე და უფრო და უფრო ეშინოდა მისი.

– ეს ან მომკლავს, ან შემჭამს! – ასე ფიქრობდა უბედური კაცი.

დევმა ივახშმა. მერე ქამრიდან აღმასისპირიანი ბებუთი ამოილო და ხორცის დიდი ნაწერი მოიქრა.

– ვახ, ამას დანაც ჰქონია! – გაიფიქრა მკიმ.

ქელანამ ხორცი პირში გაიქანა, უგებურად გადეჭა და იკითხა:

– ეს იდიოტი ვინა? აქ რა უნდა, რას აკეთებს?

– ლტოლვილია, – უპასუხეს ქალებმა, შემთხვევით მოხვდა ჩვენთან. მაგრამ, იცი, ქელან, ცოტა დალია და ეგრევე ჩვენი შიმვა დანწყო. სათითაოდ გავყავლით და ურცხვად გვეუფლებოდა. და ეს უსასრულოდ დიდხანს გრძელდებოდა...

– ვინა, ესა? თქვენ? – აღმაცერად გახედა ქელანამ ქალებს. – თქვენ გუიმავდათ?

ქელანამ გადაიხარხარა. მერე:

– ვინა ხარ, შეჩემა? – შეეკითხა დეგენერაცი მკის.

– მე, ბატონო ქელან, ჩემი საქმის სპეციალისტი ვარ.

– მაინც?

– მელიორაციის.

– უხ, შენი დედა მოვტყან! – შეჰყვირა ქელანამ. – ყველაზე ძალიან მაგ სპეციალობას ვერ ვიტან.

რას ერჩიოდა ქელანა მელიორაციას, კაცმა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგო, თუმცა რა აზრი ჰქონდა გაგებას. ქელანა ვერ იტანდა და მორჩა, დაესვა წერტილ!

უცებ მკის ხელი ქერიში ჩავლო და გვერდით თახაში გაათრია.

– არა, ბატონო ქელან, არა! – იძახდა საბრალო მკი.

– არა კი არა, კი, შე ახვარო!

მერე თავისი პირის, ნაწლავების და კუჭის სიმყრალე შეასუნთქა, რამაც კაცს დამბლა დასცა, და აღმასისპირიანი ბებუთით თავი გადაპარსა. უხეშად გადაპარსა, ალაგ-ალაგ თმა დაუტოვა და იარებიც, ნაკანწებიც, ბლომად და ლამაზად.

...მკი მარტო ბრუნდებოდა. ის ნასვა-მი და გაუძირული გახლდათ. მას თავზე სციონდა და საჭდევ-ნაკანრები ეწვოდა. ულალმა ალქაჯებმა დარჩენილი ჭაჭადასხეს ოხერ თავზე. მკი მაინც ფიქრობდა, რომ ცხოვრება არც ისე ურიგოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მას რატომდაც უკანალი სტკიოდა. ეს იმ საშინელი ხორცის ბრალი იყო.

შინ მოპრუნებულს მაგიდაზე ძალიან ლამაზი, მოზრდილი ზარდახშა დახვდა. ზარდახშაზე წერილი იდო და მკი წაიკითხა: „ბიჭო, შე იდიოტო! აქ იმდენი იქროა, რომ ვერც კი წარმოიდგენ. მეტი რა გითხრა. თუ ჭკუის ნატმალი ოდნავ მაინც გაგაჩნია, რამეს მოიმოქმედებ. აბა, შენ იცი. მომენტია შენი თმა. შენი ქელაბა“.

მკიმ სამსახური მიატოვა და პარიზში გადასახლდა. სენ მიშელის მოედანზე ბინა იყიდა. შმოტკებიც იყიდა, ფერადი ნიფხვებიც. ყავის დასალევად და თვლის წყლის დასალევინებლად პატარა კაფეც ამოირჩია. ქუჩის კუთხეში პატარა ბუტკა-ჯიხურიც ჩადგა. ჭაჭის არაყს, „პირველს“, „სარკეს“, „თბილი-სელებს“, „ცხელ შოკოლადს“ და „ლელოს“ ჰყიდვის. სხვათა შორის, ეყიდება. არ ეყიდება ყვავილების მიწა და ნასკები.

მკიმ რიტასაც მისწერა წერილი, ჩამოდი, თვალისჩინო, ჩიტის რძეს არ მოგაკლებო! ვიზა და რამრუმებები ჩემზე იყოსო.

რიტაც ჩამოვიდა – ერთად ცხოვრობენ.

მაგრამ მკის ზამთრის ის ლამაზი, თოვლიანი ლამე ახსენდება, ხშირად ახსენდება და ფიქრობს, რომ ყველაზე ბედნიერი მაშინ იყო... ზამთრის იმ საშინელ ლამეს...






დაუვინცარი შეხვედრები მარიოტში

როდესაც საქმე თქვენი ღონისძიების დაგეგმვას ეხება,
მარიოტი უსაჩლვრო შესაძლებლობებს გთავაზობთ,
თბილისი მარიოტისა და ქორთიარდ მარიოტის ღონისძიებათა
დარბაზები იდეალურია თქვენი კონფერენციის.
ბანკეტისა თუ საქმიანი შეხვედრისათვის.

დარბაზის წყობა და გაფორმება, ინდივიდუალურად შექმნილი
მენუ და უახლესი აღჭურვილობა უზრუნველყოფს თქვენი
ღონისძიების ნარმატებას. მარიოტის გამოცდილი გუნდი კი
მუდმივ მზადყოფნაშია თქვენი და თქვენი სტუმრების
ნებისმიერი სურვილის შესასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით +995 32 277 91 55



გიორგი კობახიძე

პოლიტიკის
მოღვაწე

გიორგი კობახიძე დაიბადა 1988 წლის 23 იანვარს. დაამთავრა მე-18 საშუალო სკოლა-ლიცეუმი და შევი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მრეწველობის მართვისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. წერს და თარგმნის ლექსებს ინგლისური ენიდან. 2010 წელს ნათარგმნი ლექსები დაიბეჭდა „დიოგენეს“ მიერ გამოცემულ ვასუშტი კოტეტიშვილის სახელობის კრებულში „პოზიტის ახალგაზრდა მთარგმნელთა კონკურსი“. აქამდე, ლექსები გამოქვეყნებული აქვს ერთ-ერთ ინტერნეტ-ურნალში და სხვადასხვა ლიტერატურულ საიტებზე.

გიორგის ლექსებში დომინანტურია სოციალური თემა-ტიკა, რომლის ასახვას დამწყები ავტორი სხვადასხვა მხატვრული ხერხით ცდილობს. მაგალითისთვის გამოდგება „კარადა“. ამ ლექსში ავტორის კრიტიკული მიმართება სოციუმთან, – რომელშიც ინდივიდუმისთვის პიროვნული რეალიზება და საკუთარი სახის შენარჩუნება ვერ ხერხდება, – სხვა წარმოდგენილი ტექსტებისგან განსხვავებით, ირიბად და უფრო ექსპრესიული ფორმით იკვეთება. აქ კარადა ერთგვარი ნიღბაზა – სივრცე, რომელშიც იმაღები, ან – რომელსაც „ამოეფარები“, რათა საკუთარი ხმა დაიბრუნო; ნიღბის ტარება სოციალური წნებისგან გათავისუფლება – „სიშიშვლის“, შინაგანი ბუნების წარმოჩენის აღარ გერიდება.

გიორგი კობახიძის ლექსები ბეჭდური სახით ქვეყნდება პირველად. ლექსების რიტმული და სუგესტიური მთლიანობა მოწმობს, რომ ავტორი წერის პროცესში შთაგონებას ენდობა – მხოლოდ მექანიკური გამომგონებლობით გაჭირდება მხატვრული ბუნებრიობის შენარჩუნება. მისი ხელწერა მკვეთრი ინდივიდუალობით ჯერ არ გამოიჩინება, თუმცა გიორგის აქვს ძლიერი შემოქმედებითი ალლო; ის მოზომილად, ალოგიური მხატვრული შტრიხების გარეშე აყალიბებს პოეტურ ტექსტს. სათქმელის მხატვრულ ფორმაში განხორციელების პროცესის კონტროლის შესაძლებლობა კი თავისთავად უკვე მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, პერსპექტიულ ავტორზე მიანიშნებს.

დაივინებები

დაივინებები მდინარე პირველმა, ვიდრე მდინარე მიგცემდეს დავინებას; დაივინებები ეს ბანალური შედარებაც, რომ ცხოვრება მდინარეა და ა.შ.; წარმოიდგნენ, შენ ხარ წყალი იმკანში, რომელიც დაბანს მტვრიან ხელებს ვიღაც უცნობებს, ვიდრე მტვერი ხელებს შეახმება და არქეოლოგების საკუთრებად გადაიქცევა.

დაივინებები მდინარე, რომლის დინებასაც მიყვები, თუ მოძრაობ საპირისპიროდ, რომელშიც თევზაობ და ერთ დღესაც თევზივით დაჭერილი საკუთარი თავის ნაპირზე შენვისას შეგეშინდება, დაივინებები!

რა საჭიროა კალაპოტი, როცა დაბადებიდანვე შეგიძლია დაინტერესება და დანამოვარსკვლავების ოქროს მინდვრები და როცა მოკვდები, შეგეძლება, რომ იყო ყველგან!

დაივინებები, რომ ცხოვრება მდინარეა და საკუთარი „შენაკადი“ იქ დააშრე, სადაც შენ გინდა, იქ აორთქლდე, იქ მოხვიდე ისევ წვიმად, და ანვიმდეს და ჰყოლნიდეს მხოლოდ ერთ კაცს შენი სიგრილე, ერთი ღრუბლის ქვეშ!

დაივინებები ქალაქის მთავარი მდინარის პირას გამოსული ადამიანები – ცალ-ცალკე ერთად ყოფილიყვნენ მათ ხომ შეეძლოთ?

დაივინებები „ზღვაში წვეთის“ ფილოსოფია; უბრალოდ, მშვიდად დაისვენე ქიქაში ან დაუცი ვინძეს ლოკაზე! სანამ რაიმეს ნაწილი გახდებოდე, თავისთავად შენც ხომ მთელი ხარ?

დაივინებები. და რად გინდა მდინარის სარკე, ჩვენ ხომ მაინც წვეთები ვართ და წვეთები ერთმანეთს გვანან.

დანექი მიწაზე, როგორც გასარუჯად წვებიან ხოლმე, მზეს მიეშვირე, უბრალოდ, გრძნობდე, როგორ როთქლდები, როგორ ქრები, მინევ მაღლა და იღიმებოდე. დაივინებები.

მექანიკური რეზინა
მე მაქვს დაცული ტერიტორია,
ჩემი სახლი ჩემი სარკოფაგია,
როგორც ჩემი ქვეყანა.
მე ყოველ დღით ვდევ
სასაფლაოს სასოფამა დღიდან
და ვიწყებ მექანიკურ მოძრაობას
ჩემს ოპიტაზე,
რომელიც არის
ძალიან პატარა
და ძალიან კერძო
და უპრინციპო
და დრეკადი,
როგორც რეზინა.
ის ინელება
და ილებს ნებისმიერ ფორმას
და მთავაზობს
ნებისმიერ ტრაექტორიას
და ის მატარებს თავისი გზებით,
რომელიც პრინციპში არის გზა ერთი
ზომიერად კანონზომიერი,
როგორც ულუფა განასაზღვრული
ჯარში და ციხეში
და მეტი აღარ მეკუთვნის,
როგორც მე ჩემს თავს აღარ კეკუთვნი,
როგორც გმირი,
რომელმაც საბაზრი ფასში გაყიდა თავი,
და მოული ფული გადაურიცა
უპატრონო ბავშვთა პანსიონატს და
ინვალიდებს,
რომელმაც პირადად მიაკითხა სახლში,
გადასცა საკრედიტო ბარათები
და დაუდგა ბანკომატი საღარბაზოში
ჩემი რეზინა გადაიტაცა
„ამერიკულ გორუბად“
და დღეს სამსახურში პირდაპირ
ატრაქციონით
მოვედო,
მაგრამ ეს არავის შეუმჩნევა.
ჩემი ბედი ჩემი მეობარი
და ის მეხმარება მოვიტუებუ თავი
ყოველ ძილის წინ და ყოველი გაღინიერისას,
რათა დღიმ ჩაიაროს მშვიდად და
უშეფოთოდა,
რათა არ ახდეს ჩემი შიშები,
როგორც სიზმარი,
რომელთაც მხოლოდ მაშინ ვერ ვხედავ,
როდესაც მძინავს.
ჩემი ბედი არის განსაზღვრული
და ის სიგრძეში არ იმატებს
და არც მოკლდება,
მას უბრალოდ შეუძლია
ფორმა იცვალოს,
რათა დროებით დაივრცყოს,
როგორც არის.
„ყველაფერი მექანიკაა“,
მექანიკური ცოლი,

მექანიკური ოჯახი,
მექანიკური ბავშვი
მექანიკური საღლეგრძელო
მექანიკური ტრადიცია
მექანიკური მეზობელი
მექანიკური დედა და მამა
და დედმამიშვილი
მექანიკური სამსახური
მექანიკური პრინციპები
მექანიკური რწმენა
მექანიკური მეგობრები
მექანიკური წიგნი
მექანიკური სკოლის შემდეგ უნივერსიტეტი
მექანიკური კარის გაღუბა
მექანიკური და ა.შ.
მექანიკური სად ხარ
მექანიკური ჰური წამოიღე
მექანიკური დღეს არაური გიფამია
მექანიკური წვები
მექანიკური კიტრი და პომიდორი
მექანიკური დასვენება
მექანიკური ზღვა
მექანიკური სად ვარ
მექანიკური მექანიკა
მექანიკური იმედი
მექანიკური ღმერთი,
რომლის დაბადებაც აღმოჩნდა
ისეთივე დაუცველებელი,
როგორც – სიკვდილი.

პპრადა

აი, ცარიელი კარადა,
როგორც უსულო გვამი,
ჩევენ შეგვიძლია შევიდეთ შიგნით
და ამით არაური შეიცვლება.
სხვადასხვა სამოსა,
საკიდებზე თავს რომ იხრჩობდნენ,
ალარა გვაქვს და შიძვლები ვართ,
სამაგიეროდ გვაქვს ეს სივრცე,
რომელშიც ისინი რიგრიგობით
ინახებოდნენ,
ჩევენ შეგვიძლია მათ მაგივრად შევიდეთ
შიგნით,

როცა გაგდენის საკუთარი წესწყობილება
და უბრალოდ დავლით ყავა,
იყოს სიბნელე,
კერ ვხედავდეთ ერთმანეთს
და ვილაპარაკოთ.

ოთახი ითახში.

როგორც შტაბი ბავშვობაში რომ
ვაშენებდით,
სინამდვილეში რომ არავის ვემალებოდით,
უბრალოდ გვეონდა მცდელობა,
რომ მარტო გვეცხოვრა.
ახლა შეგვიძლია ავიზდინოთ ჩევნი იცნება,
მე და შენ ჩვენთვის სიბნელეში

გავუჩინარდეთ.
სიბნელე, რომლისაც არასოდეს შეგვეშინდება,
რადგან იქნება ჩვენ ნებით ამორჩეული,
სადაც საბოლოოდ ეკარგებათ სარკებს აზრი
და მხოლოს ის ვართ, რასაც ამბობს ჩვენივე
ხმა.

დაწერე,
რადგან ვერალერს გრძნობ
და არაურის ფიქრობ,
რადგან არც კარგად ხარ
და არც ცუდად
და ნურაურს მომწერ ცხელი გულით
ან ცივი გონებით –
ეს არაა არჩევანი,
ეს უბრალოდ პოეზიაა,
მას შეუძლია იყოს უფრო დაბალი,
ვიდრე ჭიანჭველა,
ვიდრე ყველაზე პატარა
და შეუმჩნეველი ბაქტერია
შენს ორგანიზმში,
მას შეუძლია არ არსებობდეს,
ან, ნამდვილი თავისუფლება.
დაწერე, როცა მიხვდები,
რომ აღარ არსებობ,
როცა მიხვდები,
რომ ყველა სიტყვა ანონიმურია,
როგორც ღმერთი,
როგორც ბრჭყალა ყუთში
სავაჭრო ცენტრის შეუალები
დატოვებული
ლამაზი ბანტით შეფუთული
საჩუქრი,
სადაც შეიძლება აღმოჩნდეს ბომბი
an X-box 360.

ცარიელდება შენობა.
უფრო და უფრო მკვეთრად ისმის
ნაბიჯების ხმა.

თოვა გრძელდება.
ყველაფერი თეთრად იჯარება
ჩრდილების გარდა.

შემოდგომის ფოთლები.
ისინი ვერასდროს გაფრინდებიან
თბილი ქვეყნებისკენ.

რეტრო ჰაიპუ

რა სამწუხაროა: მიმოწერისას,
ჩვენი წერილები ერთმანეთს
ვერასდროს შეხვდებიან საფოსტო ყუთში.



საუბრები აბაზურის ქვეშ

განათებული ფანჯრების კვირა

ავტორი ლინა აფიონიაშვილი

სადღაც უავე ვთქვი და ახლა
საკუთარ თავს გავუმეორებ – დღე-
სასწაულების გარეშე არ შემიძლია,
ვერ ვცხოვრობ, ვერ ვსუნთქავ და
მორჩა. მარტო დადგენილ დღებს
არ ვგულისხმობ – სხვა, ჩემით შე-
ქმნილ, ჩემით დაწერილ, ჩემით გა-
მომცვევარ დღესასწაულებზე მოგა-
ხსენებთ. ჩემი ანტაგონისტი დიანა
მეტყვის – მსოფლიოში ომია, შენს
ქვეყანაში ადამიანებს შიათ, ადამია-
ნებს ერთმანეთი აღარ უყვართ, რა
დროს ეგ არის! – ვიცი, ვპასუხობ მე,

ვიცი, მე ჩემს ნაწილს დავამშვიდებ, ჩემს ნა-
წილს შევიყვარებ და ცუდი ამინდის
მიუხედავად, მაინც ვიყიდი ვანილის
ჩხირებს, რომელიც თბილისის რომე-
ლილაც მაღაზიაში აღმოვაჩინე.

დღესასწაული მნიშვნელოვა-
ნი რამეა, ზოგისთვის მეტისმეტად
მნიშვნელოვანიც. მაგალითად, ჩემი
პატარა გიორგისთვის ყველა დღე
დღესასწაულია – თვალებს გაახელს,
უცებ წამოხტება და გეტყვის – გა-
ვანათეენ!

ჰოდა, დღესასწაულისთვის მშვე-
ნიერი მიზეზი – კვირა სალამოა. მა-
გრამ ზაზა სახლში არ არის, მუშაო-
ბს. გიომ დაიძინა, მეც ფანჯარასთან
ვზიგარ და სიმშვიდის იშვიათი წუთე-
ბით ვტკბებს.

ბავშვობიდან მიყვარს სხვისი განა-
თებული ფანჯრები, ზოგჯერ სხვისი
ფანჯრის თბილი სინათლე ბავშვო-
ბისდროინდელი რიტუალივთაა –
ცხელი რძე ძილის წინ – გამშვიდებს
და გაძინებს.

ჰოდა ვზიგარ ფანჯარასთან და

ჩემი ქუჩის ხმაურიან საღამოს ვუყურებ.

წინა კორპუსში, მეშვიდე სართულის ფანჯრები განსაკუთრებით მიყვარს, დიდი ოჯახი ცხოვრიობს – დედა, მამა და ექვსი ბავშვი. სულ პატარა ახლახან გაუჩნდათ, ახალგაზრდა მშობლები არიან. არ ვიცი, სად მუშაობენ – მამას ხშირად გხედავ დილაობით, როცა სამსახურში მივდივარ. დედაც, როცა ზოგ ბავშვს სკოლაში გაუშვებს, ზოგს საბავშვო ბალში და ზოგსაც მიაძინებს, ხან ფუსტუსებსა და საქმიანობს, ხანაც მაგიდასთან ზის და გადაშლილ წიგნებს უკირატებს. ჩემი აზრით, მასნავლებელია, ან მნერალი.

დიდი სასტუმრო ოთახი აქვთ, რომლის ფანჯრებსაც ისეთი თხელი ფარდა აფარია, რომ ყველაფრის გარჩევას ვახერხებ – ჭურჭელი მაგიდაზე, ღიმილი ბავშვების სახეზე და ლურჯზოლიანი ხელსახოცები სუფრაზე.

ჯერ სამზარეულოს ვხედავ – როგორ ამზადებს დედა კვირა დღის სადილს – ბევრი ბოსტნეული, საღათის ფურცლები, ხასხასა მწვანილი, რეჟანის ფერად ფოთლებსაც ვარჩევ, ფერადი ბულგარული, მწვანე ლობიოს გროვა, უცნაური მცენარე ჩანს – მგონი ჭინჭარი უნდა იყოს, ფრთხილად, ბავშვებო, არ დაგსუსხოთ, დედა მონალავს და კვერცხთან და ხახვთან ერთად ჩაშუშავს. მამაც სამზარეულოშია, ქვაბს ურევს, იქ რა მზადდება, არ ვიცი. ბავშვები სუფრას ალაგებენ, ფრთხილად, რუდუნებით გამოაქვთ სამზარეულოდან ჭურჭელი და მაგიდას ამინანქრებენ. პატარა გოგო, ხუთი წლისა, სკამზე აფორთხებული და თავისი მსუქანი და კოტიტა ხელებით ხელსახოცებს ასწორებს, უფრო სწორად ურევს, მერე ყველას სამზარეულოსკენ აქვს გულისყრი, ეტყობა დედამ დაიძანა – ორი ყველაზე უფროსი ბავშვი სამზარეულოსკენ გარბის და ცოტა ხანში საჭმლიანი თეფშები მოაქვთ – არაფერი განსაკუთრებული – ერთზე მუავეულია – ალბათ კიტრი, წითელი კომბოსტო, წინაკა და გულისართიანი პომიდორი, ან შეიძლება სულაც სხვა რამე იყოს, მნიშვნელოვანი უნივერსალუ-

რი რამაა – ჩემი ბებო ოდნავ მკვახე თეთრ ბალს ამწნილებდა, ძალიან პიკანტური და საინტერესო მწნილი გამოდის. მეორე თეფშზე – რაღაც ლამაზია და ფერადი – მგონი, ბოსტნეულის საღათი – ფერები, ფერები და გემოები. მერე დედას ფაიფურის დიდი საწვევი გამოაქვს, ობშივარი ასდის წვნიანს, ისპანახის წვნიანი მოხარშული კვერცხით და ცომის „გრენებით“, ეს დედას საფირმო კერძია, მისი ფანტაზიის ნაყოფი – თან მაწიერი, თან ვიტამინებით სავ-

და მამაკაცის საშინაო ფეხსაცმელები, ორი ბოტასის წყვილი, კიდევ ვარდისფერი კედები და კიდევ სამი წყვილი ფეხი, რომელიც მინას ვერ სწვდება და პერში კონწიალობს.

ჯერ წვნიანს ბავშვებს დაუსხამენ, როგორ ბერავს პატარა გოგო ლოკებს და კოვზს სულს უბერავს, გამეტებით უბერავს, პატარა ბიჭი პურის ყუის ტივს დააცურებს წვნიანში, ალაგ-ალაგ ბოსტნეულისა და მოხარშული კვერცხის რიფებს ხელება, მსუბუქად გაუჯავრდნენ, ნუ ერთობი, საჭმელს მიხედეო, ჩააგდო ღუზა, თუმცა დროებით, თვალებზე ეტყობა, რომ ეს მოგზაურობა მწვანე წვნიანში აუცილებლად გაგრძელდება.

უფროსი გოგო ცამეტი წლისაა და ლამაზად იყინება, ოპ, ეს ცამეტი წლის გოგოები, კოვზიც ისე ფრთხილად უჭირავს, ისე ცდილობს უხმაუროდ ჭამოს – ჰაერს, ჭურჭელს, სკამის საზურგეს, ნარინჯისფერ აბაჟურს – ყველაფერს ეპრანჭება.

დედა და მამა საუბრობენ, ბავშვები უსმენენ, ზოგჯერ დედა ისე გადაიქნევს თავს, მსუბუქად, ლამაზად, თავისუფლად – რომ ეგრევე ვხვდები, ყველაფერი კარგად აქვს, ვყელაფერი კიდევ უფრო უკეთ ექნება.

მამაც ამაყია ამ თავისი ადამიანებით, ბოსტნეულსა და ხილის წვენს სთავაზობს პატარას – ოპ, როგორი ხვენნა სჭირდებათ ამ ბავშვებს.

ზარია კარზე. ალბათ, რომელიმე მეზობელი შემოვიდა მარილის ან თუნდაც საცერის სათხოვებლად, ჯერ უხერხულად გაიღიმებს, იუარებს, თავს განზე დაიჭერს, მერე მასაც შეიტყუებს რაღაცნაირი მხიარული მყუდროება და ცარიელ სკამს მაგიდასთან მიიღებას.

... კარზე ზარია, ზაზა დაბრუნდა სამსახურიდან, ახლა სადილს შევაცხელებ, მაცივარსაც გამოვადებ და წინა დღით შემცხვარ კექსს ლამაზად დავდებ თეფშზე, შოკოლადის სოუსაც მოვასხამ.

მგონი, უკვე ვთქვი და ახლა საკუთარ ნათევამს გავიმეორებ – დღესასნაულების გარეშე არ შემიძლია, ვერ ვცხოვრობ, ვერ ვსუნთქავ და მორჩა.

... კარზე ზარია,
ზაზა დაბრუნდა
სამსახურიდან, ახლა სადილს შევაცხელებ, მაცივარსაც გამოვადებ და ცომის „გრენებით“, ეს დედას საფირმო კერძია, მისი ფანტაზიის ნაყოფი – თან მაწიერი, თან ვიტამინებით სავ-
... კარზე ზარია,
ზაზა დაბრუნდა
სამსახურიდან, ახლა
**სადილს შევაცხელებ, მაცივარსაც გამოვადებ და ცომის „გრენებით“, ეს დედას საფირმო კერძია, მისი ფანტაზიის ნაყოფი – თან მაწიერი, თან ვიტამინებით სავ-
... კარზე ზარია,
ზაზა დაბრუნდა
სამსახურიდან, ახლა
სადილს შევაცხელებ, მაცივარსაც გამოვადებ და ცომის „გრენებით“, ეს დედას საფირმო კერძია, მისი ფანტაზიის ნაყოფი – თან მაწიერი, თან ვიტამინებით სავ-**



პველი ჟურნალის მოკრძალებული ხიზლი

ავტორი პაატა ნაცვლიშვილი

მრავალი წლის წინათ, ერთი ინ-
ტერვიუ წავიკითხე ბულატ ოკუჯა-
ვასთან. უურნალისტი იმ დროისთვის
რაღაც აქტუალურ კითხვას უსამძლა.
არ ვიცი, გაზეთებს არ ვკითხულობო, -
უუბნება მწერალი. უურნალისტი
ჩაეძიება და გაირკვევა, რომ მწერა-
ლი გაზეთებს კი კითხულობს, მაგრამ
მხოლოდ ძველ გაზეთებს, იმ ეპოქის
გაზეთებს, რომელშიც მისი ახალი
ისტორიული რომანის გმირები ცხო-
ვრობენ და მოქმედებენ. საუბარი,
თუ არ ვცდები, „დილეტანტების მო-
გზაურობას“ ეხებოდა. ყოველდღე იმ
დღის გაზეთს ვკითხულობ, რა დღეც
დგას, ოღონდ საუკუნის წინანდელ-
სო, - უუბნებოდა ბულატ ოკუჯავა
უურნალისტს, - ძალიან მეხმარება
რომანის წერაში.

თუმცა მაშინ ერთი პანაზა რომანი უკვე დაწერილი მქონდა და ახალი

რომანის, მით უმეტეს – ისტორიულის, დაწერას არ ვაპირებდი, მსგავსი რამ მეც გამიკეთებია სტუდენტობისას: უნივერსიტეტის სიახლოეს, მელიქქაშვილის ქუჩაზე ბუკინისტური მაღაზია იყო. ხშირად დავდიოდი ხოლმე. მაღაზის მასპინძელი ტიმოთე, ცნობილი თბილისელი ბუკინისტი, უკვე მიცნობდა და ჩემი ინტერესებიც იცოდა. ერთ მშვენიერ დღეს „ცნობის ფურცლის“ მთელი წლის ნომრები გადმომილაგა, თავისი სურათებიანი დამატებით, სამ თურთებიგნად აკინძული. საკმაოდ ძვირი ღირდა. ვერ შევწვდებოდი. დავდიოდი ყოველდღე და სწორედ იმ დღის ნომრებს ვკითხულობდი, რა დღეც იდგა, ოღონდ 1904 წლისას. ვალერიან გუნიას მიერ 1896 წელს დაარსებული და ალექსანდრე ჭყონიას ხელში გამოვლილი გაზეთი სწორედ

იმ წელს, უკვე ალექსანდრე ჯაბადა-
რის რედაქტორობისას საქართველოს
სოციალისტურ-ფედერალისტური
პარტიის ორგანოდ ქცეულიყო. არ-
ჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი
და სამსონ ფირცხალავა იყვნენ მისი
წამყვანი ავტორები. 70 წლის წინან-
დელი გაზეთი თავისი უშუალობითა
და თავისუფლებით მიზიდავდა. მისი
შინაარსი და სტილი დაახლოებით
ისევე განსხვავდებოდა ჩემი სტუდენ-
ტობისდროინდელი საბჭოთა პრესის
დავარცხნილი სტილისაგან, როგორც
დღევანდელი ბლოგები და ინტერ-
ნეტფორმულები განსხვავდება თანა-
მედროვე პრესისაგან. ერთი მხრივ
იყო ჩემთვის სრულიად ახალი და
წარმოუდგენელი პარტიული დაპი-
რისპირება თავისი თანამდევი ცხარე
პოლემიკითა და დაპირისპირებით,
მეორე მხრივ კი – თთქმოს უმნიშვნე-

ლო წვრილმანებში ასახული ყოველ-დღიურობა, რასაც ვერასდიდებით ვერ შეხვდებოდით საბჭოთა პრესაში. იყო, მაგალითად, ერთი ასეთი განცხადება: მზარეულის ავადმყოფობის გამო ესა და ეს რესტორანი – სახელი აღარ მასხვეს – რამდენიმე დღე არ იმუშავებს! გამოვიდოდი დამატის ლექციიდან ან კომკავშირის სავალ-დებულო კრებიდან და შევიდოდი ტიმოთესთან. ვიდექი კუთხეში და სწორედ იმდღევანდელ გაზეთს ვკითხულობდი და მის სურათებიან დამატებას ვათვალიერებდი, რომელიც უფრო მეტად ვიზუალურიც კი მეგონა, ვიდრე მაშინდელი ტელევიზია! სიტყვა „ვირტუალური“ მაშინ არ გამეგონა, ახლა კი ვხვდები, რომ ჩემი ეს ყოველდღიური მოგზაურობანი 70 წლის წინანდელ საქართველოში, სხვა არაფერი იყო, თუ არა, ვირტუალურ სინამდვილეში ყოფნა. ასე ვიცხოვრე სამი თუ ოთხი თვე ორ ეპოქაში – რეალურსა და ვირტუალურში. მერე ის უძვირფასესი ანაკინძები გაიყიდა. შეიძლება სულაც დამიანებ იყიდა, ალანიამ, ან რომელმე ბიბლიოთეკამ. აკი ვთქვი, ძვირი ღირდა და ჩვეულებრივი ბიბლიოფილი თუ ჩემნაირი პრესოფილი მას ვერ შეწვდებოდა.

დამიანე ალანია ტყუილად არ მიხ-
სენებია. ერთხელ პატონმა ტიმოთემ,
უურნალი „მეოცნებე ნიამორები“ მა-
ჩვენა, რომელზეც ასე შთამბეჭდავად
გვიამბობდა ახალი ქართული ლიტე-
რატურის ლექციებზე პროფესორი
კიოლებტა ცისკარიძე. დაათვალიერე,
ხვალ დამიანე უნდა მოვიდეს და წაი-
ღოს, მისთვის მაქვს შენაბულიო.
დამიანე ალანიას კოლექცია - წიგ-
ნები თუ უურნალები თუ გაზეთები
თუ წასატები - კარგად არის ცნო-
ბილი მთელ საქართველოში და არა
მარტო საქართველოში. არცთუ ისე
დიდი ხნის წინათ ქართული ლიტე-
რატურის მუზეუმში გამოიფინა მისი
უმდიდრესი კოლექციის ერთი წანი-
ლი, რომელიც მან მუზეუმს გადასცა.
ბატონ დამიანეს ძირითადად გასული
საუკუნის 10-20-იანი წლები აინტე-
რესებს.

„ცხელი შოკოლადიდან“ დამირეკეს

და ლიტერატურის მუზეუმის ერთ
საგამომცემლო პროექტზე მთხოვეს
ნერილის დაწერა, რომელიც სწორედ
ამ პერიოდის ქართულ პრესას ეხე-
ბა. ეს არის მარინა ხუბულურის მიერ
მომზადებული ოთხტომეტული „ლიტე-
რატურული ჟურნალები“ (1910-1920-
იანი წლების ჟურნალები), რომელიც
შარშან გამოიკავა.

იზა ორჯონიშვილის მიერ დაწყებული საქმე შესანიშნავად გააგრძელა მუზეუმის ახალმა დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ. უკვე მან გამოსცა ამბაკო ჭელიძის „ფერებიდნელი ქართველები“, ლეილა აჩბაძანჩაბაძის „აფხაზი თავადის ქალის მოგონებები პარამხანაზე“, ნიკა აგიაშვილის მიერ შედგენილი „ფუნაგორიები“, ნიკო გომელაურის ორტომეული... საგამომცემლო პროექტების განხორციელებაში მუზეუმის პარტნიორია კომპანია „მაგთი“, რომელიც მათი სლოვანისა არ იყოს, ლიტერატურის მუზეუმის გამოცემებითაც მართლა ქართულ საქმეს აკითხაბს.

შარშან ლაშა ბაქტრაძის იდეით და „მაგთის“ მხარდაჭერით მუზეუმშია საზოგადოებას შესთავაზა რარიტეტად ქცეული ქართული ფუტურისტული ურნალის „H₂SO₄“-ის რეპრინტოლი გამოკვეშა.

ყოველი რეპრინტული გამოცემა ერთგვარი შეხვედრაა წარსულთან, უშუალო შეხვედრა. და შენ ისე-თი შეგრძება გაქვს, თითქოს ძველი ურნალი კი არ გამოსცეს შენს

ეპოქაში, შენ გადაგისროლა დროის
მანქანამ იმ ძველი ჟურნალის ეპოქა-
ში და დღეს რომ ძველი გონია, ის
ჟურნალი სულ ახალი, ცხელ-ცხელი
ამბებითა და ჯერ წაკითხავი ლექ-
სებით საკეთს, დილის ჩაიზე მოგართვა
ცხეროსანმა ფოსტალიონმა.

ვისაც თავად არ განუცდია, მის-
თვის, ალბათ, ძნელი ასახსნელია,
რა ხიბლი ახლავს ძველი უურნალ-
გაზეთების კითხვას თუ თვალიერე-
ბას. ეს არ არის შორეულ ქვეყნებში
მოგზაურობით ან თვალისმომჭრე-
ლი სილამაზის ქალების ხილვით
მოგვრილი საყოველთაო ხიბლი, ეს
რაღაც განსხვავებულია, უფრო სუ-
ბიექტური, უფრო ინტიმური, უფრო
იშვიათი... ეს არის ენით აღუწერელი
განცდა, როცა შენ, სრულიად სხვა
ეპოქის შვილი, ისტორიული ამბე-
ბის ლამის უშუალო თვითმხილველი
ხდები. ესა თუ ის ამპავი, რომელიც
კველაზე დაწვრილებით ისტორიულ
მონოგრაფიაშიც კი სულ რამდენიმე
აბზაცს იკავებს, აյ შენს თვალწინ ვი-
თარდება, დროში – გაზეთის ნომრი-
დან ნომერში – გრძელდება და შენ

თითქოს ამ პროცესის მონაწილე ხარ. ძველი გაზეობისა და უურნალების ანაკინძები ყველა წიგნზე მეტად მე-ძვირფასება. მართლა მომნუსხველია მათი ბუნებრივობა, მათი სპონტა-ნურობა, მათი განუმეორებლობა და შეიულებათობა.

„H₂SO₄“-ისაგან განსხვავებით „ლი-ტერატურული ჟურნალების“ ოთხ-ტომეული არ არის რეპრინტული გა-მოცემა და მისი ხიბლიც რამდენადმე მოკრძალებულია. ეს ლიტერატურულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ტე-ქსტების კრებულია ჟურნალების მიხედვით და ქრონილოგიურად და-ლაგებული. ამის მიუხედავად, გამო-ცემის თითოეული ტომში იგრძნობა ეს ხიბლი, რომლის ეფექტს აძლიერე-ბს, იმ ძველი ჟურნალებიდან გადმო-ტანილი გრიგოლ ტატიშვილის, ოსიპ შარლემანის, ირაკლი გამრეკელისა და სხვათა სათაურები, გრაფიკული მოტივები თუ ინიაზები.

გამოცემის იდეის ავტორები არიან
იზა ორჯონიკიძე და თამაზ ჩხერიე-
ლი; გამომცემელი – ლაშა ბაქრაძე;

რეცეზია

რედაქტორი – თეა თვალავაძე. ოთხ-ტომეული შეადგინა მარინა ხუბულურმა. იშვიათად, რომ რეცენზიაში ტექნიკური პერსონალი მოიხსენიონ, მაგრამ ეს გამოცემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებლად მიმარინა ყველას ჩამოთვლა, ვინც თუნდაც სულ მცირე წვლილი შეიტანა მის გამოცემაში: კორექტორები – კახი ორჯონიკიძე და მაია სიხარულიძე, ფოტოგრაფი მირიან კილაძე, დამკაბადონებლები – ირანე ამირიძე და ფატი გაგულია, ტექსტის ამკრეფი – ლიანა ქიტაშვილი.

და უნინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, „მაგთი“, რეალური შინაარსით აღსავსე იმ თავისი სლოგანით:

„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!“

ძახილის ნიშანი ამ სლოგანის ბოლოში ჩემს მიერ არის დასმული. „მაგთი“ ქართულ საქმეს ყოველგვარი ძახილის ნიშნების გარეშე აკეთებს.

პირველ ტომში შესულია შვიდი ქართული ლიტერატურული უურნალის მასალა. ეს უურნალებია: „ოქროს ვერძი“ (1913), „ცისფერი ყანები“ (1916), „საფირონი“ (1916), „ლეილა“ (1917-1924), „პრომეთე“ (1918), „აისი“ (1918-1920) და „შვიდი მნათობი“ (1919).

უკვე მხოლოდ სათაურების წაკითხვისას ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს იმ დროის თბილისში ვარ, როცა ის ფანტასტიკურ ქალაქად მონათლეს. თითქოს ვხედავ, როგორ ჩამოდის მთაწმინდიდან გოლოვინსკზე ტიციან ტაბიძე თავისი განუყრელი წითელი მიხაელთ ლილიშვილი, როგორ უერთდება გრიგოლ რობაქიძის, პალლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვათა ხმამაღლა მოლაპარაკე კომპანიას და როგორ მიდიან ერთად ლალო გუდამშვილის, სერგეი სუდეიკინის, კირილე ზდანევიჩის და ზიგა ვალშვესკის მიერ მოხატულ „ქიმერონში“, სადაც გიორგი ლეონიძის კოკისპირული ქორწილია დანიშნული. ცისფერყანწელთა სონეტებთან და ტრიოლეტებთან ერთად ყურთასმენსას საამოდ ელამუნება აღმოსავლეთის ყველაზე ევროპული ქალაქის მუნასიბები თუ ბაია-

თები. „უკან, აზიისაკენ, ნინ ნასას-ვლელად!“ – მოგვიწოდებს ვახუშტი კოტეტიშვილი გრიშაშვილის „ლეილას“ მე-2 ნომერში. კონსტანტინე გამსახურდია კი დიდი ევროპული ქალაქის ავხორცობის წითელ რაშზე წერს „პრომეთეს“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ თავის ლექსში „პერლინი“.

მეორე ტომშიც შვიდი უურნალის ტექსტებია გაერთიანებული. აქაც სათაურებშვივე იგრძნობა რუსეთის დამხობილი იმპერიის ლიტერატურული თაზისის აღმოსავლურ-დასავლური გრილი ოხშივარი: „მეოცნებენიამორები“ (1919-1924), „კრონისის სარკე“ (1919), „თოლაბულისის სარტყელი“ (1919), „შვილდოსანი“ (1920), „ხომალდი“ (1921-1922), „ლომისი“ (1922) და „ილიონი“ (1922-1923).

ამ უურნალების ფურცლებიდან იდუმალების ნისლი მოცურავს – გაპოეტურებული სახელები ან სულაც ფსევდონიმები: იგივე პაოლო, იგივე ტიციანი, კოლლაუ, იოანნე ყიფიანი, შალვა კარმელი, დია ჩიანელი, ლეოქიაჩელი, ალექსანდრე აბაშელი, ხარიტონ ვარდოშვილი, ობოლი მუშა, იასამანი, გრიგოლ ზოდელი, გრიგოლ ჯაფარი, ვარამ გაგლი, ტერენტის გრანელი, კონე სპერელი, ჰერკულეს ყანჩელი... თბილისისა და ქუთაისის ლიტერატურულ პროსპექტებსა და ქუჩაბანდებში ქართველ მწერლებთან ერთად შინაურულად დააბიჯებენ გაქართველებული პოლ ვერლენი და თეოფილ გოტიე, უიულ ლაფორგი და ვალერი ბრიუსოვი, ფრიდრიხ ნიცშე და ავგუსტ სტრინდბერგი, რაბინდრანათ თაგორი და ანატოლ ფრანსი...

მესამე ტომში XX საუკუნის მესამე ათწლეულს რაღაც სასწაულით შემორჩენილი ნიკო ნიკოლაძე წინა საუკუნის 60-იან წლებს იხსენებს და ნამდვილი გულივერივით მოჩანს პავლე ინგოროვას, ივანე გომართელს, შალვა ნუცუბიძეს, ანდრია რაზმაძეს, გრიგოლ წერეთელს, გერონტი ქიქოძეს, ივანე ჯავახიშვილს, ნიკო მარსა და სხვათა შორის, რომლებიც მალე, ნიკო ნიკოლაძისავე თვალწინერთული ქართული კულტურისა და მეცნიერების გოლიათებად იქცევიან. და ამაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პავლე ინგოროვას რედაქტორობის გამომავალი დიდი აკადემიური უურნალები „კავკასიონი“ (1924), და „ახალი კავკასიონი“ (1925), რომელთა მეორები გამოხატული მემარჯვენე სულისკვეთების გამო საბჭოთა ხელისუფლება მათ დახურვას არ იკმარებს და პავლე ინგოროვას მისავე კოლეგებს მნერალთა კავშირიდან გაარიცხვინებს.

მეორე ტომში ხუთი უურნალია შესული. ესენია: „გალაკტიონ ტაბიძის უურნალი“ (1922-1923), „ლიტერატურა და სხვა“ (1924-1925), „მემარცხენება“ (1927-1928), „მოქმედება“ (1927) და „არიფოინი“ (1928).

„გალაკტიონ ტაბიძის უურნალი“ მეორე ქართული სახელობითი უურნალი იყო „აკაკის თვიური კურბულის“ (1897-1900) შემდეგ. როგორ შეიძლება, ინტერესით არ წაიკითხო გალაკტიონის მიერ მომზადებული უურნალის რამდენიმე ნომერი. მხოლოდ პოეზიით გაჯერებული გალაკტიონი ჩვეულებრივ არ გამოირჩეოდა სარედაქტორო თუ საზოგადოებრივი აქტივობით. როგორ შეიძლება, ინტერესით არ გაეცნო ნიკოლოზ ჩაჩავას, სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლოზ შენგელაიასა და სხვათა ფუტურისტულ ოპუსებს უურნალში „ლიტერატურა და სხვა“. ან როგორ შეიძლება, არ დაინტერესდე გამარჯვებული მემარცხენე მნერლობით – შალვა ალხაზიშვილის „ბაზარი შანსაიდან“ დაწყებული და ბესარიონ ულენტის „დღევანდელობის დირექტივებით“ დამთავრებული.

ის დღევანდელობა, რომლის დირექტივებზეც გვესაუბრებოდა ბესო ულენტი 1928 წელს უურნალ „მემარცხენების“ მე-2 ნომერში, უკვე გუშინდელობად, მეტიც – გუშინწინდელობად ქცეულა, მაგრამ თვალწინერთული გვალვნებაში შეიძლება მომართოს საზოგადოების და როგორი სულისკვეთებით იყო გამსჭალული ქართული ლიტერატურული და სახელოვნებო ცხოვრება მთელი შვიდი ათეული წლის განმავლობაში. ბესო ულენტის დირექტივებიც და ტომალიტარული საზოგადოების

ერთგვარი მანიფესტია, დღესაც რომ ჭკუისასასწავლ მაგალითად შეიძლება გამოდგეს:

„ძველი გამოვნებისა და ესთეტიურ-იდეოლოგიურ თვალსაზრისის რღვევა – აი, ხელოვნების პრაქტიკული დანიშნულება ჩვენს დროში“.

ბესო ჟღენტს რომ ჩვენს დროშიც ეცხოვრა, ზუსტად ამასვე იტყოდა ტელევიზიის დანიშნულებაზე.

ტელევიზია კარგად იყოს და, პრესა თავისი არსით უფრო ღრმაა და უფრო მუდმივიც, ვიდრე ეს უურნალგაზეთების უბრალო გადამთვალიერებელს შეიძლება ეგონოს. უურნალგაზეთები სხვა ყველაფერზე უკეთ აფიქსირებენ პროცესს და წლების მერე სწორედ უურნალ-გაზეთების მეშვეობით ხდება შესაძლებელი მოვლენების ობიექტური რეკონსტრუქცია, მათი დინამიკის თვალის მიდევნება.

სწორედ ასეთ შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მკითხველსა

თუ მკვლევარს ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული ოთხტომეული. იგი საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნით საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას გასული საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში. ეს პერიოდი კი ქართული ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე სისხლსავსე, ყველაზე მრავალფეროვან და ყველაზე საინტერესო პერიოდად არის მიჩნეული. ხოლო იმდროინდელი ლიტერატურული უურნალები მართლაც მრავალფეროვან მასალას იძლევა ლიტერატურული პროცესის სრული სისავსით აღსაქმელად.

ლიტერატურის მუზეუმმა მართლა შესანიშნავი საქმე გააკეთა ამ უნიკალური ტექსტების თავმოყრითა და გამოცემით, რისთვისაც ჩვენი გულწრფელი მადლობა ეკუთვნით პირველ ყოვლისა ოთხტომეულის შემდგენელს, რომელმაც დიდი მოცულობის სამუშაო გასწია, მერე – მუზეუმის ხელმძღვანელობას, თანა-

მშრომლებსა თუ სპონსორს.

დიახ, დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ მე მაინც დამრჩა ერთგვარი უკმარობის გრძნობა და არ შემიძლია, ამის შესახებაც არ ვთქვა.

უკმარობის გრძნობას, უწინარეს ყოვლისა, პროექტის სათაურისა და მისი კონტენტის ერთგვარი შეუსაბამობა განაპირობებს.

„ლიტერატურული უურნალები“ მეტისმეტად პრეტენზიული და მასშტაბური სათაურია, რაგინდ იგი 1910-1920-იანი წლებით იყოს შემოსაზღვრული. თუ ამ სათაურს სიტყვა „ქართული“ არ დავურთეთ, სხვა ქვეყნების უურნალებს რომ თავი დავანებოთ, საქმეში ჩახედულ მკითხველს ამ გამოცემში იმ მასალის მოლოდინი მაინც ექნება, რაც იმავე წლებში თბილისში გამომავალ რუსულენოვან უურნალებში გამოქვეყნდა, რომლებიც დღეს უფრო დიდ რაორეტებად არის ქცეული ვიდრე იმ პერიოდის ქართული უურნალები.

ჩარჩოშვილის სახადვოპათო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დავები

**სამეწარმეო
კორპორაციული სამართალი
შრომის სამართალი**



სამოქალაქო სამართალი

**სისხლის სამართალი
(ეკონომიკური დანაშაულები)
ადმინისტრაციული სამართალი**

რეცეზია

მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი გამოცემა ნაკლული იქნებოდა, რადგან მისი ოთხი ტომი ვერ მოიცავს გასული საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების ყველა ქართულ ლიტერატურულ ჟურნალს. ყველას კი არა, ნახევარსაც ვერ მოიცავს. ამის გამოცაა, რომ ეს პროექტი როგორლაც ხელოვნურად შეწყვეტილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სულ ოთხომეულში 21 ჟურნალის მასალაა შესული, დაინტერესებულმა მკითხველმა კი იცის, რომ იმ პერიოდში გამომავალი ქართული ლიტერატურული ჟურნალების რიცხვი გაცილებით მეტი იყო.

აი, ზოგიერთი მათგანი:

„ფასკუნჯი“ (1910), „ცხოვრება და ხელოვნება“ (1910-1911), „ლახტი“ (1914), „განთიადი“ (1915), „ცხოვრება“ (1915-1917), „თებერვალი“ (1918?), „ახალი ნაკადი“ (1919), „ტფილისი“ (1920), „პარნასი“ (1920), „ბუნება და ხელოვნება“ (1920), „მზიური საქართველო“ (1920), „სემირამიდის ბალები“ (1921), „მეტეორი“ (1922), „ქურა“ (1922), „უქმიერიონი“ (1922), „გრემლი“ (1923), „ჩირალდანი“ (1923-1925), „კოლხეთი“ (1923), „პირამიდები“ (1924), „ისპირი“ (1924), „ეპოქა“ (1925), „დარიალი“ (1925), „ლიანდაგი“ (1925), „ოქტომბრის ზვირთი“ (1925), „პონტოსი“ (1925), „მერცხალი“ (1926), „უშბა“ (1926), „ქართული მწერლობა“ (1926-1930), „მიზანი“ (1926-1930), „პროლეტარული მწერლობა“ (1927-1932), „გრდემლი“ (1927-1928), „პროლეტარული მწერლობა“ (1928), „ნითელი აფრა“ (1928-1930)...

კარგა ბლომად კი გამოვიდა, მეტი, ვიდრე ოთხომეულშია შეტანილი. თანაც ეს მხოლოდ ნაწილია მითითებულ პერიოდში გამოსული და ოთხომეულში არშესული ქართული ლიტერატურული ჟურნალებისა. რაც მთავარია, აქ არ შეიტანეთ ჟურნალი „მნათობი“ რომელიც ფაქტობრივად უწყვეტად გამოდის 1924 წლიდან დღემდე. და 1920-იანი წლების პერიოდი მის, სულ ცოტა, 75 წლმერს მოიცავს, რომელთა მასალა, ალბათ, სამ-ოთხ ტომშიც არ ჩაეტეოდა. აქ

არ არის შეტანილი, აგრეთვე, იოსებ იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრება“ – ერთადერთი ქართული ჟურნალი, რომელიც ერთ ქალაქში, მაგრამ სამ სხვადასხვა სახელმწიფოში გამოიდიოდა – რუსეთის იმპერიაში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში! ამ ჟურნალის 16-წლიანი არსებობა მთლიანად თავსდება ლიტერატურის მიერ მონიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში: 1910 წლიდან 1926 წლამდე ჟურნალის 333 წლმერი გამოვიდა და ამ მასალასაც, სულ მცირე, ორი ტომი დასჭირდებოდა.

პროექტის იდეის ავტორები, სამწუხაროდ, ვეღარაფერს აგვისენიან – ღმერითმა გაანათლოს მათი სულები, – მაგრამ ოთხომეულის შემდგენელს, გამომცემელს ან რედაქტორს დიახაც უნდა განემარტათ ეს შეუსაბამობა ოთხომეულის სათაურსა და მის შინაარსს შორის. უნდა აეხსნათ მკითხველისთვის, რატომ შეიტანეს მხოლოდ ნაწილი მათ მიერვე განსაზღვრულ ოცნებულში გამომავალი ლიტერატურული ჟურნალებისა, ან რატომ შეიტანეს მაინცამაინც ის ნაწილი, რომელიც შეიტანეს.

ოთხომეულში რომ მხოლოდ თბილისში გამომავალი ჟურნალები იყოს გაერთიანებული, ან მხოლოდ მოდერნისტული მიმართულებისა, ან მხოლოდ ისინი, რომელთა ერთზე მეტი ნომერი მაიც გამოვიდა, ზემოთმოყვანილ „დაჩაგრულ“ ჟურნალთა ნუსხა იქნება მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, მაგრამ ოთხომეულში ყველანაირი მიმართულების ჟურნალია გაერთიანებული, რომელთა შორის თბილისის გარეთ დაბეჭდილი ჟურნალებიც არის და ისინიც, რომელთაც მხოლოდ თითო ნომერია გამოსული.

არ ვიცი, რამდენად მოხერხდებოდა პროექტის ამ ნაკლულოვანების გამართლება, მაგრამ, ვფიქრობ, ასეთ გამოცემას სულ მცირე წინასიტყვა მაინც სჭირდებოდა, სადაც შემოქმედებითი კოლექტივი განმარტავდა, რა შეიტანეს მასში და რატომ, რომელ გამოცემას მიიჩნევენ ლიტერატურულ ჟურნალად და რომელს

არა, ითვალისწინებენ თუ არა ისინი გიორგი ბაქრაძის „ქართული პერიოდიკულის ბიბლიოგრაფიას“ თუ სხვა რამ ლიტერატურას ეყრდნობიან. ან იქნებ გამოცემაში მხოლოდ ლიტერატურის მუზეუმის კოლექციებში დაცული ჟურნალების მასალაა შეტანილი? ასეთ შემთხვევაშიც გამოცემის სათაური არაზუსტია და ამის მითითება სულ მცირე ქვესათაურშივე იყო აუცილებელი.

იქნებ ვცდები, მაგრამ რამდენადმე გაუგებრად მეჩვენება „ლომისის“ ამბავი: ბაქრაძის ბიბლიოგრაფიაში იგი გაზითად არის მოხსენიებული და მითითებულია, რომ 1922-1923 წლებში ამ გაზითის 24 წლმერი გამოვიდა, სარეცენზიო ოთხომეულში კი „ლომისის“ შვიდი წომრის მასალაა შეტანილი. ან იქნებ მხოლოდ ეს პირველი შვიდი წომერი იქცა ჟურნალად, დანარჩენი კი – თუმცა მოცულობასა და ფორმატში არავითარი განსხვავება არ არის, გაზითებად დარჩა? ამის ახსნაც საჭირო იქნებოდა იმ სამუშაოროდ არარსებულ შესავალ წერილში.

ოთხომეულში არ არის შეტანილი იმ პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ლიტერატურული ჟურნალის „H₂SO₄“-ის მასალა. ალბათ, იმიტომ, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეს ჟურნალი რეპრინტის სახით გამოიცა. ასეთ შემთხვევაში, იქნებ სჯობდა ოთხომეულში არ შესულიყო ჟურნალ „კავკასიონის“ მასალაც, რომელიც ოთხომეულის გამოსვლის დროისთვის ასევე გამოცემული იყო რეპრინტად და რომლის მასალა სულ მცირე ათჯერ მეტ ადგილს იკავებს, ვიდრე „H₂SO₄“-ისა დაიკავებდა. მის ნაცვლად, თუ გამოცემის მოცულობა რაიმე მიზეზით რაღაც ეტაპზე შეიზღუდა, 10-12 „დაჩაგრულ“ ჟურნალის გამომზეურება შეიძლებოდა.

გამოცემის თითოეულ ტომს ერთვის ავტორთა საძიებელი, მაგრამ ეს ფაქტობრივად სხვა არაფერია თუ არა ჟურნალთა სარჩევების ნაკრები. არადა, ასეთ გამოცემას დიდად და-ამშვენებდა თუნდაც მხოლოდ პერ-

სონალიის საძიებელი, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელზე რომ არაფერი ვთქვათ. ასეთ შემთხვევაში პროექტი აკადემიური გამოცემის ელფერს მიიღებდა.

არც ის არის საკამათო, რომ გამოცემას დიდად წაადგებოდა ფსევდო-ნიმთა გაშიფრა.

პროექტი ბევრს მოიგებდა აგრეთვე, თუ თითოეულ ტომს დაერთვოდა მასში გაერთიანებული უურნალების მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობები, თუნდაც იმავე ბაქრაძის სეულ აღნერათა დონეზე.

მკითხველი იფიქრებს, რომ ყველა ამ ზადისა და უზუსტონბის გამოსწორება ადვილი შესაძლებელია შემდგომ ტომებში. მეც ასე მევონა და ამის იმედი მქონდა, სანამ მუზეუმის თანამშრომელთაგან არ გავიგე, რომ პროექტი დასრულებულია და ოთხ ტომზე მეტის გამოცემა არ იგეგმება.

ამის მიუხედავად ვფიქრობ, რომ

ამ ბრწყინვალე პროექტის ასე შუა გზაზე მიტოვება საცოდაობაა და მომდევნო ტომებიც უნდა გამოიცეს, რომლებშიც ყველა უსამართლოდ „დაჩაგრული“ ლიტერატურული ჟურნალიც შევა, ბიბლიოგრაფიული ცნობებიც დაემატება, ყველა ტომის პერსონალიაც გაკეთდება და წინასიტყვაობაც დაერთვის, თუნდაც ბოლოსიტყვაობის სახით. ყოველ შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიული ცნობების, პერსონალისა და ბოლოსიტყვაობის გამოცემა კიდევ ერთ, მეხუთე ან დამატებით ტომად აუცილებელი მგონია. მით უმეტეს, რომ გამოცემის არც ერთ ტომში არსად არის მითითებული, რომ იგი სწორედ ოთხომიანია.

ლიტერატურის მუზეუმს და ამ გამოცემის შემოქმედებით კოლექტივს დიახაც შესწევს ამის ძალა. რატომლაც დარწმუნებული ვარ, რომ „მაგთი“ არც ამჯერად იტყვის უარს

ქართული საქმის კეთებაზე.


ჩვენ კი, მადლიერი და მომთხოვნი მკითხველები, ამ პროექტის დასრულებასთან ერთად ლიტერატურის მუზეუმის ახალ და ახალ საგამომცემლო პროექტებს დაველოდებით. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი გრიგოლ რობაქიძის აკადემიური ხუთტომეულია, რომელსაც თითქმის 15 წელიწადია, ამზადებს ლიტერატურის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების გამგე ლალი ცომაია და რომელიც, როგორც ვიცი, მალე იხილავს დღის სინათლეს. მკითხველი ამ გამოცემაშიც მრავალ საურნალო, ფართო მკითხველისთვის დღემდე ფაქტობრივად უცნობ მასალას შეხვდება.

ასე რომ, ძველი უურნალების მოკრძალებულ ხიბლს ქართული ლიტერატურის მუზეუმი მალე გრიგოლ რობაქიძის ხუთტომეულითაც გვაზიარებს.



საქართველოს მუზეუმი
თბილისის გამზირი 31 (31 30 97), თბილისის გამზირი 2 (22 51 36),
თბილისის გამზირი 22 (22 02 76), ლიმანის გამზირი 101 2806360 (ვიზ 46),
ავტობუსი 4080 7 (43 89 39) ავტობუსი, ტაქსი 250104 18 (422 222 7 20 13)

ადამიანის ლასასრულის ზოვარზე



დედალი ვირთაგვა
ავტორი გიგანტერ გრანატ
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

როცა ადამიანები სამყაროს აღსასრულ-ზე საუბრობენ, ძირითადად, საკუთარ აღსასრულს გულისხმობენ. თითქოს მათ გარეშე აღარ იარსებობს მთები და ოკეანები, ტყეები და თვალუწვერები მდელოები. თითქოს ეს ყველაფერი მხოლოდ ადამინისათვის შექმნა და მასთან ერთად უნდა განადგურდეს. არადა, საინტერესოა, რა მოხდებოდა, ადამიანები რომ უბრალოდ, დინოზაურებივით გადაშენებულიყვნენ? სავარაუდოდ, ჩვენ მიერ აშენებული ქალაქები ნელ-ნელა გაპარტახდებოდა, ჯებირები მოინგრებოდა, ნათურები ერთ-მანეთის მიყოლებით ჩაქრებოდა, სამაგიეროდ, დედამინა დარჩებოდა თავის ადგილას: სახეცვლილი, მაგრამ შედარებით ჯანმრთელი.

ახლა, როცა აპოკალიფსის სურათების ხატვა მოდურია, ჩვენ თითქმის ყოველდღიურად დასასრულის შეგრძნებით ვცხოვრობთ. თვალს ვერ ვაშორებთ, როცა დიდ, ბრტყელ ეკარზე ხმელეთი იყოფა და ფილმის გმირები ნაპრალებში ცვილინ; ვაკვირდებით, ცნობილ ძეგლებს როგორ ფარავს წყალი – ვუყურებთ და დიდად არ გვეშინია. ჩვენ ამ კადრებით ეკოცენტრიზმს ვკვებავთ. საკუთარი სიკვდილით ტყობა ხომ სავსებით ადამიანური მოვლენაა.

გიგანტერ გრანის „დედალი ვირთაგვა“ სწორედ აპოკალიფს შეეხება. ეს არის წიგნი იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა კაცობრიობა გადაშენების პირას. ავტორი მიზნად არც წინასწარმეტყველებას ისახავს და არც გაფრთხილებას. იგი უბრალოდ გვიყვება კაცობრიობის წარსულსა და მომავალზე. თანაც, მწერალს საკარისიად მდიდარი წარმოსახვა აქვს იმისთვის, რომ ისტორიის „აპოკალიფული“ ვერსია შექმნას. „აპოკალიფული“ ვერსიის მიხედვით, დედალ-მამალი ვირთის ნოემ კიდობანში არ შეუშვა; დინოზაურები იმიტომ გადაშენდნენ, რომ მათი კვერცხები ვირთხებმა დალრდნება; ტყეები კი, სხვა ანთვერია, თუ არა დეკორაციები გრიმის ზღაპრებისათვის.

წიგნის სიუჟეტი ასეთია: მოხუც მწერალს საშობაოდ ნატერა უსრულდება. იგი ნაძვის ხის ქვეშ ნამდვილ ვირთხას აღმოაჩენს. შეიძლება იფიქროთ, ეს რა საჩუქრია, მაგრამ სამყაროში, სადაც ყველაფერი ხელის განვდენაზე, ვირთხის მოხელეთება არც ისე ადვილია. „განაკანალიზაციის ვირთხის სახელით ცნობილი რუხი ვირთხა მაღაზიაში იყიდება?“ ამგარად, დედალი ვირთაგვას გამოჩენა ნაწარმოებში იგსოს დაბადებას უკავშირდება, რაშიც ირონის დანახვა სულ ადვილია. საბოლოოდ, მოხუცი მეტს იღებს, ვიდრე ითხოვა: დედალი ვირთხა ნაძვის ხისქვეშეთიდან ჯერ მის სიზმრებში აღწევს, შემდეგ კი, მის პოეზიასა და წიგნსაც ეპატრონება. მკითხველი მწერლისა და ვირთაგვას ეგზისტენციალური დალოგის მოწმე ხდება.

სწორედ ვირთაგვას მეშვეობით იხატება ჩვენ თვალინინ სამყარო, რომლის დანახვაც ასე არ გვინდა – ვირთხების პლანეტა. შემზარევი სცენები ერთმანეთს ცვლის: ეს საშინელი მღრღნელები ხან კაცობრიობის ისტორიის სანაცვეში იქექებან, ხანაც გამართულ სიარულს სწავლობენ, ბოლოს კი, სულაც, ადამიანებს ერწყმიან. წიგნის ერთ-ერთი მთავარი სათემელიც ესაა: ადამიანებისა და ვირთხების ისტორია ისეა გადამტული ერთმანეთზე, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. ადამიანთა მიერ შექმნილი ნაგვის იმპერია ვირთხებს ასაზრდოებს, სანაცვლოდ კი, ისინი კაცო-

ბრიობის ყოველი ნაბიჯის მემატიანებად გვევლინებია. შეგიძლია, ჯადოსნური სტილი აიღო და ჰამელნელი მესტვირესავით სცადო ვირთხების მოშორება ხმელეთიდან, მაგრამ შენს თავში და სიზმრებში არსებულ დედალ ვირთაგვას მაინც ვერაფერს დააკლებ.

ატომური ბომბით გამოწვეული „დიდი ზათქე“, ეკოლოგიური კატასტროფები, პერსონაჟები ძეგლი წიგნებიდან (ოსკარ მაცერათი „თუნუქის დოლიდან“) ბალტის ზღვაში გასულ საკვლევი გეტი, გრიმის ზღაპრები და ბიბლიური სოუჟეტები – არ მეგულება სხვა მწერალი, რომელიც შეძლებდა ერთ წიგნში ჩაეტა ამდგნი თემა. გიგანტერ გრანატი კი ისტატურად გაართვა თავი. ერთი ეგაა, რომ ასეთ როტულ სამუშაოს თავისი ნაკლოვანებაც აქვს: თუ თქვენ „ვირთაგვას“ კითხვისას ერთ გვერდს მანც გამოტოვებთ, თქვენ გამოტოვებთ ყველაფერს.

დედალი ვირთაგვა ერთ-ერთია იმ წიგნთაგან, რომელზე საუბარი როტულია, რადგან ფიქრთა უხვ ნაკადს იწვევს. შეუძლებელია აპოკალისფური სურათების აღწერისას არ გაიფიქროთ:

► იქნებ ვირთხები უკეთესად მოექცნენ დედამინას, ვიდრე ჩვენ? იქნებ ისინი უფრო ადამიანურები აღმოჩნდნენ?

► ან იქნებ ყოველივე, რაც კი ადამიანს შეუქმნია, დიადი ლიტერატურის ჩათვლით, მხოლოდ და მხოლოდ კაცობრიობის ნაგავია?! ისეთივე, როგორიც კეტჩუპის ცარიელი ტუბები, ან ძეგლი პლუშის სათამაშოები. ვირთხებისთვის ხომ სულ ერთია, ჰომეროსს დალრდნიან თუ მუყაოს ყუთებს. მომავალი კი, სწორედ მათ ეკუთვნიოთ.

ვერ დაგპირდებით, რომ აღსასრულთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხს სწორედ ამ წიგნით მიიღებთ. მაგრამ ვფიქრობ, ზოგი კითხვა პასუხის გარეშეც ფასეულია. განსაკუთრებით ეს, წიგნის კითხვისას გაჩერილ კითხვებს ეხება.

რ. როცა „დედალი ვირთაგვას“ კითხვას დასრულებთ, წიგნი მაღალ თარიზე შემოდეთ. ვინ იცის, იქნებ ვირთხებს მოუნდეთ მისი დალრღნა.

ანინა ტეფნაძე

როცა ცლები



**„როცა ცლები –
თავგადასავალი შეცდომის ზღვაზე“
ავტორი ქეთრინ შულცი
გამომცემლობა „რადარამი“**

1992 წელს 46 წლის ქალმა, პირობით სახელით ანამ, ავსტრიის ქალაქ ვენაში ნევროლოგიური გამოკვლევა ჩაიტარა. დოქტორმა გეორგ გოლდენბერგმა ანას ჯერ სთხოვა, აღწერეთ, როგორი სახე მაქვსო. უცნაური თხოვნა იყო, მაგრამ ანა დამორჩილდა. მან თქვა, რომ ექიმს ჰქონდა მოკლედ შეჭრილი თმა და სუფთად იყო გაპარსული. ამის შემდეგ ექიმმა ანას მის წინ მდებარე საგნის აღწერა სთხოვა, პასუხად კი მიიღო, რომ ეს სასკოლო რეველუ იყო.

სინამდვილეში, საგანი, რომელიც პაციენტს ედო წინ, იყო სავარცხელი და არა რეველუ, და ექიმმა ის მაგიდის ქვეშ მანამ დამალა, ვიდრე ანას კი-თხვას დაუსვამდა.

ანა უსინათლო იყო. ერთი თვით ადრე გადატანილმა ინსულტმა მას მხედველობა და მოძრაობის უნარი დაუკარგა. უცნაური კი ამ ამბავში ის არის, რომ ანა არ ცრუობდა, როცა ექიმს გამოგონილ რეველს აღწერდა. მან, უბრა-ლოდ, არ იცოდა, რომ ვერ ხდავადა.

ამ დაავადებას ნევროლოგიში ანაზოგნობია, ანუ ავადმყოფობის უარყო-ფა ჰქვია. ამ დროს ადამიანის გონება

ქმნის მითებს, თხზავს ისტორიებს და ამით ანაცვლებს რეალობას.

ალბათ ახლა გაიფიქრეთ, რომ ეს წარმოუდგენელი ამბავია და თქვენ ასე არასდროს „აცდებით“ რეალობას. თუ ასეა, თქვენ უკვე ცდებით. ამე-რიკელი უურნალისტის, ქეთრინ შულ-ცის წიგნი, „როცა ცლები“, ანას და სხვათა მაგალითებით დაგარწმუნებთ, რომ კაცობრიობის ისტორია, შეცდო-მების ისტორიაც არის და ანაზოგნო-ზის დაგნოზის არმქონე, ასე ვთქვათ, ჯანმრთელი ადამიანებიც, ხშირად უსი-ნათლო ანაზე მეტად ცდებიან.

„როცა ცლები“ ქეთრინ შულცის პირველი წიგნია. ავტორი, რომლის სტატიებიც ხშირად იქნება New York Times Magazine-ში, Rolling Stone-სა და Foreign Policy-ში, ამბობს, რომ ამ წიგნის მიზანი შეცდომის, როგორც იდეის და გამოცდილების კვლევაა. თავის 500-გვერდიან ნაშ-რომში, ფილოსოფიის, ფიქტოლოგიის, რელიგიის, მედიცინის, პოლიტიკისა და ყოველდღიური ცხოვრების მაგა-ლითებით შულცი შეცდომის „ადამია-ნურობას“ ამტკიცებს. ამბობს, რომ შეცდომა ადამიანის ცხოვრების გა-ნუყოფელი ნაწილი, ხშირად კი მისი განვითარების საწინდარიცაა. შულცს სჯერა, რომ თუკი, ჭეშმარიტების აღმოჩენის დაუძლეველი სურვილით, კაცობრიობა სასწაულებრივად გან-ვითარდა, ამ განვითარებაში მნიშვნე-ლოვანი როლი საუკუნეების მანძილ-ზე დაშვებულ შეცდომებსაც ექნება.

ქეთრინ შულცი პირველად ჩემს საყარალ ვებპროტალზე, ted.com-ზე ვნახე. მისი 18-წუთიანი, საოცრად მა-ხვილგონივრული და დამაფიქრებელი გამოსვლა მაშინაც შეცდომებს ეხე-ბოდა. წიგნში კი ქეთრინმა 18 წუთ-ში ჩატეული მონოლოგი უფრო მეტი მაგალითით შეავსო, მსჯელობა კიდევ უფრო გააღრმავა და უფრო მეტი კვ-ლევის საფუძველზე, უფრო დამაჯე-რებლად წარმოგვიდგინა თავისი ვრ-ცელი და არგუმენტირებული თეორია შეცდომებზე.

„იქნებ ვინმემ ისეთი გამოთქმა მო-

ძენის უცნაურ კულინარიულ ლექსი-კონში, რომელსაც შეცდომებზე საუ-ბრისას ვიყენებთ? შეცდომების გამო იძულებული ვართ, საკუთარი ნათქვა-მი ავლოკოთ, დამცირება გადაცვლა-პოთ... და, რასაკვირველია, საკუთარ სიტყვებსაც ვყლაპავთ... შეცდომა მე-ტისმეტად მადისაღმძვრელი და ძალიან ძნელად მოსანელებელია. სიმართლე ხორციანია, შეცდომა კი – უხეირო, გულისამრევი და სიკვდილზე უარესი“, – წერს ქეთრინ შულცი.

„თურმე რამდენ რამეზე არ მიფიქრია აქამდე!“ – გარნებუნებთ, რომ წიგნის კითხვისას ეს აზრი შეგიჩნდებათ. და ჩემსავით, ალბათ, სინანულის შეგრძე-ბაც აგეკვიატებათ: როგორ გვჭირდება და როგორ არ არსებობს შეცდომე-ბზე დაფიქრება-გააზრების სივრცე და სურვილი დღეს საქართველოში.


წიგნის კითხვისას რაც უფრო მეტად ვარგებდი საკუთარ თავს ქეთრინის თეორიებს, რაც უფრო ნაცნობი მეჩვე-ნებოდა მის მიერ მოთხოვნილი ამბები, მით უფრო ვშორდებოდი უიქრით ამე-რიკას, ქეთრინის ქვეყანას, სადაც ადა-მიანები დღეს ისეთ საინტერესო თემე-ბზე მსჯელობენ და ისე თავისუფლად და ბუნებრივად... ჩვენ კი ამ თანამე-დროვე საზროვნო დისკურსის მიღმა ვრჩებით...

ბოლოს, „The New York Times“-ის ავტორის, დუათ გარნერის სიტყვებს მოვიშველიებ სტატიიდან, რომელსაც ასე ერქვა: „შეცდომა ადამიანია – რო-გორ და რატომ!“

„ქალბატონი შულცის „როცა ცლები“ არის სახლე, რომელსაც, საგარაუდო, ვერ გამოიყენებთ, ყოველ შემთხვევაში – უახლოეს მომავალში მაინც. მაგრამ თუ ამ წიგნით აღფირთოვანება შეცდო-მა, მაშინ არ მინდა, ვიყო მართალი“. მათ არ არის საზროვნო დისკურსის მიღმა ვრჩებით...

რ.ძ. ივნისში ქეთრინ შულცი საქარ-თველოში ჩამოვა და ყველა იმ ქალაქში გამართავს შეხვედრას, საიდანაც „რა-დარამი“ 20 მოქლე ტექსტურ შეტყო-ბინებას მაინც მიიღებს ნომერზე 8844.

ანიჭა თვალი



უილიამ შექსპირის პიესები

ბავშვებისათვის

მთარგმენტი ??????

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012

ფასი 19.90 ლარი

„მეთორმეტე დამე“, „რომეო და ჯულიეტა“, „ქარიშხალი“, „ზაფხულის დამის სიზმარი“, „მაკბეთი“, „ჰამლეტი“ – მხიარული ნახატებით გაფორმებული და მარტივი, ბავშვებისთვის გასაგები ენით მოთხრობილი უილიამ შექსპირის ექვსი ყველაზე ცნობილი პიესა დამწეულებ მეტოხებულებს მსოფლიოს ყველა დროის ამ უდიდესი დრამატურგის საოცარ სამყაროს შეაყვარებს; თითოეულ პიესაში უხვად ჩართული, ქართული კლასიკური თარგმანებიდან აღებული ციტატები კი ამ თარგმანების სრულად გაცნობის სურვილს აღუძრავს.

ქალი ქვიშაში/ადამიანი ყუთი

კობო აბე

მთარგმენტი ??????

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012

ფასი 15.90 ლარი

ცნობილი იაპონელი მწერლის, დრამატურგისა და სცენარისტის კობო აბეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი, მრავალ ენაზე ითარგმნა და არაერთი ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა. მის მიხედვით რეჟისორმა პიროში ტეშიგაპარამ 60-იან წლებში ფილმიც გადაიღო. რომანის მარტოსული გმირი, ქვიშაში ჩაფლულ

სოფელში „დატყვევებული“ უბრალო მწერების შემგროვებელი ბედს არ ურიგდება და ქვიშის ტყვეობიდან თავის დახსნას ყველანაირი ხერხით ცდილობს, რათა ნორმალურ ცხოვრებას და საკუთარ საქმეს დაუბრუნდეს, განსხვავებით „ადამიანი ყუთის“ მთავარი გმირისაგან, რომელიც საზოგადოებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს გაურბის, ყუთში იკეტება და ასეთი უჩვეულო ფორმით გამოხატავს პროტესტს გარე სამყაროს მიმართ.

დემონი და მითოსი

გრიგოლ რობაქიძე

მთარგმნელი მანანა კვატაია

გამომცემლობა არტანუჯი

გამოცემის წელი 2012

მეორე წიგნი სერიიდან „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“.

გრიგოლ რობაქიძის ესეების კრებული „დემონი და მითოსი“ 1935 წელს გერმანულ ენაზე ინაში, დიდერიხის გამომცემლობაში დაიბეჭდა. ამ წიგნმა, ისევე, როგორც 1932 წელს ინაშივე გამოცემულმა რომანმა „ჩაკლული სული“, ევროპაში აღიარება დაიმსახურა, საქართველოში კი მათი ავტორი „ხალხის მტრად“ შეირაცხა. ჩვენში ეს კრებული, ისევე, როგორც რობაქიძის ყველა თხზულება, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ტაბუდადებული იყო.

„დემონისა და მითოსის“ სრული ქართული თარგმანი პირველად ქვეყნება.

ონინარი

თამაზ ჭილაძე

გამომცემლობა ინტელექტი

გამოცემის წელი 2012

ფასი 9.60 ლარი

თვალსაჩინო მწერლისა და დრამატურგის, თამაზ ჭილაძის ჩანაწერები 1948 წლიდან იწყება და ეხმიანება ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ და სამწერლო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოყლენებს.

„ისეთი გრძნობა მაქვს, იმ ჭაში ვპრუნდები, საიდანაც ეს-ეს არის ამოვედი.

თითქოს რაღაც ისეთი ჩამრჩა იქ, რომლის მიტოვების არც უფლება მაქვს და არც სურვილი...“ – ეს თამაზ ჭილაძის ერთ-ერთი ჩანაწერია, რომელიც ერთგვარად განსაზღვრავს წიგნის ხასიათს.



გოდოს მოლოდინში

სემუელ ბეკეტი

მთარგმნელი თამილა ცინცაძე

გამომცემლობა ინტელექტი

გამოცემის წელი 2012

ფასი 8 ლარი

სერია „ნობელის პრემიის ლაურეატები“

წიგნი შესულია აბსურდის დრამის ჟანრში საუკუნის საუკეთესო პიესად აღიარებული „გოდოს მოლოდინში“, ნოველა „პირველი სიყვარული“ (ფრანგულიდან თარგმნა ირინა ღოლობერიძე) და პიესა „თამაშის დასასრული“ (ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა).

ბეკეტის პერსონაჟები თითქოს საპყრობილები არიან მოთავსებულნი, ჩაფლულნი დროში, რომელიც არ იძრის, დაკარგულები სამყაროში, რომელიც მათ არაფრად აგდებს. უაზრობაა წარსული, რადგან იგი დაკარგულია, გაუგებარია მომავალი, რადგან იგი შეუცნობელია, მათ შორის მომწყვდებული აწყობა კი წამიერი და მოსაწყენია. ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება, არ არსებობს განსხვავება დღევანდელ და გუშინდელ დღეს შორის.

დაცემა

ალბერ კამიუ

მთარგმნელი ნესტან იორდანიშვილი

გამომცემლობა აგორა

გამოცემის წელი 2012

ფასი 6.60 ლარი

„დაცემა“ ალბერ კამიუმ გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე გამოაქვეყნა. რომანი გრძელ მონოლოგს წარმოადგენს და ერთიანად „დაცემითაა“ გამსჭვალული. იგი იწყება ფიზიკური ვარდნით, როცა ახალგაზრდა ქალი თავს იკლავს, გრძელება მთავარი გმირის მორალური და სოციალური დაცემით, გეოგრაფიული დაცემით (მზიანი ქვეყნიდან გაქცევა), რელიგიური დაცემით (ანალოგია ბიბლიურ პერსონაჟებთან). და ბოლოს, ეს უსასრულო აღსარება, რომელიც სინდისის ქენჯნას, სინანულს, შეცდომების აღიარებას წარმოადგენს, საკუთარი დაცემით კმაყოფილებაში გადადის და უკვე ისმის კითხვა: რამდენად გულწრფელია ეს ყველაფერი?

**ბროდეკის ჩანანერები**

ფილიპ კლოდი

მთარგმნელი ირინა ლაბაძე

გამომცემლობა აგორა

გამოცემის წელი 2012

ფასი 10.50 ლარი

გონიურის პრემიის ლაურეატი ფრანგი მწერლის და კინორეჟისო-

რის ფილიპ კლოდელის რომანი. „ბროდეკის ჩანანერების“ მთავარი გმირი რუდუნებით აკეთებს მოკლე ჩანანერებს მცენარეებზე, ცხოველებზე, მწერებზე – ეს მისი სამუშაოა. ამავე დროს იწყებს მოხსენების წერას სოფელში დატრიალებულ უბედურ შემთხვევაზე – ეს მთელი სოფლის დავალებაა, და თან წერს თავისი ცხოვრების ისტორიას, რომელსაც საგულდაგულოდ მაღავს უცხო თვალისგან.

სწორედ ამ ჩანანერებიდან იბადება რომანი ადამიანის სულმდაბლობისა და სულგრძელობის, ვერაგობისა და სიმამაცის, უბადრუკობისა და სიძლიერის შესახებ.

ქუჩის მუსიკოსები

გაბრიელ ვენსანი

გამომცემლობა დიოგენე

გამოცემის წელი 2012

ფასი 12.90 ლარი

„ქუჩის მუსიკოსები“ გაბრიელ ვენსანის სახელგანთქმული საბავშვო სერიის ერთ-ერთი წიგნია. მთავარი გმირები – თაგუნია სელესტინი და დათვი ერნესტი მეგობრები არიან. მათ თავს გადამხდარი მხიარული ამბები უკვე ათწლეულებია, სხვადასხვა ქვეყნის და თაობის ბავშვების საყვარელი საკითხავია. სერიის ილუსტრაციები კი საბავშვო წიგნის მხატვრობის კლასიკადაა აღიარებული.

დონ კიხოტე ბავშვებისთვის

მიგელ დე სერვანტესი

მთარგმნელი დავით ტურაშვილი

გამომცემლობა საუნჯე

გამოცემის წელი 2012

ფასი 10 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და პოპულარული რომანის ადაპტირებული ვერსია ბავშვებისთვის უკვე წლებია ბევრ ქვეყანაში გამოიცემა და წარმატებით იყიდება. სპეციალურად ქართველი ბავშვებისთვის „დონ კიხოტე“ დათო ტურაშვილმა თარგმნა, ნიკო ქარცივაძემ კი გამოცემა და-

ასურათა. კეთილშობილი რაინდისა და მისი ერთგული მეგობრის სანჩიო პანსას საოცარი თავგადასავლი მარტივი და გასაგები ენითაა გადმოცემული, ბავშვები მათ წაკითხვას მშობლებისგან დამოუკიდებლად შეძლებენ.

**თბილისური ანბანი**

ალექსანდრ ფილორენსკი

გამომცემლობა დიოგენე

გამოცემის წელი 2012

ფასი 14.90 ლარი

„თბილისურ ანბანში“ შესული თბილისის სხვადასხვა ქუჩისა და უბნის გრაფიკული ჩანახატები ქართული ანბანის მიხედვითაა დალაგებული. ანბანის თითოეულ ასოს თითო ჩანახატი შეესაბამება. მაგალითად, ასო გ-ზე გაბრიაძის თეატრია გამოსახული, ასო ც-ზე კი ცხრა ძმის ქუჩა.

ალექსანდრ ფლორენსკი თბილის შესანიშნავად იცნობს და წლის გარევეულ დროს საქართველოში ატარებს, ამიტომ ამ ჩანახატებში ვერ შეხვდებით ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს და ადგილებს, რომლებიც ხშირად სარეკლამო ბუკლეტებს ამშვენებს. ეს ჩანახატები ქალაქის ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ და ხშირად შეუმჩნეველ ადგილებს უჩვეულო კუთხით წარმოგვიჩენს.



„კოლეგიასრი დება“



სხეული – „კოლეგიასრი დება“ მშობელი

თანამედროვე ეორეობრივი თეატრალური ფესტივალის „შპილცატი ფერობას“ შესახებ, „ცხელი შოკოლადის“ წინა წომერში ვერ მოხვდა – ცხადია, ბევრად პოპულარული ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი უფრო იმსახურებდა მეტიველის ყურადღებას. თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე ძალიან გვიან. ასე რომ, იანვარში დასრულებულ თეატრალურ ფესტივალს ახლა უკვე ფართოდ გახელილი თვალებით შეგვიძლია შევხედოთ.

ყოველწლიური თეატრალური ფორუმი ბერლინში ერთგვარად აჯამებს ევროპის მთავარ მოვლენებს. თუმცა წლებანდელ პროგრამაში აქცენტი ქორეოგრაფიაზე გაკეთდა. 1960-იან წლებში, დასავლეთ ბერლინში დაარსებულ „ფესტივალჲიში“ ნანახმა წარმოდგენებაში დაარსებულ „ფესტივალჲიში“ ნანახმა წარმოდგენებაში დაამარწმუნა, რომ დღევანდელი ქორეოგრაფია კარგა ხანია, გაემიჯნა აბსტრაქტულ და სრულყოფილ გეომეტრიულ ხაზებს (რომლის ნიმუშებიც ჯორჯ ბალაჩინმა შექმნა) და აშკარად გამოხატავს თანამედროვე თეატრის სოციალურ და პოლიტიკურ შინაარსს. თანამედროვე ცეკვის თეატრი ერთდროულად ითვისებს არც-

თუ სანიმუშო ირონიის მოსაზღვრე ტერიტორიას, ექსპერიმენტებით ნატანჯი სხეულის ბრწყინვალებასა და მუდმივ სილატაკეს; კარგა ხნის წინ დაკარგულ კლასიკურ უბინობასა და მიუღწეველ თავისუფლებას.

თანამედროვე ქორეოგრაფია გულისხმობს მკვეთრ სოციალურობასაც, როგორც, მაგალითად, პინა ბაუმის, მათს ეკის ან შედარებით ახალგაზრდა ქორეოგრაფის, სამა ვალცის წარმოდგენებში, უფრო იშვათად კი – პოლიტიკურ შინაარსსაც (დღეს უკვე პოპულარული ბელგიელი ქორეოგრაფის, სიდი ლარბი შერკაუს „სატყეუ“ და „ბაბილონი“, უილიამ ფორსაიტის პერფორმანსები ფრანკ-ფურტის საბალეტო დასთან ერთად, იოპან კრესნიკის ბრუტალური „სამოთხის ბალი“ და კიდევ უფრო ადრე „ფრიდა კალო, სიცოცხლე და სიკვდილი“). შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ცეკვის თეატრის პებლიკას ძრითადად თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესებულები, ინტელექტუალები და მემარცხენე არტისტი-მემბოსები შეადგენენ.

ტერმინმა „თანამედროვე ცეკვა“ გასული საუკუნის რევოლუციურ – 1970-

80-იანი წლებიდან მოყოლებული, კონკრეტულ შინაარსთან ერთად, ოდნავ გაზიადებული მნიშვნელობაც შეიძინა. ახალი თაობის ევრო-ამერიკელ ქორეოგრაფებს (რომელთა მხოლოდ ჩამონათვალი ორ-სამ თაბახს დაიტევს) ამბიცია გაუწინდათ, რომ თავიანთი შინაზარდი, ლაბორატორიული ოპუსები მაყურებელთა გაცილებით ფართო წრისთვის გაეცნოთ. თუმცა ამისთვის მათ კანონიზებული სივრცე, ანუ ფესტივალები და თანამოაზრეთა შხარდაჭერა სჭირდებოდათ.

უკვე დაგროვილი გამოცდილება და ექსპერიმენტები ერთდროულად ახალისებდა დამწყებებსაც და გამოცდილებსაც, რომ მათი თავგანწირვა „ცუდად“ მაინც არ ჩაივლიდა... პრინციპში, ასეც მოხდა. ამას დაუუმატოთ თანამედროვე მხატვრობის, სცენოგრაფიის და ტექნიკოლოგიების გავლენა ცეკვის თეატრზე, რამაც ძირულად შეცვალა პუბლიკის ცეკვისადმი და მოკიდებულება.

...სპექტაკლში სახელწოდებით Le Savali ზელანდიელი ქორეოგრაფი ლემი ბონიფასიო ზღვისპირა ქალაქს სიკედილისა და სიცოცხლის გარდამავალ ზონად, საზღვრად განიხილავს. კუნძულოვანი ქვეყნის



LE SAVALI



CONTINU

შროტანული საცეკვაო კომპანია და
ქორეოგრაფი ჰოფერშებტერი კი თანამე-
დროვე ცეკვის თეატრის ჭირვეულ ენაზე
ცეკვალაფერს გამოხატავს – როგოს ენა-
ზე აცეკვებული სხეულების პროტესტით
დაწყებული, სოციალურ-კოლექტიური
ამბობით დამთავრებული. სპექტაკლის
სახელწოდება „პოლიტიკური დედა“ უკვე
მრავლისმეტყველია; ის თითქოს სხეუ-
ლის მოცეკვულობას სრულობად სხვა კო-
ორდინატთა სისტემაში განიხილავს...
ინტერნეტის ეპოქაშ და მულტიმედიაშ
უკვე დეფორმირებული კლასიკური ხა-
ტები (წარგვარი უიზელები, სილვიიდები
და პრინცები), საგანგბო ფეხსარჯვილობა
და კლასიკური პლასტიკა მონერლა. ამ-

ბათ, მიზანდასახული ხულიგონბის დრო
და სოციალური რევოლუციების ქორეო-
გრაფიული გამოძახილიც მაღლე წარსულს
ჩაბარდება... ჩვენთან კი, ეს დრო არც და-
წყიპოთა.

„ლეგენდარული პინა ბაუშის შემდეგ კველაფერი სადღაც გაქრა, ახალი სახე-ლები მისმა აჩრდილმა დაფარა“, – წერდა ერთ-ერთი ბერლინული გაზეთი. პინას გარდაცვალების შემდეგ კი დაცარილებული ტახტის „კანონიერ მემკვიდრე“ ეკროპაში ცნობილი ქორეოგრაფი, საშა ვალცი ალარქეს. მისი სპექტაკლი Continuum გვაპრუებს ექსპრესიონისტული ცეკვის ტრადიციებთან, კერძოდ – იმავე პინა ბაუშის ადრეულ ოპუსებთან. განსაკუთრებით 1970-იან წლებში დადგმულ „კუთხესულ გაზაფხულს“ წააგავს, რომლის სკულპტურული გამომსახველობა, ჯგუფური პორტრეტები, მოძრაობის ელემენტები და დრამატული რიტმი, ალბათ, შთააგონებდა საშა ვალცის ახალ იდეალსაც.

Continu პროფესიონალურად შესანიშნავად „ნაკეთი“ და თითქმის გრანძიოზული სანახაობაა, რომელშიც 24 მოცეკვავე ცდილობს, დავიწყებული ქორეოდრამის უარი გაახსენის მაყურებელს. ქორეოგრაფიულ მონახაზში იკითხება ქორეოგრაფის მთავარი ამინტანა: სხეულებს რაღაც კოლექტურად მღელვარე „ფილტვები“ და სულიერება ჩაუდგას. ამ სურვილით გაძლიერებული თუ გახალისებული ადამიანები ჯაუზებად გროვდებან, ერთმანეთს

აწყდებიან, ეჯახებიან, უპირის პირდებიან.
დაახლოებით ისე, როგორც მართა გრეჭე-
მის კლასიკურ წარმოდგენებში...

რომ არა საშა ვალცის ირონია მასისა
და ინდივიდის ყბადაღებული დაპირისპი-
რების თემის მიმართ, ეს ქორეოგრაფიუ-
ლი ოპერა პათეტიკური და ოდნავ ძველ-
მოდური იქნებოდა. ცეკვის ისტორიასთან
დასაობითა თუ დისტანციის შენარჩუნე-
ბით, ქორეოგრაფი ახერხებს დრამატული
სიმძიმის მიღწევას, რაც გარკვეულწილად,
იანის ქართველობისა და ედგარ ვარჯეზს მუ-
სიკის დამსახურება; ხოლო გარკვეული
ირონიული დამოკიდებულებით სხეულე-
ბის – მოცეკვავეების მიმართ ინარჩუნებს
სიმსუბუქესაც. და ეს კონტრასტი საო-
კრად ზუსტი და გამოზომილა.

ციტატები პინა ბაუმეიდნ, ან მართა
გრეხვემის რიტუალური წარმოდგენებიდან
არც უბრალო კოპირებაა და არც აშეკარა
იორნია წარსულისადმი. ეს ტიპური პოსტ-
მოდერნული მიღეომაა, როცა ისტორიული
წარმოდგენები, ხატები, ან პოზები უნდა
დაშლილი და დაანიშევრო, რათა მერე ახა-
ლი ააწყო. და, რაც მთავარია, ფესტივალ-
ზე კიდევ ერთხელ მიეხვდი, რომ სისუ-
ლელეა, როცა ნეიტრალური ხელოვნების,
ან ხელოვანის ნეიტრალურობის შესახებ
საუბრობები. ეს ნონსენსია, რადგან სამყა-
რო მუდამ გეხება და გაიძულებს, არჩევანი
გააკეთო. და რაც უფრო გულწრფელად,
ხმამაღლა და თამამად იტყვი, მით უფრო
ზესტია მაყურებლოს გამოძხილო.



სუფთა სახლის „ჟუზყიანი“ ღიასახლისებრი

ავტორი დავით ბუხრიძეიძე

ვისაც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის შიდა სივრცე სათანადოდ არა აქვს შესწავლილი, ნამდვილად დაიბნევა, თუ სპექტაკლ „სუფთა სახლის“ ნახვას გადაწყვეტს. გასულ ნელს ჩატარებული „არდი-ფესტის“ გამარჯვებულმა, ჯერ კიდევ ნორჩმა რეჟისორმა, ნინი ჩაკვეტაძემ ამერიკელი დრამატურგის, სარა რულის პიესის დასადგმელად თეატრის მეორე სართულზე მდებარე სარეპეტიციო სივრცე აირჩია. პუბლიკის-თვის უცნობი დარბაზის ფანჯრები თეატრის შიდა ეზოს გადაპყურებს, საიდანაც დროდადრო უცნაური ხმები, ძალლების ყეფა, თუ მანქანების ხმაური ისმის, მაგრამ ეს კველაფერი ზუსტად ერგება როგორც პიესის, ისე სარეპეტიციო ოთახის ინტიმურ ატ-მოსფეროს.

ვერ ვიტყოდი, რომ სარა რული უცნობი ავტორია. თანამედროვე ამერიკულ დრამატურგიაში მას როგორც ათამდე პიესის ავტორს იცნობენ. ხშირად დგამენ ევროპაშიც. განსაკუთრებით, ბრიტანეთში, რაც ავტორის გამორჩეული იუმორის გრძნობით და გენდერული „ჭიდილის“ ირონიული გააზრებით უნდა აიხსნას. მისი ერთ-ერთი ცნობილი პიესა, „ევრიდიკე“ ბერძნული მითის ინტერპრეტაციაა: შეევარებული ევრიდიკე პადესის სამეფოში, გარდაცვლილი შეევარებულის ძებნაში მამას აღმოჩენს, რომელიც იმდენად დიდ გავლენას მოახდენს ქა-

ლიშვილზე, რომ ორფეოსთან დაბრუნებას გადააფიქრებინებს...

„სუფთა სახლში“ თუმანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობების გარდა, სამეფო უბნის თეატრის მსახიობები – სალომე მაისაშვილი და ზაზა ვაშაყმაძე მონანილებენ. ნინი ჩაკვეტაძის რეჟისორული ხელწერა კარგად იტევს მინიმალიზმს, სიმსუბუქესა და მხატვრული გაფორმების სისადავეს. მხატვარი გიორგი უსტიაშვილი დიდ, თეთრ ყეთს იყენებს, რომელიც ჩინური ზარდახშის მსგავსად, რამდენიმე პატარა კუბად იშლება. მოულოდნელ სცენოგრაფიულ სიახლეს სარეპეტიციო ოთახის ფანჯრები ქმნის, რომელთა მილმა ლამის გაჩირალდნებული ქალაქი ირეკლება. ასევე აკვარიუმი, ნითელი კასტანიეტები და პატარა ნათურები, რომლებსაც პერსონაჟები ლამის ყოველ წუთს რთავენ.

გარემო, სადაც პერსონაჟები სახლობენ, ნაცნობი და ძალზე ინტიმურია: სისუფთავეზე „შექანებული“, გაუთხოვარი ვირჯინია (ნინო ბურდული), მუდამ სამსახურით დაკავებული მისი და ლეინი (ეკა ჩხეიძე), ლეინის მეუღლე ჩარლზი (ზაზა ვაშაყმაძე), ჩარლზის შეყვარებული არგენტინელი ქალბატონი ანა (დარეჯან ხაჩიძე) და ბრაზილიელი მოსამსახურე მატილდე (სალომე მაისაშვილის საკმაოდ დამაჯერებული ნამუშევარი), რომელიც პორტუგალიური ენისა და ანეკდოტების შესწავლაში ვარჯიშობს.

ამ ექსცენტრულ პერსონაჟებს შორის თითქოს არავინაა მთავარი და ამავე დროს, ყველა საინტერესოა. თუმცა სიყვარულს ტრადიციულად მანც შემოაქვს ვნებათაღელვა, ინტრიგა და ქარიშხალი... სხვათა შორის, პიერსა თავად რეჟისორმა თარგმა და რამდენიმე სცენა შეამოკლა კიდეც, თუმცა დიალოგები და იუმორი ამით არ დაზიანდულია. პირიქით, დროში კომპაქტურად ჩატეულმა და გათამაშებულმა სცენებმა, პუბლიკას აღქმის სიფხნიზე შეუწარჩუნა.

ეკა ჩხეიძის თავშეეავებულ, ეკლიან დრამატიზმსა და ნინო ბურდულის ნატიფ, ირონიულ ნიუანსებზე აგებულ თამაშში ცხადად იკითხება თუმანიშვილის სამსახიობ სკოლის ტრადიცია და იმასაც ხვდებით, რომ ულმობელი დრო სწრაფად ანადგურებს სკოლის „კედლებს“. მოულოდნელი თვითჩალრმავებით გამოირჩევა დარეჯან ხაჩიძე ანას როლში, რომელიც კარგა ხანია, მაყურბელს არ უნახავს სცენაზე. „სამეფო უპნიდან“ დროებით „გადმოსახლებულებს“ – სალომე მაისაშვილსა და ზაზა ვაშაყმაძეს კი განსხვავებული და მკაფიო ირონია შემოაქვთ სპექტაკლში. მოკლედ, თუ გსურთ, „სუფთა სახლის“ დიასახლის „ჭუჭყიანი“ ენებები, ეჭვიანობის სცენები, სარეცხის თოკზე გაფენილი ქათქათა სარეცხივით სტერილური ამერიკული იუმორი და ქართული იმპროვიზაცია ნახოთ, თუმანიშვილის თეატრის სარეპეტიციოს უნდა მიაკითხოთ.

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი უკვე იყიდება

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:

- “წიგნის სახლი” - პეკინის #31
- “ლიტერატურული” - ბამბის რიგი #7
- “ლიტერატურული” - აბაშიძის #22
- “ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მაღაზიებში:

- “სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
- “ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
- “წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
- “პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
- “დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მაღაზიებში:

- “la Maison de vin” - შარდენის #18
- “ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
- “ღვინის სახლი”
 - პეკინის #45
 - ლესელიძის #55
- “ხარება” - რუსთაველის #50
- “ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი,
ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
- “ღვინის სამყარო” - ლალიძის #2
- შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

სასტუმროებში:

- “რჩეული”
 - ბათუმი, ქორდანიას #31
 - სიღნაღი, აღმაშენებლის #6
 - ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
 - თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154
- “შერატონი”
 - თბილისი, თელავის #20
 - ბათუმი, რუსთაველის #28
- “სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მაღაზიაში:

- “შემოქმედებითი სტუდია ემელი” -
თუმანიანის #15

გალერეები:

- წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
- ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
- ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

“საქართველოს ფოსტის” პინერების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი



2012

ქართული ღვინის გზამკვლევი

Georgian Wine Guide



მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia



360პისა და სიჩუმის ფასი

ავტორი დავით ბახერიძე

თემურ ჩხეიძის სპექტაკლები, რატომდაც, ძველ და ხელით ნაკეთ ნივთებს მახსენებს. ზოგჯერ მათი „საბაზრო“ ღორებულება რეალურობას შედარებით გაცილებით ნაკლებია, მაგრამ სარისხიც და ნაკეთობის მდგრადობაც სანომუშოდაა შენარჩუნებული.

მარჯანიშვილის თეატრში, სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის მცირე გასტროლებზე (ორგანიზატორი თბილისის მერია) წარმოდგენილი „მარიამ სტიუარტის“ შემდეგ დაგრძენდი, რომ „ჰენდ მეიდის“ თეორია კვლავაც ძალაშია: თემურ ჩხეიძის საკმაოდ გრძელი, სამსათაოანი სპექტაკლი, ინგლისისა და შოტლანდიის ტახტისათვის მებრძოლ დედოფალთა ვნებებით, პოლოტყური გავლენისათვის დაუნდობელი ბრძოლით, თუ ფსიქოლოგიური პაუზებით გამორჩეული დამუხტული სიჩუმით, ნამდვილად გამყიფებთ მონატრიბული აკადემიური თეატრის ტყვეობაში. თუმცა, დღეს ამ ნატიფ „ტყვეობას“ რატომდაც სხვა სახელს – მოწყენილობასა და ძველმოძურობას უწოდებენ.

შილერის რომანტიკულ-პოლიტიკური დრამა ქართველმა რეჟისორმა ჯერ კიდევ შორეულ, 2005 წლის შემოდგომაზე დადგა; მაშინ, როცა მიხაილ ხოდორკოვსკის მეორე სასამართლო პროცესი დასრულებული არ იყო. ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა, მარინა დმიტრიევსკიამ იმდენად შორს შეტოპა, რომ პრემიერის შემდეგ დედოფალ

ელისაბედისა და მარიამ სტიუარტის ტახტისათვის ბრძოლა პუტინისა და ხოდორკოვსკის უთანასწორო „დუელს“ შეადარა. ამ ერთი შეხედვით უცნაურ პოლიტიკაფორმას დაკვირვებული მაყურებელი მაინც ამონტობს ძლიერი პიროვნებების შევახებაში, დამუხტულ ვწებებსა თუ სახლის კარის შევარულ და ღია პოლიტიკურ ინტიგებში...

არანაკლებ მნიშვნელოვანია კათოლიკურ-ანგლიკანური დაპირისპირების თემაც,

რომელიც რეჟისორს ოსტატურად გადააქვს

ძალაუფლებისთვის ბრძოლის კონტექსტში.

ცინიზმი ისაა, რომ ეს ბრძოლა ფარული

სექსუალური კომპლექსებისა და ქალური

შურისძიების ფონზე მიმდინარეობს. შესაძლოა იმიტომაც, რომ დედოფლებს ზოგჯერ უფრო ნაკლები არჩევანი აქვთ; ან საერთოდ არა აქვთ არჩევანი!

ახალგაზრდა, გამშედავი, სექსუალური

სტიუარტისა (მსახიობი ირინა პატრიკოვა)

და გონიერი, ცინიკოსი, უგრძნობი ელისაბედის (მარინა იგნატოვა) დაპირისპირება

ჩვენს თეატრალებს ტრადიციებსა და

ვარსკვლავების ელვარებას შეახსენებს.

მაგალითად, ვერიკო-სესილიას დიდ არტისტულ დუელს. კინომანებს – ბეტ დევისის

ცინიკოს, ნითურ ელისაბედს პილივუდის

კლასიკურ ვერსიაში, ან საქიან-პატრიო-

ტულ ქეთ ბლანშეტს ფილმში „ელისაბე-

დი“. რესი კრიტიკოსების მეხსიერებაში კი

ჩხეიძის სპექტაკლმა სახელოვანი ანგელინა სტეპანოვას არქეტიპული სახე გააცოცხლა. სხვათა შორის, ახლახან რეჟისორმა გორია კაპანაძემ რეჟისტაველის თეატრის მცირე სცენაზე რამდენიმე წლის წინ დადგმული სკუთარი სპექტაკლი, „მარიამ სტიუარტი“ აღადგინა, რომელშიც მაყურებელს მარინა კარინის სტიუარტისა და ნაწურა ხუსკივაძის ელისაბედის შეჯასება შეუძლია.

თემურ ჩხეიძე შილერის პოეტურ (სიმართლე ვთქვათ, ზოგჯერ ყურისმოჭრელად ზემაღლებულ) ტექსტში დაკვირვებით ამოიკითხავს დლევანდელ პოლიტიკენოლოგიბსაც, რასაც ნებისმიერ დროს ნებისმიერი ხელისუფლება იყენებს მონიალმდევგის გასანადგურებლად. შილერის პერსონაჟების უკიდურესად დამუხტული, „სუბიექტური ველი“, რელიგიური და პირადი ძალაუფლების ოქმა, განაცხულია სანგრძლევი მონოლოგებით და ფაქტზად ნაქსოვი პაუზებით, რომლის ყურება-გაძლებას თეატრალური კულტურა და გარკვეული ცოდნა სტირდება.

მსახიობთა ამაღლებული და აკადემიური მეტყველება, რეჟისორის თავშეკავებული, დისტანციური, მაგრამ შინაგანი ვნებით დამუხტული მზერა და გოგი ალექსა-მეს-სიშვილის უბრალო, სიზუსტით შესრულებული მხატვრობა იმ თეატრს გახსენებთ, სადაც „რეჟისორი კარგა სანია მსახიობში მოკვდა“... და მკვდრეთით აღდგა, რათა ვწებისა და სიჩუმის ფასი გვაგრძნობინოს.

18 და 19 მაისი

მარჯანიშვილის თეატრი გეგსაირის ფასტივალზე
„მოწყვეტილი გლობუსში”. დროში



უკუკავ გეგსაირი

როგორც გენერატ

რეჟისორი ლევან წელაძე

კრიტიკული მიმღებელის
სახელმწიფო სახელმწიფო
დრამატული თეატრი

www.marjanishvili.com



[www.facebook.com / MARJANISHVILI.THEATRE](https://www.facebook.com/MARJANISHVILI.THEATRE)





მესამე „გასეირნების“ თავისებურებანი

ავტორი დავით ბუხრიაძე

ყოველგვარი ლირიზმის გარეშე რომ ვთქვათ, აյა მორჩილაძის ლიტერატურული მითი „ყარაბაღი“ ლამის ეროვნულ კანემატოგრაფიულ მითადაც იქცა. 2005 წლიდან მოყოლებული, მას სამი ქართველი რეჟისორი მეტ-ნაკლები წარმატებით ერკინება. პირველი „გასეირნება“ ლევან თუთებერიძემ გადაიღო. ფილმი 90-იანი წლების ლირიკული კოშმარების შეხსენებას ჰგავდა და კინოგაქირავების ყველა რეკორდი მოხსნა. შემდეგ იყო „კონფლიქტის ზონა“ ვანო ბურდულის შედარებით უფრო ფხიზელი და რომანტიკულ პათოსს მოკლებული რეჟისურით, და აი, ტრილოგის მესამე და „ბოლო გასეირნება“, რომელიც საკმაოდ წარმატებულმა რეჟისორმა, ზაზა ურუშაძემ გადაიღო.

არტ-ჰაუზის კამერტონზე არცთუ ურიგოდ მორგებული „სამი სახლისა“ და ლელა წურნუმიათი შემყარებულ-გამაგრებული მელოდრამის, „დარჩი ჩემთან“ შემდეგ, ზაზა ურუშაძე საკულტო ნანარმოების „ფაქიზი ნგრევითაა“ დაკავებული. ამაში მას მამებისა და შვილების თაობაში ერთობლივად პოპულარული პერსონა, მსახიობი მიშა მესამეც ეხმარება. „გასეირნება“ ტრილოგის შემაჯამებელი ფილმია და ეს მას გარკვეულ უპირატესობას და ამასთანავე, დამატებით სირთულეს უქმის. უპირატესობას ზუსტად და მკვეთრად გამოხატული ფინალის შესაძლებლობის, ხოლო სირთულეს –

პასუხისმგებლობის სხვა რეჟისორებზე გადაბრალების შეუძლებლობის გამო.

„ბოლო გასეირნებაში“ ჯერ კიდევ იგრძნობა 90-იანი წლების ნანგრევების და სისხლიანი გარჩევის კვალი. პირველივე სცენა ლევან დობორჯგინიძის, გიორგი ყიფშიძის და კაბუს მონაწილეობით, უფრო სერჯო ლეონეს ემანაციაა, ვიდრე წინა ყარაბალის გამოძახილი. გოგლიკო (მიშა მესხი), ცხადია, არასაჭირო დროსა და ადგილზე ჩნდება, შესაბამისად, ხიფათი და პატიმრობა გარდაუცალი. 15-წლიანი პატიმრობის შემდეგ, ის სულ სხვა გარემოში ხვდება. წესიერი პატრული და ოდესადაც დამნაშავე მეგობარი (კახა აბუაშვილი) რატომლაც პარმონიულად თანაარსებობენ გაკრიალებული ქუჩების ფონზე. გოგლიკოს შინ მტვრიანი სახლი და აჩრდილებით სახე მოგონებები ელოდება. გამოსავალი ახალი რეალობის მიღებაა, რომელიც, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია.


მეგობრის შვილის, ლუკასადმი (თაზო ცხაკას დებიუტი) ზრუნვა, გოგლიკოსთვის ერთგვარი ცხოვრებისული კომპენსაციაა. ფილმში კეთილი ფერის ფუნქციას თინა დალაქიშვილის თიკა ასრულებს, რომელიც დროდადრო მიღება იოვოვიჩის ქართულ რეინკარნაციას გაგონებთ. წვეულების ეპიზოდში კი, ოდრი ჰეპბურნის კოსტიუმითა და მაკაუჭით სიბატავს ლუკას გრამჭვირვალე და გასაგებია მხატვარ სიმონ მაჩაბელის ციტატები ფილმიდან „საუზმე

ტიფანისთან“). ვიდრე გოგლიკო სამყაროს უსამართლობის გაგებას მისთვის გასაგები იუმორითა და საყველპურო ინგლისურის შესწავლით ცდილობს, ცხოვრება ახალ და დამცინაც განსაცდელს უმზადებს – მისი ნათლულის, ლუკას შევეარებული თიკა მოსისხლე მტრის შვილი აღმოჩნდება.

თითქმის რომეოსა და ჯულიეტას აბბავს, სისხლიანი, მაგრამ უცნაურად ოპტიმისტური ფინალი აქვს: უკვე დაწყვილებული, ბედნიერი „რომეო“ და „ჯულიეტა“ კაბუს და მიშა მესხის პერსონაჟების საფლავს ყვავილებით ამკობენ. მოკლედ, შერიგება გარდაუცალია და ნარსულის საბედისნერო აჩრდილი ერთხელ და სამუდამოდ დავიწყებულ!

სკონდა, რეჟისორს სცენარი უფრო გასაგებად ირონიული, ან ოდნავ აბსურდული გაეხადა. ეს შესაძლებლობას მისცემდა დიალოგების მოუქნელობა, ხელოვნურობა და სიმძიმე დაეძლია, ხოლო თავად ფილმი სტილსა და სიმსუბუქეს შეიძნდა. გარდა ამისა, უკეთესი იქნებოდა, თუ მიშა მესხის გოგლიკოს გარდა, სხვა პერსონაჟებიც დასამახსოვრებელი გახდებოდნენ, ხოლო მაყურებელი სათქმელს უფრო გამოკვეთილად გაიგონებდა... პრობლემის ლოკალურობა და ესთეტიკური განზოგადების უუნარობა ცალკე საუბრის თემაა, რაც, იმედია, „სამი სახლისა“ და „ბოლო გასეირნების“ ავტორს მომავალში აღარ დაემუქრება.

სახი გოგონები სტილი



მოდის ისტორია
კოკო შაველი

ფოტოაროვაზე
გვირჩვინები

ისტორია
რალიკალური შიკი



უბრალოდ, ქალებზე

თამარ ალავიძე

„შანელი თავბრუდამხვევი პარადოქ-სია, – წერდა 1957 წელს Vogue-ის ამე-რიკული გამოცემა, – ესაა კუტურის, ვისთვისაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს მოდის ტენდენციებს და ვინც თავის უნიკალურ, ელეგანტურ ხაზს სრული თავდაჯერებით ავითარებს, რადგან სჯერა, რომ მოდა თვითონ მივა მასთან. და მართლაც, ეს ყოველთვის ასე ხდება“.

როცა 1916 წელს შანელმა ჟორსეს ქსოვილისგან კოლექცია შექმნა, მოდის ინდუსტრიას საკუთარი მრისანების დამალვა არ უცდია – რა ესაქმებოდა ჟორსეს მაღალ მოდაში, როდესაც მას ერთმნიშვნელობად შიდა საცვლის შესაკერად იყენებდნენ. არანაულები მითქმა-მოთქმა გამოიწვია თავის დროზე, მადმუაზელ შანელის მოკლე, ბიჭურმა ვარცხნილობამაც და ნარუჯის სიყვარულმა, რომელსაც, იმ დროს, მხოლოდ მუშების სხეულზე თუ მოკერავდით თვალს. მაღალი მოდის „მაღალი საზოგადოება“ კოკოს რევოლუციურ იდეებს „უხამსობების“ ნახალისებაში სდებდა ბრალს, თუმცა, ყოველ ეტაპზე, ყოველი სიახლის ნარმოდენის შემდეგ, ახალგაზრდა დიზაინერის წინაუციების პოპულარობა გარდაუვალი იყო.

როცა „New Yorker“-ის არქივში ხანდაზმულ კოკო შანელთან საუბრის ამ-

სახველი 1957 წლით დათარიღებული წერილი აღმოვაჩინე, სურვილი გამიჩნდა, ეს სახასიათო ტექსტი „სტილის“ მეოთხელისთვის გამეზიარებინა, როგორც ნოსტალგიური ამონარიდი მოდის ისტორიდან.

კოკო შანელის მსგავსად, ქალებისთვის მოსახერხებელი და კომიტორტული სამოსის შექმნით დაიმკვიდრა თავი დონა კარანმაც. წელვადი „ბოდის“ და სარონგის ტიპის ქვედაბოლოს შექმნით, კარანმა, ქალის თეძობებისა და მომრგვალებული ფორმების არსებობა აღიარა, რითაც ასეულ ათასობით „არასრულყოფილი სხეულის მქონე“ ამერიკელს გული მოიგო: ეს ისეთი სამოსა იყო, რომლის მოსახდენადაც ქალებს 90-60-90 სილუეტი არ ესაჭირობოდა: „მე ფორმებიანი სხეული მაქს და ვიცი, რომ მოდელების კატეგორიას არ მივეკუთვნები, – 1987 წელს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს კარანი, – ამიტომაც, არას-დროს შეკერავ ისეთ სამოსას, რომელსაც 12 ან 14 ზომის მქონე ქალები ვერ მოირგებენ“.

ოდესმე თუ გიფიქრიათ იმაზე, რა დატვირთვა აქვს თევენთვის წინსაფარს?! თუ ადამიანთა უმრავლესობისთვის წინსაფარი კულინარიული საქმიანობის ან სკოლის უნიფორმის ატრიბუტია, მიუჩა-

პრადასთვის ეს ნივთი ქალების ამტანობის და მოთმინების უნართან ასოცირდება. „წინსაფარი ქალების სასოწარკვეთის, სიღარიბის, უნებების სიმბოლოა, – ამბობს პრადა, – მიყვარს დრამა და რომანტიზმი და ამიტომაც, მომწონს ქველებური სამკაული – უცხო ქალების ცხოვრებით მიყვარს ცხოვრება!“ სწორედ ამ განსხვავებული ხედვის გამო გახდა მიუჩა პრადა, ასევე იტალიელ და მეამბოხე ელზა სკიაპარელისთან ერთად, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის გამოფენის გმირი. ამ ორი ქალის ისტორიასაც „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერში შემოგთავაზებთ.

და ბოლოს, ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ნარდენა, რომელც ახალგაზრდა, ქართველ არტისტს, მარიამ სიჭინავას ეხება. მარიამის ნამუშევრების არაერთ ცნობილ, უცხოურ გამოცემაში გამოქვეყნების შემდეგ, მიხარია, რომ პირველად საქართველოში, „სტილის“ ფურცლებიდან შეძლებთ მისი ფოტოპროექტის ხილვას. თვითნასწავლი ფოტოგრაფი ფოტოებს მეტწილად ბუნებაში, ღია ცის ქვეშ იღებს და მოდელებზე მაკიაჟსაც მინიმალურად იყენებს, შედეგად, მისი ფოტოები სინაზის, ქალურობისა და ბუნებრიობის იდეალური სინთეზია.

UN 1 DEUX 2 TROIS 3

PARIS



ახალი
კოლექცია



ტრენი: დიორის სილუატი

65 წლის ნინ, 1947 წლის 12 თებერვალს, ქრისტიან დიორის მიერ წამოწყებული ახალი ტალღა სახელწოდებით „New Look“, დღემდე რჩება არაერთი დიზაინერის ინსპირაციის წყაროდ.



2



4



5



3




6



7



8



9

1. Bar Suit, Christian Dior

პარიზი, 1947 წლის გაზაფხული

2. ქრისტიან დიორი ჩვენების დაწყებამდე

3. Christian Dior, გაზაფხული 2012

4. Rochas, გაზაფხული 2012

5. Diane von Furstenberg, გაზაფხული 2012

6. Jonathan Saunders, გაზაფხული 2012

7. Jason Wu, გაზაფხული 2012

8. Balenciaga By Nicholas Ghesquiere, გაზაფხული

2012

9. მერი კეინ რასელი Dior-ის კაბაში, 1950 წელი.

ფოტო: ლუის დალ-ვოლფი



DONNA KARAN

გაზაფხული-ზაფხული 2012

დონა კარანის ინსპირაცია

ავტორი თამარ ალავიძე




კარანის კოლექციებში ნარატივი, როგორც წესი, დიზაინერის კონკრეტული გატაცებების ირგვლივ ვთარ-დება. ამჯერად, 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონისთვის შექმნილი კოლექცია იმ ღრმა შთაბეჭდილებების და გავლენის ილუსტრაცია იყო, რო-

მელიც დიზაინერზე ჰაიტიში გატარებულ ხანგრძლივ პერიოდს მოუხდენია. წარმომობით ლიბანელმა კარანმა, პირველი დიდი წარმატება 1980-იან წლებში ქალის გარდერობის „შვიდი მარტივი კომპონენტის“ (Seven Easy Pieces) შექმნით მოიპოვა. იმ დროს

საქმიანი ამერიკელი ქალებისთვის ნამდვილი მისწრება აღმოჩნდა კარანის შეთავაზება - უკვე „მოყირტებული“ ბიზნეს-კოსტიუმის ნაცვლად, ადვილად სატარებელი და სადა სამოსი. მას შემდეგ კარანის ყოველ კოლექციაში მუდმივად შეხვდებით ახლებულ, თანამედროვე ინტერპრეტაციებს ამ საკრალური შვიდი ნივთის თემაზე - ვარაციები შიფონის ბლუზზე, გრძელი ქურთუკზე, უორსეს კაბებზე, ლეგინსებსა და კიდევ რამდენიმე სხვა ატრიბუტზე.

გარდა იმისა, რომ კარანის მიერ და-არსებული საქველმოქმედო ფონდი, Urban Zen-ი ბოლო დროს ჰაიტელებს ჰუმანიტარული საქმიანობით ეხმარება, დიზაინერს ამ ჰატარა ქვეყანასთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობებიც აკავშირებს. ერთ-ერთი ასეთი მეგობრული კავშირის შედეგია 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია, რომელიც კარანმა ჰაიტელი გრაფიკოსი არტისტის და მხატვრის სახელის მიხედვით გამოიწვია. რომ მის ნახატებს იმხელა ენერგეტიკული მუსტი ახლავს თან, ერთი ნახვის შემდეგაც კი, მათი დაგრძელება შეუძლებელია. ჰაიტის მოგრებით ღრმად გაუდენ-თილი დოდარის ნამუშევრები მელანის, სალებავებისა და მეტალის სინთეზური გამოყენებით იქმნება.



ფოლიკ დოდარი 1954 წელს პორტოპერენსში დაბადებული ცნობილი თანამედროვე არტისტია სახელი საერთაშორისო მასტებით გაითქვა იმით, რომ თავი დააღმინა „პრიმიტიული“ და „გულუბრყვილო“ არტის კლასიფიკაციას, რომელსაც ჰაიტელ ხელოვნებას ხშირად ანიჭებენ ხოლმე ფილიპ დოდარზე ამბობენ, რომ მის ნახატებს იმხელა ენერგეტიკული მუსტი ახლავს თან, ერთი ნახვის შემდეგაც კი, მათი დაგრძელება შეუძლებელია. ჰაიტის მოგრებით ღრმად გაუდენ-თილი დოდარის ნამუშევრები მელანის, სალებავებისა და მეტალის სინთეზური გამოყენებით იქმნება.

ლატაციდი

რს, როც ყველა ქალს სჭირდება

ჰიგიენა მედიცინის უძველესი დარგია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებებს შეისწავლის. იგი ასევე დაავადებათა პროფილაქტიკის გზებს და ჯანმრთელობის შენარჩუნების მეთოდებს გულისხმობს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი მარა გეგეთ გვესაუბრება.



რას გულისხმობს ქალის ინტიმური ჰიგიენა?

ჰიგიენა არის გარკვეულ ღონისძიება-თა ნუსხა, რომელშიც შეიძლება მოვი-აზროვნო დღის წესრიგი, ელემენტარული ქცევის წესები, ავების რეემი და მათ შორის სისუფთავის დაცვა.

დღეს ჩვენ ინფექციების ერაში ვცხოვ-რობთ და ინფექციის ინციდენტია, გარდა სქესობრივი ცხოვრებისა, ჰიგიენურ თა-ვისებურებებთანაც ასოცირდება. პირა-დი ჰიგიენა დასაცავია არამხოლოდ სქე-სობრივად აქტიურ ადამიანებში, არამედ ბავშვებში, მოზარდებში, გვიან რეპრო-დუქტულ ასაკში.

მოზარდობის პერიოდში ჰიგიენას გან-საკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ის სისტემები, რომელიც ორ-განიზმის მიერ გამომუშავებულ დამცავ ორგანიზმებს გულისხმობს, ამ დროს ყალიბდება. ასევე ბიოლოგიურად აქ-ტიური პერიოდია მენსტრუაცია, როცა ცვლილებებს განიცდის დამცავი სისტე-მები, ორსულობა, მშობიარობა და გვიანი რეპ-როდუქციული ასაკი. ქალის პირველი შემხები ზედაპირი ინფექციასთან, მნატო-მიურად, ეს არის საშოს კარიბჭე, რომე-ლიც აღჭურვილია დამცავი სისტემებით.

რატომ არის მნიშვნელოვანი ჰიგიე-ნის დაცვა?

ქალის ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვა-ნი ეტაპი ამ სფეროს უკავშირდება.

ეს არის მისი მენსტრუაციული ფუნქცია, ორსულობა, მშობიარობა და გვიანი რეპ-როდუქციული ასაკი. ქალის პირველი შემხები ზედაპირი ინფექციასთან, მნატო-მიურად, ეს არის საშოს კარიბჭე, რომე-ლიც აღჭურვილია დამცავი სისტემებით.

შეიძლება თუ არა, არასწორმა ჰიგიენურმა პროცედურამ დააზიანოს სა-შოს მიკროფლორა?

რა თქმა უნდა. ქალი უნდა შემოიფარგ-ლებოდეს მხოლოდ დაბანით და არა გა-მორეცხვით.

რა შეიძლება გააკეთოს ქალმა ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად?

ყველაზე კარგი ხარისხის საპონიც კი, ით-ვლება, რომ არის ქალის გენიტალიების მტერი. ის ქმნის ისეთ გარემო პირობებს, რომელიც ხელს უწყობს მთვლემარე მიკ-როორგანიზმების გაღვიძებას. ამიტომ, არსებობს ინტიმური ტერიტორიების და-საბანი ძალიან მრავალფეროვანი ასორ-

ტიმნები, რომლებიც შეიცავენ სწორედ იმ ნივთიერებებს, რაც ქმნის დამცავ მექა-ნიზმებს. ერთ-ერთი ასეთი იდეალურია ფრანგული წარმოების ლაქტაციდი.

ლაქტაციდი არის ინტიმური ტერიტორი-ების დასაბანი საშუალება, რომელიც შე-იცავს რძის ექსტრაქტებს და ჩვეულებრივი საპნისგან განსხვავებით ინარჩუნებს ბუ-ნებრივ ინტიმურ ბალანსს და უზრუნველ-ყოფს არა მხოლოდ სისუფთავეს, არამედ დაცვას გაღიზიანებისგან და უსიამოვნო სუნისგან. ლაქტაციდი დამზადებულია რძის მჟავასა და რძის შრატისგან, რო-მელსაც შეიცავს ქალის ორგანიზმი, ამი-ტომ ფაქტობრივად, ბუნებრივ დასაბან საშუალებას მოვიძებართ.

როგორ უნდა მოვიხმაროთ ლაქტაციდი?

ლაქტაციდი არ არის წამალი, რომელ-საც მოხმარების წესები და დოზები აქვს. შეგვიძლია, გამოვიყენოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგვჭირდება.

მოზარდობის პერიოდში, როცა საოფლე ჭირკვლები გაძლიერებულად მუშაობს, შესაძლებელია, სხეულის სხვა ტერიტო-რიებზე მოხმარებაც. ასევე რეკომენდი-რებულია კაცებისთვის გარეთა სასქესო ორგანოების დასაბანად.



კოკო შანელი: „მიყვარს ცხოვრება!“

ავტორი ლილიან როსი

ინტერვიუ კოკო შანელთან, რომელიც უურნალ „ნიუ იორკერის“ 1957 წლის 28 სექტემბრის ნოტერში გამოქვეყნდა.

რამდენ ქარიზმატულ და გავლენიან ადამიანს შეეხედრივართ ჩვენ დროში, მაგრამ ვერც ერთმა მოახერხა გენიალური კუტურიეს და პარფიუმერის, მადმუაზელ გაბრიელ შანელის ხიბლის დაჩრდილვა, რომელიც სამი წლის წინ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ახალი კოლექციით ისევ დაუბრუნდა პოდიუმს.

ახალ კოლექციაში წარმოდგენილი კაბების და კოსტიუმების დიზაინმა კვლავინდებურად მოახერხა ქალების სტილზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ისევე, როგორც ეს მადმუაზელ

შანელის 30 წლის წინანდელმა დიზაინმა შეძლო.

ასაკის მიუხედავად (კოკო ახლა 74 წლისაა), მადმუაზელ შანელი არა-ჩეულებრივად გამოყურება, მის მუქ ყავისფერ თვალებსა და შეუდარებელ ღიმილს ძველებური მომხიბვლელობა არ დაუკარგავს, კოკოს ულევი ენერგია კი 24 წლის გოგოსაც შეიძლება შეშურდეს. მოსალმებისას ხელი ჩამოგვართვა და იქვე დასძინა: „ძალიან, ძალიან დაღლილი ვარ!“ ამ ნათქვამში იგრძნობდა, რომ კოკოს წამდგოლად ჰქონდა ამ სიტყვების თქმის საბაბი.

ვინაიდან Chanel-Look-ი დღეს ამდენ მითქმა-მოთქმას იწვევს, გადაეწყვიტეთ, თავად დიზაინერის გარეგნული ანსამბლისთვისაც შეგვევლო თვალი: ჩალის, კრემისფერი მეზლვაურის ქუდი; კვადრატული ფორმის ქურთუკს და სწორი სილუეტის ქვედაბოლოსგან შემდგარი კრემისფერი აბრეშუმის კოსტიუმი; თეთრი ფერის აბრეშუმის ბლუზა, რომელსაც მანქეტებზე ოქროსფერი საკინძეები ამშვენებს; ყავისფერ-თეთრ ფერებში გადაწყვეტილი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი და უამრავი აქსესუარი - ქუდზე და-

KÉRASTASE

PARIS



KÉRASTASE ნარმადების
ზეთის მაგის

KÉRASTASE ELIXIR ULTIME

1- ლი მელტიფენეციური მოვლა Kérastase - გან
გამდიდრებული ოლეო-კომპლექსით თხოვ
ძვირდასი ზეთისგან

- პრივატული ზეთი
- არგანის ზეთი
- მაისის ზეთი
- კარტოფილის ზეთი

Recherche Avancée L'Oréal

მოდის ისტორია

მაგრებული მარგალიტის ქინძისთავი, მარგალიტის და ბრილიანტის საყურე, მარგალიტის მძივის რამდენიმე აცმა ყელზე, ქურთუკზე კი უზარმაზარი ანტიკურული ბროში, რომელიც ლალის, ზურმუხტის და ბრილიანტის თვლებითა მომჯოლი.

„ბროში ჩემი დიზაინია, ეს კოსტიუმი კი, არაფერია, მერწმუნეთ, უმარტივესი რამ არის (*tres simple!*)! – აღნიშნა მადმუაზელ შანელმა, – ეს საკინძები სტრავინსკიმ მაჩუქა 30 წლის წინ. რასთან დაკავშირებით?! რასაკვირველია აღტაცების გამო, რომელსაც ჩემს მიმართ განიცდიდა“.

მადმუაზელ შანელს სიგარეტის მოკიდებაში მივეხმარეთ და ვკითხეთ, თუ როგორ გაძლო ამდენი წელი უმო-

ქმედოდ. მისი ყავისფერი თვალები მოულოდნელად აენთო. „გულის სილრმეში, არასდროს ვყოფილვარ უმექმედოდ, – გვიპასუხა მან, მუდამ ვადევნებდი თვალს ახალ სამოსს და ბოლოს, მშვიდად, აუდელვებლად და დიდი მონდომებით დავიწყე მუშაობა „პატარა, ლამაზი კოლექციის“ შესაქმნელად (*lune belle collection*). როდესაც ეს კოლექცია პარიზში წარვადგინე, ბევრი კრიტიკა დავიმსახურე. მონინა-ალმდეგები აცხადებდნენ, რომ ჩემი სამოსი უკვე დროის კონტექსტიდან ამოვარდნილი და ძველმოდური იყო. საპასუხოდ, მე მხოლოდ ვიღმიებოდი და გულის სილრმეში ვფიქრობდი, რომ მათ საპირისპიროს აუცილებლად დავუმტკაცებდი. ახლა, უკვე, საფრან-

გეთში ჩემი იდეების გამოყენებას ცდილობენ. რა სჯობს ამას?! თუმცა, ხანდახან, როცა გარევეულ სამოსს „after la mode Chanel“-ს უწოდებენ, ამას ძალიან ვაპროტესტებ. ჩემს შემოქმედებაში ვერასდროს იხილავთ კარტოფილის ტომრებს!

„მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ. მოდა ყოველთვის იმ დროს ეხება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მოდას ვერასდროს განიხილავ დროისგან განყვენებულად. 1925 წელს მოდას სხვა პრობლემები ჰქონდა. მაშინ ქალები სახლებიდან ოფისებში სამუშაოდ გასვლას იწყებდნენ. მე არაერთი ქალი შთავაგონე, რომ თმა მოკლედ შეეჭრათ, ვნაიდან მიმაჩნდა, რომ თანამდეროვე ქალს ეს ვარცხნილობა ძალიან უხდებოდა. იმ ქალებს, რომლებიც სამსახურებში დადიოდნენ, მოუწოდე, გათავისუფლებულიყვნენ ტანზე მჭიდროდ მომდგარი კორსეტებისგან, ვნაიდან კორსეტის ტყვეობაში მუშაობა აპსოლუტურად შეუძლებელია. სპორტის მოყარულთათვის ტვიდი, თავისუფალი თარგის სვიტერი და ბლუზა გამოვიგონე. მე წავახალისე ქალები, კარგად მოვლილები ყოფილიყვნენ და მათ სუნამოს სიყვარულიც ვასწავლე – ქალი, რომელიც კარგ სურნელს არ აფრქვევს, ქალი არ არის!“ – მადმუაზელ შანელმა ბოლო ფერფლი გადმოაფერფლა სიგარეტიდან, რომელიც მარცხნა ხელით კოზტად ეჭირა. „ქალები მუდამ მიეკუთვნებოდნენ სამყაროს ძლიერ ნაწილს, – განაგრძო მან, – მამაკაცები ქალებში მუდმივად ეძებენ ისეთ სიმყედროვესა და სითბოს, როგორიც პატარა ბალიშზე თავის დადებისას შეიძლება განიცადო. მამაკაცები მუდამ ისწრაფვიან დედებისენ, რომლებმაც ისინი გამოზარდეს. ეს, უბრალოდ, ჩემი აზრია, მე არც პროფესორი გახლავართ და არც მოძღვარი, მხოლოდ საკუთარ აზრებს გამოვხატავ მოკრძალებულად. ეს ჩემი სიმართლეა. მართალია, ახალგაზრდა ალარ ვარ, მაგრამ თავს ახალგაზრდულად ვგრძნობ. როცა თავს დაბერებულად ვიგრძნობ, იმ დღესვე საწოლში ჩავწვები და იქ დავრჩები. მიყვარს ცხოვრება! (*J'aime la vie*) ვფიქრობ, სიცოცხლის განცდა არაჩვეულებრივი რამეა!“



Safilo
OPTICS



ოპტიკურ მაღაზიათა ქსელი „Safilo“ დაცემისათვის მთლიანად მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია და იდალიური კონცერნი „Safilo Group“-ს წარმოადგენს საქართველოში. ის აერთიანებს, როგორც მზის, ასევე – ოპტიკური სათვალეების მსოფლიო ბრენდებს, როგორებიცაა: *Alexander McQueen, Balenciaga, Boss, Bottega Veneta, Dior, Giorgio Armani, Gucci, Jimmy Choo, Juicy Couture, Marc Jacobs, Max Mara, Pierre Cardin, Carrera, Tommy Hilfiger, Yves Saint Laurent* და ა.შ.

კომპანია „Safilo“-ში დაინტენ თანამშრომლობა ისეთ ფირმებთან, რომელებისთვისაც მთავარი პრიორიტეტი არის ხარისხი, მომხმარებლის უსაფრთხოება და თვალის ფაცვის მექანიზმები. გასათვალისწინებელია, რომ ფასები 40 ლარიდან იწყება და ხშირი ფასდაკლების პირობებში, „Safilo“ მომხმარებელს უპრიცესებო სამუალებას აძლევს მინიმალურ თანხაში შეიძინოს ცნობილი ბრენდების დიზაინის მიხედვით შექმნილი სათვალე.

1 ივლისამდე მაღაზიათა ქსელ „Safilo“-ში მოქმედებს ZOOM-ის აქცია 1=2, 300 ლარიამდე შეძენილ სათვალეზე მეორეს მიიღებთ უფასოდ.

„Safilo Club“-ის წევრებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ 20%-იანი ფასდაკლებით. „Safilo Club“-ის წევრები კი ისინი ხდებიან, ვინც ამ ფირმის პრიორულ მოიხმარის.

თბილისი: 322060ს 20. რიც: 032 2 38 15 86; 3235130ს 16. რიც: 032 2 45 13 35;

რასთავის 14. რიც: 032 2 99 91 66; 3245-ფრავილას 15. რიც: 032 2 18 39 31;

ა. „ახალიათი“ ს.შ. „ვერა“ II სართ.

ბათუმი, დამარია თავდადებალის (ვრცელ ქადა) 4/29 რიც: 27 55 29.

ჩათაბი, თაბაკ გაფის 4. რიც: 25 30 43

www.facebook.com/www.safilooptics.ge

ଓର୍ବିନାମନାପତ୍ର




გვირჩვინები

ავტორი მარიამ სიჭინავა

„ამ პროექტით მსურს ავსახო ქალთა შინაგანი ფერთა პალიტრა, თავიანთ სილამაზესთან ერთად, ფლორის დახმარებით.“

ფოტოგრაფიული





ფოტოები



59 GEL



MANGO.COM

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO

ფოტოაროები



VA BENE


ITALIAN SHOES

Tbilisi, Georgia, Vajha-Pshavela ave. #10. Tel: +995 32 2201 555

Email: vabenetbilisi@gmail.com

facebook: Vabene Dioggi E-store

ფოტოგრაფიული



ZARA

6 აპრილს, თბილისში მდებარე სავაჭრო ცენტრ „Tbilisi Mall“-ში საერთაშორისო ბრენდ Zara-ს პირველი, ოფიციალური მაღაზია გაიხსნა. გახსნა VIP ღონისძიებით აღინიშნა, სადაც დამსტრე საზოგადოებისთვის ფლა-მენკო-შოუ გაიმართა, საგანგებოდ ესპანეთიდან, სევილიიდან მოწვეული არტისტების შესრულებით. ვიდრე საღამოს ქართველი მოდელების მონაწილეობით გამართული Zara-ს კოლექციის ჩვენება დაასრულებდა, სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, Fashion Night-ის ფარგლებში, პირველი შენაძენი გაეკეთებინათ.







რალიკალური შიქი

სკიაპარელი, პრალა და მათი პროგრესული სამოსი

ავტორი ჯალილ ტურმანი

თარგმნა თამარ ალავიძემ

სტატია პირველად დაიბეჭდა უკრნალ „ნიუ იორკერის“ 2012 წლის 26 მარტის ნომერში

სიტორია



PRADA. ხელობროვა 2011



შოდელი სკუპარელის ფასასმლის ფორმის ჩედვა

შარშან, ივნისში, მილანში, მამაკაცების მოდის კვირეულის დაწყება-მდე რამდენიმე დღით ადრე, მიუჩა პრადას და მის მეუღლე პატრიციო ბერტელის (ეს უკანასკნელი პრადას კომპანიის ბიზნეს ფლანგს განაგებს) სასიამოვნო სიახლე შეატყობინებს: მას შემდეგ, რაც ჰონგკონგის საფონდო ბირჟაზე კომპანიის აქციები გასაყიდად გაიტანეს, პრადას მოდის სახლმა 2.1 მილიარდი დოლარის მოგება ნახა. კოლეგა დიზაინერმა, ჯორჯი არმანიმ უკმაყოფილება ვერ დამალა. ჯერ ერთი, არ მოეწონა ის, რომ საფონდო ბირჟაზე გავიდა იტალიური მოდის სახლის აქციები, მეორეც, არც მილანის კვირეულზე ნარდეგნილმა პრადას მამაკაცების კოლექციამ მოხიბლა. რაც მთავარია, თავისი შეხედულებები დაუფარავად ამცნობ პრესას: „დღეს მოდა მოდის სახლების მფლობელების ნაცვლად, ბანების და საფონდო ბირჟების ხელშია... პრადა კი „უგემოვნობას შეკად გვასაღებს. ამ დროს, მისი სამოსი, ხანდახან, უშნოც კია“, – აღნიშნა არმანიძე.

არმანის შეფასება მედიისთვის ახალი არ ყოფილა, ისიც ყველაზე იცოდა წინასწარ, რომ სავარაუდო, არც თავად მიუჩა გააპროტესტებდა კოლეგა დიზაინერის გამონათქვამს. „მე გამუდმებით ვებრძვი ჩემ კარგ გემოვნებას“, – ნათქვამი აქცს ერთხელ. თუ-მცა, პრადამ ისიც მშვენივრად უწყის, რომ როცა ბანკირებს სურთ, უზადოდ გამოიყურებოდნენ, არჩევანს არმანის კოსტიუმებზე აკეთებენ ხოლმე.

არმანის სძულს რისკი, მიუჩა კი ყო-

ველთვის ახერხებდა შეფარვით მაინც დაერლვია სრულყოფილების კრიტერიუმი, რომლის ზედმინებით დაცვაც არმანის, პირიქით, ეამაყება.

მხოლოდ მაღაზიის გამოსაცვლელ ოთახში თუ გაიაზრებ, რომ პრადას ერთი შეხედვით იდეალური, მოკლე, პლისირებული ქვედაბოლო, ქალური სილუეტის ბრეშუმის ბლუზი და მაქ-მანებით გაწყობილი სალამოს კოსტიუ-მი რეალურად გამოცდა: ამ სამოსის ირონიით ტარებას თუ ვერ შეძლებ, როგორც ამას თავად პრადა ახერხებს, მაშინ დიდია იმის შანსი, რომ გუვერ-ნატ ქალს დაემსგავსო.

სწორედ ეს დაუმარცხებელი ქა-ლური თავდაჯერებულობა გახდა იმ რეტროსპექტივის მთავარი თემა, რო-მელიც მაისში, მეტროპოლიტენის ხე-ლოვნების მუზეუმის კოსტიუმის ინს-ტიტუტში იხსნება. „ელზა სკუპარელი და მიუჩა პრადა: გამოგონილი საუბრები“ – ასე ჰქვია გამოფენას, რომლის მთავარი გმირებიც, პრადა და სკუპა-რელი, ერთმანეთს არასდროს შევე-დრიან (სკუპარელი 1890 წელს რომში დაიბადა, პრადა 1949 წელს – მილან-ში), თუმცა, მათ შორის ლამის გენეტი-კური ახლობლობა იგრძნობა. მაღალი სოციალური წრიდან გამოსული ორივე ქალი მკაცრი, კათოლიკური პრინცი-პებით აღზარდეს. ორივეს აღზრდაში წამყვანი როლი დეიდებს მიუძღვით, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს გოგოებზე. სკუპარელის დედა ტუსკა-ნის გრაფების შთამომავალი იყო, მამა კი უნივერსიტეტის პროფესორი – პრადას მამის მსგავსად. მოდის დი-

ზაინერობა თავიდან არცერთ მათგანს ჰქონია გამიზნული, კერვაც კი არას-დროს უსწავლიათ. ორივენი მეზნე-ბარე მეამბოხები და ფემინისტები იყვნენ და ახალგაზრდობის წლები იმ პერიოდში გაატარეს, როცა ხელოვ-ნებაშიც და პოლიტიკშიც გარდამტე-ხი ცვლილებები ხდებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სკუპარელი გრინვიჩი ვილიჯში დადას (დადაიზმი) მოძრაობაში იყო ჩართული, პრადა კი, 1970-იან წლებში გახლდათ მემარცხე-ნე სტუდენტი და მილანში მიმდინარე რადიკალური სოციალური ამბოხის აქტივირი მონაწილე.

ამ თავგადასავლების გამო ორივე ქალს მოდის კარიერის დაწყება დაუ-გვიანდა: სკუპარელი 37 წლის იყო, როცა პირველი კოლექცია შექმნა, მიუჩა – 39-ის. თუმცა, სწორედ „წინა ცხოვრებაში“ დაგროვილმა გამოცდი-ლებამ განსაზღვრა მათი გამორჩეული სტილი მოდის ინდუსტრიაში. ორივე მათგანი ვერ იტანდა იმას, რომ ქალს პასიური, ბედშეგუებული არსების როლი ჰქონდა სოციუმში, რომელშიც გადამწყვეტ სიტყვას მამაკაცები ამბო-ბდნენ. ამიტომ საკუთარი კოლექციე-ბით იმის ჩვენება კი არ სცადეს, თუ რა ხდის ქალს მიმზიდველს მამაკაცის თვალში, არამედ დაგვაფიქრეს კი-თხვაზე – რა აქცევს ქალს საკუთარი თავისთვის სასურველად.

სკუპარელის და პრადას გამოგონი-ლი დიალოგის მოდერატორად, გამო-ფენის კურატორებმა კიდევ ერთი პრო-ვოკაციების მოყვარული იტალიული, მწერალი უმბერტო ეკო აირჩიეს. 2007

კსოვილების ფაქტის დამზადებაში კოსმიტის
აღვიტი, მოსახლეობაში, ეფექტური.

Special time with Cettua



Clean Care Line

Trouble Care Line

Brightening Care Line

Anti-Aging Care Line

Special Care Line

Cettua - პროცესით იმავე დანართის კონფიგურაციის განვითარების წარმატების შემდეგ მას აღმოჩენაში და გამოიყენო.

Geetha-6 330966347830

audrey
audrey 奥黛丽



PRADA, გაზაფხული 2011



უოლეს სიმასრო სკიაპარელის კიბორჩალას ჩამოსახულებიან საქორცილო კაბაზი

წელს გამოქვეყნებული სქელტანიანი ნაშრომის – „სიმახინჯის შესახებ“ (On Ugliness) – ბოლო თავებში ავტორი მიუთითებს, თუ რამდენად დიდია იმის შანსი, რომ სილამაზის კულტად ქცევამ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების რისხვა გამოიწვიოს. მეოცე საუკუნემდე, სიმახინჯე ცოდვის, სწორების, სიხარბის უნივერსალურ მეტაფორად განიხილებოდა. თუმცა, როცა მოდერნისტმა ავანგარდისტებმა აკადემიური ხელოვნების ღვთისმოსაობის და მისი ბურჟუაზიული თვითმაყოფილების წინააღმდეგ გაილაშქრეს, გაჩნდა ახალი ფენომენი, რომელსაც ეზრა პაუნდმა „სიმახინჯის კულტი“ უწოდა. „სილამაზე აღარ არსებობს, – აღნიშნავს ფილიპო ტომასო მარინეტი თავის ცნობილ ნაშრომში „ფუტურიზმის საფუძლები და მანიფესტი“, – აგრესიული პერსონაჟის გარეშე შექმნილი ხელოვნების ვერც ერთი ნიმუში ვერ გხდება შედევრი“.

19 წლის სკიაპარელი რომის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტე-

ტის სტუდენტი იყო, როცა ფუტურიზმის ტალღამ იფეთქა. მოგვიანებით, სკიაპარელის შემოქმედებაში ამ მიმდინარეობის გამოხატულებად იქცა განიერმხრებიანი ქურთუები, დაუმუშავებელი ბეწვითა და ნაქარგებით განცყობილი კოსტიუმები, რასაც მისი თანამედროვები „მძიმე შივს“ (Hard Chic) უწოდებდნენ. პრადამ, ფაქტობრივად, სკიაპარელის მოსასხამი მოირგო და 1990-იან წლებში მკაფრი, ბევრისთვის გამალიზანებელი და აუტანელი კოლექციები შექმნა, რომლებშიც სხვა მასალასთან ერთად, შპალერის პრინტები, ბოთლის თავსახურები და გატეხილი შუშის ნამსხვრევები გამოიყენა. „ყავისფერი არაფის უყვარს, – ახსენა ერთხელ პრადამ, – მე კი, რა თქმა უნდა, მომწონს ეს ფერი, რადგან ყავისფერთან მუშაობა რთულია“.

პრადა ხშირად იმეორებს ხოლმე, რომ როცა რაღაც ეზიზლება, მაგალითად, კოლოკაური ნაქარგი, ცდილობს, სიძულვილი საკუთარი კოლექციით „გადამუშაოს“. მისივე სიტყვებით

რომ ვთქვათ, ეს მას აძლევს საშუალებას, რაღაც სრულიად ახალის, მოულოდნელის მიმართ გაიღვივოს ინტერესი. გასულ წელს პრადამ იაფფა-სიანი კოტონისგან შექმნა კოლექცია, შთაგონება კი იყო უნიფორმები, რომლებიც საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს აცვია. „თუ ოდესამე რამე გამიკეთებია, – აღნიშნა მიუჩიამ ბრიტანულ Vogue-თან ინტერვიუში, – ყველაფერი სიმახინჯის მოდურად ქცევას ემსახურებოდა“.

სკიაპარელის და პრადას სწრაფუა უნიკალურობისაკენ თითქმის იდენტურია (სეზონიდან სეზონამდე, პრადა პოდიუმებს და მოდის ჟურნალ-გაზე-თებს იპყრობს, მეტწილად საკუთარი თავის სიამოვნებისთვის – პრადას სტილი ხომ საკუთარი შინაგანი სამყაროს განწმენდაა და მეტი არაფერი). თუმცა, ამ ორ ქალს ერთი განმასხვავებელი თვისება მაინც აქვს. პრადას სახელს მილიონობით ადამიანი იცნობს – „ეშმაკსაც“ კი პრადა აცვია. სკიაპარელიმ კი მაღალი მოდის ბოლო

კოლექცია 1954 წელს წარადგინა და თუ დღეს ის მოდის სამყაროს საზღვრებს გარეთ ვინმეს ახსოვს, ისევ მხოლოდ იმ საკულტო ფერის გამო, რომელიც სკიაპარელის ხელწერის ნაწილია: მყირალა ვარდისფერი, რომელსაც საფრანგეთში დღემდე „le shocking“-ის სახელით მოიხსენიებენ. თუმცა, ზოგიერთს შესაძლოა, ახსოვდეს სკიაპარელის მიერ 1937 წელს შექმნილი სუნამოც, რომელიც იმავე სახელს ატარებდა – ეს სპოცინგ; მის ბოთას შემშვები ქალის ტორსის ფორმა ჰქონდა, ფლაკონის დიზაინი კი სიურრეალისტ სკულპტორს, ლეონორ ფინის ეკუთვნოდა. თავის დროზე, ამ ფლაკონის გამოჩენას დიდი აურზაური გამოუწვევია, მაგრამ დღეს უკვე ეს სკანდალიც დავიწყებასაა მიცემული.

არადა, „დიდი სკიაპის“ სახელით ცნობილი თავნება ქალი, ერთ დროს,

მაღალი მოდის მმართველი დედოფალიც კი იყო. 1934 წელს უკურნალმა TIME-მა მისი მოდის ბიზნესის არნა-სულ წარმატებაზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა და ახალგაზრდა დიზაინერი ქალის ფორმო უკურნალის ყდაზეც კი დაბეჭდა. ამ ფორმზე სკიაპარელის მკაცრი ნაკვთები შერბილებულია, მისი შეფარული გლამური კი, თითქოს იმ ეროტიკულ საიდუმლოებებზე მიანიშნებს, რომლებიც ამ ქალს უნდა ჰქონდეს (ახალგაზრდა ელზა ლამაზი ქალების წრეში გაიზარდა და მას ხშირად აგრძნობინებდნენ ხოლმე, რომ შეუხედავი იყო. მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთადერთი სასიყვარულო ისტორია ჰქონდა კაცთან, რომელმაც პირველივე შესაძლებლობისას მიატოვა ნიუ-იორკში).

1927-1940 წლებში სკიაპარელის იდეებმა ძირფესვიანად შეცვალა ქა-

ლების ჩაცმის სტილი. მის პრაქტიკულ გამოგონება/მიგნებებს ეკუთვნის შემოსახვევი კბა, კომპინეზონი, კაბა-შარვალი და ფუტურისტული კოსტიუმები. ქსოვილებზე ექსპერიმენტების ხარჯზე, ელზამ შეძლო, სამოსი ქალადის, პლასტმასის, ბენვეულის და დაჭმული აბრეშუმისგან შეექმნა. სკიაპარელი იყო პირველი დიზაინერი, რომელმაც 1935 წელს პირველმა მოაწყო საკუთარი კოლექციის ჩვენება პუბლიკის გართობის მიზნით. შოუ მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა, პოდიუმზე კი მიმოდიოდნენ გამზდარი მოდელები, რომელთაც სკიაპარელის კოსტიუმები ემოსათ.

მოდაში კომედიურ ჟანრს თავისი ნიშა ჯერ კიდევ სკიაპარელის გამოჩენამდე ჰქონდა დაკავებული, თუმცა ეს უფრო გაუაზრებლად ხდებოდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, სწორედ

პლინიტა „სერხემალი“

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა

ზურგის ტკივილი განაჩენი არ არის!



მკურნალობისა
და პროფილაპთიკის პროგრამები

მითოდები, რომლებსაც ვიყენებთ:

- აუტოგრაფიტული დაჭიმვა სპეციალურ ტახტზე
- ფიზიოთერაპია
- სამკურნალო მასაჟი
- მანუალური თერაპია
- სამკურნალო ვარჯიში
- ლიმფოდრენაჟი (პნევმომასაჟი)
- რეფლექსოთერაპია
- ლოკალური ინექციები
- მედიკამენტური თერაპია
- მეტაბოლიზმის აქტივაცია და ანტიოქსიდანტები თერაპია

ორთოპედიული
აქსესუარები

გვალიზიციონი
მიღების სისტემა

თანამედროვე სამედიცინო
აპარატურა

- ოსტეოქონდროზი
- ხერხემლის მალთაშორისი დისკის თიაქარი
- ტანდეგობის დარღვევა (სქოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი)
- რადიკულიტი
- იშიაზი
- ართროზი
- ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია


**8ურგის ტკივილს კომპლექსური
მკურნალობა სტილურა!**



მისამართი: ქ.თბილისი, პეტიონის 5,
მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული
ტელ: 214 33 97, 790 91 51 97
www.vertebra.ge



დანანა ვალებაძის საკაპაროლის ერთული



PRADA, გაზაფხული, 2011

ელზამ მოპპარა ირონიის ნაპერნკალი თავის კოლეგა ავანგარდისტებს და ის მოდის კოლექციებში გამოიყენა: საზაფხულო ბამბის კაბეჭზე მცენარეების თესლებით სავსე ჰაკეტები გადაიტანა, ბოლეროს ტიპის ქურთუკები კი, მოცეკვავე სპილოებით გააწყო. უან კოქტო სკიაპარელის ნაქარგებისთვის სკეჩებს უკეთებდა, რის სანაცვლოდაც ელზა მეგობარ დრამატურგს ფილმებისთვის და სპექტაკლებისთვის კოსტიუმებს უკერავდა. თუმცა, სკიაპარელის ყველაზე დიდი თანამოაზრე მაინც სალვადორ დალი იყო – მათ მიერ ერთობლივად შექმნილი სიურრეალისტური მოდა, სხვა არაფერი იყო თუ არა მცდელობა იმისა, რომ ტანსაცმლის კერვისა და ხელოვნებისგან პირველი ნამდვილი პიბრიდი შეექმნათ. სწორედ მათი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ტუჩების ფორმის ქამრის ბალთა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის და ქალის სამოს ფორმის პატარა ქუდები; ასევე თეთრი მიტკლის სალამოს კაბა, რომელსაც ქვედა მხა-

რეს კიბირჩხალას უზარმაზარი გამოსახულება ამშვენებდა. სხვათა შორის, სწორედ ამ კაბით იქორნინა უოლის სიმპსონმა უინძორის ჰერცოგზე...

როდესაც 1973 წელს სკიაპარელი გარდაიცვალა, მიუჩა პრადა (მისი ნამდვილი სახელია მარია) 24 წლის იყო და მილანის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ მან კურსი რადიკალურად იცვალა და მომდევნო ხუთი წელი მილანის თეატრში (Piccolo Teatro), პანტომიმის ხელოვნებას სწავლოდა. პანტომიმაც ხომ, მოდის მსგავსად, ხელოვნების მდუმარე ფორმაა და ორივე შემთხვევაში, შემოქმედმა საკუთარი სათქმელის გადმოცემა სხეულის ენის მეშვეობით უნდა შეძლოს.

ბევრი თანატოლის მსგავსად, პრადამაც ახალგაზრდობის წლები რადიკალური ცვლილებებისა და პროექსტის ეპოქაში გაატარა. ეს მღელვარება განსაკუთრებით საგრძნობი მის მშო-

ბლიურ ქალაქში იყო. 1968 წელს, ლასკალას საპერიო თეატრის გახსნის სადღესასწაულო ღონისძიებაზე, საღამოს გლამურულ კაბებში გამოწყობილ სტუმრებს პროტესტანტებმა ლაყეკერცხები დაუშინეს. მსგავსი ამბები შემდეგ ხლებშიც ხდებოდა, როცა მოდის პორიზონტზე ჯორჯო არმანის ახალი, ნეიტრალური ბრენდი გამოჩნდა. ცნობილია, რომ ამ დროის პრადა კომუნისტური პარტიის რიგებს შეუერთდა. მოარეული ხმების თანახმად კი, პოლიტიკურ პროკლამაციებს Yves Saint Laurent-ის სამოსში გამოწყობილი არიგებდა.

პოლიტიკაზე მსჯელობა პრადას დიდად არ უყვარს, მაგრამ არასდროს დაუფარავს, რომ იდეალიზმი მთელ მის ახალგაზრდობის წლებს ფონად გასდევდა. 2006 წელს ერთ-ერთმა მემარცხენე პარტიამ პარლამენტში კენჭისყრაც კი შესთავაზა, რაზეც პრადადმ უარი თქვა – რასაც გაკეთებ, ის საქმე ბოლომდე მავსებსო. ესეც რომ არა, პრადას უადგილოდ ეჩვენა,

მას, მიღიარდერს, დაწყო ზრუნვა იტალიის მუშათა კლასის უფლებებზე (პრადას ნიანგის ტყავის საფულე შესაძლოა, მომცრო ზომის Fiat-ზე ძირიც კი ღირდეს). რა თქმა უნდა, არ უარყოფს იმას, რომ ივ სენ ლორანის ტანსაცმელიც ხშირად ეცვა, მაგრამ უფრო დიდ ხალისით იხსენებს იმას, თუ როგორ გამოეწყობოდა ხოლმე მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებში ნაყიდ ვინტაჟის კაბებში და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში.

ფრანგული მოდის ერთ-ერთმა კურატორმა მიუჩას სტილს „ინტუიციების კოლაჟი“ უნდა, თუმცა თავად პრადა მარტივად ხსნის, რომ მას უბრალოდ „არ უნდოდა ვინმეს მსგავსი ყოფილიყო“. პრადამ მოახერხა საკუთარი ბიზნესი ისე წარემართა, რომ პოტენციური კლიენტები სამოსის ბოჭემური სითამამით არ დაეფრთხო.

მის კოლექციებში ამ სითამამეს სამოსის კონსერვატიული სიმდიდრე ყოველთვის ანეიტრალებდა.

პრადას ოჯახი მიუჩას ბაბუის მიერ 1913 წელს დაარსებულ ტყავის ძვირადღირებული საქონლის ბიზნესს ფლობდა. ბაბუა მარიომ პირველი მაღაზია, მიღანში, დუომოს ახლოს გახსნა, სადაც მაღალი ხარისხის, ხელით შეკერილ, დახვენილ სამგზავრო ჩანთებს და ხელჩანთებს ჰყიდდა. მარიოს მაღაზია მაღლე პოპულარული გახდა, ყველაზე მეტად კი, მას მიღანელი არისტოკრატები სწყალობდნენ. პატარა მიუჩასთვის (ბავშვობაში მას მეტსახელად „მიუმიუ“ შეარქვეს, რაც მოგვიანებით, დიზაინერმა საკუთარი სამოსის მეორე ხაზს უწოდა) და მისი ოჯახის წევრი სხვა ქალებისთვის მაღაზია აკრძალული ტერიტორია იყო. როგორც თავად მიუჩა ამბობს, ბაბუა

მარიოს მიაჩნდა, რომ ქალისთვის ყველაზე ზედგამოჭრილი ადგილი სახლი იყო. ამიტომაც შინაურული ბიზნესის კარი ოჯახის წევრი ქალებისთვის მარიოს გარდაცვალებამდე არ გალებულა. 1950-იანი წლებიდან საქმე პრადას დედამ, ლუიზამ გადაიბარა და წარმატებით უძლვებოდა კიდეც 1970-იანი წლების შუა ხანამდე, ვიდრე იმპერიის სადაცე ხელში მიუჩამ აიღო.

მიუჩამ არსებული მოდელები ახალი, აქტიულური დიზაინით გადაახალისა: 1985 წელს მან კოლექციაში წეილონის-გან შეკერილი მსუბუქი ზურგჩანთები წარმოადგნა. სიახლე ზედგამოჭრილი აღმოჩნდა მეგაპოლისში მცხოვრები თავგადასავლების მოყვარული ქალისთვის, რომელსაც ბევრი რამ აქეს ჩანთაში ჩასალაგებელი და იმავდროულად სიმძიმების ტარების სურვილითაც არ იწვის – ასეთი ქალები დაუ-

ესთეტიკური მაღაფირი შაინი გთავაზობთ სხეულის მოვლის სპეციალურ პროგრამას ეპლაბატონებისთვის

Ocean force – Nano Technology –პროცედურის ხანგრძლივობა 90 წუთი– ტალახი–სხეულის მოდელირების, ლიმფოდრენაჟული და რემინერალიზაციის უზარით.

ფელულის ეჭ. „ფრთხოების განას“ მკურნალობა.

შეიცვას ოლიგოოდენტნებებს, რომელთა საშუალებითაც ხდება მავნე

ნივთიერებების გამოყავს ტოქსინების შარდთან და ოფლთან ერთად), მიკროცირკულაციის გააქტიურება,

უანგბადით ქსოვილების გაკერება და ცხიმების მეტაბოლიზმი.

შემადგენლობა: ჩრდილოეთის ბლვის მცენარეების ექსტრაქტები, ბლვის მარილი, ბლვის წყალი, თერმული თიხები, თერმული წყლები, მიკროლემენტები, ვიტამინები, ფერმენტები და 90-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის მანერალები.

ეფექტი:

- სხეულის მოდელირება;
- მიკროცირკულაციის გამუკობესება;
- კოლაგენის გამომუშავების სტიმულაცია;
- კანის დარბილება, ელასტიურობა და ბრწყინვალება;
- რელაქსაცია;



პროცედურის ღირებულება 89 ლარი აქცია: 4 პროცედურა 356 ლარი + 1 პროცედურა საჩურად!

- ლაბირული ეპილაცია ალექსანდრიტის ლაბერით;
- დერმატო-კოსმეტიკულოგია;
- სახისა და სხეულის მოდელირება NANO ტექნოლოგიებით;
- ნაფენის კორექცია;
- პერმანენტული მაკაჟი;
- ინტენსური კოსმეტიკულოგია;
- მალებაშვი დისკის ბათოლოგიების მკურნალობა ქირურგიული ჩარევის გარეშე!
- მასაჟი – რელაქსი, გავანსაღება, კორექცია;
- სოლარუმი – უსაფრთხო და თანაბარი რეჟიმი;
- თმისა და ფრჩხილის სტილი და ჰიგიენა.

Shine for you!

თბილისი, კვეკელიძის №14 ტელ: (032) 2 230 330/ 5 68 230 330
www.shine.ge info.shine.ge FB: Aesthetic Medncentre Shine

Shine
სამიმდინარი გადამზადები

სამიმდინარი გადამზადები

ფიქრებლად ხარჯავდნენ რამდენიმე ასეულ დოლარს საოცნებო ზურგჩანთის შესაძენად. ამ დროისთვის პრადა უკვე მომავალ მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა.

პრადას ქმრის, ბერტელის კარიერაც ხელჩანთების ბიზნესით დაიწყო, საბოლოოდ კი პრადას კომპანიის მართვა ჩაიბარა. როცა კომპანიის ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ იმედის-მომცემი გახდა (ფორბსის მონაცემებით, 1970-იანებში კომპანიის მოგება რამდენიმე ასეულ ათას აშშ დოლარს შეადგენდა, 2010 წლისთვის კი – 1.6 მილიარდ ევროს), ბერტელიმ მიუჩას ურჩია, ქალის მზა სამოსის წარმოებაც დაეწყო. „ხშირად ვფიქრობ, იმისათვის, რომ მოდის დიზაინერი გახდე, რაციოზე უარი უნდა თქვა“, – უთხა ერთხელ ბრიტანელ უურნალისტს პრადამ და რაღაც დროის განმავლობაში ქმრის რჩევაზე უარს ამპირდა. საბოლოოდ, პრადამ ქალის სამოსის პირველი კოლექცია 1988 წელს წარადგინა, ქორწინების ერთი წლის თავზე.

პრადა და ბერტელი (მათ ორი ვაჟიშვილი ჰყავთ) მიღავის იმ ბინაში ცხოვრობენ, სადაც მიუჩა გაიზარდა. ძველი სამოსისთვის (როგორც თვითონ ამბობს, ის არასდროს აგდებს ძველ სამოსს) მიუჩას ცალკე ბინა აქვს. მისი სტილი მიღავის ბურუუაზიული ჩატმის კულტურით საზრდოობს და აბსოლუტურად არ შეესაბამება ქალურობის იმ იდეალს, რომელიც მისი სოციუმის წარმომადგენლებისთვის ყოველთვის ძლიერ ფასობდა.

პრადა აღნიშნავს, რომ დიზაინერად ჩამოყალიბების პროცესში, მასზე დიდი გავლენა მოახდინა ლურ ბურულის ფილმი „დღის ლამაზბანი“ (Belle de Jour), რომლისთვისაც კოსტიუმები ივ სენ ლორანმა შექმნა. 1967 წელს, როცა ეს ფილმი ეკრანებზე გამოვიდა, პრადა 18 წლის იყო. ეს გადამწყვეტი იყო მისი თაობის არაერთი კარგად აღზრდილი გოგონასთვის, განსაკუთრებით მიუჩას მსგავსი ინტელექტუალი და იმავდროულად, იმპულსური გოგონებისთვის, რომლებიც ის-ის იყო ინტენსიურ ფერით მისი პრინციპების გაცნობას. „სუპერსექსუალური სამოსის სანინააღმდეგო არაფერი მაქვს.

მე მხოლოდ ამ იდეალისადმი მსხვერპლად შეინივას ვერინააღმდეგები, – ამბობს მიუჩა, – ვალდებულებაა, იყო სექსუალური?! აი, ეს მძულს! იყო აღმაშენოთებლად სექსუალური! აი, ეს კი მომწონს!“

ბუნებლის ფილმის მთავარი გმირი, მალულად საროსკიპოებში მოსიარულე მაღალი წრის ქალბატონი სევერინი, კატრინ დენევმა განასახიერა. ამ როლისთვის სენ ლორანის მიერ დენევისთვის შექმნილი ყველაზე დასამახსოვრებელი ანსამბლი თეთრი საყელოთი და სამელაცურებით განყობილი შავი, გრძელმკლავებიანი კაბა იყო, რომელიც მონაზვნისთვის დამახასიათებელ სიმკაცრეზე და ასკეტიზმზე მიანიშნებდა („ყველაზე კომფორტულად თავს მაშინ ვგრძნობ, როცა მონაზონივით მაცვია, – ამბობს მიუჩა, – ასე სრულიად მოღუნებული ვარ“). ბუნებლის გმირის სევერინის მსგავსად, პრადას ქალებსაც ორმაგი ცხოვრება აქვთ, ხანდახან, გაორებული პიროვნებებიც კი არიან. ისინი ხშირად ნატიფი და დახვეწილები არიან წელს ზემოთ – კლასიკურ, ყელიან სვიტერში ან პიტერ პენის საყელოიან ბლუზაში გამოწყობილები, მაგრამ წელს ქვემოთ ანსამბლი გარყვინილ ელფერს იძენს – ცენინებით განყობილ ქვედაბოლოები, პითონის ხელოვნური ქერცლი, თეთრ აბრეშუმზე გამოსახული ტუჩის საცხის კოლოფის ანაბეჭდები, სხვადასხვა სახის ეგზოტიკური ტყავი, გამჭვირვალე მაქმანი. პრადას შემოქმედების ძირითადი ლერძი ყოველთვის ქვედაბოლოები იყო, ვინაიდან, როგორც თვითონ განმარტავს, ქალის სხეულის ქვედა ნანილი შევილის გაჩენასთან და სექსთან არის დაკავშირებული.

პრადას ამ დამოკიდებულებას საკუთარი საქმისადმი ხშირად „პოსტ-მოდერნს“ უწოდებენ, თუმცა ვერ იტყვით, რომ მისი სტილი, უფრო სწორად, თვითონ მიუჩა მღელვარებისა და შფოთის გამომწვევი იყოს. მეორე მხრივ, სწორედ საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევის უნარია მიუჩას კომერციული საიდუმლო. 2011 წლის შემოდგომის კოლექციისთვის, პრადამ მოკლე პალტო-კაბების ნაკრები წარმოადგინა, რომლებიც წელზე

ქამრებით იყო განყობილი, მკლავები კი ხელოვნური ბერვით ჰქონდა დაფარული, თავად მოდელები კი უბედური საგზაო შემთხვევის მსხვერპლს წააგვდნენ. როგორ ფიქრობთ, ეს სამოსი წარმოადგენლად უშნო იყო თუ უპატიებლად შემზარავი?!

საკუთარ თავში პრადაზე მეტად თავდაჯერებული მხოლოდ ერთი დიზაინერი შეიძლება ყოფილიყო, რომელსაც მიუჩასთან ერთად კოსტიუმის ინსტიტუტში საპატიოდ გამოფენენ. სკიაპარელიმ, მის თანამედროვეებთან შედარებით, ყველაზე მეტი გააკეთა იმისთვის, რომ საზოგადოებას მოდა როგორც ხელოვნება მიეღო. „დიდი სკიაპი“ ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ, სრულიად ბუნებრივგად მიიღებდა იმ ფაქტს, რომ მისი ნამუშევრები მუზეუმში ფიდიასის და ვერმერის შემოქმედების გვერდით იქნება გამოფენილი.

კოსტიუმის ინსტიტუტის საგამოფენო სივრცეში პრადას 1996 წლის ჩვენებიდან ერთ-ერთი კოსტიუმია წარმოდგენილი: შემოსახვევი ქვედაბოლო, სპორტული ქურთუეკი და უფორმო, მაღალყელიანი სვიტერი. ანსამბლი უხეში ნეილონისგან არის შეკერილი და „საშინელ“ ფერთა გამაშირი გადანივეტილი: მდოგვისფერ, მოყვითალო-მომწვანო და მწვანები. თავის დროზე, ეს კოსტიუმი პოდიუმზე ქეით მოსს ემოსა. ექსპონატი საგამოფენო დარბაზში „მახინჯი შიკის“ (Ugly Chic) განყოფილებაშია მოთავსებული.

პრადას სილამაზის არასათანადო შეფასებაში ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ – მიუჩას და სკიაპარელის შემოქმედებაში არაერთ თვალისმომჭრელი სილამაზის კოსტიუმს შეხვდებით. თუმცა, როგორც თქვენ, ალბათ, უკვე ხვდებით, ამ ძველ რადიკალ ქალბატონს, სკიაპარელის, სილამაზე ქალთა მხოლოდ ერთი პროცენტის დაუმსახურებელ „ქონებად“ მიაჩნია, მეორე, ინტელექტუალურ ფერმინისტს, პრადას კი, სურს, გითხრათ, რომ გარეგნული სილამაზის ეფექტი, რომელსაც სიყვარულის მოტანა შეუძლია, წარმავალია. ამიტომ სილამაზე არაფერი არც თქვენ უნდა გჭირდებოდეთ, თუკი, საკუთარი თავი გიყვართ.



www.radiokalaki.ge



ინაკტიუროთ, მიიღოთ მონაცემება

RADIOKALAKI.GE-ს გამოყითხვებში

მოგვიჩვით თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან



სხაი
მოყოლეობა
98.5 FM



98.5

